

მმართველობითი ანგარიში და  
ფინანსური ანგარიშგებები 2022

# 30

ზრდის და  
ინოვაციების  
30 წელი

20  
22

„თიბისი ბანკი“<sup>1</sup> წამყვანი ფინანსური ჯგუფია საქართველოში

1 „თიბისი ბანკი“ გულისხმობს სს „თიბისი ბანკს“ (შემდგომში „ბანკი“) და მის შვილობილ კომპანიებს (ერთად „ჯგუფი“)

## 4 - 141

### მართვითი ანგარიში

<b>მიმოხილვა</b>	
ვინ ვართ ჩვენ და რას მივალწიეთ	
„თიბისი“ ერთი შეხედვით	6
ზრდისა და მომგებიანობის სტაბილური ტრენდი	9
აღმასრულებელ ხელმძღვანელთა გუნდი	10
<b>ხედვა ზევიდან</b>	
ჩვენი გენერალური დირექტორი აფასებს განსახილველ წელს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევების ჭრილში	
გენერალური დირექტორის წერილი	12
<b>ჩვენი სტრატეგიული მიდგომა</b>	
ჩვენი საოპერაციო გარემოს, ბიზნეს მოდელის და სტრატეგიის მიმოხილვა	
ჩვენი საოპერაციო გარემო	16
ჩვენი ბიზნეს მოდელი	20
ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები	22
ჩვენი შესრულების ძირითადი მაჩვენებლები	24
ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგია	28
<b>როგორ ვქმნით ღირებულებას</b>	
ჩვენი თითოეული დაინტერესებული ჯგუფისთვის ღირებული შეთავაზებების განხილვა	
ჩვენი მომხმარებლები	32
ფინანსური მომსახურებები	32
ჩვენი კოლეგები	58
ჩვენი საზოგადოება	66
ჩვენი ინვესტორები	70
ფინანსური მიმოხილვა	70
რისკების მართვა	80
ძირითადი არსებული და მოსალოდნელი რისკები	102
კლიმატთან დაკავშირებული	
ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება	114
ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS)	134

# სარჩევი

## 142 - 149

### მართვითი

კორპორაციული მართვა	144
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები	146

## 150 - 301

### ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	152
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	158
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	159
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	160
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	161
ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	163
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	164
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	165
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	166

## 300 - 311

### დამატებითი ინფორმაცია

ტერმინების განმარტებები	302
შედეგების ალტერნატიული შეფასებები (APM)	304
აბრევიატურები	311




მმართველობითი ანგარიში


# „თიბისი“ ერთი შეხედვით

## 1. ვინ ვართ ჩვენ

ჩვენ ვართ წამყვანი ფინანსური ჯგუფი საქართველოში, კლიენტთა მომსახურების ყველა სეგმენტში ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების სრული სპექტრით.



მთლიანი სესხების საბაზრო წილი<sup>1</sup> 38.8% 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით




მთლიანი სესხების საბაზრო წილი<sup>1</sup> 38.8% 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ძირითადი საბანკო საქმიანობა:
- საცალო საბანკო მომსახურების წამყვანი ბანკი საქართველოში
  - ნომერი პირველი არჩევანი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
  - ნომერი პირველი სანდო პარტნიორი კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო კლიენტებისთვის

დამატებითი ფინანსური მომსახურებები:

- „თიბისი ფი“
- „თიბისი ლიზინგი“
- „თიბისი კაპიტალი“

## 2. ჩვენი მისია



## 3. რითი გამოვიჩვენებთ

**საუკეთესო ციფრული გადაწყვეტილებები**

801,000 ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**მონაცემთა სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობები**

2022 წელს გამომუშავებული დამატებითი შემოსავალი 79 მილიონი ლარის ოდენობით

**კორპორაციული და რისკების მართვის დახვეწილი სისტემა**

1 ISS Governance ხარისხის მაჩვენებელი „TBC PLC“-სთვის<sup>2</sup> 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიუთითებს მართვასთან დაკავშირებული რისკის დაბალ დონეს

**მოტივირებული თანამშრომლები**

59%-იანი თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS)<sup>3</sup> - მნიშვნელოვნად აღემატება ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებელს 47%

## 4. ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები

**წამყვანი პოზიციის გამყარება ქართულ საბანკო სივრცეში**

**ჩვენი მონიწივე ციფრული შესაძლებლობების გაძლიერება**

**ჩვენი სამომხმარებლო გამოცდილების მომდევნო ეტაპზე გადაყვანა**


<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.  
<sup>2</sup> საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ (შემდგომში „TBC PLC“) გულისხმობს სს „თიბისი ბანკს“ (შემდგომში „ბანკი“) და მის შვილობილ საწარმოებს. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ დაფუძნებულია ინგლისსა და უელსში და შესულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში.  
<sup>3</sup> 2022 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა შეაფასა ბანკის თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS).

საქართველოს ფინანსური სექტორის რეგულაციები




# ზრდისა და მომგებიანობის სტაბილური ტრენდი<sup>1</sup>


საკრედიტო კორტჟალი (მილიარდი ლარი)  
საშუალოწლიური ზრდის ტემპი (CAGR) 26%




წმინდა მოგება გადასახადით დაბავრებულ (მილიონი ლარი)  
საშუალოწლიური ზრდის ტემპი (CAGR) 15%



უკუგება კაპიტალზე (ROE)



ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა



<sup>1</sup> განმარტებები და შედეგების ალტერნატიული შეფასებების დეტალური დაანგარიშება მოცემულია გვერდებზე 308-316.  
<sup>2</sup> სრული 2022 წლისთვის, ლარისა და აშშ დოლარის საშუალო გაცვლითი კურსი 2.92 იყო, ხოლო ლარისა და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი საშუალო გაცვლითი კურსი - 3.62.

# ადმასრულებელ ხელმძღვანელთა გუნდი



**ვახტანგ ბუცხრიკიძე**  
გენერალური დირექტორი



**თორნიკე გოგიანი**  
გენერალური დირექტორის მოადგილე,  
საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების  
(MSME) საბანკო მომსახურება და გადახდები



**ნიკოლოზ ჟურდიანი**  
გენერალური დირექტორის მოადგილე,  
ბრენდის გამოცდილება და მარკეტინგი



**ნინო მასურაშვილი**  
გენერალური დირექტორის მოადგილე,  
რისკების მართვის დირექტორი



**გიორგი მეგრელიშვილი**  
გენერალური დირექტორის მოადგილე,  
ფინანსური დირექტორი



**გიორგი თხელიძე**  
გენერალური დირექტორის მოადგილე,  
კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო  
მომსახურება და, დაგროვილი კაპიტალის მართვა

ბიოგრაფიები დეტალურად იხილეთ  
ჩვენს ვებ-გვერდზე: [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com)

საქართველოს ბანკის  
საინვესტიციო და მარკეტინგის  
სამსახურის  
სამსახურის  
სამსახურის

# გენერალური დირექტორის წერილი



„განვლილი 30 წლის განმავლობაში ჩვენ ბევრს მივალწიეთ და ამასთანავე სულმოუთმენლად ველი მომავალ გამოწვევებს.“

## კვირფასო გატონაო და ქალბატონაო,

2022 წელი რეგიონში მნიშვნელოვანი არასტაბილურობით ხასიათდებოდა, რაც განპირობებულია უკრაინაში მიმდინარე ომით, რომელმაც მრავალი უდანაშაულო სიცოცხლე შეიწირა, გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი მილიონობით ადამიანის იძულებით გადაადგილების გამო და ნეგატიურად იმოქმედა გლობალურ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე. მჭერა რომ უკრაინა გაიმარჯვებს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ამასობაში, ჩვენ განვაგრძობთ უკრაინის დახმარებას სხვადასხვა პროგრამების, საქველმოქმედო საქმიანობებისა და ფინანსური რესურსების მოზიდვის გზით.

ომს ნეგატიური გავლენა ჰქონდა გლობალურ ეკონომიკაზე, რამაც ენერჯეტიკული კრიზისი და ინფლაციის ზრდა გამოიწვია. ამ რთულ დროსაც კი, საქართველოს ეკონომიკამ მდგრადი განვითარება და ძლიერი ზრდა აჩვენა. თუმცა, ჩვენ კვლავ ვითვალისწინებთ რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციას და ვაგრძელებთ ომის შედეგების მონიტორინგს და ანალიზს.

## ზრდის და ინოვაციების 30 წელი

2022 „თიბისის“ 30-ე საიუბილეო წელია. განვლილი 30 წლის განმავლობაში „თიბისი“ გახდა ქვეყნის წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი. ყველაფერი რასაც ვაკეთებთ, კონცენტრირებული იყო და იქნება ჩვენი მისიის ირგვლივ: „გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება“. ამგვარი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი გამორჩეული გუნდის გარეშე. ჩვენი ხალხის ენთუზიაზმმა და თავდადება მოგვიყვანა იქ, სადაც ახლა ვართ და მინდა მაღლობა გადავუხადო ჩემს ყველა არსებულ და ყოფილ კოლეგას 30 წლის განმავლობაში თიბისის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის.

## ჩვენი სტრატეგიის განხორციელება

2022 წელი „თიბისისთვის“ კიდევ ერთი უაღრესად წარმატებული წელი იყო ჩვენი ძირითადი საბანკო ბიზნესის მიმართულებით, რომელმაც გამორჩეული შედეგები აჩვენა:

- **ფინანსური მაჩვენებლები** - წმინდა მოგება 1,023 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 21%-ით აღემატება. მიუხედავად 113 მილიონი ლარის ოდენობის ერთჯერადი საგადასახადო ხარჯისა, უკუგება კაპიტალზე 26.0% იყო, რასაც ზურგს უმყარებს სოლიდური კაპიტალის ძლიერი ზრდა. ერთჯერადი საგადასახადო ხარჯის გარეშე, წმინდა მოგება 1,136 მილიონი ლარი იქნებოდა, ხოლო უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) 28.8%-ს მიაღწევდა.
- **სამომხმარებლო ბაზა** - 2022 წლის ბოლოსთვის ჩვენი რეგისტრირებული მომხმარებლების რიცხვმა 3.0 მილიონი შეადგინა, რომელთაგან 1.5 მილიონი ყოველთვიურად აქტიური მომხმარებელია (MAU). აღნიშნული მაჩვენებელი შესადარისა საქართველოს მთლიან ბაზართან, რომელიც დაახლოებით 3.7 მილიონს შეადგენს.
- **ციფრული ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი** - ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების (MAU) რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა წლის განმავლობაში და 2022 წლის დეკემბერში 801,000 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 24%-ით აღემატება, ხოლო ყოველდღიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების (DAU) რიცხვმა 384,000 შეადგინა, რაც იმავე პერიოდში 35%-იანი ზრდის მაჩვენებელია.

## ლიდერის პოზიციის განმტკიცება

წელს „თიბისიმ“ კვლავ განიმტკიცა ლიდერის პოზიცია ძლიერი ზრდით როგორც სასესხო, ისე სადეპოზიტო სეგმენტში და ბაზრის წილი დაახლოებით 40%-ზე შეინარჩუნა. სესხების ზრდაზე დიდწილად იმოქმედა სამომხმარებლო და მიკრო სესხებმა. აღნიშნული მიყვება ჩვენს სტრატეგიას, რომლის ორიენტირებულია ადგილობრივ ვალუტაში მაღალ განაკვეთიანი სესხების რაოდენობის ზრდაზე. კორპორაციული საინვესტიციო საბანკო საქმიანობის (CIB) სეგმენტში, აქცენტს ვაკეთებთ მსხვილი და საშუალო კორპორაციული კლიენტების წილის ზრდაზე და კონცენტრაციის დონის შემცირებაზე. ამავდროულად, საკრედიტო რისკის სრულყოფილი მართვა საშუალებას გვაძლევს რომ ჩვენი აქტივების ხარისხი მაღალ დონეზე შევინარჩუნოთ. დეპოზიტების თვალსაზრისით, ზრდაზე მეტწილად მოქმედებდა ადგილობრივ ვალუტაში დეპოზიტების შემოდინებამ. შედეგად, წლის განმავლობაში ჩვენი სასესხო და სადეპოზიტო პორტფელების ლარიზაციის დონე გაიზარდა, ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად.

გარდა ამისა, ვამაყობთ იმით, რომ შევინარჩუნეთ ბიზნესის წამყვანი მხარდამჭერის პოზიცია. ჩვენ ვეხმარებით ბიზნესებს მათი განვითარების ყველა ეტაპზე როგორც ფინანსური ექსპერტიზის, ასევე მთელი რიგი არაფინანსური მომსახურებების შეთავაზებით, მათ შორის - სტარტაპის პროგრამები, სემინარები და ტრენინგები. ამასთან, „თიბისის“ ყოველწლიური ბიზნეს დაჯილდოება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება ქართულ ბიზნეს საზოგადოებაში, რომელიც საუკეთესო კომპანიებს და მომსახურებებს გამოავლენს ქვეყნის მასშტაბით.

## რეკორდული მოგებაინოვა და კაპიტალის მონივრული ღონეები

2022 წელს ჩვენმა საოპერაციო შემოსავალმა 1,946 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 39%-ით აღემატება. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო წმინდა საპროცენტო შემოსავალის მატებით, რომელიც განაპირობა: ძლიერი საკრედიტო პორტფელის ზრდამ, მაღალი წმინდა საპროცენტო მარჟამ და ასევე, სავალუტო ოპერაციებიდან არსებითმა კონტრიბუციამ, რაც უკავშირდება გაზრდილ მოცულობებსა და მარუებს.

აქტივების ხარისხის მხრივ, ჩვენი რისკის ღირებულება განაგრძობდა ნორმალიზებას და 0.6% შეადგინა. გაძლიერებულმა აქცენტმა დივიტალიზაციასა და მონაცემთა სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობებზე, საშუალება მოგვცა ჩვენი ბიზნესი ეფექტიანად გვემართა. შედეგად, ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა წინა წელთან შედარებით 3.7 pp-ით შემცირდა და 28.8% შეადგინა. ჩვენი კაპიტალის პოზიცია ძლიერი დარჩა, რაც განპირობებული იყო მაღალი მომგებიანობითა და ადგილობრივი ვალუტის გამყარების დადებითი ეფექტით. 2022 წლის ბოლოსთვის ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 15.5%-ს შეადგენდა და აღემატებოდა მინიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნა 11.6%-ს.

საქართველოში უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადამიანების გუნდი



**ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება**

ყველა ის მიღწევა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ ჩვენი გუნდის 8,500 კოლეგას უკავშირდება. „თიბისი“ დიდ ყურადღებას აქცევს საუკეთესო ტალანტების მოზიდვასა და შენარჩუნებას. კარიერის დაგეგმვის, კონკურენტული ანაზღაურების პაკეტის და მოქნილი სამუშაო გარემოს საშუალებით კოლეგებს სთავაზობს ზრდისა და განვითარების შესაძლებლობებს. ჩვენ მათ ვთავაზობთ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს „თიბისი აკადემიის“ დახმარებით, ასევე ვუწევთ ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა გარე კურსებზე დასასწრებად და საერთაშორისო სერტიფიკატების მოსაპოვებლად. ამ და სხვა ინიციატივების შედეგად ვამაყობთ, რომ ჩვენი კოლეგები თავს დაფასებულად და პროფესიონალურად შემდგრად გრძნობენ, რაც თანამშრომელთა ლოიალურობის 59%-იან ინდექსზე<sup>1</sup> (ENPS) აისახა.

**30 წლის განმავლობაში ბევრს მივალწიეთ და კიდევ ბევრს მივალწივთ მომავალში**

მიუხედავად იმისა, რომ განვლილი 30 წლის განმავლობაში ბევრს მივალწიეთ, მაინც სულმოუთმენლად ველი მომავალ გამოწვევებს. ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ ლიდერის პოზიცია საბანკო სექტორში, რაც შემდგომში აისახება ბალანსის ძლიერ ზრდასა და საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლის წყაროების გენერირებაზე, რაც, თავის მხრივ, მომავალ წლებში ჯგუფის მომგებიანობას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, მუდმივი ტექნოლოგიური წინსვლა დაგვეხმარება ეფექტიანობის კიდევ უფრო მეტად გაზრდაში.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე**  
გენერალური დირექტორი  
2023 წლის 24 აპრილი


<sup>1</sup> 2022 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა შეაფასა ბანკის თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS).  
**შენიშვნა:** პრეზენტაციის მიზნებისთვის, რიგი ფინანსური რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე.

# ჩვენი საოპერაციო გარემო

## ეკონომიკური ზრდა

საქსტატის წინასწარი შეფასებით, პანდემიიდან გამოსვლის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკამ 2022 წელს ძლიერი ზრდა შეინარჩუნა - რეალური მშპ წლიურად 10.1%-ით გაიზარდა.

## რეალური მშპ-ის ზრდა (%)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

## საგარეო სექტორი

საქართველოს საგარეო სექტორის მაჩვენებლები წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კერძოდ, წლიურად საქონლის ექსპორტი და იმპორტი შესაბამისად 32% და 33%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი მზარდი საერთაშორისო ფასები იყო, ასევე დაფიქსირდა გარკვეული ზრდა რეალურ ჭრილობაშიც. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო საქონელს იმპორტში მაღალი წილი ჰქონდა, რაც პოზიტიურ განწყობაზე მიუთითებს, ხოლო ვაჭრობის პირობები მეტწილად სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა, რაც ეკონომიკურ ზრდასა და ლარის გამყარებას უწყობს ხელს.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის თავდაპირველი უარყოფითი გვერდითი ეფექტები საბოლოოდ დაკომპენსირდა მიგრაციის ეფექტით. ტურიზმის აღდგენამ და ფულადი გზავნილების შემოღებამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. მიგრაციის ეფექტის გათვალისწინებით, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2022 წლის განმავლობაში 2019 წლის დონეს 8%-ით გადააჭარბა. ფულადი გზავნილები კი კიდევ უფრო მეტად, 28%-ით გაიზარდა<sup>1</sup>. ძლიერი მატება ასევე დაფიქსირდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებშიც (FDI), რომელიც მესამე კვარტალში წლიურად გაიზარდა 99%-ით, ხოლო პირველი ცხრა თვის განმავლობაში 102%-ით. მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი მაჩვენებელი უპირველესად განპირობებული იყო ბევრად ძლიერი ინვესტიციით სააქციო კაპიტალში და არა მხოლოდ რეინვესტირებული ამონაგებით.

## ფულადი ნაკადების და იმპორტის წლიური ზრდა (%)



\* წლის პირველი სამი კვარტლის ჯამი


\*\*რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილები დაკორექტირებულია ორმაგი აღრიცხვისა და სხვა მსგავსი ეფექტების გათვალისწინებით, „თიბისი კაპიტალის“ შეფასების საფუძველზე.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), საქსტატი

## ფისკალური სტიმული

ფისკალურმა სტიმულმა, რომელიც კვლავ ძლიერი იყო, 2021 წლის ზრდაზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან დეფიციტი მშპ-ის დაახლოებით 6.1%-ს გაუტოლდა, 2020 წლის 9.3%-იანი მასტიმულირებელი მაჩვენებლის შემდეგ. 2022 წელს კი დეფიციტი დამატებით 2.5%-მდე შემცირდა. ფინანსთა სამინისტროს მიხედვით, მომავალ წლებში მოსალოდნელია ფისკალური კონსოლიდაცია დეფიციტის მშპ-თან 2.8%-სა და 2.3%-ის ფარდობით 2023 და 2024 წლებში, შესაბამისად.

## მთავრობის ვალი და ბიუჯეტის ბალანსი (მშპ-ის %)




● მთავრობის საგარეო ვალი ● მთავრობის საშინაო ვალი ● ბიუჯეტის ბალანსი, მარ. ღერძი

წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო

## სესხების ზრდა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით

2022 წლის დეკემბერის მდგომარეობით, საბანკო დაკრედიტება წლიურად 12%-ით გაიზარდა, 2021 წლის ბოლოსთვის 18%-იან ზრდასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით. ზრდის ნორმალიზება ყველა სეგმენტს შეეხო. კორპორაციულ სექტორში დაკრედიტების ზრდა შენედა 6%-მდე დეკემბრის ბოლოსთვის, 2021 წლის 18%-თან შედარებით, რაზეც დიდწილად იმოქმედა სესხების წინსწრებით დაფარვამ წლის მეორე ნახევარში. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა და საცალო სექტორებში დაკრედიტების ზრდა წინა წელთან შედარებით მართალია შემცირდა, მაგრამ მაინც მაღალ დონეზე შენარჩუნდა. კერძოდ, ზრდამ 2021 წლის ბოლოს 19%-დან 2022 წლის ბოლოსთვის 16%-მდე, და 18%-დან 15%-მდე იკლო, შესაბამისად.

## სესხების ზრდა სეგმენტების მიხედვით (წ/წ, გაცვლითი კურსის ეფექტის გამოკლებით, %)



● სულ სესხები ● კორპორაციული ● მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME) ● საცალო სესხები

შენიშვნა: 2022 წლის აგვისტოს კორპორაციული დაკრედიტებაში კლება დიდწილად სესხების წინასწარ დაფარვით იყო განპირობებული

წყარო: სებ

1 რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილები დაკორექტირებულია ორმაგი აღრიცხვისა და სხვა მსგავსი ეფექტების გათვალისწინებით, „თიბისი კაპიტალის“ შეფასების საფუძველზე.


**ინფლაცია, მონეტარული პოლიტიკა და გაცვლითი კურსი**

რუსეთის უკრაინაში შეჭრის თავდაპირველი ეკონომიკური ეფექტები, რამაც ლარის გაუფასურება და სურსათის ფასების ზრდა გამოიწვია, მოგვიანებით გაუარესდა მიგრაციით გამოწვეული ქირის ზრდით და წარმოშვა დამატებითი აღმავალი ზეწოლა ინფლაციაზე, რომელიც ისედაც მნიშვნელოვნად მომატებული იყო.

მოგვიანებით, ლარმა დაიწყო გამყარება აშშ დოლარის მიმართ, რაც განპირობებული იყო ფულადი ნაკადების შემოდინებითა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკით. ამის საფუძველზე, 2022 წლის დეკემბრის ბოლოსთვის ლარის კურსი 2.69-მდე გამყარდა რომელიც 2021 წლის ბოლოსთვის 3.10-ს შეადგენდა. იმავე პერიოდის განმავლობაში ლარის კურსი ევროსა და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის მიმართ 3.50 და 4.12-დან შესაბამისად 2.84 და 3.27-მდე გამყარდა

თავდაპირველად, ომის დაწყებამდე, შემცირების შემდეგ, ინფლაციამ კვლავ ზრდა დაიწყო. მას შემდეგ, 2022 წლის ბოლოსთვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაცია 9.8%-ზე შემცირდა ორნიშნა მაჩვენებლიდან, ლარის გამყარებისა და საერთაშორისო ბაზრებიდან გადმოცემული დეფლაციის შედეგად. ამასთან, ატლანტიკის რიყის ინფლაციის მაჩვენებლები უფრო მეტად შემცირდა და დეკემბრის თვეში 0.3%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, ინფლაციაზე ჯერ კიდევ მომატებული ზეწოლის შემსუბუქების უფრო მკაფიო მტკიცებულებების მოლოდინში, აპრილის თვეში გამკაცრების შემდეგ, სებ-მა წლის ბოლომდე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (MPR) 11%-ზე შეინარჩუნა.

**სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით (CPI) ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)**



● მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (MPR) ● სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით გაანგარიშებული ინფლაცია

წყარო: სებ, საქსტატი

**მოლოდინები**

ზედბედ ორი წლის განმავლობაში ორნიშნა ზრდის შემდეგ, მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობის დანორმალიზება. 2023 წელს სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ეროვნული ბანკის პროგნოზების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკა 4%-ით, ხოლო საქართველოს მთავრობის პროგნოზებით - 5%-ით გაიზრდება. „თიბისი კაპიტალის“ პროგნოზების თანახმად, 2023 წელს ეკონომიკის დაახლოებით 6.4%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.

დამატებითი ინფორმაცია მიმდინარე ანალიზისა და პროგნოზების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge).



თბილისის სტრატეგიული მიღწევა

საქართველო

საქართველო

საქართველო

# ჩვენი ბიზნეს მოდელი

ჩვენ გვაქვს კლიენტებზე ორიენტირებული ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ჩვენი კლიენტებისთვის საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების შეთავაზება.

როგორ ვაძენით ღირებულებას

### რას ვთავაზობთ

**ჩვენი ოპერაციები**

- საცალო საბანკო მომსახურება:** მომხმარებელზე მორგებული ციფრული პროდუქტების ფართო სპექტრი.
- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) საბანკო მომსახურება:** მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების წამყვანი პარტნიორი.
- კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება & დაგროვილი კაპიტალის მართვა:** მომსახურებების სრული სპექტრი ჩვენი კორპორაციული და დაგროვილი კაპიტალის მართვის მომხმარებლებისთვის.
- გადახდები:** საუკეთესო გადაწყვეტილებები იურიდიული და ფიზიკური პირების ყველა საგადახდო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.
- ლიზინგი:** დაფინანსების ალტერნატიული წყარო ჩვენი საცალო და კორპორაციული კლიენტებისთვის.

### როგორ ვთავაზობთ

**უახლესი ტექნოლოგიები**  
ინოვაციები ტექნოლოგიური გაუმჯობესებების შედეგად.

**+**

**დიდი მონაცემთა ბაზა**  
მონაცემთა ანალიზის მონივრულ შესაძლებლობების გამოყენებით პერსონალური შეთავაზებების შექმნა, რათა მაქსიმალური ღირებულება შევუქმნათ ჩვენს მომხმარებლებს.

ხელოვნური ინტელექტისა (AI) და ავტომატიზაციის დანერგვა შესაბამის ბიზნეს პროცესებში.

**+**

**რისკების გონივრული მართვა**  
რისკზე მორგებული მომგებიანობის მიდგომა გადაწყვეტილების მიღებისას.

ჯგუფის მდგრადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა.

**+**

**გამორჩეული გუნდი**  
საუკეთესო ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება.

### როგორ ვუზიარებთ ღირებულებებს ჩვენს დაინტერესებულ პირებს

**მომხმარებლები**  
ჩვენს კლიენტებს ვთავაზობთ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს და სამომხმარებლო გამოცდილების საუკეთესო ხარისხს.

**კოლეგები**  
მხარს ვუჭერთ ჩვენი კოლეგების პროფესიულ განვითარებას და ვთავაზობთ მათთვის საინტერესო კარიერულ შესაძლებლობებს.

**სამოგადოება**  
ხელს ვუწყობთ ბიზნესის განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე აქტიურად ვმონაწილეობთ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა (CSR) და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის (ESG) საკითხებში.


**ინვესტორები**  
ვაგანერით მდგრად ფინანსურ შედეგებს აქციონერებისთვის და სანდო პარტნიორობას ვუწევთ კრედიტორებს.

# ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები

ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები ჩვენი მისიის შესრულებაში გვხმარება, რათა ადამიანებს გავუმარტივოთ ცხოვრება.

საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მაღალი ხარისხის ფინანსური მომსახურებების შეთავაზებით, ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მისიის შესრულება.

თითოეული ეს პრიორიტეტი ყურადღებით შეირჩა და კარგად იქნა გააზრებული იმისთვის, რომ მან ხელი შეუწყოს მომგებიანობისა და ზრდის ძლიერი პროფილის შენარჩუნებას.


 **ლიდერის პოზიციის გამყარება ქართულ საბანკო სივრცეში**

- ზრდა კონკრეტულ სეგმენტებში: სამომხმარებლო და მიკრო სესხები.
- ჩვენი საკომისიო შემოსავლის ზრდა.
- ეფექტურობის ზრდა ჩვენი მონაცემთა ანალიტიკური უნარების გამოყენებისა და ავტომატიზაციის უფრო მაღალი დონის მიღწევით.
- საუკეთესო ტალანტების მოზიდვა და განვითარება.

 **ჩვენი მონიწივე ციფრული შესაძლებლობების გაძლიერება**

მეტი ციფრული ჩართულობა ჯგუფის ტრანზაქციებსა და გაყიდვებში:

- ყოველთვიურად და ყოველდღიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების რაოდენობის ზრდა.
- საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტის<sup>1</sup> მაღალ დონეზე შენარჩუნება.
- გაყიდვების განტვირთვის ზრდა ძირითად პროდუქტებში.
- პროდუქტიულობის ზრდა პროცესების გაცფრულების გზით.

 **ჩვენი სამომხმარებლო გამოცდილების მომდევნო ეტაპზე გადაყვანა**

- მომხმარებელზე მორგებული ფინანსური მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავება lifestyle შეთავაზებებთან ერთად და მათი ყველაზე მოხერხებული ფორმით მიწოდება.
- საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების შექმნა ჯგუფის ყველა არხში.

<sup>1</sup> საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტით იზომება ფილიალების მიღმა, ჩვენი დისტანციური არხებით შესრულებული ტრანზაქციების წილი.

# ჩვენი შესრულების ძირითადი მაჩვენებლები


ჩვენი შესრულების მაჩვენებლების შეფასებისა და დაბალანსებული ხედვის შესაქმნელად, ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენ ვიყენებთ ფინანსური და არაფინანსური საზომების ფართო სპექტრს. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად მიმოიხილავს შესრულების ძირითად მაჩვენებლებს (KPIs), რათა განისაზღვროს მუშაობს თუ არა ჩვენი სტრატეგია და უზრუნველყოფს თუ არა ის ჯგუფის გრძელვადიან სტაბილურ ზრდას.

ძირითადი KPI-ები	გაუქმებული KPI-ები
<b>ჯგუფს შიდა ფინანსური KPI-ები</b>	
ზრდა და მომგებიანობა	- წმინდა მოგება გადასახადით დაბეგვრამდე
ბალანსი	- საკრედიტო პორტფელის ლარიზაციის დონე
<b>საოპერაციო KPI-ები:</b>	
მომხმარებელთა ბაზა	- სულ რეგისტრირებული მომხმარებლები - ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლები
დიגיტილიზაცია	- ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლები


## ჯგუფის შიდა ფინანსური KPI-ები

### ძლიერი ზრდა და მოგებაიანობა


#### წმინდა მოგება გადასახადით დაბეგვრამდე (მლნ ლარი)



#### უკუგება კაპიტალზე (ROE)<sup>1</sup>




#### ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი<sup>1</sup>




### სოლიდური ბალანსი


#### ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი



#### საკრედიტო პორტფელის ლარიზაციის<sup>2</sup> დონე



#### უმოქმედო სესხები (NPL)<sup>1</sup>



<sup>1</sup> განმარტებები და შედეგების ალტერნატიული შეფასებების დეტალური დაანგარიშება მოცემულია გვერდებზე 308-314.  
<sup>2</sup> ლარში დენომინირებული სესხების წილი მთლიან სასესხო პორტფელში.

# საოპერაციო KPI-ები

### დღგრადი ზრდა საქართველოში

#### საკრედიტო პორტფელის ზრდა უცვლელი სავალუტო კურსით

Year	Growth
2020	8.7%
2021	17.3%
2022	14.0%

2022 წელს ჩვენმა საკრედიტო პორტფელმა გაუსწრო ბაზარს და მისი საბაზრო წილი მთლიან სესხებში 0.7 pp-ით, 39.5%-მდე გაზარდა.

---

#### დეკოზიტების კორტფელის ზრდა უცვლელი სავალუტო კურსით

Year	Growth
2020	13.7%
2021	23.1%
2022	30.2%

2022 წელს ჩვენი დეკოზიტები ბაზართან ერთად გაიზარდა და ჩვენმა წილმა მთლიან დეკოზიტებში 40.3% შეადგინა.

### მომხმარებელთა მხარდობა და ჩართულობა ჯგუფს შიგნით

#### სულ რეგისტრირებული მომხმარებლები (მლნ)

Year	Value
2020	2.6
2021	2.8
2022	3.0

რეგისტრირებული მომხმარებლების ზრდა მეტწილად ჩვენს საცალო მომხმარებლებს უკავშირდება.

---

#### ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლები (მლნ)

Year	Value
2020	1.3
2021	1.4
2022	1.5

ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლების რაოდენობის ზრდაზე მეტწილად იმოქმედა ჩვენმა საცალო მომხმარებლებმა.

### გაზრდილი ციფრული ჩართულობა ჯგუფში<sup>1</sup>

#### ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლები (ათასი)

Year	Value
2020	582
2021	644
2022	801

ჩვენი ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

---

#### ყოველდღიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლები / ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლები (DAU/MAU)

Year	Value
2020	n/a
2021	44%
2022	48%

ჩვენი ყოველდღიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების ჩართულობა იმატა, რადგან ყოველდღიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების რაოდენობის ზრდამ გადააჭარბა ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების ზრდის მაჩვენებელს.

### თანამშრომელთა და მომხმარებელთა კმაყოფილების პალატი დონე

#### თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS)<sup>2</sup>

Year	Value
2020	68%
2021	66%
2022	59%

თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS) განსაზღვრავს თანამშრომლის ლოიალობას და ასახავს იმის ალბათობას, გაუწევს თუ არა ჩვენი თანამშრომელი რეკომენდაციას თავის დამსაქმებელს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან. 2022 წელს ჩვენი თანამშრომლების კმაყოფილების მაჩვენებელი შემცირდა, მაგრამ კვლავ დარჩა ინდუსტრიის საშუალო დონეზე, 47%-ზე მაღლა.

---

#### მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი (NPS)<sup>3</sup>

Year	Value
2020	n/a
2021	56%
2022	61%

მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი (NPS) განსაზღვრავს, რამდენად აქვთ ჩვენს მომხმარებლებს სურვილი რეკომენდაცია გაუწიონ ჩვენს პროდუქტებსა და მომსახურებებს სხვებთან. 2022 წელს, ჩვენი NPS საცალო მომსახურების მომხმარებლებს შორის ზრდას განაგრძობდა და 61% შეადგინა.

<sup>1</sup> აღნიშნული ტერმინები განსაზღვრულია ტერმინთა განმარტებების თავში გვერდებზე 306-307.  
<sup>2</sup> 2022 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა შეაფასა ბანკის თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS).  
<sup>3</sup> 2022 წლის დეკემბერში, დამოუკიდებელმა კვლევითმა კომპანიამ „IPM“ შეაფასა მომხმარებელთა ლოიალურობის ინდექსი (NPS).

საქართველოში უცვლელი სავალუტო კურსით

# ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტრატეგია

ჩვენი ESG სტრატეგია განამტკიცებს ჩვენს პასუხისმგებლობას, გვექონდეს გრძელვადიანი, მდგრადი წვლილი და ვიყოთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პრინციპების წამყვანი მხარდამჭერი ქვეყანასა და რეგიონში.

ESG სტრატეგიას ყოველწლიურად განიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მის შესრულებას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დონეზე შექმნილი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტები.

ESG სტრატეგია განსაზღვრავს რამდენიმე მთავარ მიმართულებას და მიზანს, რომლებიც დადგენილია სხვადასხვა დროითი ჰორიზონტისთვის:

ESG და კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების გაძლიერებული მმართველობა

მდგრადი საკრედიტო პორტფელის ზრდა

წვდომა მწვანე და მდგრად დაფინანსების წყაროებზე

მომხმარებელთა ცნობიერება, ინვესტიციების ნდობა და თანამშრომელთა მრავალფეროვნება

გავლენის შეფასება და ანგარიშგება

2022 წლის მნიშვნელოვანი მიღწევები:

- გადაჭარბებით შევასრულეთ 2022 წლის მდგრადი სასესხო პორტფელის მიზნობრივი მოცულობა (750 მილიონი ლარი): მდგრადი სასესხო პორტფელის მთლიანმა მოცულობამ 782 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 15,6%-იან ზრდას შეადგენს 2021 წლის ბოლოსთან შედარებით (676 მილიონი ლარი).
- კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის (TCFD) მოთხოვნების შესაბამისად, დავერგეთ კლიმატთან დაკავშირებული ჩარჩო.
- დავერგეთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მომცველი ტრენინგების კონცეფცია, რომელიც ყველა თანამშრომელს და პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონეს მოიცავს.
- განვსაზღვრეთ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ჩართულობის (DEI) პოლიტიკა, სამიზნე მაჩვენებლები და სამოქმედო გეგმა.
- შევიმუშავეთ ESG სტრატეგიები ყველა მატერიალურ შვილობილ საწარმოში.

2023 წელს ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი სტრატეგიული გეგმის შესრულებას. ძირითადი ყურადღება შემდეგ საკითხებზე გვექნება გამახვილებული:

ESG საკითხებთან დაკავშირებული კომპეტენციების გაღრმავება სამეთვალყურეო საბჭოში და აღმასრულებელ ხელმძღვანელთა დონეზე ბანკში კომპეტენციის გაზრდა მწვანე დაფინანსების მიმართულებით.

მდგრადი საკრედიტო პორტფელი სამიზნე მოცულობა 1 მილიარდი ლარის ოდენობით. ESG აკადემიის დაფუძნება - მწვანე დაფინანსების ტრენინგის კურსები თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის.

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის (TCFD) რეკომენდაციების დანერგვა - მეორე ეტაპის და სამოქმედო გეგმის დასრულება. რეგულარული ანგარიშის მომზადება კლიმატთან დაკავშირებული რისკების, სცენარული ანალიზის, სტრუქტურული და ESG რისკის აპეტიტის შესახებ.

ESG საკითხების ირგვლივ ცნობიერების გაზომვა. თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის დასაქმების პოზიტიური მიდგომების დანერგვა. მენტორობის პროგრამები.

ბანკის პირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებლების განსაზღვრა პარიზის ხელშეკრულების მიზნებთან მიმართებით სათბური აირების ემისიის შემცირების მიზნით. ESG ანგარიშგების პროცესში დეტალურობის და ავტომატიზაციის ზრდა.

**ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა ინიციატივა და პროგრამა, რომლებიც ESG სტრატეგიით დადგენილი მიზნების შესრულებას ემსახურება**

**მდგრადი საკრედიტო პორტფელის ზრდის ძირითადი სამიზნე მაჩვენებლები**

2021 წელს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ძირითადი სამიზნე მაჩვენებლები უკავშირდებოდა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებას საშუალო ვადიან პერიოდში, ჩვენი საშუალო ვადიანი სტრატეგიის ასახვის მიზნით. 2022 წელს ჩვენ განვაგრძობთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი სამიზნე მაჩვენებლების დანერგვას ბანკის დონეზე და დავერგეთ მდგრადი საკრედიტო პორტფელის ზრდის მიზნები ბიზნეს სეგმენტებისთვის - საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორაციული მიმართულებებისთვის: მწვანე და სოციალური სესხების მიზნობრივი მოცულობა 2023 წლისთვის 1 მილიარდი ლარით განისაზღვრა.

**ESG აკადემია**

2022 წელს ჩვენ შევიმუშავეთ ESG აკადემიის კონცეფცია, რომელიც 2023 წლის თებერვალში დაფუძნდა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებზე, მათ შორის მწვანე და სოციალური დაფინანსების, რეგულაციების, მრავალფეროვნებისა და მხარდამჭერი მიდგომების, ასევე მდგრადი ბიზნეს-მოდელის და პრაქტიკების შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ბანკის მომხმარებლებს და თიბისის თანამშრომლებს შორის. პირველი სასწავლო პროგრამა „მწვანე ცნობიერება და მწვანე ფინანსირება“



მოიცავს ფართომასშტაბიან სწავლებას 900 თანამშრომლისთვის და 300 საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოსა და კორპორაციული მომხმარებლისთვის. პროგრამას მხარს უჭერს პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები - „Green for Growth Fund“ (GGF) და „ევროპის ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის“ (EFSE) და ის 22 თვე გაგრძელდება.

**მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნები**

2022 წელს ჩვენ ჩავატარეთ პირველადი სამუშაო სათბური აირების ემისიების გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და მიდგომების განსასაზღვრად. ეს პროცესი მოიცავდა ტრენინგებსა და გარე კონსულტაციებს. მომდევნო ეტაპზე ჩვენი მიზანია, შევაფასოთ ჩვენი შესრულების მაჩვენებლები საერთაშორისო სტანდარტებისა და მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების შესაბამისად.

**ESG საკითხების ცნობიერების გაზომვა თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის**

2022 წელს თიბისი ბანკის თანამშრომლების 98%-მა მონაწილეობა მიიღო გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგში. 2023 წელს ჩვენ ვგეგმავთ, შევიმუშაოთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების ირგვლივ ცნობიერების გაზომვის მეთოდოლოგია იმ მიზნით, რომ რეგულარულად გავზომოთ შედეგები და გამოვავლინოთ სფეროები გაუმჯობესებისთვის. გარდა ამისა, ჩვენ დავინყებთ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე მომხმარებელთა ჩართულობის კონცეფციის შემუშავებას.


**ტალანტების მართვის პროგრამები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით (ICT)**

მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ჩვენი მიზნები მოიცავს ქალების, გოგონების, რეგიონებიდან ნიჭიერი ახალგაზრდების გაძლიერებას და სხვადასხვა ასაკის პირთა დასაქმებას. ტექნოლოგიურ განვითარებას "თიბისი ბანკისთვის" განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფერო "თიბისისთვის" პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს. 2023 წელს, USAID-ის ინდუსტრიული პროგრამის მხარდაჭერით, ჩვენ ვინყებთ ახალ ICT პროგრამას, რომელიც რვა ახალი სასწავლო კურსისგან შედგება პროგრამირების, ინფორმაციულ უსაფრთხოებისა და სხვა ტექნოლოგიური პროფესიების მიმართულებით. პროგრამის მიზანია, რომ მომდევნო 24 თვის განმავლობაში სხვადასხვა გამოცდილების, ასაკის და სქესის მქონე დაახლოებით 750 ადამიანი მიიღოს. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულების ნაწილი "თიბისი ბანკსა" და მის პარტნიორ კომპანიებში დასაქმდება.


# ფინანსური მომსახურებები

## ვიზუალიზაცია


### საბანკო საქმიანობა



საკრედიტო კორტჟალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის




დეკონსოლიდირებული კორტჟალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის



● საცალო ● კორპორაციული და საინვესტიციო ბიზნესი ● მიკრო, მცირე და საშუალო სანარმოები (MSME) ● სხვა<sup>2</sup>

### დამატებითი ფინანსური მომსახურებები



**8.1 მლრდ ლარი**  
(2021: 6.2 მილიარდი ლარი)  
გადახდის ტრანზაქციების მოცულობა 2022 წელს

**290 მლნ ლარი**  
(2021: 254 მილიონი ლარი)  
სალიზინგო პორტფელი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

<sup>1</sup> ზრდა უცვლელი სავალუტო კურსით.  
<sup>2</sup> მოიცავს ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტებს.

# საცალო საბანკო მომსახურება

ჩვენი საცალო საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 15%-ით გაიზარდა უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში, რაზეც მეტწილად იმოქმედა მაღალი განაკვეთის მქონე არაიპოთეკური სესხების ძლიერმა ზრდამ.

## ნამყვანი საცალო საბანკო ფრანჩიზა საქართველოში

**38.4%**

(2021: 38.6%)

საცალო სესხების საბაზრო წილი<sup>1</sup>

**38.1%**

(2021: 40.3%)

საცალო დაკრედიტების საბაზრო წილი<sup>2</sup>

ჩვენ გამორჩეული ვართ: მომხმარებელთა გამოცდილების მომსახურების მაღალი ხარისხის შეთავაზებით, საუკეთესო ციფრული არხების მიწოდებითა და მონაცემთა სიღრმისეული ანალიზის მოწინავე ინსტრუმენტებისა და სრულფასოვანი საგადახლო გადაწყვეტილებების განვითარებით.

### საცალო საბანკო მომსახურება

#### მასობრივი საცალო სეგმენტი

- წამყვანი პოზიცია მასობრივ საცალო სეგმენტში;
- ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების სრული ნაკრები;
- აღიარებული ციფრული არხები;
- მომავალი თაობის ეფექტური, ხელსაყრელი და მომსახურებისთვის მზადყოფილი ფილიალები.

#### მაღალშემოსავლიანი საცალო სეგმენტი

- ნომერი პირველი არჩევანი მაღალშემოსავლიანი მომხმარებლებისთვის;
- მომხმარებელზე მორგებული ინოვაციური და მოქნილი ნაკრებები;
- ძლიერი პოზიცია lifestyle შეთავაზებებში.

## ნარმატივის შეფასება 2022 წელს

**€ 6.8 მლრდ**

(2021 წ: 6.3 მილიარდი ლარი)

საცალო სესხები

**€ 6.5 მლრდ**

(2021 წ: 5.6 მილიარდი ლარი)

საცალო დაკრედიტები

**€ 720 მლნ**

(2021 წ: 577 მილიონი ლარი)

საცალო საოპერაციო შეფასება

**1.5 მლნ**

(2021 წ: 1.4 მილიონი)

ყოველთვიურად აქტიური მომხმარებელი

**801 ათასი**


(2021 წ: 644 ათასი)

ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებელი

## ფართო სადისტრიბუციო ქსელი საქართველოში, ციფრულ არხებზე ძლიერი აქცენტით

ციფრული არხები ჩვენი სადისტრიბუციო ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილია და მოიცავს საუკეთესო მობაილ და ინტერნეტ ბანკის აპლიკაციებს, რომლებიც გვთავაზობენ სწრაფ და ხელსაყრელ საბანკო გამოცდილებას. საბანკო ტრანზაქციების უმრავლესობა ხორციელდება ამ ციფრული არხებით, რომლებიც ასევე ჩვენი ძირითადი პროდუქტების სარეალიზაციო პლატფორმის როლსაც ასრულებს. ამასთან, ჩვენ ვამუშავებთ თვითმომსახურების ტერმინალების ფართო სპექტრს, რომლებიც ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განახორციელონ მათი ყოველდღიური საბანკო ოპერაციები ფილიალებში მისვლის გარეშე. ამავდროულად, ჩვენი ახლად დაპროექტებული, შემდეგი თაობის ფილიალები ორიენტირებულია კონსულტაციებსა და აქტიურ გაყიდვებზე. დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, ყველა ძირითად რეგიონში გვაქვს 129 ფილიალი, 2021 წელს ფილიალების რაოდენობა 147 იყო.

## 2022 წელს ჩვენი საცალო ტრანსაქციების 98% დისტანციურად განხორციელდა



## წლის მიმოხილვა

### ჩვენი მომხმარებელთა ბაზის გაფართოება და კენეტრაცია

2022 წლის განმავლობაში ძალისხმევა მივმართეთ ჩვენი აქტიური მომხმარებლების ბაზის გაფართოებისკენ, როგორც ახალი მომხმარებლების მოძიებით, ასევე ჩვენი არსებული კლიენტების ჩართულობის გაზრდით. ამასთან, გავზარდეთ პენეტრაციის დონე სახელფასო კლიენტებში, რომლებიც ჩვენი საკომისიო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ასევე, გავზარდეთ ჩვენი ახალგაზრდა მომხმარებელთა ბაზა, ჩვენი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილის სახით, რომელიც გულისხმობს საბანკო ურთიერთობების ხელშეწყობას ადრეული ასაკიდან.

მთლიანობაში, ჩვენი ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლების რაოდენობა 1 წლის მანძილზე 7%-ით გაიზარდა და 1.5 მილიონს მიაღწია, რითიც საქართველოს საბანკო პოპულაციის მთლიანი რაოდენობის 66%<sup>2</sup> შეადგინა.

ასევე წამოვიწყეთ მონაცემთა ანალიზის პროექტი, რომლის მიზანია მომხმარებელთა სასიცოცხლო ციკლის ზრდა. პროექტის ფარგლებში შევქმენით AI მოდელი, რომელიც არა მხოლოდ გვეხმარება კლიენტთა მოსალოდნელი ღირებულების უკეთ გაგებაში, არამედ საშუალებას გვაძლევს განვასოციალოთ მომხმარებლის საჭიროებებზე მეტად მორგებული შეთავაზებები. ეს პროექტი ასევე აფასებს გადინების ალბათობას და შესაბამისად საშუალებას გვაძლევს მეტად პროაქტიურად მივუდგეთ კლიენტთა შენარჩუნების საკითხს.

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე; ამ კონტექსტში, საცალო მომსახურება გულისხმობს კლიენტ ფიზიკურ პირებს.  
2 საბანკო პოპულაცია მოიცავს საქართველოს მოსახლეობას 18-დან 65 წლამდე.


**მხარედი ციფრული ჩართულობა**

2022 წელს ჩვენ გავამდიდრეთ ჩვენი მობილური საბანკო შეთავაზებები - დავამატეთ ახალი შესაძლებლობები და ფუნქციები. მათ შორის აღსანიშნავია:


- ჩვენი end-to-end (E2E) დაკრედიტების პროცესისთვის შექმნილი რეფინანსირების ფუნქციონალი, რაც ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს სესხები სხვა ბანკებიდან „თიბისიში“ გადმოიტანონ.
- „Buy Now, Pay Later“ (BNPL) პროდუქტის დანერგვა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საცალო კლიენტებისთვის ახალ და მარტივ პროდუქტს. მომხმარებლებს შეუძლიათ POS ტერმინალზე QR კოდის დასკანერებით BNPL ლიმიტის გააქტიურება. გადახდა, რომელიც უპროცენტოა ჩვენი მომხმარებლებისთვის, ოთხ ეტაპად ხორციელდება.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამგზავრო ბარათის შექმნა და მისი ინტეგრირება ჩვენს მობაილ ბანკის აპლიკაციაში.

საოპერაციო მაჩვენებლების თვალსაზრისით, 2022 წლის დეკემბერში ჩვენი ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლის (MAU) რაოდენობა 24%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 801,000 შეადგინა, რაც წარმოადგენს მთლიანი ყოველთვიურად აქტიური ფიზიკური პირი მომხმარებლების 54%-ს. იგივე პერიოდში, ყოველდღიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების (DAU) რაოდენობა 35%-ით გაიზარდა ერთი წლის მანძილზე და 384,000 შეადგინა. შედეგად, ჩვენმა ციფრულმა DAU/MAU კოეფიციენტმა 48% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4 pp-ით გაიზარდა. ჩვენ ასევე ძლიერ შედეგებს მივაღწიეთ სამომხმარებლო სესხებთან და საცალო დეპოზიტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენი ციფრული არხებით გაიყიდა.

**სამომხმარებლო სესხების განთავსების კოეფიციენტი ციფრულ არხებში**



**დაკოფიციენტი განთავსების კოეფიციენტი ციფრულ არხებში**



**მონიშნავი ციფრული საბანკო მომსახურება**

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენმა ციფრულმა საბანკო შეთავაზებამ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და მიიღო რამდენიმე ჯილდო „Global Finance“-სგან.

**მომხმარებლის ციფრული ბანკის ჯილდო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2022 „GLOBAL FINANCE“-ისგან**

- გადასახადების საუკეთესო გადახდები და წარდგენები
- საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების (UX) დიზაინი
- საუკეთესო სოციალური მედია მარკეტინგი და სერვისები
- საუკეთესო ღია ბანკინგის API-ები

**ჩვენი საგადახლო ბიზნესის ზრდა**

2019 წელს, „Apple Pay“-ის დანერგვის შემდეგ, 2022 წელს, ჩვენ გავუშვით „Google Pay“ Android-ის მომხმარებლებისთვის. განსახილველი წლის განმავლობაში, ჩვენ გავაკეთეთ აქცენტი ციფრული ბარათების გამოშვებაზე. შედეგად, 2022 წლის ბოლოსთვის, მობილური საფულით განხორციელებული გადახდების წილი მთლიანი უკონტაქტო გადახდებში გაიზარდა 22%-დან 30%-მდე, ხოლო იმავე წლის განმავლობაში, „თიბისის“ ბარათებით ადგილობრივად განხორციელებული ყველა ოპერაციის 99% უკონტაქტო გადახდებზე მოდიოდა. 2023 წლის 1 თებერვალს VisaNet-ის ბოლო განახლების მიხედვით, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა უკონტაქტო გადახდების პენეტრაციის მხრივ და ჩვენ ვამაყობთ ამ მიღწევაში ჩვენი არსებითი წვლილით.

ჩვენ ასევე გავაფორმეთ გრძელვადიანი პარტნიორული შეთანხმება წამყვან მიწოდების კომპანიასთან „Glovo“, რათა ჩვენს მომხმარებლებს ქეშბექებისა და პრაიმ-წევრობის სანაცვლოდ საშუალება ჰქონოდათ მიეღოთ ექსკლუზიური შეთავაზებები.

გარდა ამისა, ჩვენ გავაფართოვეთ მგზავრობის საფასურის გადახდის ქსელი, რომელიც მოიცავდა თბილისს, ქუთაისს, გორსა და ფოთს. კიდევ ორი გეოგრაფიული ერთეულის - თელავისა და ბაკურიანის დამატებით, ჩვენ ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობთ სრულმასშტაბიან სატრანსპორტო გადაწყვეტილებებს.


**ბალანსის ძლიერი ზრდა სწრაფ სამომხმარებლო სესხებზე მხარედი აქცენტი**

2022 წელს ჩვენი საკრედიტო პორტფელი 15%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში. ამაზე მეტწილად იმოქმედა მაღალ განაკვეთიანი პროდუქტის, არაიპოთეკური სესხების ზრდამ, ხოლო იპოთეკური პორტფელი ზომიერად იზრდებოდა.

არაიპოთეკური პორტფელის ზრდაზე ძირითადად იმოქმედა სწრაფმა სამომხმარებლო (ე.წ. „cash loans“) სესხებმა. სწრაფი სამომხმარებლო სესხების გაცემის დაჩქარებისა და ოპტიმიზების მიზნით, დავნერგეთ ეფექტური პროცესები ლიდების გენერაციისთვის და შევიმუშავეთ რეალურ დროში შეფასების პროცედურები. ამასთან, შევიმუშავეთ ე.წ. მიღრეკილების მოდელი სწრაფი სამომხმარებლო სესხებისთვის, რაც საშუალებას გვაძლევს მეტად ეფექტურად განვსაზღვროთ სამიზნე მომხმარებლები. შედეგად, სასესხო კამპანიების გარდაქმნის კოეფიციენტმა 10% შეადგინა. ჩვენ ასევე გავაუმჯობესეთ რისკების ინსტრუმენტები, რათა რისკის ხარჯი შევინარჩუნოთ მისაღებ ზღვრებში.


ჩვენმა დეპოზიტებმაც ძლიერი ზრდა აჩვენა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რომელიც 29%-ით გაიზარდა, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში.

**საცალო საკრედიტო პორტფელი (მილიარდი ლარი)**



● იპოთეკური ● არაიპოთეკური

**საცალო სადეპოზიტო პორტფელი (მილიარდი ლარი)**



● უცხოური ვალუტა ● ადგილობრივი ვალუტა

თიბისი ბანკის წლიური ანგარიში 2022

# „თიბისი კონცეპტი“

„თიბისი კონცეპტი“ ჩვენი საცალო ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მასზე მოდის ჩვენი საცალო სესხების დაახლოებით 60%, ხოლო ჩვენი საცალო დეპოზიტების დაახლოებით 55%. ის ჩვენი საკომისიო შემოსავლის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია.

## წარმატების შეფასება 2022 წელს

**€ 4.2 მლრდ**  
(2021 წ: 4.1 მილიარდი ლარი)  
საკრედიტო კორტაჟი

**€ 3.5 მლრდ**  
(2021 წ: 3.1 მილიარდი ლარი)  
დეკორატივის კორტაჟი

**106 ათასი**  
(2021 წ: 101 ათასი)  
ყოველთვიურად აქტიური მომხმარებელი

„თიბისი კონცეპტი“ დაახლოებით 106,000 მომხმარებელს ემსახურება და ის კერძო საბანკო მომსახურების წამყვანი პროვაიდერია საქართველოში. ჩვენ გამოვიჩვენეთ, მოსახერხებელი და საუკეთესო ციფრული მომსახურებების მიწოდებით, ვთავაზობთ განსაკუთრებულ სარგებელს საბანკო პროდუქტებზე და ვთავაზობთ lifestyle ექსკლუზიურ შეთავაზებებს.

2022 წელს, „თიბისი კონცეპტმა“ ძლიერი შედეგები აჩვენა. წლის ბოლოსთვის მაღალშემოსავლიანი საცალო საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელი შესაბამისად 13% და 26%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში. ასავე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31%-ით გაიზარდა ერთ მაღალშემოსავლიან მომხმარებელზე შემოსავალი.

„თიბისი კონცეპტი“ კლიენტებს სთავაზობს კონკრეტული სამომხმარებლო ჯგუფების საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა ნაკრებს. მაგალითად, ჩვენი „ციფრული პაკეტი“ საუკეთესოდ ერგება გამოცდილ ციფრულ მომხმარებლებს, რომლებიც ყოველდღიურ საბანკო ოპერაციების ონლაინ განხორციელებას ამჯობინებენ, პერსონალური ბანკირის დახმარების გარეშე. ამასთან, ჩვენი „პაკეტი 360“ შექმნილია ფიზიკური პირებისთვის, ვისაც სჭირდება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტი და დაინტერესებულნი არიან საბროკერო მომსახურებით, რათა უკეთესად მართონ საკუთარი სახსრები. წლის განმავლობაში ჩვენს კლიენტებს შევთავაზეთ როგორც ქართული კომპანიების, ასევე აშშ-ის ხაზინის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებში ინვესტირების შესაძლებლობა.

ამასთან, ჩვენი მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები სარგებლობენ ჩვენი მულტიფუნქციური „თიბისი კონცეპტის Flagship სივრცით“. ეს კონცეპტუალური სივრცე სტრატეგიულად შემუშავდა, რომლის მოიცავს 80% lifestyle-ს, ხოლო - 20% - საბანკო სივრცეს, იგი ასევე შედგება საგამოფენო სივრცეების, კაფეს, სამუშაო სივრცეების, თვითმომსახურებისა და პერსონალურ საბანკო სივრცეებისგან. წლის განმავლობაში „თიბისი კონცეპტის Flagship სივრცემ“ სხვადასხვა ღონისძიებას უმასპინძლა ბიზნესის, ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით ცნობილი გამომსვლელებით. ამასთან, 2022 წელს, „Primeclass“-თან თანამშრომლობით, ჩვენ გავხსენით ახალი „კონცეპტ სივრცე“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, რომელშიც შექმნილია სასიამოვნო გარემო გამგზავრებამდე დასვენებისა და მუშაობისთვის.

2022 წელს მაღალშემოსავლიან მომხმარებლებს ჰქონდათ ექსკლუზიური წვდომა 300-ზე მეტ სპეციალურ შეთავაზებასა და წამახალისებელ პროდუქტზე, რაც მოიცავდა მუსიკალურ ფესტივალებს, მოგზაურობას, შოპინგს და სხვა სარეკრეაციო საქმიანობებს. ჩვენ ასევე განვაგრძობთ ჩვენი კონცეპტ-კლიენტებისთვის საკონსიერუო მომსახურების შეთავაზებას, რაც მოიცავს მგზავრობის დაგეგმვას, საზღვარგარეთ სწავლას, რესტორნის დაჯავშნას, ყვავილების მიწოდებას, მშრალ წმენდას, სამრეცხაო მომსახურებას, ავტო სერვისებს.



# „თიბისი კონცეპტი“

„Primeclass“-თან თანამშრომლობით, ჩვენ გავხსენით ახალი „კონცეპტ სივრცე“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, რომელშიც შექმნილია სასიამოვნო გარემო გამგზავრებამდე დასვენებისა და მუშაობისთვის.


# მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) საბანკო მომსახურება

ჩვენი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში მიკრო ქვესეგმენტის ძლიერი ზრდის ფონზე.

## ნომერი პირველი არჩევანი მიკრო, მცირე და საშუალო (MSME) საწარმოებისთვის საქართველოში

ჩვენ გამოვიჩვენეთ ბიზნესის მხარდამჭერი ვრცელი პროგრამით, კლიენტებს ვთავაზობთ მომსახურების საუკეთესო ხარისხს და მონაცემთა ანალიზის მონივრულ შესაძლებლობებს. წელს „Global Finance“-სგან მივიღეთ 2023 წლის საუკეთესო მცირე და საშუალო საწარმოების მომსახურე ბანკის წოდება როგორც საქართველოში, ასევე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.


### მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) საბანკო მომსახურება



### MEASURING SUCCESS IN 2022

<p><b>€ 4.8 მლრდ</b> (2021 წ: 4.1 მილიარდი ლარი) MSME სესხები</p>	<p><b>€ 1.8 მლრდ</b> (2021 წ: 1.6 მილიარდი ლარი) MSME დეპოზიტები</p>	<p><b>€ 319 მლნ</b> (2021 წ: 263 მილიონი ლარი) MSME საოპერაციო შეომსახურება</p>	<p><b>77 %</b> (2021 წ: 63%) ჩვენი ახლად რეგისტრირებული ბიზნესებისა, ირჩევენ „თიბისი“-ს<sup>2</sup></p>	<p><b>58 ათასი</b> (2021 წ: 54 ათასი) MSME ყოველთვიურად აქტიური მომხმარებელი<sup>3</sup></p>
---	--	---	---	--

კარგად დივერსიფიცირებული MSME საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში მიკრო ქვესეგმენტის ძლიერი ზრდის ფონზე.



### წლის მიმოხილვა

#### ჩვენი საომომხმარებლო ბაზისა და მომხმარებელთა ციფრული ჩართულობის ზრდა

2022 წლის განმავლობაში ჩვენი ყოველთვიურად აქტიური MSME მომხმარებლების რაოდენობა 7%-ით გაიზარდა და 58,000 შეადგინა. ამასთან, ჩვენი ბიზნეს ინტერნეტ და მობაილ ბანკის პლატფორმების გამოყენებაც განაგრძობდა ზრდას და 2022 წლის ბოლოსთვის ჩვენი ყოველთვიურად ციფრულად აქტიური მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 34,000-მდე, რაც წინა წელთან შედარებით 8%-იან ზრდას შეადგენს. აღნიშნული კი წარმოადგენს ჩვენი მთლიანი აქტიური ბიზნეს მომხმარებლების დაახლოებით 60%-ს. ვამაყობთ, რომ მიღებული გვაქვს ცნობადობის (TOM) მაღალი, 47%-იანი შეფასება, MSME მომხმარებლებს შორის საქართველოს საბანკო სექტორში<sup>4</sup>.

ყოველთვის ვცდილობთ ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ მეტად მოსახერხებელი და ეფექტური სერვისები და, ამასთან, წლის განმავლობაში ჩვენ განვაახლეთ არსებული ბიზნეს ნაკრები ახალი პროდუქტებით, რომლებიც უკეთ არის მორგებული მომხმარებელთა საჭიროებებზე. განახლებული ბიზნეს ნაკრები გვთავაზობს რამდენიმე პაკეტს, სადაც კომბინირებულია ფინანსური და ისეთი არაფინანსური სერვისების ფართო სპექტრი, როგორებიცაა - პირისპირ და ჯგუფური ექსკლუზიური შეხვედრები, სემინარები და ტრენინგები, სხვადასხვა სფეროს წამყვან სპეციალისტებთან, ასევე სპეციალური წინადადებები ჩვენი პარტნიორებისგან. წლის ბოლოსთვის MSME კლიენტების დაახლოებით 40%-ს გამოწერილი ჰქონდა ეს მომსახურებები წინა წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 25%-ს.

ჩვენ ასევე დავინყეთ მუშაობა მომხმარებლებისთვის ახალი და მეტად მეგობრული IT ინსტრუმენტის შემუშავებაზე. ეს ჩვენს კლიენტებზე 360-გრადუსიანი ხედვის საშუალებას გვაძლევს და დაგვეხმარება მათი საჭიროებების მეტად სრულფასოვნად და ეფექტურად შეფასებაში. ამასთან, ვანვითარებთ მანქანური სწავლების (ML) მოდელს, რომელიც გადინების ალბათობას აფასებს MSME ყოველი კლიენტისთვის და საშუალებას მოგვცემს დროულად გავატაროთ პროაქტიული ღონისძიებები.

საქართველოს ბანკის მონაცემები

1 მოიცავს უზრუნველყოფილ 1 მილიონ ლარამდე ბიზნეს და აგრო სესხებს, ასევე სესხებს იმ მიკრო ბიზნესებისთვის, რომელთა მაქსიმალური ბრუნვა შეადგენს 2 მილიონ ლარს.  
2 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შიდა შეფასებების საფუძველზე.  
3 მოიცავს ყოველთვიურად აქტიურ MSME იურიდიულ პირებს.  
4 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „ACT“ მიერ 2023 წლის იანვარში ჩატარებული გარე კვლევის საფუძველზე.

**საერთაშორისო აღიარების მოპოვება**

ვამაყობთ იმით, რომ ჩვენმა ციფრულმა საბანკო შეთავაზებებმა კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და მიიღო რამდენიმე ჯილდო „Global Finance“-სგან.

**კორპორაციული/ინსტიტუციონალური ციფრული ბანკის ჯილდო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2022 „GLOBAL FINANCE“-სგან**

საუკეთესო კორპორაციული/ინსტიტუციონალური ციფრული ბანკი

საუკეთესო ონლაინ სახაზინო მომსახურებები

საუკეთესო სოციალური მედია მარკეტინგი და მომსახურებები

საუკეთესო ონლაინ პორტალი/მომხმარებელთა გამოცდილების (UX) დიზაინი

ყველაზე ინოვაციური ციფრული ბანკი

**ქვეყნის და გლობალური ჯილდოები 2022 GLOBAL FINANCE-ისგან**

საუკეთესო კორპორაციული/ინსტიტუციონალური ციფრული ბანკი საქართველოში

საუკეთესო ონლაინ პორტალი/სამომხმარებლო გამოცდილების (UX) დიზაინის მქონე კორპორაციული/ინსტიტუციონალური ციფრული ბანკი გლობალურ ქვეკატეგორიაში

**ჩვენი მერჩანდის ბაზის გაფართოება**

ჩვენ განვაგრძობთ ბიზნესების მხარდაჭერას, სხვადასხვა საგადახდო გადაწყვეტილების დანერგვით, რომლებიც მათ კონკრეტულ მოთხოვნებზეა მორგებული.

2022 წლის დეკემბერში წამოვიწყეთ „Tap2Pone“ გადაწყვეტილება მცირე და მიკრო მიმწოდებლებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს Android-ზე დაფუძნებული მობილური მოწყობილობები, NFC ტექნოლოგიის საშუალებით, გამოიყენონ ბარათის წასაკითხად, რაც POS ტერმინალის იაფი ალტერნატივაა. 2023 წელს ვგეგმავთ ამ პროდუქტის სრული მასშტაბით ამუშავებას მცირე და მიკრო სეგმენტის განსავითარებლად და სავაჭრო ტერმინალების რაოდენობის გასაზრდელად.


ამასთან, ჩვენ დავნერგეთ ვალუტის კონვერტაციის დინამიკური სერვისი POS ტერმინალებისთვის. ეს ბარათის მფლობელებს სხვადასხვა ქვეყნიდან საშუალებას მისცემთ განახორციელონ გადახდები საწყის ვალუტაში, ასევე მეტად კომფორტული და გამჭვირვალე გახადონ გადახდის პროცესი საერთაშორისო სტუმრებისთვის.

ჩვენ ასევე გავხსენით სპეციალიზებული მხარდაჭერის ცენტრი ჩვენი მერჩანტებისთვის, რომელიც სრულ მხარდაჭერას გაუწევს ჩვენს კლიენტებს POS ტერმინალებთან და ელ-კომერციასთან დაკავშირებით. ამასთან, გავამდიდრეთ ჩვენი ონლაინ გადახდების პლატფორმა (ხელმისაწვდომია ბმულზე [www.tbcpayments.ge](http://www.tbcpayments.ge)) ახალი ფუნქციებით, რომლებიც საშუალებას მისცემს ჩვენს მიმწოდებლებს, ონლაინ გააკონტროლონ ტრანზაქციები და განახორციელონ მონინავე ანალიტიკური ანგარიშების გენერირება.


**საკრედიტო პორტფელის ზრდის ხელშეწყობა მიკრო ქვესეგმენტის დახმარებით**

2022 წელს ჩვენი საკრედიტო პორტფელი 25%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში და 4.8 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდაზე დიდწილად იმოქმედა მიკრო სესხებმა და მასზე ასევე დადებითი გავლენა მოახდინა მეტად დახვეწილმა ბიზნეს პროცესებმა, მათ შორის სასესხო ხელშეკრულების SMS-ით დადასტურებამ და ავტომატიზაციის მაღალმა დონემ 100,000 ლარამდე სესხებისთვის. წლის განმავლობაში ამგვარი სესხების დაახლოებით 77% ავტომატურად დამუშავდა, წინასწარ განსაზღვრული წესების და შეფასების მოდელის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა გადაწყვეტილების მიღების დრო. შედეგად, წლის განმავლობაში მიკრო სესხების წილი ჩვენს მთლიან MSME პორტფელში 4 pp-ით გაიზარდა და 50%-ს მიაღწია, რითაც ქვეყანაში მიკრო ბიზნესის დაფინანსების უმსხვილესი პროვადერები გავხდით. ამავე პერიოდში, ჩვენი დეპოზიტების მოცულობა 22%-ით გაიზარდა, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში.

**MSME საკრედიტო პორტფელი (მილიარდი ლარი)**



**MSME სადეპოზიტო პორტფელი (მილიარდი ლარი)**



● მიკრო სანარმოები ● მცირე და საშუალო სანარმოები (SME) ● უცხოური ვალუტა ● ადგილობრივი ვალუტა

**ჩვენი ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის გაფართოება**

**საგანმანათლებლო რესურსების შექმნა ბიზნესებისთვის**

2022 წელს ჩვენ განვაგრძეთ ბიზნესის მხარდაჭერის ფართომასშტაბიანი პროგრამა. ჩვენ ის კიდევ უფრო გავაღრმავეთ ვრცელი საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ერთ პლატფორმაზე [www.tbcbusiness.ge](http://www.tbcbusiness.ge). წლის განმავლობაში 100 ტრენინგი ჩაატარეთ ბიზნესის 3,800 წარმომადგენელს ისეთ საკითხებში, როგორებიცაა მარკეტინგი, ფინანსები, მართვა და გადასახადები.

პროგრამა შემუშავებულია აზიის განვითარების ბანკთან („ADB“) თანამშრომლობით და ის სთავაზობს ლაივ-რეჟიმში მიმდინარე ლექციებზე უფასო წვდომას სხვადასხვა თემაზე, როგორებიცაა - ტექნოლოგია, ციფრული მარკეტინგი, ადამიანური რესურსები. ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა უმსხვილესია საქართველოში და გასული ექვსი წლის განმავლობაში მან 1,000-მდე ლექციაზე 30,000 დამსწრეს უმასპინძლა.

**სტარტაპების მხარდაჭერა**

2017 წლიდან ჩვენ განვაგრძეთ ცნობილი პროგრამა „სტარტაპერი“, რომლის მიზანია ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერის გაწევა განვითარების ადრეულ ეტაპზე მყოფი კომპანიებისთვის. პროგრამის მიზანია, გაიზარდოს წარმატებული სტარტაპების რაოდენობა საქართველოში და ამისთვის მათ სთავაზობს მარტივად ხელმისაწვდომ კაპიტალს, სარეკლამო კამპანიების ციფრულ პლატფორმებს, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, კონფერენციებსა და პარტნიორობებს. 2022 წელს ამ პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 90 სესხი გავეცით, 42 მილიონი ლარის მოცულობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 131 მილიონი ლარი შეადგინა.

2022 წლის განმავლობაში, „Impact Hub Georgia“-სთან თანამშრომლობით წამოვიწყეთ პრეაქსელერაციის პროგრამა 40 შერჩეული ტექნოლოგიური სტარტაპისთვის. ჩვენი მიზანია დავხმაროთ მათ ინვესტიციების მოზიდვის უნარის განსავითარებლად რათა შეიმუშაონ ბიზნეს გეგმა, საკომუნიკაციო სტრატეგია და ტექნიკური გეგმა. პრეაქსელერაციის პროგრამა 12 კვირას გაგრძელდა და ის ინდივიდუალურ მონიტორინგს, ქსელურ ღონისძიებებს ა და ლექციებს მოიცავდა.

**სამთავრობო და საერთაშორისო პროექტებთან თანამშრომლობა ადგილობრივი მხარდამხმარებლის მხარდასაჭერად**

სოფლის რევიზიებში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ჩვენ ხელმისაწვდომი დაფინანსების შეთავაზებით აქტიურად ვუჭერთ მხარს ადგილობრივ ბიზნესებს.

ჩვენ ვთანამშრომლობთ რამდენიმე სახელმწიფო პროგრამასთან: „აწარმოე საქართველოში“, „უმასპინძლე საქართველოში“ და „შეღავათიანი აგროკრედიტი“, როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე სოფლის მეურნეობის და სასტუმრო ბიზნესების მხარდასაჭერად. ეს პროგრამები, სახელმწიფო სუბსიდირების შედეგად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი მომხმარებლები გავრცელება

მათ სთავაზობს შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებს. 2022 წელს ჩვენ გავეცით დაახლოებით 3,800 სესხი 240 მილიონი ლარის ღირებულებით. ამ სესხების მთლიანმა პორტფელმა 475 მილიონი ლარი შეადგინა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რითაც ამ პროგრამებისთვის უმსხვილესი პარტნიორი ბანკი გავხდით.

ამასთან, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან („EBRD“) თანამშრომლობით, ჩვენ ორი პროგრამა წამოვიწყეთ:

- „ბიზნეს სესხი ქალი მენარმეებისთვის“ - რომელიც სესხის სპეციალურ პირობებს სთავაზობს ქალ მენარმეებს, რათა მხარი დაუჭიროთ გენდერულ თანასწორობას.
- „ბიზნეს სესხი 15%-იანი ქეშბეჭით“ - პროექტი, რომლის მიზანია არის სავაჭრო სტანდარტების მხარდაჭერა შემდეგ სფეროებში: სოფლის მეურნეობა, საკვების პროდუქტების წარმოება და ლაბორატორიები.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში MSME საკრედიტო პორტფელმა 28 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც წლის ბოლოსთვის დაახლოებით 100 სესხს მოიცავდა.

დეტალური ინფორმაცია ამ პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე [www.tbcbusiness.ge](http://www.tbcbusiness.ge).

### გავრცელებით ჩვენს წლიურ ბიზნეს დაჯილდოებას

ცნობილი ყოველწლიური ბიზნეს დაჯილდოების ღონისძიება 2015 წელს დაფუძნდა საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს საქმიანობების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. განვლილი შვიდი წლის განმავლობაში ის წლის ყველაზე მნიშვნელოვან ბიზნეს ღონისძიებად იქცა, რომელიც მოიცავს 3,500 ბიზნესს სხვადასხვა სფეროდან. ეს ორგანიზაციები თავის წარმატების ისტორიებს უზიარებენ საზოგადოებას, და სხვებს შთააგონებენ თავისი იდეები რეალობად აქციონ.

წელს ახალი კატეგორია „გამორჩეული სამომხმარებლო გამოცდილების შექმნა“ დავამატეთ უკვე არსებულ ოთხ კატეგორიას:

- საუკეთესო პროდუქტი
- საუკეთესო ინოვაციური სტარტაპი
- გამორჩეული სოციალური პასუხისმგებლობა
- გამორჩეული როლი რეგიონის განვითარებაში

ასევე, დავამატა ორი სპეციალური ჯილდო: „გენდერული თანასწორობა“ და „მწვანე ინიციატივები“, რომელთა სპონსორები იყვნენ ჩვენი პარტნიორები „UN Women“ და „Global Climate Partnership Fund“ (GCPF), შესაბამისად.

წელს დაახლოებით 410 აპლიკანტი დაფიქსირდა, რომელიც უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობაა, გასული წლის 360 განმცხადებლებთან შედარებით. ღონისძიება VISA-სთან პარტნიორობით განხორციელდა და მან 60 მილიონი ნახვა მოიზიდა, ხოლო TOM ცნობადობამ 68% შეადგინა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „ACT“ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.



# თიბისის ბიზნეს დაჯილ- დოება 2022

2015 წელს დაფუძნდა ცნობილი ყოველწლიური ბიზნეს დაჯილდოების ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ბიზნეს საქმიანობების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას.



# კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება

„ჩვენი კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის დეპოზიტები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით 33%-ით გაიზარდა უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში, რაზეც იმოქმედა ადგილობრივ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა. ამის შედეგად, გაუმჯობესდა ლარიზაციის დონე და მივაღწიეთ მაღალ შემოსავლებს ტრანზაქციულ ბიზნესში.“

**კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება (CIB) და დაგროვილი კაპიტალის მართვის მომსახურების ფრანჩიზა საქართველოში**

**40.8%**

(2021 წ: 39.1%)

CIB საკრედიტო ბაზრის წილი<sup>1</sup>


**42.9%**

(2021 წ: 40.5%)

CIB საკრედიტო ბაზრის წილი<sup>1</sup>

ჩვენი წარმატების მამოძრავებელი ძალა არის კლიენტებზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელი, ჩვენ მიერ ნიჭიერ ადამიანებში განხორციელებული ინვესტიციები და ჩვენი მონივრულ მონაცემთა ანალიზი და ციფრული შესაძლებლობები.

## კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება (CIB)



## წარმატების შეფასება 2022 წელს

**€ 6.3 მლრდ**

(2021 წ: 6.5 მილიარდი ლარი)

CIB სესხები

**€ 9.1 მლრდ**

(2021 წ: 7.4 მილიარდი ლარი)

CIB დავკომიტები

**€ 607 მლნ**

(2021 წ: 483 მილიონი ლარი)

CIB საოპერაციო ხარჯვალა

**€ 1.4 მლრდ**

(2021 წ: 0.5 მილიარდი ლარი)


მართვის ქვეშ მყოფი ჯამური აქტივები

**7.7 ათასი**

(2021: 7.0 ათასი)

CIB მომხმარებელი

კარგად დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი წამყვანი პოზიციით საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



## წლის მიმოხილვა

## კორპორაციული საბანკო მომსახურება

ჩვენი პოზიციის გაყვარება მსხვილ და საშუალო კორპორაციულ კლიენტებს შორის

2022 წელს ჩვენი CIB საკრედიტო პორტფელი 6%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში. ამაზე მეტწილად იმოქმედა მსხვილმა და საშუალო კორპორაციულმა კლიენტებმა, რომლებმაც ერთად შეადგინეს CIB საკრედიტო პორტფელის 53%, რაც 6 pp-იანი ზრდაა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამავდროულად, წინა წელთან შედარებით, ტოპ-10 მსესხებლის წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში შემცირდა 2 pp-ით და 5% შეადგინა.

ჩვენს დივერსიფიცირებულ საკრედიტო პორტფელს დომინანტური პოზიცია უჭირავს საქართველოს ეკონომიკის ყველა წამყვან სექტორში - არცერთი ინდუსტრია ცალკე არ აღრიცხავს 22%-ზე მეტს CIB-ის მთლიან პორტფელში. ამასთან, ჩვენი სინდიკაციის სამსახურმა კიდევ უფრო განავითარა ჩვენი პორტფელის დივერსიფიკაცია და გამოიმუშავა დამატებითი საკომისიო შემოსავალი. წლის განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ 40 გარიგების სინდიკირება, 248 მილიონი ლარის მოცულობით.

ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ გავაძლიეროთ ჩვენი წამყვანი პოზიცია კორპორაციული დაკრედიტების მხრივ და წლის განმავლობაში ამ მიმართულებით წამოვიწყეთ ეფექტურობის ზრდაზე ორიენტირებული დაკრედიტების end-to-end პროცესის დაპროექტებისა და დიგიტალიზაცია პროექტი. ჩვენი მიზანია შევამციროთ „time to yes“ და „time to cash“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სესხის დამტკიცებისა და გაცემის დროის დაახლოებით 30-40%-ით შემცირება მომდევნო წლის განმავლობაში.

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე; ამ კონტექსტში, „კორპორაციული“ გულისხმობს იურიდიულ პირებს.  
2 „თიბისი კაპიტალის“ საბაზრო წილი 2022 წლის განმავლობაში საქართველოში საჯაროდ და კერძოდ გამოშვებულ ობლიგაციებში.





მათ შორისაა უზრუნველყოფილი მწვანე ობლიგაციების პირველი განთავსება, 80 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით. საერთაშორისო ბაზრებზე ევროობლიგაციების განთავსებით „თიბისი კაპიტალი“ ერთადერთი ადგილობრივი საინვესტიციო ბანკი გახდა, რომელიც ასრულებდა Joint Lead Manager-ის როლს სს „სილქნეტის“ მიერ 2022 წლის იანვარში 300 მილიონი აშშ დოლარის განთავსებაში. „თიბისი კაპიტალი“ ასევე აქტიურად იყო ჩართული კერძო ობლიგაციების განთავსებაში და ასრულებდა Sole Lead Manager-ის ფუნქციას „თიბისი ლიზინგის“, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის („EBRD“), ჰოლანდიის სამეწარმეო განვითარების ბანკის („FMO“), აზიის განვითარების ბანკის („ADB“) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისთვის („AIIB“).

### საწლო სტრატეგიული კარტინორი ბიზნესი და საინვესტიციო გადაწყვეტილებებში, ჩვენი დახვეწილი კვლევითი მომსახურებების დახმარებით

ჩვენი კვლევითი განყოფილება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, საქართველოსა და უფრო ვრცელი რეგიონის სიღრმისეული და დროული მაკროეკონომიკური და სექტორული ანალიზის შესაძლებლობას აძლევს. წლის განმავლობაში განვაგრძეთ რეგულარული კვირის, თვის და კვარტლის პუბლიკაციების გამოცემა. ჩვენს შეთავაზებებს ასევე შევმატეთ ახალი პუბლიკაციები და ანგარიშები, როგორც არის: გლობალური ინდუსტრიის მიმოხილვა, საგანმანათლებლო ბაზრის მიმოხილვა და საცხოვრებელ უძრავ ქონებასთან და ტურიზმთან დაკავშირებული დოკუმენტების სერია. მთლიანობაში, 2022 წლის განმავლობაში „თიბისი კაპიტალმა“ 230-ზე მეტი პუბლიკაცია გამოაქვეყნა. პუბლიკაციების სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბმულზე [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge). ამასთან, წლის განმავლობაში „თიბისი კაპიტალმა“ რამდენიმე ფართომასშტაბიან კონფერენციას უმასპინძლა საქართველოს ეკონომიკის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული პირებისთვის.

2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა („NBG“) „თიბისი კაპიტალი“ დაასახელა 2021 წლის „საუკეთესო მაკროეკონომიკური პროგნოზის მიმწოდებელ ორგანიზაციად“. გარდა ამისა, „თიბისი კაპიტალი“ „Bloomberg“ და „Refinitiv“-ის მიერ ჩატარებული კვლევების კონტრიბუტორად რჩება, რომლებიც საქართველოში დაინტერესებულ საერთაშორისო აუდიტორიაზე არიან ორიენტირებული.

### დაგროვილი კაპიტალის მართვის ღირებულებების შეთავაზების გაფართოება საბროკერო მომსახურებების დახმარებით

„TBC WM“ არის საქართველოს წამყვანი ფრანჩიზა დაგროვილი კაპიტალის მართვის მიმართულებით, რომელიც დაახლოებით 2,900 რეზიდენტ და არარეზიდენტ შეძლებულ მომხმარებელს (HNWI) ემსახურება. ჩვენ ვთავაზობთ პერსონიზირებული საბანკო მომსახურებებისა და საინვესტიციო პროდუქტების ფართო სპექტრს, რომლებიც ყურადღებით არიან შექმნილი, რათა ჩვენი მომხმარებლების ინდივიდუალურ საჭიროებებს მოერგოს და მათი ქონება მაქსიმალურად გაიზარდოს. ამასთან, ჩვენი მომხმარებლები სარგებლობენ ექსკლუზიური, lifestyle შეთავაზებებით, ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან ელიტურ ღონისძიებებზე. ჩვენ გვაქვს წარმომადგენლობითი ოფისი ისრაელში, „თიბისი ინვესტი“, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას შეძლებულ კლიენტებთან ისრაელიდან და ადგილობრივად სთავაზობს სწრაფ და ეფექტურ საკონსულტაციო მომსახურებებს.

2022 წელს ჩვენ განვაგრძეთ ჩვენი ალტერნატიული საინვესტიციო შეთავაზებები, რათა დავახმაროთ ჩვენს დაგროვილი კაპიტალის მართვის კლიენტებს ქონების დივერსიფიცირებასა და მაღალი შემოსავლის მიღებაში. 2022 წლის მაისში დავაფუძნეთ პირველი საკრედიტო ფონდი საქართველოში, რომელსაც ჩვენი შვილობილი კომპანია „თიბისი აქტივების მართვა“ ხელმძღვანელობს და ჩვენს კლიენტებს საშუალებას აძლევს საქართველოში, სხვადასხვა სექტორში, წამყვანი უზრუნველყოფილი სესხების დივერსიფიცირებულ პორტფელში განახორციელონ ინვესტიციები. ასევე, გავაუმჯობესეთ ჩვენი სავაჭრო პლატფორმა, რომელსაც ჩვენი შვილობილი კომპანია „თიბისი კაპიტალი“ მართავს და ჩვენს კლიენტებს 20 ქვეყანაში 60-ზე მეტ ბირჟაზე მარტივი წვდომის შესაძლებლობას აძლევს. მომავალ წელს ვგეგმავთ მოკლე გაყიდვების (ე.წ. short sell), ლევერიჯით ვაჭრობისა და არასაბირჟო საათებში ვაჭრობის ფუნქციონალის დამატებას.

ზემოთ ხსენებულის შედეგად, მსუბუქი კაპიტალისა და ალტერნატიული საინვესტიციო პროდუქტების წილი ჩვენი WM-ის მთლიანი მართვის ქვეშ მყოფი აქტივებში (AUM) 8%-ით გაიზარდა და 2022 წლის ბოლოსთვის 19% შეადგინა.

განვლილი 30 წლის განმავლობაში „თიბისი ბანკი“ აქტიურად უჭერდა მხარს სხვადასხვა სექტორში მოღვაწე კომპანიებს, რაც მათ ხელს უწყობს წარმატების მიღწევაში, ხოლო ქვეყანას - განვითარებაში.

**უძრავი ქონება**



„არქი“

**42%**  
თიბისის საბაზრო წილი უძრავ ქონებაში



**HORECA**



„ლოპოტა“

**41%**  
თიბისის საბაზრო წილი HORECA-ში



**ენერჯეტიკა**



„ფერი“

**54%**  
თიბისის საბაზრო წილი ენერჯეტიკაში



**წარმოება**



„ზედაზენი ჯგუფი“

**26%**  
თიბისის საბაზრო წილი წარმოებაში



**ფინანსები და საცალო ვაჭრობა**



„სპარი“

**50%**  
თიბისის საბაზრო წილი ფინანსებსა და საცალო ვაჭრობაში



**საავტომობილო სექტორი**



„თეგეტა ჯგუფი“

**47%**  
თიბისის საბაზრო წილი საავტომობილო სექტორში



შენიშვნა: საბაზრო წილების დაანგარიშება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.

# „თიბისი ფეი“

„თიბისი ფეი“ გადახდების წამყვანი პროვაიდერია საქართველოში, რომელიც თვითმომსახურების ტერმინალების ფართო ქსელის საშუალებით მომხმარებლებს სთავაზობს მოსახერხებელ საგადახდო გადაწყვეტილებებს.

## წარმატების შეფასება 2022 წელს

**4.3** ათასი  
(2021 წ: 4.2 ათასი)  
თვითმომსახურების  
ტერმინალი

**+31% წ**  
8.1 მილიარდი ლარი  
გადახდების  
ტრანზაქციების  
მოცულობა

**622** ათასი  
(2021 წ: 582 ათასი)  
მომხმარებელი

**€ 20** მლნ  
(2021: € 10 მილიონი ლარი)  
წმინდა მოგება

### ერთი შეხედვით

„თიბისი ფეი“ გადახდების წამყვანი პროვაიდერია საქართველოში, რომელიც ფიზიკურ პირებსა და ბიზნესებს გადახდის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს სთავაზობს. „თიბისი ფეი“ „თიბისი ბანკის“ 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიაა და ის 2008 წლიდან ფუნქციონირებს.

ჩვენ მომსახურების ფართო სპექტრს ვთავაზობთ ჩვენს მომხმარებლებს, მათ შორის არის კომუნალური მომსახურების გადასახადების გადახდა, მობილურის შევსება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის ღირებულების გადახდა, სესხის დაფარვა და ფულადი გზავნილების განხორციელება მისი ფართომასშტაბიანი და მარტივად ხელმისაწვდომი განაწილების ქსელით. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ უმაღლესი ხარისხის სამომხმარებლო მომსახურების გამოცდილების გაწევაზე და გვჯერა, რომ ჩვენი მომსახურებები ხელმისაწვდომია ყველასთვის.

ჩვენს მომხმარებლებს მეტწილად ვემსახურებით თვითმომსახურების ტერმინალებით, რომლებიც მთელს ქვეყანაში მოსახერხებლად არის განთავსებული და 2022 წლის ბოლოსთვის მათმა საერთო რაოდენობამ 4,300 შეადგინა. ეს ტერმინალები მომხმარებლებს სხვადასხვა სახის გადახდის სწრაფად განხორციელების საშუალებას აძლევს 24 საათის განმავლობაში, როგორც ნაღდი ფულით, ასევე ბარათების გამოყენებით. ამასთან, „თიბისი ფეის“ აქვს ვებ-გვერდი ([www.tbcpay.ge](http://www.tbcpay.ge)), მობილურ აპლიკაციასთან ერთად, ორივე მათგანი მომხმარებლებს მეგობრულ და მიმზიდველ ინტერფეისს სთავაზობს. 2022 წლის ბოლოსთვის, ჩვენი აპლიკაციის მომხმარებლების რაოდენობამ 396,000, ხოლო აქტიურმა მომხმარებლების რიცხვმა 64,000 შეადგინა.

მსხვილი ფულადი ოპერაციების განმახორციელებელ ბიზნესებს „თიბისი ფეი“, სპეციალიზებული Cash Box-ების საშუალებით, სთავაზობს ფულადი სახსრების მართვის მომსახურებებს. ფულის ამ Box-ებში განთავსების შემდეგ, თანხა ავტომატურად გადაიგზავნება კომპანიის საბანკო ანგარიშზე. Cash Box-ები ავტორიზაციის ძლიერი პროცესით არის დაცული.


### წლის მიმოხილვა

ბიზნესების გაზრდილი მასშტაბის მხარდასაჭერად, კომპანია ამარტივებს პროცესებს და ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს. 2022 წლის განმავლობაში ჩვენ განვაგრძეთ საწარმოო რესურსების დაგეგმვის პროგრამული უზრუნველყოფა და BI ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს კომპანიის შიგნით ავაჩქაროთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. პარალელურად, ვმუშაობდით „OpenApi“ პროდუქტების განვითარებაზე, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენს ონლაინ პლატფორმებზე მივაბათ სხვა ბანკის ანგარიშები.

2022 წლის განმავლობაში, იმ ტრანზაქციების მოცულობა, რომლებიც განხორციელდა თვითმომსახურების და ფულადი სახსრების მართვის ტერმინალებით, ციფრული არხებითა და გადახდის აგრეგირების გზით, გაიზარდა 32%-ით და 8.1 მილიარდი ლარი შეადგინა. იმავე პერიოდში წმინდა მოგება 20.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 105%-ით გაიზარდა.

### სამომავლო მიზნები

ჩვენი სტრატეგიაა, ნაღდი ფულის ეფექტურად მიღების პროცესითა და დროული ტექნიკური მხარდაჭერით გავზარდოთ ხელმისაწვდომობა ჩვენს სერვისებზე და განვაგრძოთ ფულადი ტრანზაქციების განტვირთვა „თიბისის“ ფილიალებიდან.



# „თიბისი ლიზინგი“

80%-იანი საბაზრო წილით, „თიბისი ლიზინგი“ სალიზინგო მომსახურების წამყვანი პროვაიდერია საქართველოში.

## წარმატების შეფასება 2022 წელს



## ერთი შეხედვით

სრულყოფილი გადაწყვეტილებების შეთავაზების დახმარებით, „თიბისი ლიზინგი“ ჩვენს საცალო და კორპორაციულ კლიენტებს სთავაზობს დაფინანსების ალტერნატიული წყაროებს. „თიბისი ბანკის“ 100%-იანი შვილობილი კომპანია „თიბისი ლიზინგი“, რომელიც სალიზინგო მომსახურების წამყვანი პროვაიდერია საქართველოში და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი საბაზრო წილი 80%-ს¹ შეადგენდა.


ჩვენი ტექნიკური ნოუ-ჰაუ, სპეციალისტთა ცოდნა და გამოცდილება საშუალებას გვაძლევს, ჩვენს კლიენტებს შევთავაზოთ აქტივების დაფინანსების სრულყოფილი გადაწყვეტილებები და სხვა დამატებითი საკონსულტაციო მომსახურებები, მათ შორის ფინანსური ლიზინგი, საოპერაციო ლიზინგი, გაყიდვები და უკუიჯარები, რომელთაგანაც თითოეული მათგანი ინდივიდუალურად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებებზე. 2022 წელს, ქართულ ბაზარზე წარვადგინეთ ახალი პროდუქტი, კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი, რათა დაგვეკმაყოფილებინა ჩვენი მომხმარებლების საჭიროებები. აღნიშნულმა პროდუქტმა წლის ბოლოსთვის 41 მილიონი ლარის ოდენობის პორტფელი შექმნა.

ჩვენ მომსახურებას ვუწევთ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ჩვენ მთელს საქართველოს მოვიცავთ: ოფიციალური წარმომადგენლობითი სადილეროებით, მომწოდებლებით, პირდაპირი გაყიდვების არხებით და „თიბისი ბანკის“ ფილიალებით. ჩვენ აქტიურად ვავითარებთ „თიბისი ბანკის“ გაყიდვების ფართო ქსელს, რომელიც შემდგომში გვეხმარება, მიზანმიმართული სინერგიების გამოყენებით, ხელს შეუწყოს ჩვენი პორტფელის ჩამოყალიბებას.

## წლის მიმოხილვა


ჩვენი სალიზინგო პორტფელი 27%-ით გაიზარდა წლის განმავლობაში, უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში და 290 მილიონი ლარი შეადგინა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. პორტფელის 92% უკავშირდება იურიდიულ პირებს, კერძოდ კი სამშენებლო, მომსახურებისა და წარმოების სექტორებს. პორტფელის დარჩენილი 8% ინდივიდუალურ კლიენტებს უკავშირდება. ახალმა ავტომობილებმა მთლიანი საცალო პორტფელის 48% შეადგინეს, ხოლო მეორადმა ავტომობილებმა - დარჩენილი 52%. 2022 წელს, „თიბისი ლიზინგის“ მიერ გამოთქმულმა წმინდა მოგებამ 13.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ით გაიზარდა.

კორპორაციული სალიზინგო პორტფელი  
სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის  
მდგომარეობით



● მშენებლობა ● წარმოება ● ვაჭრობა ● მედიცინა ● მეორადი ავტომობილები  
● მომსახურება ● სოფლის მეურნეობა ● დეველოპმენტი ● სხვა ● ახალი ავტომობილები

საცალო სალიზინგო პორტფელი  
სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის  
მდგომარეობით



„თიბისი ლიზინგი“ სხვადასხვა ინიციატივით განაგრძობდა აქტიურ ჩართულობას მწვანე, განახლებადი და ენერგოეფექტური აქტივების დაფინანსებაში, მათ შორის:

- „თიბისი ლიზინგი“ განაგრძობს ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. ამ მიზნით „თიბისი ლიზინგმა“ 3 მილიონი ევრო მოიზიდა მისი სანდო პარტნიორისგან - „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ („EBRD“). რესურსების სულ მცირე 70% მიემართება მწვანე ტექნოლოგიების ფინანსურ ინვესტიციებში, რაც, თავის მხრივ მოგვცემს ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერის შესაძლებლობას მათი მწვანე საქმიანობების გაფართოებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.
- ამასთან, ჩვენ დავინყეთ თანამშრომლობა „Green for Growth Fund“-სთან („GGF“) ციფრული პლატფორმის განსავითარებლად, რომელიც ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას მისცემს წარადგინონ მოთხოვნები პერსპექტიული მზის ფოტოელექტრული პროექტების დასაფინანსებლად და მეტად ეფექტური გზით მიიღონ ქვოტირება „თიბისი ლიზინგისგან“. ეს პლატფორმა ინტეგრირებული იქნება „თიბისი ლიზინგის“ ვებ-გვერდზე და აღიჭურვება მზის PV სისტემებისთვის განკუთვნილი ლიზინგითა და გავლენის კალკულატორით, რომელიც პოტენციური კლიენტებს დაეხმარება სხვადასხვა ტექნოლოგიების მომწოდებლებისგან ლიზინგის განაკვეთების შეფასებაში, მათ შორისაა გავლენის მთავარი საზომები, როგორებიცაა ენერჯეტიკა და ნახშირორჟანგის (CO2) ემისიის შემცირება, ეკონომია ფულად გამოხატულებაში და მოსალოდნელი უკუგების პერიოდი. პლატფორმის გაშვება იგეგმება 2023 წლის პირველი კვარტლიდან.

შედეგად, ჩვენი მწვანე სალიზინგო პორტფელი 25 მილიონ ლარამდე გაიზარდა გასული წლის 3 მილიონი ლარიდან. მომდევნო წლებში, ჩვენ ვგეგმავთ ჩვენი მწვანე სალიზინგო პორტფელის კიდევ უფრო მეტ ზრდას.

## სამომავლო მიზნები

საქართველოს ლიზინგის ბაზარს გააჩნია ზრდის დიდი პოტენციალი, მისი დაბალი პენეტრაციის გათვალისწინებით - ლიზინგი საქართველოს მშპ-ის მხოლოდ 1%-ს მოიცავს, ის შედარებადი ქვეყნების მაჩვენებლებზე ბევრად ნაკლებია, სადაც ლიზინგი მშპ-ის დაახლოებით 5%-ს² შეადგენს.


მნიშვნელოვანია, რომ გასული ხუთი წლის განმავლობაში საშუალოწლიური ზრდის ტემპი (CAGR) საქართველოს ლიზინგის ბაზარზე დაახლოებით 22%¹ იყო, რაც განპირობებული იყო იმით რომ სალიზინგო პროდუქტებზე ცნობადობა გაიზარდა, როგორც მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დაფინანსების ალტერნატიული წყარო. ჩვენ მომდევნო წლის განმავლობაში კიდევ უფრო მნიშვნელოვან ზრდას მოველით, როგორც საქართველოს სალიზინგო ბაზარზე, ისე „თიბისი ლიზინგში“.

1 შიდა შეფასებების საფუძველზე.  
2 „UK Good Governance Fund“-ის სალიზინგო ბაზრის კვლევის საფუძველზე.

# ჩვენი კოლეგები

ჩვენი მიზანია შევქმნათ ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო, სადაც ადამიანები შეძლებენ განვითარებასა და ზრდას, ჩვენს თანამშრომლებში წავახალისებთ მრავალფეროვნებას, თანასწორობას და ინკლუზიურობას, პარალელურად კი ჩვენს კლიენტებს ვთავაზობთ უმაღლესი ხარისხის მომსახურებებს.

## წარმატების შეფასება 2022 წელს



### ვიზიონი

ადამიანები ჩვენი მნიშვნელოვანი კაპიტალია და ჩვენი მიზანია გავხდეთ მეტად მომხიბვლელი დამსაქმებელი იმ ქვეყანაში, რომელშიც ჩვენ ვოპერირებთ. ტალანტების მოზიდვითა და განვითარებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ ჯგუფის სტრატეგიას და ვქმნით მაქსიმალურ ღირებულებას, როგორც „თიბისისთვის“, ასევე ჩვენი თანამშრომლებისთვის.

კოვიდ-19-ის შემდეგ, ჩვენ დავინერგეთ ჰიბრიდული სამუშაო გარემო, რაც ჩვენს თანამშრომლებს ნებისმიერი ადგილიდან მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. დღეს ჩვენი იმ თანამშრომლების უმრავლესობა, რომლებსაც კონტაქტი არ აქვთ მომხმარებლებთან, ოფისის მიღმა მუშაობენ, რამაც შედეგად დასაქმებულთა დაკმაყოფილების მაღალი დონე და გაზარდილი ეფექტურობა მოგვცა ჯგუფის შიგნით.

2022 წლის გაზრდილი ინფლაციის ფონზე, თანამშრომლების დაახლოებით 58%-ს გავუზარდეთ ხელფასები, რომლებსაც უშუალოდ კონტაქტი აქვთ მომხმარებელთან და ვინც მხარდაჭერა ფუნქციებს ასრულებენ. ჯამურად ხელფასების ზრდამ დაახლოებით 20-25% შეადგინა.

2022 წლის განმავლობაში ჩვენს ძირითად უპირატესობებს წარმოადგენდა: ტალანტების მოზიდვა და განვითარება, სამუშაოს შესრულების მართვა, ჩართულობა, მოტივირება, თანასწორობა და მრავალფეროვნება.

### ჩვენი მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტები

#### ტალანტების მოზიდვა და განვითარება

ჩვენი მიზანია ვიყოთ ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელი საქართველოს ბაზარზე და ამასთან ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ტალანტების მოზიდვის და განვითარების საუკეთესო პლატფორმა.

ჩვენ აქტიურად ვადევნებთ თვალს შრომის ბაზარს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რათა გავაფართოვოთ ჩვენი ქსელი ახალი პერსონალის მოზიდვით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ბიზნესთან, ფინანსებთან, რისკებთან და ტექნიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პოზიციებით.

საწყისი რგოლის პოზიციებისთვის ჩვენ გვაქვს სტაჟირების ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომელიც გვებმარება საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან საუკეთესო სტუდენტების მოზიდვაში. ერთწლიანი სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ, საუკეთესო კანდიდატებს ვთავაზობთ ფინანსების, რისკების, კორპორატიულ, მარკეტინგის, IT, მონაცემთა ანალიზის თუ სხვა დეპარტამენტში სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებას. ამასთან, ჩვენ აქტიური თანამშრომლობა დავინერგეთ ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებთან, ფრონტ ოფისში კურსდამთავრებულების საწყისი პოზიციებზე დასაქმებისთვის.

ჩვენ განვაგრძობთ ტალანტების განვითარების პროგრამებს საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის, რომელიც ორიენტირებულია მართვის უნარების გაძლიერებასა და ზრდის ხელშეწყობაზე. პროგრამა წამოვიწყეთ 2021 წელს, რომელიც უკვე წარმატებით გაიარა დაახლოებით 110-მა ადამიანმა. პროგრამის კურსდამთავრებულებისგან უაღრესად პოზიტიური შეფასებები მივიღეთ.



# საილუსტრაციო მაგალითი

„თიბისიში“ მუშაობა დავინწყე მოლარედ, მაგრამ დაინტერესებული ვიყავი კარიერის პროგრამირების მიმართულებით გაგრძელებით. თავისუფალ დროს, ონლაინ რესურსების გამოყენებით, ჩემით ვსწავლობდი პროგრამირების საფუძვლებს, თუმცა ვგრძნობდი, რომ მჭირდებოდა გამოცდილი მენტორის დახმარება.

სწორედ აქ მივიღე გადაწყვეტილება დავრეგისტრირებულიყავი საგანმანათლებლო პროგრამაზე „თიბისის IT აკადემიაში“. შერჩევის პროცესი რთული იყო, მაგრამ ბევრს ვმუშაობდი და შემარჩიეს პროგრამისთვის, რაც სრულად დააფინანსა „თიბისიმ“. ამ პროგრამამ შეუფასებელი ცოდნა და შესაძლებლობა მომცა დამეწყო კარიერა პროგრამირების მიმართულებით. ერთი წლის შემდეგ „თიბისის“ ტექნიკური გუნდის წევრი გავხდი და შემიძლია განვაგრძო პროფესიული ზრდა იმ სამსახურში, რომელსაც საინტერესოდ მივიჩნევ. გამოცდილებამ მიჩვენა, რომ წარმატებისთვის სიბეჭითე და ერთგულებაა საჭირო, ამასთან მნიშვნელოვანია ამის შესაძლებლობაც გვქონდეს. მაღლობელი ვარ „თიბისის“ ამ შესაძლებლობისთვის, რომ გამოვავლინო ჩემი პოტენციალი და კარიერული გზა ჩემი ინტერესების შესაბამისად წარვმართო.“

**გიორგი შენგელია**  
დეველოპერი „თიბისი ბანკში“

1 2022 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა შეაფასა ბანკის თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS).  
2 ფილიალის მენეჯერები, განყოფილებების და დეპარტამენტების ხელმძღვანელები და დირექტორები როგორც ჯგუფის, ასევე შვილობილ კომპანიებში.  
3 2022 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა შეაფასა ბანკის თანამშრომელთა ჩართულობის ინდექსი. ის განსაზღვრავს რამდენი თანამშრომელი მიიჩნევს თავს „თიბისი ბანკის“ ნაწილად.

სადაც უნდა იყოს თიბისი ბანკის ლოგო

## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი კოლეგები გაგრძელება

2019 წლიდან ჩვენ დავაფუძნეთ შიდა IT აკადემია, რომელიც ჩვენს ფრონტ-ენდ და ბექ-ენდ სამსახურების არსებულ და პოტენციურ თანამშრომლებს განვითარების კურსებს სთავაზობს. პროგრამა უფასოა შერჩეული კანდიდატებისთვის და მას უძღვებიან გამოცდილი თანამშრომლები და შესაბამისი სფეროების წამყვანი სპეციალისტები. დაფუძნების დღიდან ჩვენ 800-მდე ადამიანი გადავამზადეთ, ხოლო 290 მათგანი დავიქირავეთ.

ამასთან, „თიბისი აკადემია“, რომელიც 2011 წელს დაფუძნდა, კვლავ სთავაზობს ჩვენს თანამშრომლებს განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობას. 2022 წლის განმავლობაში სხვადასხვა კურსში მონაწილეობა მიიღო 1,200-ზე მეტმა თანამშრომელმა. აღნიშნული კურსები მოიცავდნენ ბიზნესის განვითარებას, საბანკო საქმეს, ცვლილების მართვას, ხელმძღვანელობას, ფინანსურ ანალიზსა და მრავალ სხვას. ჩვენს თანამშრომლებს ასევე ვთავაზობთ ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა გარე კურსზე დასასწრებად და ისეთი საერთაშორისო სერტიფიკატების მოსაპოვებლად, როგორებიცაა MBA, CFA, FRM, ACCA და სხვა.

ჩვენს თანამშრომლებს ანაზღაურების კონკურენტუნარიან პაკეტებს ვთავაზობთ, რაც ფიქსირებული ხელფასისგან, სამუშაოს შესრულებაზე დაფუძნებული ბონუსებისა და სოციალური პაკეტისგან შედგება. ბენეფიტები მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევას, კრიტიკული დაავადების და სიცოცხლის დაზღვევას, ანაზღაურებად ბიულეტენს, ასევე ექვსი თვის განმავლობაში სრულად ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებას. დამატებითი ბენეფიტები ასევე მოიცავს სოციალური დახმარების პაკეტს, ქორწინების, შვილის ყოლის და ოჯახის წევრის დახმარებას, ანაზღაურებად შვებულებას ყველა თანამშრომლისთვის და დამატებით ანაზღაურებად შვებულებას სამი ან მეტი შვილის მშობლებისთვის, ასევე სპეციალური სოციალური ანაზღაურება თანამშრომელთათვის, ვისაც ოთხი ან მეტი შვილი ჰყავს.

### სამუშაოს შესრულების მართვა

შესრულებული სამუშაოს ჩვენი ეფექტური მართვის სისტემის დახმარებით, ჩვენ ვზრდით თანამშრომელთა პროდუქტიულობას და ასევე ვაძლიერებთ უკუკავშირის კულტურას.

შესრულებული სამუშაოს ჩვენი მართვის სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯგუფის საერთო მიზნებთან და ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: გამჭვირვალობა, სამართლიანობა და კეთილსინდისიერება. ჩვენ ვზრუნავთ, რომ ჩვენი თანამშრომლები კარგად აცნობიერებდნენ თავიანთ როლს კომპანიაში და აქტიურად ისახავდნენ პირად მიზნებს. გუნდის ხელმძღვანელები მენტორობას უწევენ თანამშრომლებს და ეხმარებიან დასახული მიზნების მიღწევაში. რეგულარული უკუკავშირი და კონსტრუქციული დიალოგი სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და გათვალისწინებულია საშუალო რგოლის მენეჯერების შესრულების ძირითად მაჩვენებლებში (KPI).

ჩვენ ვიყენებთ შეფასების სხვადასხვა სისტემას ფრონტისა და არა-ფრონტის პერსონალთან, დაკავებული პოზიციების მიხედვით. ფრონტ-ოფისის თანამშრომლებისთვის ყოველთვიურად განისაზღვრება სამიზნეები და გაყიდვებისა და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის დონის მიხედვით განისაზღვრება წამახალისებელი ჯილდოები. საშუალო რგოლის მენეჯერები, ასევე ჩვენი არა-ფრონტ პერსონალი, რომლებსაც არ აქვთ კონტაქტი მომხმარებლებთან, ფასდება KPI-ითა და კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემით.

ამასთან, ჩვენ დანერგული გვაქვს 360-გრადუსიანი შეფასების სისტემა, რომელიც თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს უკუკავშირი მისი ხელმძღვანელისგან, კოლეგებისგან და დაქვემდებარებული პირებისგან. 360-გრადუსიანი უკუკავშირი ჩვენს თანამშრომლებს საშუალებას აძლევს გაიგონ, თუ როგორ აღიქმება მათ მიერ შესრულებული სამუშაო სხვების მიერ. ასევე ეხმარება მათ, უკეთ დაადგინონ ძლიერი და სუსტი მხარეები და განივითარონ ახალი უნარები. გარდა ამისა, 2022 წლის განმავლობაში ჩვენი თანამშრომლებისთვის უკუკავშირის რამდენიმე ეფექტური ტრენინგი ჩავატარეთ, რათა გაგვეძლიერებინა ორგანიზაციის შიგნით უკუკავშირის მიღებისა და გაცემის კულტურა.

### თანამშრომელთა ჩართულობა და მოტივაცია

ჩვენი მიზანია, შევქმნათ მხარდაჭერი და მამოტივირებელი სამუშაო კულტურა, რათა ჩვენს თანამშრომლებს შევუქმნათ მუშაობისა და განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობები და წავახალისოთ სამუშაოსა და ცხოვრების ჯანსაღი ბალანსი.

ჩვენი გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი ხელმძღვანელობა, თანამშრომლებთან რეგულარული კომუნიკაციის დახმარებით, განსაკუთრებულ როლს თამაშობენ კორპორაციული კულტურის და ღირებულებების ხელშეწყობაში. ისინი უზიარებენ მათ ჯგუფის სტრატეგიასა და მიღწევებს და, ამასთანავე, იღებენ უკუკავშირს.

ჩვენს მხარს ვუჭერთ ჩვენს თანამშრომლებს, ჩაერთონ როტაციებში და დაწინაურდნენ ჯგუფის შიგნით. თანაბარ პირობებში უპირატესობა შიდა კანდიდატს ენიჭება. 2022 წელს დაწინაურებისა და ჰორიზონტალური გადაცემის მაჩვენებელი ბანკისთვის დაახლოებით 30% იყო. კონკრეტული პოზიციებისთვის ჩვენ კარიერის განვითარების სპეციალური პროგრამა შევქმენით. ასევე, იმისთვის რომ მაღალ საფეხურზე მდგომ თანამშრომლებს ჰქონდეთ ცვლილებების შესაძლებლობები, აქტიურად ვმუშაობთ საკადრო რეზერვის გეგმის შემუშავებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენი გუნდის წევრების მიღწევების აღიარებას ჩვენი შიდა საკომუნიკაციო არხებით წარმატებული ისტორიების გაზიარების გზით. ამასთან, ჩვენ რამდენიმე შიდა ჯილდო გვაქვს თანამშრომლებს შორის მომსახურების კულტურის და მომხმარებლებზე ორიენტაციის ზრდის აღსანიშნავად.

ჩვენ ყურადღებით ვუსმენთ ჩვენს კოლეგებს და ვატარებთ ყოველწლიურ კვლევას მათი კმაყოფილების და ჩართულობის დონის განსაზღვრად. ჩვენი თანამშრომლების 78%-მა მიმდინარე წელს მონაწილეობა მიიღო კმაყოფილების დონის კვლევაში და შედეგად, ჩვენი თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი კვლავ მაღალი დარჩა 59%-ის<sup>1</sup> ოდენობით, რაც მცირედით შემცირდა 2021 წლის 66%-თან შედარებით, თუმცა ის მნიშვნელოვნად აღემატება ინდუსტრიაში არსებულ საშუალო მაჩვენებელ 47%-ს. კვლევის შედეგები გულდასმით ფასდება და წარედგინება ხელმძღვანელობასა და საბჭოს რათა დაიგეგმოს სამომავლო ქმედებები.

### მრავალფეროვნება და თანასწორობა

ჩვენი მიზანია წავახალისოთ მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზიურობა ჩვენს თანამშრომლებს შორის და აღმოვფხვრათ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი თანამშრომლების მრავალფეროვნებას ასაკის, სქესის, კანის ფერის, შეზღუდული შესაძლებლობების, ეთნიკურობის, ოჯახური მდგომარეობის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, ენის, ეროვნული წარმომავლობის, ფიზიკური და გონებრივი უნარების, პოლიტიკური შეხედულებების, რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის და სხვა მახასიათებლის განურჩევლად, რაც თითოეულ თანამშრომელს განსაკუთრებულს ხდის.

წელს განვაახლეთ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ინკლუზიურობის პოლიტიკა. პოლიტიკა ერთგვარი სახელმძღვანელოა და განსაზღვრავს მკაფიო მითითებებს მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფისთვის ჯგუფის მუშაობის ყველა ასპექტში, სამუშაო ადგილებსა და ფართო საზოგადოებაში. განახლებული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე: [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com).


ჩვენ მიზანია გვექონდეს გენდერულად დაბალანსებული სამუშაო ძალა და კულტურა, რომელიც მხარს უჭერს და აძლიერებს ქალებს. 2021 წელს, ბანკის დონეზე დავისახეთ მიზანი, 2023 წლისთვის გაგვეზარდა საშუალო რგოლის ხელმძღვანელ პოზიციაზე ქალთა რაოდენობა არსებული 36%-დან 40%-მდე. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის ბოლოსთვის უცვლელი დარჩა. 2023 წლიდან საშუალო რგოლის ხელმძღვანელების გაანგარიშებაში გათვალისწინებულია ეჭაილ მმართველობითი პოზიციები - პროდუქტის მფლობელები და სამსახურების ხელმძღვანელები, რათა აისახოს ორგანიზაციული ტრანსფორმაცია და სტრუქტურა ბანკის შიგნით. 2019 წელს „თიბისი“ პირველი კომპანია იყო საქართველოში, რომელმაც ეჭაილ სტრუქტურა დანერგა. ის ქმნის მეტად დინამიკურ სამუშაო გარემოს, ნერგავს ღია კულტურას და აძლიერებს ქალებს და მამაკაცებს სხვადასხვა პოზიციაზე. ეჭაილ სტრუქტურა განსხვავდება ტრადიციული საორგანიზაციო წყობისგან და ის დაფუძნებულია ჯვარედინად ფუნქციონირებად გუნდებზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ახლადკლასიფიცირებულ საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა 41%-ს ქალები შეადგენდნენ. შესაბამისად, ჩვენ დავაკორექტირეთ სამიზნეები საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა პოზიციებზე ქალთა წილის მიხედვით და 2023 წლისთვის 43% განვსაზღვრეთ, 2024 წლისთვის კი 45%. გარდა ამისა, 2022 წელს გავაფართოვეთ ჩვენი მიდგომა ჯგუფის კონკრეტული შვილობილი კომპანიების მიმართ და ESG სტრატეგიების ფარგლებში დავნერგეთ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური სამიზნეები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია მონაცემები ჯგუფის დონეზე.


<sup>1</sup> 2022 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელმა კონსულტანტმა შეაფასა ბანკის თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსი (ENPS).




სამეთვალყურეო საბჭო




აღმასრულებელი ხელმძღვანელობა



საშუალო რგოლის ხელმძღვანელები<sup>2</sup>




ყველა თანამშრომელი



ჩვენი კომპანია დაკომპლექტებულია როგორც მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანებით, ასევე ინოვაციური იდეებით აღჭურვილი ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომელთაც განათლება საქართველოსა და უცხოეთის ცნობილ უნივერსიტეტებში მიიღეს. ჩვენ ვთვლით, რომ ასაკობრივი მრავალფეროვნება ქმნის უფრო დინამიკურ და შესრულების მაღალ დონეზე ორიენტირებულ გუნდს, რომელიც საბოლოოდ უკეთეს შედეგებში აისახება.

ასაკობრივი მრავალფეროვნების სტატისტიკა 2022 წლისთვის



ეთიკის სტანდარტები, პასუხისმგებლიანი ქმედება და უსაფრთხო სამუშაო გარემო

„თიბისი ბანკის“ მიზანია მაღალ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული ბიზნესის წარმოება, რომელიც აფასებს, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, ზრუნავს გარემოსა და საზოგადოებაზე და მხარს უჭერს მის თანამშრომლებს, რათა ერთმანეთთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, იმოქმედონ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლიანად.

ამ მიზნით, რამდენიმე პოლიტიკა შევიმუშავეთ ჯგუფის დონეზე. ჩვენ მჭიდროდ ვაკონტროლებთ ამ მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული პოლიტიკები შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს IR ვებ-გვერდზე: [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com) და ისინი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- ეთიკის კოდექსი;
- ქცევის კოდექსი;
- მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პოლიტიკა;
- ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა;
- ინციდენტის მართვის პოლიტიკა (პოლიტიკა ანონიმური მხილების სისტემის შესახებ);
- მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა;
- მონაცემთა დაცვის გლობალური პოლიტიკა;
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა;
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა.

ამასთან, ბანკის დონეზე დავნერგეთ თანამშრომელთა დისკრიმინაციის, ძალადობისა და შევიწროების პოლიტიკა და ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა და ვგეგმავთ მათ გავრცელებას მთლიან ჯგუფში.

შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს თემატურ სატრენინგო სესიებს თანამშრომელთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, მათი სამუშაოს სპეციფიკაციების საფუძველზე, შემდეგ სფეროებში: კორუფციასთან და თაღლითობასთან ბრძოლა, ეთიკური საკითხები, ასევე ფულის გათეთრებასთან ბრძოლა და სანქციები. 2022 წლის განმავლობაში, დაახლოებით 6,700-მა თანამშრომელმა გაიარა აღნიშნული ტრენინგები. ამასთან, შიდა აუდიტის დეპარტამენტი ატარებს პერიოდულ აუდიტს ნებისმიერი დარღვევის ან შეუსაბამო ქცევის გამოსავლენად.

გარდა ამისა, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ სავალდებულო ტესტებს ბანკის ყველა თანამშრომლისთვის ცნობადობის ასამაღლებლად და ჩვენი შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების მნიშვნელობის გასაზრდელად. ეს საკითხები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი თემებით: უსაფრთხო სამუშაო გარემო, ქცევის კოდექსი და ეთიკის კოდექსი, მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხოება, ანონიმური მხილების სისტემა, გარემოსდაცვითი საკითხები, ინსაიდერული ინფორმაცია, კორუფცია, ფულის გათეთრებისა და საოპერაციო რისკები.

1 2022 წელს ჩვენ გვყავდა სამი ქალი არააღმასრულებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სანამ მარია ლუიზა ჩიკონიანი 2022 წლის სექტემბერში დატოვებდა სამეთვალყურეო საბჭოს. 2023 წლის თებერვალში ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ახალ ქალ არააღმასრულებელ წევრად დავნიშნეთ ჯანეთ ჰეკმანი. დანიშვნა დაადასტურა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის 21 აპრილს.

2 ჯგუფისა და შვილობილი საწარმოების ფილიალის მენეჯერები, განყოფილებების და დეპარტამენტების ხელმძღვანელები და დირექტორები.



# წარმატებული 30 წლის



# ადნიშვნა

დაასკანერეთ ვიდეოს საყურებლად

წელს 30 წლის იუბილა აღვნიშნავთ ჩვენს  
8,500 თანამშრომელთან ერთად წინააღმდეგობის გაშვებით

# ჩვენი საზოგადოება

იქიდან გამომდინარე, რომ ვართ სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკი საქართველოში, ჩვენ ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მივისწრაფით, შევუქმნათ უკეთესი მომავალი იმ საზოგადოებას, სადაც ჩვენ ვფუნქციონირებთ. ჩვენი მასშტაბური პროექტების ფართო სპექტრი მეტწილად ორიენტირებულია ბიზნესის, ახალგაზრდების, ქალების, კულტურისა და სპორტის მხარდაჭერაზე.

## MSME სანარმოების ბიზნესის განვითარების და მხარდაჭერის სახელისუფლო

„თიბისი“ ყოველთვის იყო სტარტაპებისა და MSME ბიზნესების აქტიური მხარდაჭერი. საქართველოში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარება. ის ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებასა და ეკონომიკურ ზრდას. ჩვენ ვეხმარებით ბიზნესებს როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური გზით, მათ შორის, კაპიტალზე წვდომის გამარტივებით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით და პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარებით, რომლებიც ბიზნესსაჭიროებებს ერგება. დეტალური ინფორმაცია ამ ინიციატივების შესახებ მოცემულია ჩვენს თავში MSME საბანკო მომსახურების შესახებ 40-45 გვერდებზე.

## ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერა

30-წლიანი ისტორიის მანძილზე, „თიბისი“ ყოველთვის უჭერდა მხარს ახალგაზრდა ნიჭიერ ხალხს, რომელთაგან ბევრი დღეს წარმატებული ხელოვანი, მეცნიერი და პროფესიონალია, რომლებიც ასევე გამოირჩევიან წარმატებული კარიერით სხვადასხვა სფეროში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. 2022 წელს „თიბისიმ“ განაგრძო ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერა შემდეგი ინიციატივებით:

- „თიბისის“ სტიპენდია უმსხვილესი კერძო სასტიპენდიო პროგრამაა სკოლის მოსწავლეებისთვის საქართველოში. 14 პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რომელიც ბავშვთა განათლებასა და განვითარებაშია სპეციალიზებული. „თიბისი“ ეძებს ნიჭიერ და მოტივირებულ მოსწავლეებს მთელი საქართველოს მასშტაბით და მათ სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერასა და განათლებისთვის ახალ შესაძლებლობებს. 2018 წლიდან, პროექტის გაშვებიდან დღემდე, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, სპორტსა და სოციალურ აქტივობაში სხვადასხვა ნიჭის მქონე 400-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.
- 2019 წლის შემდეგ „თიბისი ბანკის“ სპონსორობით გაიმართა თბილისის საერთაშორისო წიგნის ფესტივალი - უმსხვილესი ღონისძიება ქვეყნის საგამომცემლო სექტორში, რომელიც მწერლებს, გამომცემლებსა და მკითხველებს აერთიანებს. 2022 წელს „თიბისიმ“ განაგრძო ფესტივალის მხარდაჭერა და პარტნიორობა მთელი წლის განმავლობაში.
- საბუნებისმეტყველო, ტექნიკური მეცნიერებების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) განათლების მხარდაჭერა „თიბისის“ ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. გასული რვა წლის განმავლობაში „თიბისი“ საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის „ლეონარდო და ვინჩის“ ახალგაზრდა მკვლევარებისა და გამომგონებლების ყოველწლიური კონკურსის მთავარი პარტნიორია. კონკურსის მიზანია, დაეხმაროს სკოლის მოსწავლეებს, გამოავლინონ ნიჭი ტექნოლოგიურ სფეროებში და მათთვის ხელმისაწვდომი გახადოს სხვა დამატებითი საგანმანათლებლო შესაძლებლობები. „თიბისი ბანკი“ კონკურსს მარკეტინგულ მხარდაჭერას უწევს. ამისთვის გამოჰყოფს შესაბამის რესურსებს და აჯილდოვებს გამარჯვებულებს.
- „თიბისიმ“ ასევე დააფუძნა რამდენიმე აკადემია საქართველოში, რომლებიც უფასო განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს IT-ში, რისკების მართვასა და სხვა ბიზნეს სფეროებში დაინტერესებულ პირებს, რომელიც მონაწილეებს ასევე შესაძლებლობას აძლევს „თიბისიში“ დასაქმდნენ. ჩვენ ასევე განვაგრძობთ „თიბისი კემპის“ პროგრამას, რომელიც 2019 წელს წამოვიწყეთ და ის მეოთხე კურსზე მყოფი ფინანსური მიმართულების სტუდენტებისთვის „საბირჟო პრეზენტაციების კონკურსს“ მოიცავს. ეს კონკურსი რამდენიმე

უნივერსიტეტის სასწავლო კურსშია ინტეგრირებული და მოიცავს ინტენსიურ ონლაინ ლექციებს, ტრენინგებს და რეალური საინვესტიციო სიტუაციის მომზადებას. მიღებული მასალები უიურის წარედგინება, ხოლო შერჩეული გუნდები სპეციალურ პრიზებს იღებენ.

## თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ქალებისთვის

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობას საზოგადოების სხვადასხვა წევრისთვის. ამ მიმართულებით რამდენიმე ინიციატივა წამოვიწყეთ, რომელიც მხარს უჭერს ქართველი ქალების განათლებისა და კარიერის განვითარებას:

- „თიბისი „Grace Hopper Award“-ის პარტნიორია, რომელიც USAID-მა და UN Women-მა დააფუძნეს საქართველოში. ეს ჯილდო აღიარებს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შენატანილ წვლილს, რომლებიც აძლიერებენ ქალებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინდუსტრიის მიმართულებით და დადებით გავლენას ახდენს სექტორზე.
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც გენდერული პრობლემების აღმოფხვრისკენაა მიმართული, არის „500 ქალი ტექნოლოგიებში“, რომელიც შემუშავებულია თბილისის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან, UN Women-სა და ნორვეგიის მთავრობასთან თანამშრომლობით. პროგრამა, რომელიც 18 თვეს მიმდინარეობს ქალ კანდიდატებს შემდეგი პროფესიების დაუფლების შესაძლებლობას აძლევს: ფრონტ-ენდ და ბექ-ენდ განვითარება, მომხმარებელთა გამოცდილება და გრაფიკული დიზაინი, ციფრული მარკეტინგი და პროდუქტის ტესტირება.

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

იმ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და უფრო ფართო საზოგადოებაში პოპულარიზაცია, რომელშიც ჩვენ ვფუნქციონირებთ ძალიან მნიშვნელოვანია „თიბისისთვის“. ამასთან ერთად, განსახილველ წელს ჩვენ განვაგრძეთ შემდეგი მნიშვნელოვანი ინიციატივა:

- 2022 წელს „თიბისიმ“ ლიტერატურული ჯილდოს „საბა“ 20 წლის იუბილე აღნიშნა. ეს კონკურსი „თიბისიმ“ დააფუძნა და ის უმსხვილესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღონისძიებაა საქართველოში. ყოველ წელს სხვადასხვა კატეგორიის გამარჯვებულები ჯილდოს სახით 50,000 ლარამდე თანხას იღებდნენ. ამასთან, „საბამ“ კიდევ ერთი იუბილე აღნიშნა 2022 წელს: 10 წელი „საბას“ ონლაინ წიგნის მაღაზიის - [www.saba.com.ge](http://www.saba.com.ge) დაფუძნებიდან. საიტი 7,000-მდე წიგნს მოიცავს, რომლებიც ხელმისაწვდომია მარტივად გამოსაყენებელი მობილური აპლიკაციის საშუალებით, სადაც მკითხველებს შეუძლიათ წიგნის არჩევა შესაბამის ფასად. [www.saba.com.ge](http://www.saba.com.ge) ქართულ ენაზე წარმოდგენილი უმსხვილესი ონლაინ ბიბლიოთეკაა.

## სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა

სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერაც „თიბისის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით 2022 წელს რამდენიმე ინიციატივა განვახორციელეთ:

- 2015 წლიდან „თიბისი“ წარმოადგენს საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურ სპონსორს. წელს ეს პარტნიორობა დამატებით 5 წლით, 2027 წლამდე გავახანგრძლივეთ. რაგბი საქართველოს ეროვნული თამაშია და იგი ქართველების გულთან ახლოსაა. ჩვენ ვამაყობთ, რომ წვლილი შეგვაქვს საქართველოში რაგბის განვითარებაში და ჩვენი მიზანია მხარი დაუჭიროთ ჩვენი რაგბის გუნდს და განვახორციელოთ სხვადასხვა პროექტი სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის.
- 2022 წლის ბოლოს „თიბისიმ“ გააფორმა პარტნიორული შეთანხმება საქართველოს სათხილამურო ფედერაციასთან ბაკურიანში 2023 წლის ფრისტილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე. ჩემპიონატი გაგრძელდება სამი კვირის განმავლობაში 2023 წელს, საიდანაც შემდეგ სარგებლებს ველოდებით: ინფრასტრუქტურის განვითარება, პროფესიონალების და გულშემატკივრების მოზიდვა მთელი მსოფლიოდან, ასევე ქართველთა შორის სპორტის ამ სახეობების პოპულარიზაცია.

## უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ „თიბისიმ“ დააფუძნა ფონდი 200,000 ლარი ოდენობით საწყისი თანხით და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მოუწოდა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ფულადი დონაციების გაღება. მთლიანობაში, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა 1,800,000 ლარზე მეტს მოუყარეს თავი და გადაურციხეს უკრაინის ეროვნულ ბანკს. წლის მეორე ნახევარში და საქართველოში ომს გამოქცეული უკრაინელთა დიდი რაოდენობის საპასუხოდ, „თიბისიმ“ სახსრები მიმართა ქართული ორგანიზაციებისკენ, რომლებიც საქართველოში უკრაინელებს ეხმარებიან. ჩვენ განვაგრძობთ უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას 2023 წელსაც, რათა დავხმარებთ მათ უსამართლო ომით გამოწვეული გაჭირვების შემსუბუქებაში.

როგორ ვქმნით ღირებულებას  
ჩვენი საზოგადოება გაგრძელება

ჩვენი ეს ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ჩვენ მოვიპოვეთ „კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2022“ კატეგორიაში „SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები უკრაინის დასახმარებლად“. „კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო“ ყოველწლიურად იმართება „Global Compact Network Georgia“, შვედეთის მთავრობის და „USAID Civil Society Engagement Program“-ის მხარდაჭერით.

„კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2022“ კატეგორიაში „SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები უკრაინის დასახმარებლად“.



# საქართველოს რაგბის კავშირის გენერალური სპონსორია "თიბისი"

ჩვენ ვამაყობთ, რომ წვლილი შეგვაქვს საქართველოში რაგბის განვითარებაში და ჩვენი მიზანია მხარი დავუჭიროთ ჩვენი რაგბის გუნდს და განვახორციელოთ სხვადასხვა პროექტები სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის.

# ფინანსური მიმოხილვა

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### მოგება-ზარალის ანგარიშების ძირითადი მაჩვენებლები

ათას ლარში	2022	2021	ცვლილება ნ/ნ
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,243,095	995,792	24.8%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	265,650	224,887	18.1%
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი	437,644	177,229	NMF
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>	<b>1,946,389</b>	<b>1,397,908</b>	<b>39.2%</b>
სულ საკრედიტო ზარალის (რეზერვი)/აღდგენა	(115,507)	21,034	NMF
ზარალი ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიკაციებიდან	-	(1,726)	NMF
საოპერაციო ხარჯები	(560,982)	(454,993)	23.3%
<b>წმინდა მოგება გადასახადით დაბეგრამდე</b>	<b>1,269,900</b>	<b>962,223</b>	<b>32.0%</b>
მოგების გადასახადი <sup>1</sup>	(246,825)	(119,278)	NMF
<b>წმინდა მოგება</b>	<b>1,023,075</b>	<b>842,945</b>	<b>21.4%</b>

### საბალანსო უწყისის და კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები

ათას ლარში	31-დეკ-22	31-დეკ-21	ცვლილება ნ/ნ
სულ აქტივები	28,329,010	24,039,512	17.8%
სულ სესხები	17,857,276	16,954,553	5.3%
მომხმარებელთა დეპოზიტები	17,841,357	14,884,145	19.9%
სულ კაპიტალი	4,265,802	3,590,055	18.8%
ძირითადი პირველადი კაპიტალი (Basel III)	3,333,039	2,759,894	20.8%
პირველადი კაპიტალი (Basel III)	3,873,439	3,379,414	14.6%
სულ კაპიტალი (Basel III)	4,516,525	4,102,927	10.1%
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (Basel III)	21,508,072	20,217,629	6.4%

## ძირითადი APM-ები<sup>2</sup>

	2022	2021	ცვლილება ნ/ნ
უკუგება კაპიტალზე (ROE) <sup>1</sup>	26.0%	26.3%	-0.3 pp
უკუგება აქტივებზე (ROA) <sup>1</sup>	4.0%	3.7%	0.3 pp
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.9%	5.0%	0.9 pp
ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა	28.8%	32.5%	-3.7 pp
რისკის ხარჯი	0.6%	-0.3%	0.9 pp
უმოქმედო სესხები (NPL) მთლიან სესხებთან	2.2%	2.4%	-0.2 pp
უმოქმედო სესხების (NPL) რეზერვების დაფარვის კოეფიციენტი	92.1%	99.2%	-7.1 pp
სულ უმოქმედო სესხების დაფარვის (NPL) კოეფიციენტი	155.1%	174.6%	-19.5 pp
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	15.5%	13.7%	1.8 pp
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	18.0%	16.7%	1.3 pp
მთლიანი საზედამხებდველო კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	21.0%	20.3%	0.7 pp
ლევერიჯი (ჯერადი)	6.6x	6.7x	-0.1x

### წმინდა საპროცენტო შემოსავალი

2022 წელს წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 1,243.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24.8%-ით გაიზარდა.

საპროცენტო შემოსავლის 356.7 მილიონი ლარით, ან 19.1%-ით ზრდა წინა წელთან შედარებით მეტწილად უკავშირდება სესხებიდან საპროცენტო შემოსავლის ზრდას, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება შესაბამისი პორტფელის 902.7 მილიონი ლარით, ან 5.3%-ით ზრდას, ისევე როგორც 1.0 pp-იან მატებას შესაბამის განაკვეთებში.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საპროცენტო ხარჯი 109.4 მილიონი ლარით, ან 12.6%-ით გაიზარდა, რაც მეტწილად უკავშირდება სადეპოზიტო პორტფელში 2,957.2 მილიონი ლარით, ან 19.9%-ით ზრდასა და დეპოზიტებზე 0.2 pp-ით გაზრდილ ხარჯს.

შედეგად, წმინდა საპროცენტო მარჟამ (NIM) სრული 2022 წლისთვის 5.9% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0.9 pp-ით არის გაიზარდილი.

ათას ლარში	2022	2021	ცვლილება ნ/ნ
საპროცენტო შემოსავალი	2,219,781	1,863,077	19.1%
საპროცენტო ხარჯი*	(976,686)	(867,285)	12.6%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,243,095	995,792	24.8%
<b>წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)</b>	<b>5.9%</b>	<b>5.0%</b>	<b>0.9 pp</b>

\* საპროცენტო ხარჯი მოიცავს წმინდა საპროცენტო შემოსულობებს სავალუტო სვოპებიდან

1 მოიცავს 112.9 მილიონი ლარის ოდენობით ერთჯერად საგადასახადო ხარჯს, რაც განაპირობა საქართველოში ფინანსური ინსტიტუტების დაბეგრის კორპორაციულ მოდელში ცვლილებამ.

2 დეტალური ინფორმაცია APM-ების შესახებ მოცემულია გვერდებზე 308-314.

**არასაპროცენტო შემოსავალი**

2022 წლის განმავლობაში მთლიანმა არასაპროცენტო შემოსავალმა 703.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 74.9%-ით გაიზარდა.

წმინდა საკომისიო შემოსავალი 18.1%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც უკავშირდება წლის განმავლობაში გადახდის ტრანზაქციების გაზრდილ რაოდენობასა და გაზრდილ ბიზნეს აქტივობებს.

წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სამზე მეტჯერ გაიზარდა, რაც მეტწილად უკავშირდება ტრანზაქციების მაღალ მოცულობას და უფრო ფართო სპრედებს.

კლება სხვა საოპერაციო შემოსავალში უკავშირდება 2021 წელს 26.3 მილიონი ლარის ოდენობის ერთჯერად შემოსავალს, რომელიც უკავშირდება ჩვენი საინვესტიციო ქონების გაყიდვას.

ათას ლარში	2022	2021	ცვლილება წ/წ
წმინდა საკომისიო შემოსავალი	265,650	224,887	18.1%
წმინდა შემოსულობა ვალუტის გაუფასურებიდან, უცხოურ ვალუტაში გადაყვანის ოპერაციებიდან და კონვერტაციიდან	411,806	124,194	NMF
სხვა საოპერაციო შემოსავალი	25,838	53,035	-51.3%
<b>სულ სხვა არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>703,294</b>	<b>402,116</b>	<b>74.9%</b>

**საკრედიტო ბარალის რეზერვი**

სამომხმარებლო სესხებზე საკრედიტო ბარალის რეზერვმა 2022 წლის განმავლობაში 105.2 მილიონი ლარი შეადგინა, რომელიც შესაბამისად გარდაიქმნა 0.6%-იან რისკის ხარჯში.

ათას ლარში	2022	2021	ცვლილება წ/წ
სამომხმარებლო სესხებზე საკრედიტო ბარალის (რეზერვი)/ აღდგენა	(105,247)	43,176	NMF
საკრედიტო ბარალის რეზერვი სხვა ოპერაციებისთვის	(10,260)	(22,142)	-53.7%
<b>სულ საკრედიტო ბარალის (რეზერვი)/აღდგენა</b>	<b>(115,507)</b>	<b>21,034</b>	<b>NMF</b>
<b>საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო ბარალის რეზერვის და არაფინანსური აქტივების გაუფასურების შემდეგ</b>	<b>1,830,882</b>	<b>1,418,942</b>	<b>29.0%</b>
<b>რისკის ხარჯი</b>	<b>0.6%</b>	<b>-0.3%</b>	<b>0.9 pp</b>

**საოპერაციო ხარჯები**

2022 წლის განმავლობაში ჩვენი საოპერაციო ხარჯები 23.3%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

2022 წლის განმავლობაში საოპერაციო ხარჯების წლიურ ზრდაზე მეტწილად მოქმედებდა როგორც ბიზნესის გაფართოების გამო პერსონალის გაზრდილი ხარჯები, ასევე შესრულების მაღალ მაჩვენებლებთან დაკავშირებული ხარჯები. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების ზრდა ძირითადად უკავშირდებოდა ჩვენს IT ინვესტიციებსა და ბიზნესის განვითარებას.

ჩვენი ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 2022 წლისთვის 28.8% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3.7 pp-ით არის შემცირებული.

ათას ლარში	2022	2021	ცვლილება წ/წ
<b>საოპერაციო ხარჯები</b>			
პერსონალის ხარჯები	(306,526)	(255,747)	19.9%
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	(2,000)	-	NMF
ცვეთა და ამორტიზაცია	(85,108)	(70,622)	20.5%
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(167,348)	(128,624)	30.1%
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>(560,982)</b>	<b>(454,993)</b>	<b>23.3%</b>
<b>ხარჯის შემოსავლებთან თანაფარდობა</b>	<b>28.8%</b>	<b>32.5%</b>	<b>-3.7 pp</b>

**წმინდა მოგება**

2022 წელი მომგებიანი იყო და წმინდა მოგებამ 1,023.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21.4%-ით იყო გაზრდილი. აღნიშნულზე გავლენა მოახდინა შემოსავლის გენერირებამ როგორც საპროცენტო, ასევე არასაპროცენტო წყაროებიდან. შედეგად, ჩვენმა უკუგებამ კაპიტალზე (ROE) 26.0% შეადგინა.

2022 წელს ჩვენი მოგების გადასახადის ხარჯები გაიზარდა და წლის ბოლოსთვის 246.8 მილიონი ლარი შეადგინა. ზრდა უკავშირდება საქართველოში საგადასახადო მოდელის ცვლილებას. აღნიშნულ ცვლილებას პირდაპირი, 112.9 მილიონიანი ლარის ოდენობის, გავლენა ჰქონდა მოგების გადასახადზე.

ერთჯერადი საგადასახადო ხარჯის გარეშე, ჩვენი წმინდა მოგება და უკუგება კაპიტალზე (ROE) იქნებოდა 1,136.0 მილიონი ლარი და 28.8%, შესაბამისად.

ათას ლარში	2022	2021	ცვლილება წ/წ
<b>ბარალი ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიკაციებიდან</b>	<b>-</b>	<b>(1,726)</b>	<b>NMF</b>
<b>წმინდა მოგება გადასახადით დაბეგვრამდე</b>	<b>1,269,900</b>	<b>962,223</b>	<b>32.0%</b>
მოგების გადასახადი	(246,825)	(119,278)	NMF
<b>წმინდა მოგება</b>	<b>1,023,075</b>	<b>842,945</b>	<b>21.4%</b>
<b>უკუგება კაპიტალზე (ROE)</b>	<b>26.0%</b>	<b>26.3%</b>	<b>-0.3 pp</b>
<b>უკუგება აქტივებზე (ROA)</b>	<b>4.0%</b>	<b>3.7%</b>	<b>0.3 pp</b>

**დაფინანსება და ლიკვიდურობა**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), რომელიც განსაზღვრულია სებ-ის მიხედვით 146.6% იყო, რაც მინიმალურ ლიმიტს - 100%-ს აღემატება, ხოლო ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ლარში და უცხოურ ვალუტაში 164.2% და 135.9% იყო, შესაბამისად მინიმალურ ლიმიტებზე - 75%-სა და 100%-ზე მაღალია.

იმავე პერიოდში, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) 135.3% იყო, რაც აღემატება 100%-იან მინიმალურ ლიმიტს.

ათას ლარში	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	ცვლილება წ/წ
მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	0.0 pp
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	135.3%	127.3%	8.0 pp
წმინდა სესხები დეპოზიტებთან + IFI დაფინანსება	87.7%	101.3%	-13.6 pp
ლევერიჯი (ჯერადი)	6.6x	6.7x	-0.1x
მინიმალური მთლიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	0.0 pp
მინიმალური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	75%	75.0%	0.0 pp
მინიმალური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	100.0%	100.0%	0.0 pp
მთლიანი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR), განსაზღვრული სებ-ის მიერ	146.6%	115.8%	30.8 pp
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ლარში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	164.2%	107.7%	56.5 pp
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) უცხოურ ვალუტაში, განსაზღვრული სებ-ის მიერ	135.9%	120.8%	15.1 pp

**საზედამხედველო კაპიტალი**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი ძირითადი პირველადი (CET1), პირველადი (Tier 1) და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები იყო 15.5%, 18.0% და 21.0%, შესაბამისად. ისინი მარეგულირებელ მოთხოვნებს აღემატებოდნენ 3.9%, 4.2%-ითა და 3.7%-ით.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ძირითად პირველადი (CET1), პირველადი (Tier 1) და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტების ზრდაზე შეტანილად იმოქმედა წმინდა მოგების დაგენერირებამ და ადგილობრივი ვალუტის გამყარებამ, რაც ნაწილობრივ გაიქვითა 2021 წლის საბოლოო და 2022 წლის შუალედური მოგების დივიდენდებით.

ათას ლარში	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	ცვლილება წ/წ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	3,333,039	2,759,894	20.8%
პირველადი კაპიტალი	3,873,439	3,379,414	14.6%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	4,516,525	4,102,927	10.1%
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	21,508,072	20,217,629	6.4%
მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	11.6%	11.7%	-0.1 pp
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.5%	13.7%	1.8 pp
მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	13.8%	14.0%	-0.2 pp
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	18.0%	16.7%	1.3 pp
მინიმალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	17.3%	18.4%	-1.1 pp
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	21.0%	20.3%	0.7 pp

**საკრედიტო პორტფელი**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენმა მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 17,857.3 მილიონ ლარს, რაც 5.3%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით, ან 14.0% უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია 6.6 pp-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, რამაც მთლიანი სესხების 47.1% შეადგინა. უცვლელი კურსის პირობებში, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი სესხების პროპორცია 2.5 pp-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, რამაც 51.2% შეადგინა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი საბაზრო წილი მთლიან სესხებში 39.5% იყო, რაც წინა წელთან შედარებით 0.7 pp-ით გაიზარდა. ჩვენი სასესხო ბაზრის წილი იურიდიულ პირებში 40.8% იყო, რაც წინა წელთან შედარებით 1.7 pp-ით გაიზარდა, ხოლო ჩვენი სასესხო ბაზრის წილი ფიზიკურ პირებში 38.4% იყო, რაც წინა წელთან შედარებით 0.2 pp-ით შემცირდა.

ათას ლარში	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	ცვლილება წ/წ
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>			
<b>საცალო</b>	<b>6,765,392</b>	<b>6,265,507</b>	<b>8.0%</b>
- საცალო სესხები ლარში	4,374,223	3,580,468	22.2%
- საცალო სესხები უცხოურ ვალუტაში	2,391,169	2,685,039	-10.9%
<b>კორპორაციული და საინვესტიციო ბიზნესი (CIB)</b>	<b>6,282,469</b>	<b>6,547,741</b>	<b>-4.1%</b>
- CIB სესხები ლარში	2,435,737	2,188,776	11.3%
- CIB სესხები უცხოურ ვალუტაში	3,846,732	4,358,965	-11.8%
<b>მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)</b>	<b>4,809,415</b>	<b>4,141,305</b>	<b>16.1%</b>
- MSME სესხები ლარში	2,627,760	2,082,204	26.2%
- MSME სესხები უცხოურ ვალუტაში	2,181,655	2,059,101	6.0%
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>	<b>17,857,276</b>	<b>16,954,553</b>	<b>5.3%</b>

FC ნიშნავს უცხოურ ვალუტას

	2022	2021	ცვლილება წ/წ
<b>სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>11.2%</b>	<b>10.2%</b>	<b>1.0 pp</b>
- სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	15.5%	15.1%	0.4 pp
- სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	7.0%	6.5%	0.5 pp
<b>საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>12.6%</b>	<b>11.5%</b>	<b>1.1 pp</b>
- საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	16.3%	16.1%	0.2 pp
- საცალო სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.5%	6.1%	0.4 pp
<b>კორპორაციული (CIB) სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>9.8%</b>	<b>9.0%</b>	<b>0.8 pp</b>
- CIB სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	14.1%	13.7%	0.4 pp
- CIB სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	7.6%	7.0%	0.6 pp
<b>მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) სესხების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>11.1%</b>	<b>10.2%</b>	<b>0.9 pp</b>
- MSME სესხების ეფექტური განაკვეთი ლარში	15.1%	14.9%	0.2 pp
- MSME სესხების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	6.4%	6.0%	0.4 pp

FC ნიშნავს უცხოურ ვალუტას

**საკრედიტო პორტფელის ხარისხი**

წინა წელთან შედარებით, მთლიანი Par 30-მა (30 დღით ვადაგადაცილებული სესხები) სტაბილური დონე შეინარჩუნა და 2.0% შეადგინა, ხოლო მთლიანი NPL 0.2 pp-ით გაუმჯობესდა და 2.2% აჩვენა.

0.4 pp-იან ზრდაზე საცალო სეგმენტის Par 30-ში იმოქმედა არაუზრუნველყოფილმა სამომხმარებლო პორტფელმა, ხოლო Par 30-ის 0.9 pp-ით გაუმჯობესება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) სეგმენტში მეთნით უკავშირდება მცირე და საშუალო საწარმოების (SME) ქვე-სეგმენტს. Par 30 კორპორაციული და საინვესტიციო ბიზნესისთვის (CIB) სტაბილური დარჩა.

წლის ბოლოსთვის, მთლიანი პორტფელის უმოქმედო სესხების კოეფიციენტი მცირედ გაუმჯობესდა 0.2 pp-ით, ამასთან, გაუმჯობესებები დაფიქსირდა ყველა სეგმენტში.

Par 30	31-დეკ-22	31-დეკ-21	ცვლილება ნ/წ
საცალო	2.6%	2.2%	0.4 pp
კორპორაციული და საინვესტიციო ბანკი (CIB)	0.5%	0.6%	-0.1 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	3.1%	4.0%	-0.9 pp
<b>სულ სესხები</b>	<b>2.0%</b>	<b>2.0%</b>	<b>0.0 pp</b>

უმოქმედო სესხები (NPL)	31-დეკ-22	31-დეკ-21	ცვლილება ნ/წ
საცალო	2.2%	2.5%	-0.3 pp
კორპორაციული და საინვესტიციო ბანკი (CIB)	1.3%	1.4%	-0.1 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	3.4%	4.0%	-0.6 pp
<b>სულ სესხები</b>	<b>2.2%</b>	<b>2.4%</b>	<b>-0.2 pp</b>

უმოქმედო სესხების (NPL) დაფარვის კოეფიციენტი	31-დეკ-22		31-დეკ-21	
	რეზერვების დაფარვა	მთლიანი დაფარვა	რეზერვების დაფარვა	მთლიანი დაფარვა
საცალო	147.8%	192.1%	157.0%	222.7%
კორპორაციული და საინვესტიციო ბანკი (CIB)	57.9%	119.9%	56.8%	126.4%
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	58.8%	139.2%	68.0%	155.5%
<b>სულ</b>	<b>92.1%</b>	<b>155.1%</b>	<b>99.2%</b>	<b>174.6%</b>

**რისკის ხარჯი**

2022 წელს რისკის ხარჯმა დარეგულირება დაიწყო, 2021 წლის მნიშვნელოვანი აღდგენების შემდეგ და 0.6% შეადგინა.

რისკის ხარჯი	2022	2021	ცვლილება ნ/წ
საცალო	1.4%	0.4%	1.0 pp
კორპორაციული და საინვესტიციო ბანკი (CIB)	0.0%	-1.0%	1.0 pp
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)	0.4%	-0.2%	0.6 pp
<b>სულ</b>	<b>0.6%</b>	<b>-0.3%</b>	<b>0.9 pp</b>

**სადეპოზიტო პორტფელი**

მთლიანმა სადეპოზიტო პორტფელმა 17,841.4 მილიონი ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 19.9%-ით გაიზარდა, ან 30.2%-ით უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების პროპორცია 9.1 pp-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, რამაც მთლიანი დეპოზიტების 53.7% შეადგინა. უცვლელი სავალუტო კურსის პირობებში, დეპოზიტების პროპორცია 5.5 pp-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი დეპოზიტების 57.3% აღრიცხა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი საბაზრო წილი დეპოზიტებში შეადგენდა 40.3%, რომელიც შემცირდა 0.1 pp-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო ჩვენი საბაზრო წილი იურიდიული პირების დეპოზიტებში შეადგენდა 42.9%-ს, რომელიც შემცირდა 2.4 pp-ით იმავე პერიოდში. ჩვენი ბაზრის წილი ფიზიკური პირების დეპოზიტებში 38.1% იყო, რაც წინა წელთან შედარებით 2.2 pp-ით შემცირდა.

ათას ლარში	31-დეკ-22	31-დეკ-21	ცვლილება ნ/წ
<b>მომხმარებელთა დეპოზიტები</b>			
<b>საცალო</b>	<b>6,536,649</b>	<b>5,629,823</b>	<b>16.1%</b>
- საცალო დეპოზიტები ლარში	1,905,377	1,492,325	27.7%
- საცალო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	4,631,272	4,137,498	11.9%
<b>კორპორაციული და საინვესტიციო ბიზნესი (CIB)</b>	<b>9,133,452</b>	<b>7,378,552</b>	<b>23.8%</b>
- CIB დეპოზიტები ლარში	5,045,557	2,970,310	69.9%
- CIB დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	4,087,895	4,408,242	-7.3%
<b>მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)</b>	<b>1,758,814</b>	<b>1,564,150</b>	<b>12.4%</b>
- MSME დეპოზიტები ლარში	905,500	761,493	18.9%
- MSME დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	853,314	802,657	6.3%
<b>სულ მომხმარებელთა დეპოზიტები*</b>	<b>17,841,357</b>	<b>14,884,145</b>	<b>19.9%</b>

\* სულ მომხმარებელთა დეპოზიტები მოიცავს ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტებს 412 მილიონი ლარის და 312 მილიონი ლარის ოდენობით 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

FC ნიშნავს უცხოურ ვალუტას



	2022	2021	ცვლილება წ/წ
<b>დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>3.6%</b>	<b>3.4%</b>	<b>0.2 pp</b>
- დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	7.7%	6.7%	1.0 pp
- დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	0.9%	1.5%	-0.6 pp
<b>საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>2.0%</b>	<b>2.2%</b>	<b>-0.2 pp</b>
- საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	5.6%	4.9%	0.7 pp
- საცალო დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	0.7%	1.3%	-0.6 pp
<b>კორპორაციული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>4.8%</b>	<b>4.3%</b>	<b>0.5 pp</b>
- კორპორაციული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	9.5%	8.5%	1.0 pp
- კორპორაციული დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	1.2%	2.0%	-0.8 pp
<b>მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი</b>	<b>0.7%</b>	<b>0.8%</b>	<b>-0.1 pp</b>
- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი ლარში	1.2%	1.4%	-0.2 pp
- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	0.2%	0.2%	0.0 pp

**APMS**

APMs (ყოველთვიური საშუალოს საფუძველზე)

	2022	2021
<b>მომგებიანობის კოეფიციენტები:</b>		
უკუგება კაპიტალზე (ROE) <sup>1</sup>	26.0%	26.3%
უკუგება აქტივებზე (ROA) <sup>1</sup>	4.0%	3.7%
ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა	28.8%	32.5%
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.9%	5.0%
სესხების ეფექტური განაკვეთი	11.2%	10.2%
დეპოზიტების ეფექტური განაკვეთი	3.6%	3.4%
დაფინანსების ხარჯი	4.6%	4.4%
<b>აქტივის ხარისხი და პორტფელის კონცენტრაცია:</b>		
რისკის ხარჯი (CoR)	0.6%	-0.3%
PAR 90 მთლიან სესხებთან	1.2%	1.2%
უმოქმედო სესხები (NPL) მთლიან სესხებში	2.2%	2.4%
უმოქმედო სესხების (NPL) რეზერვების დაფარვის კოეფიციენტი	92.1%	99.2%
მთლიანი უმოქმედო სესხების (NPL) დაფარვის კოეფიციენტი	155.1%	174.6%
საკრედიტო ზარალის დონე მთლიან სესხებზე	2.0%	2.4%
დაკავშირებული მხარის სესხები მთლიან სესხებში	0.1%	0.1%
მთლიანი პორტფელის ტოპ-10 მსესხებელი	5.4%	6.9%
მთლიანი პორტფელის ტოპ-20 მსესხებელი	8.5%	10.6%
<b>კაპიტალის და ლიკვიდობის პოზიციები:</b>		
წმინდა სესხები დეპოზიტებზე + IFI* დაფინანსება	87.7%	101.3%
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)	135.3%	127.3%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR)	146.6%	115.8%
ლევერიჯი (ჯერადი)	6.6x	6.7x
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	15.5%	13.7%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	18.0%	16.7%
მთლიანი საზედამხებდველო კაპიტალის კოეფიციენტი (Basel III)	21.0%	20.3%

\* საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები

დეტალური ინფორმაცია APM-ების შესახებ მოცემულია გვერდებზე 308-314.

1 მოიცავს 112.9 მილიონი ლარის ოდენობით ერთჯერად საგადასახადო ხარჯს, რაც განაპირობა საქართველოში ფინანსური ინსტიტუტების დაბეგრის კორპორაციულ მოდელში ცვლილებამ.

# რისკების მართვა

## ბიზნისი

ჯგუფში მოქმედებს ბიზნისზე ორიენტირებული რისკის მართვის მძლავრი და დამოუკიდებელი სისტემა. მისი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს რისკის გათვალისწინებით შეფასებული უკუგების მდგრადობას რისკის მართვის ეფექტური სისტემის მეშვეობით. მიზნების უკეთ მისაღწევად ჯგუფი იყენებს რისკის მართვის ოთხ ძირითად პრინციპს:


- რისკების გამჭვირვალედ მართვა ურთიერთგაგებისა და ნდობის მოსაპოვებლად. რისკთან დაკავშირებული პროცესებისა და პოლიტიკის თანამიმდევრულობა და გამჭვირვალობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ნდობის მოპოვების წინაპირობაა. რისკის მიზნებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების კომუნიკაცია მმართველ ორგანოებთან და ანგარიშვალდებულების ფარგლებში სრულყოფილი რეაგირება რისკის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ძირითადი პრიორიტეტებია;
- რისკების გონივრული მართვა ზრდისა და მდგრადობის ხელშესაწყობად. რისკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს ჯგუფის დაცვას გადაჭარბებული რისკებისგან; კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და მძლავრი, მომავალზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტები და გადანყვეტილებები უზრუნველყოფს ჯგუფის მდგრადობას;
- რისკის მართვის მეშვეობით სტრატეგიის გაძლიერების უზრუნველყოფა. რისკების იდენტიფიცირებით და მართვით მიზნების მიღწევის შესაძლებლობების შექმნა რისკის მართვაში ჩართული თანამშრომლების მიერ. რისკების იდენტიფიცირება და ადეკვატური ფასდადება, ასევე რისკის მიტიგაციის კენ მიმართული ქმედებების განხორციელება, უზრუნველყოფს ჯგუფის დასახული მიზნების განხორციელებას და მიზნობრივ უკუგებას;
- რისკის მართვისა და რისკებზე დაფუძნებული გადანყვეტილების მიღების მეთოდების გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. სრულყოფილი, გამჭვირვალე და გონივრული რისკის მართვა ხელს უწყობს სხვადასხვა ჩართული მხარის მაღალ სანდოობას, ჯგუფის გრძელვადიან, მდგრად განვითარებას, რისკის მართვის სისტემის კონკურენტულ უპირატესობად და სტრატეგიულ ინსტრუმენტად ქცევას.

## რისკის მართვის სტრატეგია

ჯგუფის რისკის მართვის სისტემა მოიცავს რისკის მართვისათვის საჭირო ყველა აუცილებელ კომპონენტს და შედგება ორგანიზაციული, საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკ-რეპორტირების და სხვა დამხმარე, გამაერთიანებელი რისკების ინსტრუმენტებისაგან, როგორებიც არის IT-ინფრასტრუქტურა, საზედამხედველო კაპიტალის მართვა, სტრეს-ტესტები და სხვა ანალიტიკური საშუალებები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ნაჩვენებია რისკის მართვის სტრუქტურა:

# ორგანიზაციის რისკების მართვა

> რისკის დასაშვები დონე > რისკის სტრატეგია > ბიზნისის დაგეგმვა



## მართვით

ჯგუფი რისკების მართვას ახორციელებს რისკების მართვის ერთიანი სისტემის ფარგლებში. რისკების მართვის პროცესში ყველა მმართველი რგოლის ჩართულობა, უფლებამოსილების ნათლად გამიჯვნა და სხვადასხვა დანაყოფს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს ჯგუფის სტრატეგიისა და რისკის მიზნების ნათლად წარმოჩენას, ასევე მათ შესაბამისობას რისკის აპეტიტთან. ჯგუფის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებისა და მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. სამეთვალყურეო საბჭოს აქვს პასუხისმგებლობა განსაზღვროს ჯგუფის სტრატეგია და ზედამხედველობა გაუწიონ სტრატეგიული მიზნების შესრულებას, ხოლო აღმასრულებელი ხელმძღვანელობა წარმართავს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას.

თიბისი ბანკის წლიური ანგარიში 2022

როგორ ვქმნით ღირებულებას  
ჩვენი ინვესტორები **გაგრძელებას**



რისკის მართვის სტრუქტურა შედგება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი ხელმძღვანელობისგან. სამეთვალყურეო საბჭოს ექვემდებარება რისკების კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჯგუფის რისკის პროფილსა და რისკის მართვის პრაქტიკას, აგრეთვე აუდიტის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებასა და დანერგვაზე, შიდა და გარე აუდიტორების საქმიანობის ხელშეწყობაზე. სამეთვალყურეო საბჭოში ასევე შედის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის და ეთიკის კომიტეტი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიის, პოლიტიკების, ინიციატივებისა და პროგრამების ზედამხედველობაში ეხმარება, ასევე ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტების, მონაცემებისა და კიბერ-უსაფრთხოების საკითხების, ასევე კომპანიის IT რესურსების ზედამხედველობაში ეხმარება.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის კომიტეტი არეგულირებს საინფორმაციო და კიბერ-უსაფრთხოების პროცესს რისკების მისაღებ დონემდე დაყვანის და მართვის პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით. ამასთან, აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დონეზე შექმნილია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტი, რომელიც პასუხს აგებს ჯგუფის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიის განხორციელებაზე და მისი სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე, ხოლო გარემოსდაცვითი კომიტეტი ზედამხედველობს ჯგუფში გარემოსდაცვითი მართვის სისტემის სათანადო დანერგვას და ფუნქციონირებას.

სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი ხელმძღვანელობა რისკის მართვას ახორციელებენ რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკის მეშვეობით, რომელშიც დადგენილია რისკის სასურველი პროფილი და რისკის ლიმიტები. ეს პოლიტიკა ასევე მოიცავს მონიტორინგისა და რეპორტირების პასუხისმგებლობებს და, სხვადასხვა გამომწვევი მოვლენისათვის ესკალაციის გზებს, ასევე რისკების მიტიგაციის ქმედებების განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ ისინი სცილდება ჯგუფის მიერ დადგენილ საზღვრებს. ჯგუფის დასაშვები რისკის დონის ყოველდღიურ ოპერაციებში უფრო ეფექტურად ასახვისთვის, რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკის ინდიკატორები ჩაშლილია დეტალურ ლიმიტებად ბიზნეს ერთეულის დონეზე, რომელიც აყალიბებს რისკის განაწილებას სხვადასხვა სეგმენტსა და საქმიანობას შორის.

რისკის აპეტიტის დადგენა და კასკადირება ხორციელდება ბიზნესის დაგეგმვის პარალელურად. ბიზნესისა და რისკის გეგმების ინტერაქტიური შემუშავება უზრუნველყოფს გეგმების შეჯერებას ამ პროცესში რისკისა და უკუგების ურთიერთკავშირის განსაზღვრით, რაც ხელს უწყობს მიზნების მიღწევას. საბჭოს დონეზე ზედამხედველობა ჯგუფის რისკის მართვაში უფროსი ხელმძღვანელობის ჩართულობასთან ერთად, და რისკების ე.წ. „top-down“ განაწილება ორგანიზაციული რისკის მართვის განყოფილების მიერ უზრუნველყოფს რისკების მიზნების სიცხადეს, რისკის პროფილის ინტენსიურ მონიტორინგს დასაშვებ რისკის დონესთან მიმართებით, დროულ რეაგირებას რისკთან დაკავშირებულ საკითხებზე და პრევენციული სამუშაოების ოპერატიულად განხორციელებას.

ცალკეული რისკების ყოველდღიური მართვა ემყარება დაცვის სამი დონის პრინციპს. იქედან გამომდინარე, რომ რისკებს ძირითადად ბიზნეს სეგმენტები გასწვებენ, რისკის მართვის გუნდი ასრულებს დაცვის მეორე დონის ფუნქციას ტრანზაქციების სანქციონირებით, რისკის იდენტიფიცირების, ანალიზის, გაზომვის, მონიტორინგისა და რეპორტირების ინსტრუმენტების და ტექნიკების გამოყენებით. კომიტეტები, რომლებიც ფუნქციონირებენ ოპერაციულ დონეზე, უზრუნველყოფენ დელეგირების ფარგლებში იღებენ ტრანზაქციული დონის გადაწყვეტილებებს, რომლებიც „ოთხი თვალის“ პრინციპს ემყარება. ყველა ახალი პროდუქტი და პროექტი გადის რისკის ჯგუფების ხელში, რისკების სრულყოფილად გაანალიზების უზრუნველსაყოფად.

კონტროლის ეს მექანიზმები შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რაც სათანადოდ იქნება შეფასებული და არ მოხდება რისკების აღება ჯგუფის დადგენილ ზღვრებს ზევით. საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა არაფინანსურ რისკებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მართავენ. ჯგუფის რისკის მართვის მძლავრი და დამოუკიდებელი სტრუქტურა ყველა საჭირო ფუნქციის შესრულების საშუალებას იძლევა დაცვის მეორე დონის ფარგლებში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების წყალობით, რომლებიც ფლობენ დაბალანსებულ ცოდნას საბანკო მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ბანკის რისკის მართვის დირექტორზე დაქვემდებარებული რისკის გუნდების გარდა, ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულება უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშე და პასუხისმგებელია ფულის გათვრების წინააღმდეგ ბრძოლაზე, შესაბამისობის უზრუნველყოფასა და ფინანსური სანქციების რისკის მართვაზე. მესამე დონის დაცვას წარმოადგენს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც ბანკს აძლევს დამოუკიდებელ და ობიექტურ რწმუნებას, ამასთანავე, უწევს რეკომენდაციას დამატებით ოპერაციებისა და რისკის მართვის გასაუმჯობესებლად.

მდგრადობის მართვა ხდება რისკის მართვის დადგენილი პროცესების ფარგლებში. ჯგუფის ხედვის თანახმად, მდგრადი ბანკი მომგებიანი დაწესებულებაა, რომელიც ადეკვატურ, ხელმისაწვდომ და საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებებს სთავაზობს თავის კლიენტებს, მის თანამშრომლებს, მომწოდებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით ეპყრობა და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას. ეს არის საზოგადოებისთვის სანდო, ტექნოლოგიურად განვითარებული და ეკოლოგიურად მცოდნე ბანკი. მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები უკავშირდება ჯგუფის სხვადასხვა ფუნქციას, იქნება ეს კრედიტორი, აქტივების მმართველი, მომსახურების გამწვევი, შემსყიდველი, თუ დამსაქმებელი. მდგრადობის მიმართულებით კონკრეტული ინტერესის სფეროს წარმოადგენს შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, ქცევასა და დიგიტალიზაციასთან დაკავშირებული რისკები, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის, სამუშაო პირობების უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების, ფინანსური დანაშაულის და ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების მიმართულებით. მდგრადი განვითარების პოლიტიკები და მართვის სტრუქტურები სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტში და მართვის დომენებზეა წარმოდგენილი.

ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე თემატური პოლიტიკა და კოდექსი, რომლებიც არეგულირებენ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხს. ისინი მოიცავს ეთიკის კოდექსს, ინციდენტების მართვის პოლიტიკას, ანტიკორუფციულ პოლიტიკას, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას, ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკას, მწვანე შესყიდვების რეკომენდაციებს და სხვ. 2021 წელს შეიქმნა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების კოორდინაციის დეპარტამენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ჩარჩოს ინტეგრირებას კომპანიის საქმიანობაში. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულება რისკის მართვის დირექტორის წინაშე. ESG საკითხების მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგია გვერდებზე 28-31 და კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამიზნე ჯგუფის (TCFD) ანგარიშგება გვერდებზე 114-133.

**ორგანიზაციის რისკების მართვა**

ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) ცენტრალიზებული განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციას და დანერგვას ჯგუფის მასშტაბით. საწარმოს რისკის მართვის განყოფილება ხელს უწყობს რისკის ჯვარედინ ღონისძიებებს, როგორც არის აგრეგირება, ანალიზი და რეპორტირება და ეხება ისეთ პრობლემებს, რომლებიც არ ასახაიანებს რომელიმე ერთი ტიპის რისკს. შესაბამისად, საწარმოს რისკის მართვის ფუნქცია ავსებს რისკის სხვა ფუნქციებს, რათა მოიცავს ძირითადი რისკის ღონისძიებები და პასუხისმგებლობები და წარმოქმნას ცენტრალიზებული გუნდის შესაძლებლობები. ორგანიზაციის რისკის მართვის ძირითადი ფუნქციები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

1 აღნიშნული ტერმინები განმარტებულია გვერდებზე 306-307.

თიბისი ბანკის წლიური ანგარიში 2022

## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები **გამრძობა**

- რისკის აპეტიტის განსაზღვრა, კასკადირება და მონიტორინგი ჯგუფის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტებია. რისკის ბიუჯეტი გადანაწილება ცალკეულ ბიზნეს-მიმართულებებზე, რათა მიღწეულ იქნეს მაჩვენებლები აგრეგირებულ დონეზე;
- სტრუქტურულ რისკის იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მითიგაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ამ მხრივ ჯგუფი მუდმივად ავითარებს სტრუქტურის შესაძლებლობებს და მეთოდოლოგიას. ბანკი ახორციელებს სხვადასხვა სცენარულ ანალიზს და სტრუქტურის მეთოდებს, იმისათვის, რომ მან შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალი მოცემულ სტრუქტურთან გასამკლავებლად და ასევე შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა;
- გრძელვადიანი კაპიტალის დაგეგმვა და უწყვეტი მუშაობა კაპიტალის ოპტიმიზაციაზე და ანალიტიკაზე ასევე ბანკის რისკის მართვის პროცედურის არსებითი ასპექტებია;
- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP) შემუშავება და განახლება და ლიკვიდობის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცედურა (ILAAP);
- რისკის მართვის პრაქტიკების თანამიმდევრულობა ბანკის შიგნით როგანინაცის რისკების მართვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. რისკის მართვის ფუნქცია, რომელიც მიმართულია თანამიმდევრულობის უზრუნველყოფისკენ, გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, გაზომვას და მართვას ოპტიმალური გზით ჯგუფის ფარგლებში, და მათ ანგარიშგებას და გააზრებას კონსოლიდირებულ საფუძველზე;
- მოსალოდნელი ზარალის შეფასება, მონიტორინგი და ანალიზი სხვადასხვა სეგმენტში და პროდუქტებში, ჩვენი სტრატეგიის მორიგი მთავარი კომპონენტებია;
- რისკის ყველა მაჩვენებელი ერთიანდება და ანალიზდება კონსოლიდირებულ საფუძველზე ჯგუფის რისკის პროფილის შესაფასებლად. ბანკის რისკის პროფილის შესახებ რეგულარული ანგარიშები წარედგინება აღმასრულებელ ხელმძღვანელობას და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტს.

### საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფის, როგორც საბანკო მომსახურების მიმწოდებლის წინაშე დგას საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის ან მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, კერძოდ გადაუხდელი თანხის გადახდასთან შეთანხმებულ ვადებში. საკრედიტო რისკი ჯგუფის ყველაზე არსებითი მნიშვნელობის რისკია, რადგან იგი ძირითადად ტრადიციულ დაკრედიტებას ეწევა. შესაბამისად, ჯგუფი მნიშვნელოვან რესურსს გამოყოფს მის სამართავად.

საკრედიტო რისკის მართვის მთავარი მიზანია ჯგუფში არსებობდეს სესხის დამტკიცების გამართული პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმირებული რისკის მიღებას და პროცედურებს რისკის ეფექტური იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის. საკრედიტო რისკის გონივრულად და ეფექტურად სამართავად ჯგუფი სეგმენტზე და პროდუქტზე მორგებულ მიდგომებს იყენებს. შესაბამისად კორპორაციული, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების და საცალო პორტფელის მართვა ხორციელდება კონკრეტული სეგმენტების თავისებურებების გათვალისწინებით. კორპორაციული და მიკრო, მცირე და საშუალო სეგმენტის (მიკროს გარდა) მსესხებლების მართვა ხორციელდება ინდივიდუალურად, მოცემული კლიენტების შედარებით დიდი დავალიანებიდან გამომდინარე, ხოლო მიკრო და საცალო მსესხებლების მართვა პორტფელის დონეზე ხორციელდება. საკრედიტო რისკის ძირითადი ფუნქციების შექამება მოცემულია ქვემოთ:

### კრედიტის დამტკიცება

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს სესხების გაცემის ჯანსაღი პროცესის არსებობა, სესხის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და თითოეული მსესხებლის რისკის პროფილის შეფასების ეფექტური პროცესის მეშვეობით. ბანკში არსებობს საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი ჩარჩო, სადაც ცალსახად არის გამიჯნული კრედიტის ანალიზის და დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეების მოვალეობები. კრედიტის შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური პროდუქტების მიხედვით, იმისთვის რომ სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება. კორპორაციული, მცირე და საშუალო და მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო მცირე ზომის საცალო და მიკრო სესხებზე გადაწყვეტილების პროცესი ძირითადად ავტომატიზებულია. მსესხებლების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო ანალიტიკოსები (კორპორაციული სესხის შემთხვევაში) და ბიზნეს დაკრედიტების ექსპერტები (მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხის შემთხვევაში) ამზადებენ პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ მსესხებელთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და განსახილველად წარადგენენ დაკრედიტების რისკის მართვის განყოფილებაში. რისკის მართვის მენეჯერი აფასებს პროექტს და უზრუნველყოფს, რომ ანალიზი იყოს სრულყოფილი, ყველა სახის რისკი და შესაბამისი მითიგაციის გზები იდენტიფიცირებული და სათანადოდ გათვალისწინებული, ხოლო სესხი - სწორად სტრუქტურირებული. ბიზნესის რისკის მენეჯერები სპეციალიზირდებიან კონკრეტული დარგების მიხედვით იმისთვის, რომ ფლობდნენ სათანადო ცოდნას კონკრეტულ დარგში მიმდინარე ტენდენციებსა და მოვლენებზე.

საკრედიტო კომიტეტის სესხის დამტკიცების სტრუქტურა მრავალდონიანია მსესხებლების ჯამური დავალიანებისა და რისკის პროფილის გასათვალისწინებლად. აღნიშნული საკრედიტო კომიტეტები პასუხს აგებენ საკრედიტო განცხადებების განხილვასა და დამტკიცებაზე სხვადასხვა კომიტეტებთან ერთად, სესხის მოცულობის და რისკის საფუძველზე. ყველაზე მაღალი დონის კომიტეტში მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კორპორაციული ბიზნესის მართვის დირექტორი და რისკის მართვის დირექტორი. ამასთან, 20 უმსხვილესი მსესხებლის საკრედიტო განაცხადისთვის, ან სესხებისთვის, რომელთა ოდენობა აღემატება ბანკის პირველადი კაპიტალის 5%-ს, მოითხოვება საბჭოს რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტის მიერ განხილვა და დამტკიცება. საცალო და მიკრო სეგმენტის დაკრედიტების ექსპერტები საკრედიტო განაცხადებს წარუდგენენ შესაბამისი დაკრედიტების რისკის მართვის განყოფილებას. სესხის ოდენობიდან გამომდინარე, სესხის დამტკიცების კომიტეტი განიხილავს სესხის მოთხოვნას, მომხმარებლის რისკის დონესთან დაკავშირებული კონკრეტული ლიმიტების საფუძველზე. არაუზრუნველყოფილი საცალო სესხების, განვადებებისა და საკრედიტო ბარათების ანალიზისა და გაცემისთვის ხორციელდება შემოსავლის შეფასების პროცესი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების შესახებ რეგულაციების შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება შიდა შეფასების მოდელი და საკრედიტო ბიუროს მიერ წარმოდგენილი რეიტინგები. შეფასების მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების სეგმენტის მიხედვით, და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე მონაცემებს. შეფასების მოდელების მონიტორინგი ყურადღებით ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიღებული გადაწყვეტილებების წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან შესაბამისობა. საკრედიტო შეფასება და დაკრედიტების მოდელები შემუშავებულია საკრედიტო მოდელირების დამოუკიდებელი გუნდის მიერ, რისკების განყოფილების ფარგლებში და შემდეგ ვალიდაციას ახდენს მოდელთან დაკავშირებული რისკის მართვის კიდევ ერთი დამოუკიდებელი გუნდი, ასევე რისკების განყოფილებიდან.

### სავალუტო კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკი

ბანკი დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან მისი სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. თუმცა რისკის აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში დადგენილია ლიმიტები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფმა განაგრძოს პორტფელში უცხოური ვალუტების წილის მინიმიზების მიმართულებით სვლა. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის შესამცირებლად, საკრედიტო რისკის მართვის ყველა ეტაპზე გამოიყენება მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტები და მეთოდები. იანვარში მთავრობამ განაგრძო ღონისძიებები უცხოური ვალუტით დაფინანსებაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად, გაზარდა რა ზედა ლიმიტი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც სესხების გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, სებ-მა თავისი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივით, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს, შემოიღო უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაჰეჭირებული საცალო მსესხებლებისთვის, რამაც კიდევ უფრო შეამცირა კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკები. 2022 წელს სებ-მა განაგრძო კონსერვატიული მიდგომა არაჰეჭირებული საცალო მსესხებლების მიმართ და დაწინაურა რამდენიმე ახალი ინიციატივა, რომლებიც PTI ზღვრებზე და უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ვადებზე მოქმედებს.

ბანკი იყენებს კონსერვატიული დაკრედიტების სტანდარტებს არაჰეჭირებული მსესხებლების მიმართ, რომელთა სესხები უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი გაუძლებენ გაცვლითი კურსის გაუფასურების გარკვეულ დონეს საკრედიტო ხარისხის გაუარესების გარეშე. გარდა დაკრედიტების პროცესში მოქმედი ზომებისა, ბანკი აქტიურად აკვირდება და აფასებს უცხოურ ვალუტაში გამოხატულ სესხებს სტრუქტურის საშუალებით და ინარჩუნებს კაპიტალის საკმარის რეზერვებს მოულოდნელი დანაკარგების შემთხვევებისთვის. ვალუტის არსებითი გაუფასურების შემთხვევაში, ჯგუფი ფლობს ინსტრუმენტებს მონიტორინგის პროცესის დასაჩქარებლად, პოტენციური სისუსტეების მქონე მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და მითიგაციისკენ მიმართული ღონისძიებების დაუყოვნებლივ გასატარებლად.

ბანკმა განსაზღვრა მის პორტფელში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილის შემცირების სტრატეგია. განისაზღვრა ყოველწლიური მიზნები საშუალოვადიან სტრატეგიაში, უცხოურ ვალუტაში წილის თანდათანობით შემცირების გზით. ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) ყურადღებით აკონტროლებს ამ მიზნების მიღწევას.

### საკრედიტო კონცენტრაციის რისკი

ბანკს გააჩნია კონცენტრაციის რისკი, რომელიც განისაზღვრება, როგორც პორტფელის ხარისხის პოტენციური გაუარესება პიროვნებებზე ან დარგებზე დიდი ოდენობით სესხის გაცემის გამო. ის ფლობს ინსტრუმენტებს კონცენტრაციის რისკის, კერძოდ კი, პორტფელში ცალკეული პირებისა და სექტორების კონცენტრაციის

## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები **გაგრძელება**

ეფექტური მართვისათვის. ბანკი კონცენტრაციის ლიმიტებს ექვემდებარება ცალკეული მსესხებლებისა და 20 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე და ის ორიენტირებულია ამ პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ოპტიმიზაციაზე. ამასთან, ბანკი აწესებს ლიმიტებს ცალკეულ სექტორებზე, მაღალი რისკის მქონე სექტორებში უფრო კონსერვატიული ზედა ლიმიტის გამოყენებით, რომლებიც განისაზღვრება დარგის ციკლებისა და პროგნოზის სრულყოფილ ანალიზზე დაყრდნობით. საკრედიტო კონცენტრაციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. კეთდება რისკის პოზიციათა ტენდენციების დეტალური ანალიზი და რისკის ახალი წყაროების წარმოქმნის ან პოზიტიური მოვლენების შემთხვევაში გაიცემა პრევენციულ ღონისძიებათა რეკომენდაციები. პორტფელში კონცენტრაციების დონის მართვის პარალელურად, ბანკი აფასებს მოულოდნელ ზარალს და შესაბამის ეკონომიკურ კაპიტალს როგორც ცალკეული მსესხებლებისთვის, ისე სექტორებისთვის, „Herfindahl-Hirschman“-ის ინდექსის გამოყენებით და ამგვარად უზრუნველყოფს კონცენტრაციის რისკისთვის საკმარისი კაპიტალის არსებობას.

### უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკა

სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ბანკისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან მიტიგაციის საშუალებას, ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკის მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობა-დანადგარები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე პირის გარანტიები. სესხისთვის მიღებული უზრუნველყოფა დამოკიდებულია საკრედიტო პროდუქტის ტიპზე და მსესხებლის საკრედიტო რისკის პროფილზე. ბანკის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებებში მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს უძრავი ქონება. უზრუნველყოფის მართვასთან დაკავშირებით ბანკის მიდგომებსა და სტრატეგიას მართავს უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების ცენტრალიზებული განყოფილება. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას. უზრუნველყოფის მართვის ჩარჩო მოიცავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, დამოუკიდებელი შეფასების პროცესის არსებობას, შეკვეცის სისტემას დაფარვის პროცესის ფარგლებში, უზრუნველყოფის მონიტორინგს (მათ შორის გადაფასებას და სტატისტიკურ ანალიზს) და უზრუნველყოფის პორტფელის ანალიზს.

ბანკის „უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების განყოფილება“ („CMAD“) განსაზღვრავს უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკას და პროცედურებს (დამტკიცებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ), იძენს შეფასების მომსახურებას „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების“ (IVS), სებ-ის მოქმედი რეგულაციების და შიდა პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად, ამოწმებს შეფასების ანგარიშებს, მართავს უზრუნველყოფის მონიტორინგის პროცესს (აქტივები მაღალი სამართლიანი ღირებულებით გადაფასდება ყოველწლიურად, ხოლო სტატისტიკური მონიტორინგი გამოიყენება დაბალი ღირებულების მქონე უზრუნველყოფისთვის). CMAD შეფასებისთვის იყენებს შერეული ხარისხის შემოწმების სქემას: შეფასების ანგარიშები გადაიხედება ორგანიზაციის შიგნით, მისი პერსონალის მიერ და განცალკევებით - გარე კომპანიის მიერ. უზრუნველყოფის მართვის ფარგლებში თითქმის ყველა საქმიანობა ავტომატიზებულია შიდა ვებ-აპლიკაციების გამოყენებით. უზრუნველყოფის მართვის ფუნქცია იყენებს უძრავი ქონების საბაზრო ლაბორატორიის (REM ლაბორატორია) პროექტის ფარგლებში ჩატარებულ საბაზრო კვლევებს.

### კრედიტის მონიტორინგი

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და საიმედო და დროული მონაცემების გამოყენებით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. ბანკი მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს სხვადასხვა ბიზნეს სეგმენტებში არსებული საკრედიტო რისკების ზუსტად შესაფასებლად. ბანკი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე, საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება რისკის მართვის კუთხით. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელის საერთო მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. რისკის კომიტეტი კვარტალურად განიხილავს ანგარიშებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის შესახებ. მენეჯმენტს სჯერა, რომ არსებული მონაცემების განვლილ დინამიკასა და სამომავლო პროგნოზებთან შედარებით შესაძლებელია რისკების დროულად გამოვლენა და მათზე რეაგირება პოლიტიკის დროულად შესწორების გზით.

### რესტრუქტურზაცია და თანხების ამოღება

ბანკი იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას შესუსტებული მახასიათებლების მქონე კრედიტების გამოსავლენად და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად. ამოღებისა და აღდგენის პროცესების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც მსესხებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კრედიტის გადახდას. შესაბამისი განყოფილებები ახორციელებენ გადახდისუუნარო მსესხებლების მართვას, ყველა ბიზნეს სეგმენტებზე და ინდივიდუალური დავალიანების კატეგორიებზე მორგებული ამოღებისა და აღდგენის სტრატეგიებით.

სტანდარტული, რუტინული რესტრუქტურზაციის გარდა, რომელიც ბანკის ყველა ფილიალში ხორციელდება, რესტრუქტურზაციის ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და სესხის გადაყვანა ისევე სტანდარტულ კატეგორიაში. რეაბილიტაციის პროცესის სირთულე და კომპლექსურობა სესხის ტიპზე და სიდიდებზე დამოკიდებულია. ბიზნეს-სესხები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ სესხის ძირითადი თანხის მატერიალური ნაწილის გადახდა ვერ მოხდება და მსესხებლის ფულადი ნაკადები აღარ წარმოადგენს სესხის დაფარვის ძირითად წყაროს. სესხის ამოღების გეგმები შეიძლება მოიცავდეს სესხის ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, მაგალითად მსესხებლის აქტივების გაყიდვას, უზრუნველყოფის რეალიზებას ან გარანტიების/თავდებობების გამოყენებას.

სესხის ამოღების პროცესში ბანკის მიზანია სესხის აღდგენის სტრატეგიის შეთანხმება მსესხებელთან და რაც შეიძლება მეტი ოდენობით თანხის ამოღება ან სესხის გადახდაზე მოლაპარაკება უზრუნველყოფის საგნის გაყიდვით ან დასაკუთრებით. საცალო და მიკროსესხების ამოღების ქვედანაყოფები ისეთი მომხმარებლების მხარდაჭერას ახდენენ, რომელთაც წარმოექმნათ ვალდებულებების დაფარვის სირთულე. ამგვარი მომხმარებლები ვერ ახორციელებენ გრაფიკით განსაზღვრული გადახდებს, ან თავად აცნობებენ ბანკს სესხის დაფარვასთან დაკავშირებული სირთულის შესახებ. ცენტრალიზებული გუნდი ფილიალებთან ერთად ახორციელებს საცალო ვადაგადაცილებული მსესხებლების მონიტორინგს, რომელიც ამოღების მაქსიმალურად გაზრდაზე მიმართულია. ადრეულ ეტაპზე ამოღების მართვის პროცესში გამოიყენება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა - FICO.

ამოღების სტრატეგიები განისაზღვრება სესხის ოდენობისა და ტიპის მიხედვით. მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე მორგებული ინდივიდუალური სტრატეგიები ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს, რაც უზრუნველყოფს მეტ ჩართულობას უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებთან მიმართებით. უზრუნველყოფილიც და არაუზრუნველყოფილი სესხებიც გადაეცემა შიდა პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების ამოღებაზე ჯგუფი თანამშრომლობს გარე კოლექტორულ კომპანიებთან. თანამშრომლობა ჩვეულებრივ მოიცავს სააგენტოების კოლექტორული მომსახურებების აუთსორსინგს, როდესაც ისინი ბანკის სახელით მოქმედებენ მსესხებლებთან თანამშრომლობისას, ან არაუზრუნველყოფილი პორტფელების კონკრეტული ნაწილის გარე კომპანიებისთვის მიყიდვისას, ფულის სასწრაფოდ ამოღების უზრუნველსაყოფად.

უზრუნველყოფილი სესხების ამოსაღებად განისაზღვრება ამოღების შესაბამისი გეგმა, რომელიც ინდივიდუალური მსესხებლის მახასიათებლებს ითვალისწინებს და შესაძლოა მოიცავდეს სესხის შეცვლილი გრაფიკით დაფარვას ან უზრუნველყოფის რეალიზაციას. სესხის პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფზე გადაცემის შემდეგ, როდესაც ბანკს არ შეუძლია მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკება, ბანკს შეუძლია დაიწყოს უზრუნველყოფის დასაკუთრება, რაც ჩვეულებრივ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, რამაც შეიძლება მოიცვას სასამართლო, საარბიტრაჟო ან ნოტარიული პროცედურებიც. რესტრუქტურზაციისა და პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფებში მუშაობენ კვალიფიციური იურისტები სასამართლო დავების და უზრუნველყოფის დასაკუთრების პროცესების ეფექტურად წარმართვისა და აღსრულებისათვის.

### კონტრაჰენტის რისკი

ისეთი საბანკო მომსახურების განვეისას, როგორც არის ბანკთაშორის ბაზარზე სესხის გაცემა, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ტრანზაქციის განხორციელება, ბანკთაშორისი ტრანზაქციის შესრულება ვაჭრობის ფინანსირების მიზნით ან ფასიან ქაღალდებში ინვესტირება, კონტრაჰენტი ბანკის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი დგება შესაძლო დანაკარგის რისკის წინაშე.

კონტრაჰენტის რისკის მართვის მიზნით, ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური კონტრაჰენტისთვის, ასევე პორტფელის დონეზე, რაც ზღუდავს ზარალის რისკს როგორც სახაზინო, ისე - ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ბანკთაშორისი პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების „Fitch“, „Moody’s“ და „Standard & Poor’s“-ის მიერ მინიჭებული მაღალი - „A“ საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში.

### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

2018 წლის იანვრიდან ბანკი გადავიდა დარეზერვების ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებაზე ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნების შესაბამისად. მეთოდოლოგიის განვითარებასთან ერთად დაინერგა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტი დარეზერვებისთვის „Deloitte“-ის და ბანკის რისკის მართვის, ფინანსური და IT დეპარტამენტების მხარდაჭერით.

ფასს (IFRS) 9-ის მოდელები უფრო კომპლექსურია და იძლევა მასში მოსალოდნელი მაკრო მოვლენების ჩართვის შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრული სცენარების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის ჯგუფი ოთხ კომპონენტს იყენებს: (i) დეფოლტის ალბათობა (PD), (ii) დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD), (iii) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და (iv) დისკონტირების განაკვეთი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების დროს ჯგუფი იყენებს სამ-სტადიან მოდელს და მის მსესხებლებს ამ სტადიების მიხედვით აფასებს:

- სტადია 1 - ჯგუფი ახდენს პორტფელის კლასიფიკაციას 1-ელ სტადიაში თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და ფინანსური ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;
- სტადია 2 - დავალიანება მე-2 სტადიად კლასიფიცირდება, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება გაუფასურებულად; და
- სტადია 3 - რისკები, რომლებზეც დადგინდა კრედიტის გაუფასურების მაჩვენებლები, კლასიფიცირებულია როგორც მე-3 სტადიის ინსტრუმენტები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება მოცემული სამი სტადიის მიხედვით:

- 1-ლი სტადიის ინსტრუმენტები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ანგარიშგების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევებს;
- მე-2 სტადიის ინსტრუმენტები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ე.ი. საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დეფოლტის შესაძლო შემთხვევებს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ზოგადად, „არსებობის პერიოდში“ იგულისხმება ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადა. ისეთი ფაქტორები, როგორც არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის გრაფიკების არსებობა, დაფარვის ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობები და ბანკის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები გავლენას ახდენს „არსებობის პერიოდზე“ განსაზღვრაზე;
- მე-3 სტადიის ინსტრუმენტები - დეფოლტის შემთხვევა უკვე წარმოიშვა და არსებობის პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოთვლა ხდება მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

ბანკი აქტიურად განიხილავს და აკონტროლებს ფასს (IFRS) 9 მოდელებიდან წარმოებულ შედეგებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი შედეგები ადეკვატურად მოიცავდნენ მოსალოდნელ ზარალს.

### ფინანსური რისკის მართვა

#### ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი შეიძლება არ ფლობდეს საკმარის ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებს თავისი მოვალეობების და ვალდებულებების დროულად დასაფარად ან აღნიშნული რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაღალ ფასად. როგორც დაფინანსების, ისე საბაზრო ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიქმნას მრავალი ფაქტორის შედეგად, რომლებსაც ჯგუფი ვერ აკონტროლებს. ფინანსური ბაზრის არასტაბილურობის გამო ისეთმა ფაქტორებმა, როგორც არის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება ან სხვა უარყოფითი მოვლენა, შეიძლება გავლენა იქონიოს ფასზე ან საჭირო დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ჯგუფის სამომავლო დავალიანებებისთვის გადახდების განსახორციელებლად.

ბანკის ლიკვიდობის რისკის მართვას ახორციელებენ ფინანსური რისკის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები, მონიტორინგს კი – აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) წინასწარ განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ჯგუფის ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- დაფინანსების უზრუნველყოფა, მთლიანი ვალდებულებების და ბალანსგარეშე ფაქტიური და პირობითი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ეკონომიკურ ფასად.
- ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობის აღმოჩენა და მონიტორინგის კოეფიციენტების განსაზღვრა დაფინანსების მართვის უზრუნველსაყოფად ჯგუფის დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და

- ლიკვიდობისა და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის დამტკიცებული მიზნების მიღწევა ჯგუფის რისკის პროფილისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა განიხილავს ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკას, რომელიც წარედგინება რისკების კომიტეტს, შემდეგ კი მას სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს.

ლიკვიდობის რისკი ორ ჯგუფად იყოფა: დაფინანსების ლიკვიდობის და საბაზრო ლიკვიდობის რისკები.

დაფინანსების ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს მოსალოდნელი და მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების ეფექტურად დაკმაყოფილებას ოპერაციებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის გარეშე, როგორც ჩვეულებრივ, ისე - კრიზისულ პირობებში. ბანკი ლიკვიდობის რისკს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად აფასებს. დამატებით, საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ჯგუფი იყენებს სტრეს-ტესტებს და „what-if“ სცენარების ანალიზს, ასევე აკონტროლებს ადგილობრივად შემუშავებულ ლიკვიდობის რისკის სხვადასხვა პარამეტრებს.

დაფინანსების ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი ამჟამად აკონტროლებს Basel III-ზე დაფუძნებულ პარამეტრებს:

- მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მართვისთვის, ბანკი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტს (LCR) იყენებს;
- გრძელვადიანი ლიკვიდობის რისკის მართვისთვის, ბანკი იყენებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს (NSFR).

2017 წელს, რისკის მართვის მიზნებისათვის, სებ-მა შემოიღო ლიკვიდობის გადაფარვის საკუთარი კოეფიციენტი (LCR). Basel III-ის სახელმძღვანელო მითითებების გარდა, ეს კოეფიციენტი იყენებს კონსერვატიულ მიდგომებს დეპოზიტების გადინების კოეფიციენტების მიმართ, რაც დამოკიდებულია კლიენტთა ჯგუფის კონცენტრაციაზე.

2017 წლის სექტემბრიდან ბანკი ახორციელებს სებ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტების დაცვის მონიტორინგსაც. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მთლიანი ლიმიტის გარდა, სებ-მა ასევე განსაზღვრა ლიმიტები ვალუტების მიხედვით - ლარსა და უცხოურ ვალუტაში. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება მაღალილიკვიდური აქტივების გაყოფით 30-დღიანი წმინდა ფულადი სახსრების გადინებაზე. ის გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მართვისთვის. საქართველოში ლარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სებ-ი განსაზღვრავს დაბალ ლიმიტს ლარში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისთვის (LCR) უცხოური ვალუტის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტთან შედარებით. 2019 წლის ოქტომბრიდან უცხოური ვალუტის სავალდებულო რეზერვი განისაზღვრა 100%-ით მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფარგლებში სებ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მიზნებისთვის. იმავე პერიოდში სებ-მა 30%-დან 25%-მდე შეამცირა უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვის მოთხოვნები. 2021 წლის ივნისის შემდეგ სებ-ის რეგულაცია უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვის მოთხოვნის თაობაზე კიდევ შეიცვალა და მასში აისახა უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების შემცირებული წილი მთლიან დეპოზიტებში. უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა 1%-ით შემცირდება მთლიან დეპოზიტებში უცხოური ვალუტის წილში ყოველ 2%-იან კლებაზე. ინიციატივას დადებითი ეფექტი ექნება ბანკის საზედამხებდებლო კაპიტალის პოზიციაზე.

2019 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი („სებ-ის NSFR“) ლიკვიდობის რისკის მართვის დაფინანსების მიზნებისთვის. NSFR გამოითვლება ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების სტაბილური დაფინანსების საჭიროებაზე გაყოფით. ის გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდობის რისკის მართვისათვის უფრო ხანგრძლივ პერიოდში მდგრადობის ხელშეწყობისთვის დამატებითი მოტივაციის შესაქმნელად, რათა ბანკი უფრო მეტად დაეყრდნოს დაფინანსების სტაბილურ წყაროს. ყოველთვიურად ბანკი აკონტროლებს დადგენილ ზღვართან შესაბამისობას სებ-ის NSFR-თან დაკავშირებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოეფიციენტები მნიშვნელოვნად აღემატებოდა სებ-ის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვარს, შემდეგი სახით:



## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები **გაგრძელება**

განაკვეთზე. ჯგუფის მიერ მოზიდული ცვლად პროცენტის სესხების ნაწილი ჰეჯირებულია, რადგან სებ-ი იხდის ცვალებად საპროცენტო განაკვეთს ბანკის განთავსებულ მინიმალურ რეზერვებზე. ამასთანავე, ბანკის მიერ მომხმარებლებზე გაცემული მრავალი სესხი შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ბანკს აძლევს საპროცენტო განაკვეთის გადახედვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, რაც ქმნის საპროცენტო რისკის შემცირების შესაძლებლობას. ხელმძღვანელობის ხედვით, ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჯები ასევე უზრუნველყოფენ გონივრულ რეზერვს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო უარყოფითი ცვლილების გავლენის შესამცირებლად. ბანკი ასევე იყენებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მითიგაციის მიზნით.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, ბანკი იყენებს EBA-ს 2018 წლის სახელმძღვანელო პრინციპებზე დამყარებულ ჩარჩოს რისკის აპეტიტის ლიმიტების დადგენით, მათთან შესაბამისობის მონიტორინგით და პროგნოზების მომზადებით. დეტალური ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ იხილეთ გვერდებზე 271-272, ფინანსური და სხვა რისკის მართვის 35-ე შენიშვნაში.

რისკის წარმოშობის წყაროების გათვალისწინებით, ბანკი ოთხი სახის საპროცენტო განაკვეთის რისკს აფასებს: (i) გადაფასების რისკი; (ii) მომგებიანობის მრუდის რისკი; (iii) საბაზისო რისკი და (iv) არჩევითობის (თანამდევნი ოფციონის) რისკი.

ერთი წლის მომგებიანობასა და კომპანიის ღირებულებაზე გავლენის გასაანგარიშებლად, ბანკი განიხილავს უამრავ სტრესულ სცენარს, მათ შორის – მომგებიანობის მრუდის სხვადასხვა ცვლილებას და ფულადი ნაკადების ქცევით კორექტირებებს (როგორც არის დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანა ან სესხის წინასწარი დაფარვა). შესაბამისი ზღვრები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დასაშვები რისკის დონის ჩარჩოს მიხედვით.

### კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკს შესაძლოა არ ჰქონდეს კაპიტალის საკმარისი დონე საქმიანობების წარმოებისთვის და კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ჩვეულებრივ ან სტრესულ სამუშაო გარემოში. ხელმძღვანელობის მიზანია, კაპიტალის მართვის თვალსაზრისით, შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, საზედამხებდევლო და სტრეს-ტესტებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარის დასაცავად. ჯგუფი ატარებს სტრეს-ტესტებს და მგრძობელობის ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ბანკის ხელმძღვანელობის ჩართულობით, აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალის გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება. 2022 წელს ჯგუფმა და ბანკმა დააკმაყოფილეს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები.

2017 წელს სებ-მა განახორციელა ცვლილებები რეგულაციაში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ცვლილებები მოიცავდა კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით შესწორებებს რეგულაციაში და ახალი მოთხოვნების შემოღებას (i) კომერციული ბანკებისთვის პილარ 2-ის ფარგლებში დამატებითი კაპიტალის ბუფერის მოთხოვნების განსაზღვრის, (ii) კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის და (iii) სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების იდენტიფიცირების და განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ცვლილებების მიზანია ბანკის საზედამხებდევლო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება და უკეთესი შესაბამისობის მიღწევა Basel III-ის ჩარჩოსთან.

**პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნები**, კომბინირებულ ბუფერულ მოთხოვნებთან ერთად. საქართველოში კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების ცვლილებამ პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნები შესადარისი გახადა საბანკო საქმიანობის ზედამხებდევლობის Basel-ის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ სისტემასთან. ეს ცვლილებები მოიცავს:

- 2.5% კონსერვაციის ბუფერის გამოყოფა, რომელიც ადრე მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებთან გაერთიანდა. განახლებული მინიმალური საზედამხებდევლო კაპიტალის მოთხოვნებია 4.5%, 6.0% და 8.0% ძირითადი პირველადი კაპიტალისთვის, პირველადი კაპიტალისთვის და მთლიანი საზედამხებდევლო კაპიტალისთვის (შესაბამისად); და
- მოთხოვნების დანერგვა, რომ ბანკი ფლობდეს დამატებით კომბინირებულ ბუფერს ძირითად პირველად კაპიტალში, რომელიც შედგება კონსერვაციის, კონტრციკლური და სისტემური ბუფერებისგან.

კონსერვაციის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%, ხოლო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთად - 0%. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში, უპირატესი ფინანსური და მაკროეკონომიკური გარემოს საფუძველზე. გარდა ამისა, სებ-მა განსაზღვრა საქართველოში სამი კომერციული ბანკი, როგორც ადგილობრივი სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები („DSIB“), სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისათვის მოხდა სისტემურობის ბუფერის შემოღება, რაც ნიშნავს, იმას, რომ ამ ბანკებს („DSIB“) მოუწევთ უფრო მეტი ძირითადი პირველადი კაპიტალის გადადება, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისთვის. ამ მოთხოვნების განხორციელებისთვის განისაზღვრა პერიოდი 2018 წლის ბოლოდან 2021 წლის ბოლომდე. კერძოდ სებ-ის მიერ განისაზღვრა ქვემოთ წარმოდგენილი სისტემური ბუფერები და შესაბამისობაში მოყვანის ვადები: 1.0% - 2018 წლის

31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 1.5% - 2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის

31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, 2.0% - 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის და 2.5% - 2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომი პერიოდებისთვის.

2023 წლის მარტიდან, კონტრციკლური ბუფერი 0%-დან 1%-მდე გაიზარდა. გაზრდილი მოთხოვნა ძალაში 2024 წლის მარტიდან შევა. ასევე, 2023 წელს, სებ-მა ცვლილება შეიტანა სისტემურობის რისკის ბუფერის რეგულაციაში (ცვლილება 2023 წლის აპრილიდან შედის ძალაში). ცვლილების მიხედვით, ბანკის სისტემურობის რისკის ბუფერი განისაზღვრა 2.5%-ით, ხოლო თუ ბანკის საშუალო საბაზრო წილი სამი თანმიმდევრული თვის განმავლობაში არასაბანკო დეპოზიტებში (გარდა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან მიღებული უზრუნველყოფილი დეპოზიტებისა) გადააჭარბებს 40%-ს, ბუფერი გაიზარდება 3%-მდე. თუ სისტემურობის ბუფერი გაიზარდა, ბანკს ექნება ვალდებულება შესაბამისობაში იყოს განახლებულ მოთხოვნასთან ბუფერის გაზრდიდან ერთ წელში.

**პილარ 2-ის მოთხოვნები**. Basel III-ის შესაბამისად, სებ-მა დანერგა კაპიტალის ბუფერის დამატებითი მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის პილარ 2-ის ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება საზედამხებდევლო შემონქმებას და შეფასებას და ეხება ბანკისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლებიც არ არის საკმარისად გათვალისწინებული პილარ 1-ში, მათ შორის არაჰეჯირებული ვალუტის შედეგად საკრედიტო რისკის ბუფერი და წმინდა საერთო რისკის შეფასების პროგრამის (GRAPE) წმინდა ბუფერი. სებ-მა ასევე შემოიღო საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი. საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი ძალაში 2018 წლის 1 აპრილიდან შევიდა და წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერის საჭიროება შეფასდება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სტრეს-ტესტების შედეგების საფუძველზე. წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი მოქმედებდა 2020 წლის 1 ოქტომბრიდან. დღეს ის 0%-ით არის განსაზღვრული. სებ-ის რეგულაციის შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი კაპიტალის 56% დაცული უნდა იყოს ძირითად პირველად კაპიტალში, ხოლო კაპიტალის 75% - პირველად კაპიტალში და კაპიტალის 100% საერთო საზედამხებდევლო კაპიტალში.

### დროებითი ზომები

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შერბილების მიზნით, 2020 წლის მარტში სებ-მა შეიმუშავა კონკრეტული კონტრციკლური ღონისძიებები, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან, მათ შორის პილარ-2-ის ბუფერების ეტაპობრივი გრაფიკის გადავადების ჩათვლით. სებ-ის მიერ 2020 წლის ოქტომბერში შედგენილი ახალი გრაფიკის შესაბამისად, კონცენტრაციის რისკის და წმინდა „GRAPE“ ბუფერის ეტაპები გაგრძელდება 2021 წლის მარტიდან და სრულად დაინერგება 2023 წლის მარტის ბოლომდე.

2021 წლის ივნისის თვეში სებ-მა გამოაქვეყნა მისი გადაწყვეტილება არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) და კონსერვაციის ბუფერის აღდგენის თაობაზე. ბანკებს მოეთხოვებათ CICR ბუფერის სრულად აღდგენა 2022 წლის ბოლომდე, ხოლო კონსერვაციის ბუფერის აღდგენა - 2023 წლის ბოლომდე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საზედამხებდევლო კაპიტალის კოეფიციენტები და სებ-ის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნები:



როგორ ვქმნით ღირებულებას  
ჩვენი ინვესტორები გაგრილებას

ათას ლარში	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ძირითადი პირველადი კაპიტალი	3,333,039	2,759,894	1,911,233
პირველადი კაპიტალი	3,873,439	3,379,414	2,385,181
მეორადი კაპიტალი	643,086	723,513	752,731
<b>მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>4,516,525</b>	<b>4,102,927</b>	<b>3,137,912</b>
რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები			
საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	18,818,597	18,091,753	16,322,524
საბაზრო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	86,250	21,981	106,379
საოპერაციო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	2,603,225	2,103,895	1,872,574
<b>სულ რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები</b>	<b>21,508,072</b>	<b>20,217,629</b>	<b>18,301,477</b>
<i>მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა</i>	<i>11.6%</i>	<i>11.7%</i>	<i>7.4%</i>
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	15.5%	13.7%	10.4%
<i>მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა</i>	<i>13.8%</i>	<i>14.0%</i>	<i>9.2%</i>
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	18.0%	16.7%	13.0%
<i>მინიმალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა</i>	<i>17.3%</i>	<i>18.4%</i>	<i>13.7%</i>
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	21.0%	20.3%	17.1%

**ფასს სტანდარტებზე გადასვლა**

2020-2022 წლებში სებ-მა შეიმუშავა ფასს სტანდარტებზე გადასვლის კონცეფცია და ცვლილებები. 2023 წლის იანვარში ფასს სტანდარტებზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობასთან ერთად, სებ-მა მიიღო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებული დადგენილებების ცვლილება. ამ ახალი ცვლილებების თანახმად კომერციულმა ბანკებმა უნდა დააკმაყოფილონ სამეთვალყურეო რეგულაციები ფასს-ებზე დაფუძნებული ციფრებისა და მიდგომებისათვის. ფასს სტანდარტებზე გადასვლის პროცესში სებ-მა დაანერგა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი. CRA ბუფერი დაინერგა პილარ 2-ის მოთხოვნების სახით და სრულად განისაზღვრა ძირითად პირველად კაპიტალად.

ფასს სტანდარტებზე გადასვლასთან ერთად შენარჩუნდება პარალელური ანგარიშგება 2021 წლის 1 იანვრიდან სებ-ის მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. პარალელური ანგარიშგების პროცესში, კომერციული ბანკები ვალდებული არიან წარმოადგინონ სამეთვალყურეო ანგარიშები ფასს სტანდარტების და ადგილობრივად საყოველთაოდ აღიარებული საბუღალტრო პრინციპების (GAAP) შესაბამისად.

ათას ლარში	31-დეკ-2022 (ფასს)
ძირითადი პირველადი კაპიტალი	3,835,846
პირველადი კაპიტალი	4,376,246
მეორადი კაპიტალი	407,853
<b>მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>4,784,099</b>
რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	
საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	18,488,516
საბაზრო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	93,833
საოპერაციო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები	2,636,659
<b>სულ რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები</b>	<b>21,219,008</b>
<i>მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა</i>	<i>14.0%</i>
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	18.1%
<i>მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა</i>	<i>16.2%</i>
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	20.6%
<i>მინიმალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა</i>	<i>19.6%</i>
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	22.5%

**არაფინანსური რისკის მართვა**

**საოპერაციო რისკის მართვა**

ჯგუფის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის შიდა და გარე თაღლითობის შემთხვევების, გაუმართავი პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის შეფერხების და სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების ან აქტივების ზიანის შედეგად ზარალის მიღების რისკი. საოპერაციო რისკი ასევე გულისხმობს იურიდიული, რეპუტაციული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით გამომწვეულ ზარალს.

ჯგუფს ახასიათებს სხვადასხვა სახის საოპერაციო რისკები, მათ შორის: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერ შეტევები ჯგუფის კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს ჯგუფის, მისი კლიენტების, პარტნიორების ან მომხმარებლების დაცულ ინფორმაციას და ფინანსურ ოპერაციებს.

გარდა ამისა, ჯგუფს ახასიათებს ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება. ამგვარი მოვლენებია: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შენელება ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი ჯგუფისთვის.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც ჯგუფი მომსახურებას მესამე პირებისგან იღებს. სწრაფად ცვალებადი გარემოს, ასევე საბანკო მომსახურების და პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს ჯგუფის მიერ ზარალის მიღების რისკი.

მსსპ/საფარ სტატუსის მქონე  
 რესალენსი  
 უცვლელად  
 საინფორმაციო სისტემები

## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები *გაგრძელება*

საოპერაციო რისკის გადახედვისა და შერბილების მიზნით, ჯგუფში შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო, რომელშიც მოცემულია ეფექტური საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი პრინციპები, განმარტებული პროცესში მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამ ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია პოლიტიკები და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა. აღმასრულებელი ხელმძღვანელობა განსაზღვრავს საოპერაციო რისკის დასაშვებ დონეს, ხოლო საოპერაციო რისკების კომიტეტი ახორციელებს ამ ზღვრებთან შესაბამისობის ზედამხედველობას. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს საოპერაციო რისკის დასაშვები დონეს, ხოლო შესაბამისობას რისკის დასაშვები დონის დადგენილ ზღვრებთან რეგულარულად აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი.

ბანკის საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ასრულებს მეორე დონის დაცვის ფუნქციას. იგი პასუხისმგებელია ზემოთ აღნიშნული ჩარჩოს, სათანადო პოლიტიკებისა და პროცედურების განხორციელებაზე, ჯგუფის მიერ საოპერაციო რისკის მართვის უზრუნველსაყოფად. დეპარტამენტი ასევე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის მქონე მოვლენების, რისკის დასაშვები დონისა და კონტროლის გარემოში არსებითი სისუსტეების მონიტორინგზე. აღნიშნული დეპარტამენტი აგრეთვე პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართვაზე სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული მოიცავს შემდეგს და არა მხოლოდ:

- რისკისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმის (RCSA) მართვა, რომლის მიზანია ოპერაციებისა და პროცესებში შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენა სათანადო პრევენციული ღონისძიებების შესათავაზებლად;
- რეალიზებული რისკების შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სიღრმისეული ანალიზის ჩატარება, მომავალში მათი მიტიგაციისთვის;
- საოპერაციო რისკების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა შემდგომი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისათვის;
- შიდა თაღლითობის შემთხვევების ანალიზი და ძირითადი რისკის მაჩვენებლების მონიტორინგი;
- ახალი რისკების შეფასება და ახალი პროდუქტების, პროცედურებისა და მომსახურების დაწყების ვალიდაცია;
- ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა არასტანდარტულ შემთხვევებში;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) ინციდენტების წარმოშობის მონიტორინგი და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის ზედამხედველობა; და
- სადაზღვევო პოლისების შექმნა საოპერაციო რისკის შემცველი მოვლენებიდან ზარალის რისკის გადასაცემად.

ბანკის საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტმა გააძლიერა შიდა კონტროლის რისკის შეფასების მეთოდოლოგია, არსებული კონტროლის გარემოს გასაუმჯობესებლად. იგივე წესი ვრცელდება საოპერაციო რისკის მართვის პროცესების გაერთიანებაზე მიმართული მოქმედებების ნაკრებზე ჯგუფის წევრ კომპანიებში. ბანკის საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია რისკის მართვის დირექტორის წინაშე.

საოპერაციო რისკების კონტროლისა და შემსუბუქების მიზნით დანერგილია სხვადასხვა პოლიტიკები, პროცესები და პროცედურები, მათ შორის:

- რისკების შეფასების ახალი პოლიტიკა, რომელიც რისკების დეტალური შეფასების საშუალებას იძლევა ახალი პროდუქტების, მომსახურებების ან პროცედურების დანერგვამდე;
- აუტოსორსინგული მომსახურებების (მესამე მხარის) რისკის შეფასების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს შეფასდეს ისეთი რისკები, რაც შესაძლოა წარმოიშვას: მომწოდებლის არასათანადო შერჩევის შედეგად, მომწოდებლის და/ან მის მიერ მოწოდებული მომსახურების არასაკმარისი კონტროლისა და ზედამხედველობის, ასევე მომწოდებლის სხვა გავლენების გამო;
- რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმის (RCSA) პოლიტიკა, რომელიც საშუალებას იძლევა განუწყვეტლივ შეფასდეს არსებული და პოტენციური რისკები, ჩამოყალიბდეს რისკის მიტიგაციის სტრატეგია და სისტემატურად მოხდეს რისკის შემცირების გეგმის პროგრესის მონიტორინგი. ამ გეგმების შესრულება ასევე შესაბამისი მენეჯერების შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს;
- საოპერაციო რისკების შემთხვევების იდენტიფიცირების პოლიტიკა, რომელიც ჯგუფს საოპერაციო რისკის მოვლენებზე სწრაფი ანგარიშგების, ამგვარი მოვლენების სისტემური დეტალური ანალიზის ჩატარების და პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას აძლევს; და
- საოპერაციო რისკის ცნობარის პროგრამის შემუშავება ბანკის თანამშრომლებისათვის და ტრენინგების რეგულარულად ჩატარება ბანკის შიდა რისკების კულტურის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო რისკის მართვის ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმზე (RCSA), რომლის ფარგლებშიც მოხდა ბანკის ყველაზე პრიორიტეტული პროცესების გადახედვა და გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრა.

საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო და მისი დამატებითი პოლიტიკა განახლდა საოპერაციო რისკის მართვის პროგრამის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, ბანკმა შეიმუშავა შიდა საბანკო საოპერაციო რისკების რეესტრი.

### შესაბამისობა

დაცვის პირველი ხაზი პასუხს აგებს შესაბამისობის რისკზე, რომელსაც აქვს ბანკის შესაბამისობის დეპარტამენტის, როგორც დაცვის მეორე ხაზის ძლიერი მხარდაჭერა. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილების უფროსი კვარტალურად აბარებს ანგარიშს რისკის კომიტეტს და დისციპლინარული ხასიათის ანგარიშს წარუდგენს გენერალურ დირექტორს. ბანკის შესაბამისობის პროგრამა მოიცავს შესაბამისობასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს, ტრენინგებს, რისკების მიმოხილვას და ის მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკს მართავს:

- კანონებსა და რეგულაციებში მოქმედი ცვლილებების პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ დროულად განხორციელების უზრუნველყოფით;
- მონაწილეობის მიღებით ახალი პროდუქტის/პროცესის დამტკიცების პროცესში;
- მომხმარებელთა პრეტენზიების გამომწვევი მიზეზების, საოპერაციო რისკის მოვლენების მონაცემთა ბაზის, შიდა აუდიტის მიერ აღმოჩენილი ფაქტებისა და სასამართლო საქმეების ანალიზი, პროცესის სუსტი მხარეების პროაქტიურად გამოვლენის გზით; და
- შიდა პროცესების წლიური RCSA-ის ჩატარებით.

ბანკის ზემოაღნიშნული ანალიზის და პროცესების შედეგების საფუძველზე, შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს ცვლილებებს შიდა ინსტრუქციებში ან გასცემს რეკომენდაციებს ბანკის სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი პროცესების ცვლილებების შესახებ. ამასთან, დაცვის მეორე ხაზის სახით, შესაბამისობის დეპარტამენტი განსაზღვრავს რისკების მატრიცას და აკონტროლებს მათ ბანკის რისკის აპეტიტის ჩარჩოში განსაზღვრული სიხშირით. შესაბამისობის დეპარტამენტი პასუხს აგებს განსაზღვრული ლიმიტების დარღვევის ესკალაციაზე სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი ხელმძღვანელობის წინაშე.

### ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML)

ჯგუფის მიზანია მისი მომხმარებლების, აქციონერების და საზოგადოების დაცვა ფინანსური დანაშაულისგან და შედეგად მიღებული საფრთხეებისგან. ჯგუფი მოწოდებულია ფინანსურ დანაშაულთან დაკავშირებით ევროკავშირში, გაერთიანებულ სამეფოში და ადგილობრივ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაზე, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ დანაშაულთან, ასევე შესაბამისი კანონებით სხვა ქვეყნებში, სადაც ფუნქციონირებს ჯგუფის წევრის ფინანსური დაწესებულებები. ის ასევე აკმაყოფილებს შესაბამისი ინდუსტრიის საუკეთესო სტანდარტებს. ჯგუფმა დანერგა შიდა პოლიტიკები, პროცედურები და დეტალური ინსტრუქციები, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ თავიდან იქნას აცილებული მისი გამოყენება ან ჩარევა ფულის გათეთრებაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა უკანონო საქმიანობაში, როგორებიც არის მექროთამეობა, კორუფცია ან გადასახადებისგან თავის არიდება. ჯგუფის მიერ განხორციელებული AML/CTF შესაბამისობის პროგრამა მოიცავს წერილობით პოლიტიკას, პროცედურებს, შიდა კონტროლს და სისტემებს, მათ შორის, შეუზღუდავად: პოლიტიკას და პროცედურებს AML კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის; „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) და მომხმარებლის კომპლექსური შემოწმების პროცედურებს; მომხმარებლის შემოწმებას ტერორისტების და განსაკუთრებული კატეგორიის და აკრძალულ პირთა ჩამონათვალის მიხედვით; ფინანსური და სხვა სანქციების ჩამონათვალს, პერსონალის რეგულარულ ტრენინგს და ცნობადობის ამაღლებას; და ბანკის მომხმარებლების საექვო საქმიანობების მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს.

დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში, ბანკის AML განყოფილება უზრუნველყოფს რისკის მართვას ჯგუფის მიერ განსაზღვრული დასაშვები რისკის დონის შესაბამისად და ხელს უწყობს რისკის ძლიერი კულტურის განვითარებას ორგანიზაციის მასშტაბით.

ჯგუფს აქვს კომპლექსური AML უზრუნველყოფა, რაც შესაძლებლობას აძლევს AML განყოფილებას დაიცავს კლიენტების ტრანზაქციების მონიტორინგის და საექვო ქცევის დადგენის მიზნით. მონაცემთა ანალიზის და მანქანური სწავლების გამოყენებით, ჯგუფმა შეიმუშავა ანომალიის დაფიქსირების ინსტრუმენტი, ძალიან კომპლექსური შემთხვევების ზედაპირზე გამოტანის მიზნით, კლიენტების ქსელის ანალიზის გამოყენებით ფულის გათეთრების ორგანიზებული შემთხვევების და წინასწარ განსაზღვრული შაბლონების გამოსვლენად, ავტომატური სისტემის შესაქმნელად. ამ მიდგომას დიდი ბიზნეს ღირებულება აქვს, რადგან ის გამოავლენს



## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები [გამრძელებად](#)

ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ:

1. SWIFT მომხმარებლების დაცვის ჩარჩოს გარე აუდიტი;
2. სებ-ის კიბერ უსაფრთხოების ჩარჩოს გარე აუდიტი, რომელიც ეფუძნება NIST კიბერ უსაფრთხოების მართვის ჩარჩოს;
3. გარე საკონტროლო აუდიტი ISO 27001-ის მიხედვით; და
4. ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ინფორმაციის დაცვის ობიექტის კვლევა ჩვენი პარტნიორების დახმარებით.

- ჩვენი შიდა გუნდი ატარებს შიდა და გარე აპლიკაციების და ინფრასტრუქტურის უწყვეტ კვლევას.
- ჩვენ რეგულარულად ვატარებთ გარე საფრთხეების კვლევას და ვაფასებთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს, მსოფლიოს მოწინავე საფრთხის აქტორებთან დაკავშირებით.

### მოდელის რისკის მართვა

სებ-ის მოთხოვნების, საერთაშორისო მარეგულირებელი სახელმძღვანელო მითითებებისა და საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით, „თიბისი ბანკი“ განსაზღვრავს მოდელს, როგორც რაოდენობრივ მეთოდს, სისტემას ან მიდგომას, რომელიც იყენებს სტატისტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ ან მათემატიკურ თეორიებს, ტექნიკებს და დაშვებებს შემავალი მონაცემების რაოდენობრივ მაჩვენებლებად გარდაქმნისთვის. მოდელი სამ კომპონენტს მოიცავს: შემავალი ინფორმაციის კომპონენტი, ინფორმაციის დამუშავების კომპონენტი და ანგარიშგების კომპონენტი. მოდელის რისკი განისაზღვრება, როგორც ნეგატიური შედეგების რისკი (მაგ. ფინანსური ზარალი, რეპუტაციის ზიანი და ა.შ.), რომელიც წარმოიქმნება არასწორი ან არასწორად გამოყენებული მოდელის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან.

„თიბისი ბანკის“ მოდელის რისკის მართვის (MRM) ფუნქცია ანგარიშვალდებულია უშუალოდ რისკის მართვის დირექტორთან. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული MRM პოლიტიკა განსაზღვრავს მოდელის რისკის მართვის ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მოდულების რისკის მართვა. მოდულების რისკის მართვის ფუნქციის ორი მთავარი კომპონენტია მმართველობა და ვალიდაცია. MRM მოქმედებს, როგორც დაცვის მეორე ხაზი და ის მუდმივად ახდენს მოდელთან დაკავშირებული რისკების გამოვლენას, რაოდენობრივ შეფასებას, მინიმუმებს და მიტიგაციას ბანკის ფარგლებში.

MRM-ის მმართველობითი კომპონენტი განსაზღვრავს ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს მოდელის მთლიანი სასიცოცხლო ციკლისთვის. ის ადგენს იმ სტანდარტებს და პროცედურებს, რომლებიც მოიცავს სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს - დაგეგვიდან განვითარებამდე თავდაპირველი ვალიდაციის, მოდელის გამოყენების, მონიტორინგის, მიმდინარე ვალიდაციის და მოდელის მიმოქცევიდან ამოღების ჩათვლით. ის ასევე პასუხს აგებს მოდელის ინვენტარის მართვაზე, და მოდელის რისკის დასაშვები რისკის დონის ფარგლებში შენარჩუნებაზე.

MRM-ის ვალიდაციის კომპონენტი პასუხს აგებს შესაბამისი მოდელის ტექნიკურ და კონცეპტუალურ ვალიდაციაზე, მმართველობითი კომპონენტის ფარგლებში დადგენილი სტანდარტების და პროცედურების შესაბამისად. მოდელის თავდაპირველი და მიმდინარე ვალიდაციის პროცესში MRM იყენებს რისკებზე-დაფუძნებულ მიდგომას.

### იურიდიული რისკი

ბანკის იურიდიული დეპარტამენტი პასუხს აგებს ყველა იურიდიული ვალდებულების და შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხების მართვაზე, რომლებიც წარმოიშვება ბანკში, იურიდიული რისკების შედეგად. მისი მიზნებია:

- იურიდიული რისკების გამოვლენა. ბიზნეს გეგმებთან და ინიციატივებთან დაკავშირებული იურიდიული რისკების, მათ შორის შესაბამისობის და ვალდებულების რისკების და საქმიან აქტივობებთან დაკავშირებული რისკების შეფასება.
- იურიდიული რისკების დაკალიბრება. კომპანიის წინაშე მდგარი იურიდიული რისკების შეფასება და დაკალიბრება, შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან ერთად, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და ორგანიზაციის გამძლეობის და რისკის დონის განსაზღვრის მიზნით.
- იურიდიული რისკის მართვა. სტრატეგიების, გეგმების, პროცესების და პოლიტიკების შემუშავება და მათ გასავითარებლად იურიდიული და სხვა რესურსების უზრუნველყოფა.

იურიდიული დეპარტამენტის მიზანია უზრუნველყოს ამ საქმიანობების სრული შესაბამისობა პროფესიონალური იურიდიული მომსახურებების ფართო სპექტრით, მათ შორის: ის (i) ურთიერთობს შიდა და გარე კლიენტებთან, გარე იურისტებთან, სახელმწიფო და მარეგულირებელ უწყებებთან; (ii) გამოსცემს კომენტარებს და მოსაზრებებს; (iii) ქმნის სტანდარტული და ინდივიდუალური ხელშეკრულებების სამუშაო ვერსიებს; (iv) ამზადებს კორპორაციულ დადგენილებებს; (v) გამოსცემს მარეგულირებელ განახლებებს და (vi) წარმოადგენს ბანკს სასამართლოებში, დავების განხილვის სხვა ორგანოებში და მესამე პირების წინაშე.

იურიდიული დეპარტამენტის ფუნქცია შესაბამისობის უზრუნველყოფაში მოიცავს შესაბამისობის დეპარტამენტის დახმარებას შესაბამისობის პროგრამის ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფაში (i) ბანკის დახმარება საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების გააზრებაში, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მის ბიზნეს მოდელსა და ოპერაციებზე; (ii) კომპანიის დახმარება სამართლებრივი და მარეგულირებელი საკითხების გააზრებაში, მის ახალ პროექტებთან, პროდუქტებთან, სერვისებთან და გაფართოების გეგმებთან მიმართებით.

მთავარი იურისტის პასუხისმგებლობაა ბანკის იურიდიული დეპარტამენტის ზედამხედველობა. მთავარი იურისტი განსაზღვრავს ბანკის მნიშვნელოვან ბიზნეს მიზნებს ყველა იურიდიული გუნდისთვის, ნერგავს ბანკის ხედვას და პოლიტიკებს და უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა იურიდიული გუნდი ეფექტურად ფუნქციონირებდეს. მთავარი იურისტის პასუხისმგებლობაა აღმასრულებელი ხელმძღვანელობის, სამეთვალყურეო საბჭოს და კომიტეტებისთვის ანგარიშის წარდგენა არსებული სამართლებრივი რისკების და მიტიგაციის სტრატეგიების შესახებ და მომავალი ხედვის განსაზღვრა, რომელიც ამ რისკების ეფექტურად მართვას უზრუნველყოფს.

### ქცევის რისკი

ქცევის რისკი განმარტებულია, როგორც ობიექტური შედეგების მიწოდების რისკი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ბანკის ქცევის კოდექსი წარმოადგენს მორალურ ორიენტირს ყველა პერსონალისთვის და ადგენს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომელიც უნდა დაიცვას თითოეულმა თანამშრომელმა. ბანკის თანამშრომლები პატიოსნად და სამართლიანად ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებს გადაწყვეტი მიიღვენლობა აქვთ ბანკის ოპერაციებისადმი ნდობისა და დამაჯერებლობის შენარჩუნებაში, ასევე, ისეთი ღირებულებების დაცვაში, როგორც არის ნდობა, ერთგულება, წინდახედულება და ზრუნვა.

გარდა ამისა, ბანკის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ იგი პასუხისმგებელია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დივერსიფიცირებული ჯგუფის წინაშე და სჭირდება წესებისა და მექანიზმების უზრუნველყოფა მომხმარებლების დასაცავად და ინვესტორებისა და ფინანსური ბაზრების ნდობის შესანარჩუნებლად. ჯგუფის დირექტორები ნერგავენ მიდგომას „tone from the top“, რაც მოიაზრებს კარგი ქცევის პრინციპებს და ამასთან დაკავშირებით აქვთ კომუნიკაცია ბანკის თანამშრომლებთან.

ქცევის რისკის მართვისას ბანკი სხვადასხვა დეპარტამენტს და განყოფილებას ავალებს ქცევის რისკის მართვას, შერბილებასა და კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში ქცევის რისკის პრევენციას ბანკის მასშტაბით განხორციელებულ ოპერაციებში. შესაბამისობის უზრუნველყოფისა, ადამიანური კაპიტალის და საოპერაციო რისკის დეპარტამენტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა შექმნან ქცევის რისკის მართვის გაერთიანებული ჩარჩო და დახმარება გაუწიონ ბიზნეს განყოფილებებს და დეპარტამენტებს შემდეგი მიმართულებით:

1. პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვა და მართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი დეპარტამენტებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ მარეგულირებელი დებულებების, საუკეთესო პრაქტიკის, ქცევის კოდექსისა და ეთიკის კოდექსის დაცვა;
2. შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან მუდმივი თანამშრომლობა პოლიტიკების და პროცედურების ადმინისტრირებასთან და დეპარტამენტის ქცევის, მისი მენეჯერების და/ან თანამშრომლების შესახებ საჩივრების გამოძიებასთან დაკავშირებით;
3. იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლებისათვის წინა ხაზის თანამშრომლების მიერ პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია გადაიცეს (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით) მარტივად და გასაგებად, მომხმარებლის კატეგორიის მიუხედავად;
4. მომხმარებლებთან ურთიერთობა და ელ. გზავნილების ჩანაწერების შენახვა, რომლებიც შეიცავენ სენსიტიურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას ახალი კლიენტების მოზიდვის და რთული პროდუქტების შეთავაზების თაობაზე;
5. ჯგუფს შიგნით შესაბამისობასთან დაკავშირებული მოქმედი სტანდარტების თაობაზე ყველა თანამშრომლისთვის პერიოდული ტრენინგის ჩატარების გზით, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ახალი თანამშრომლები იცნობდნენ სათანადო ქცევის სტანდარტებს;
6. ღია კულტურის შექმნის გზით, რაც თანამშრომლებს წაახალისებს ისაუბრონ გულახდილად დასჯის შიშის გარეშე, ჩვენ ვახორციელებთ ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას და დაფიქსირებას, ვქმნით მორალურ საინიციატივო პროგრამებს და ვქმნით ბონუსებს, ასევე ვახორციელებთ რისკის შესაბამის ინიციატივას და დისციპლინარულ პოლიტიკას ჯგუფისთვის;
7. მნიშვნელოვანი დროის და ძალისხმევის ინვესტირება გაყიდვების და გაყიდვის შემდგომი აქტივობების კვლევის, ანალიზის, განხორციელების და მონიტორინგისთვის, მოთხოვნილ სამუშაო უნარებში სათანადო ქცევის გამოყენება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ქცევის რისკს არა მხოლოდ რისკის მართვის ერთეულები, არამედ შესაბამისობის დეპარტამენტებიც მართავენ.



## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები **გაგრძელება**

იანვარში საქართველოს სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს აქტიური მუშაობა უცხოურ ვალუტაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად და ზედა ზღვარი 200,000 ლარამდე გაზარდეს, რომლის ფარგლებშიც სესხები უნდა გაიცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივის ფარგლებში დაანესა ბევრად კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაპეჭირებული საცალო მსესხებლებისთვის. ბანკმა განსაზღვრა მთლიან პორტფელში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილის შემცირების სტრატეგია. განისაზღვრა ყოველწლიური მიზნები საშუალოვადიან სტრატეგიაში, უცხოური ვალუტის წილის თანდათანობით შემცირების გზით. ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) ყურადღებით აკონტროლებს ამ მიზნების მიღწევას.

დამატებითი ინფორმაცია სავალუტო კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკის შესახებ იხილეთ თავში საკრედიტო რისკის მართვა გვ. 84.

### 3. ბანკს აქვს კონცენტრაციის რისკი

#### რისკის აღწერა

ცალკეულ ინდივიდუალურ მსესხებლებს აქვთ მაღალი დავალიანება ბანკის მიმართ, რომელთა პოტენციური დეფოლტი გულისხმობს გაზრდილ საკრედიტო დანაკარგებს და რეზერვის მაღალ ხარჯს. ბანკის პორტფელი კარგად დივერსიფიცირებულია სექტორების მიხედვით, რაც განაპირობებს სექტორული კონცენტრაციის რისკის ზომიერ ნიშნულს. თუმცა, მთავარ რისკის მატარებლებზე ჯამური დავალიანების ზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ შესაბამისად გაიზრდება რისკებიც. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მაქსიმალურმა დავალიანებამ ერთ უმსხვილეს დარგზე (უძრავი ქონება) საკრედიტო პორტფელის 9%-ს შეადგენდა. ამავდროულად, 20 უმსხვილეს მსესხებელზე დავალიანება საკრედიტო პორტფელის 8.5% იყო.

#### რისკის მითიგაცია

ბანკი განუწყვეტლივ ამოწმებს კონცენტრაციის რისკს როგორც ცალკეული მსესხებლების, ასევე სექტორებისა და ძირითადი რისკის მატარებლების მიმართ და აწესებს ლიმიტებს რისკის შერბილების მიზნით. რისკის დასაშვები დონის ჩარჩოს ფარგლებში, ბანკი აწესებს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური ისე სექტორული კონცენტრაციებისთვის. დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები.

ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები. ამასთან, „პილარ-2“-ის ფარგლებში წარმოდგენილია კონცენტრაციის ბუფერი, რაც ბანკს ეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალის დონე კონცენტრაციის რისკის შესარბილებლად.

დამატებითი ინფორმაცია მითიგაციის შესაძლებლობების შესახებ, იხილეთ ქვეთავში კრედიტის კონცენტრაციის რისკი რისკის მართვის თავის ქვეშ, 80-ე გვერდზე.

### 4. ჯგუფის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა

#### რისკის აღწერა

საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპის პოტენციურ შენელებას სავარაუდოდ უარყოფითი გავლენა ექნება მსესხებლების მიერ სესხის დაფარვის უნარზე, რაც ზღუდავს მომავალ ინვესტირებასა და საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებულ გეგმებს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ბანკის მუშაობის მაჩვენებლები, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა გადაცემის არხით, როგორც არის ვალუტის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, სესხების უზრუნველყოფის დონის, ან კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო. მეზობელ და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმდინარე და ფინანსური ანგარიშების გაუარესებით (მაგ.: შემცირებული ექსპორტი, ტურისტული ნაკადები, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

საქართველოს ეკონომიკამ ძალიან ძლიერი - 10.1%-იანი ზრდა უჩვენა 2022 წელს, მიუხედავად რუსეთის უკრაინაში შეჭრის ნეგატიური გავლენისა. ნეგატიური გვერდითი მოვლენები გარკვეულწილად ბალანსდება მიგრაციის დადებითი გავლენით. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებლები გამოვლინდა ექსპორტის, ფულადი გზავნილების შემოღინების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ. ამასთან ლარის კურსი

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აშშ დოლარის და ლარის გაცვლითი კურსი დაახლოებით 2,70 იყო დეკემბრის ბოლოს, მარტის 3,2-თან შედარებით. გარდა ამისა, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, ინფლაცია კვლავ გამოწვევად რჩება, ერთი წლის მანძილზე სამომხმარებლო ფასების ინდექსის 9.8%-იანი ზრდით 2022 წლის დეკემბერში. შესაბამისად, საერთაშორისო მასშტაბით გამკაცრების პარალელურად გამკაცრდა ადგილობრივი მონეტარული პოლიტიკაც, რამაც გამოიწვია კრედიტზე ზომიერი მოთხოვნა ინფლაციის შესაბამისი კორექტირებით და ორი წლის განმავლობაში უწყვეტი ორციფრიანი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით.

#### რისკის მითიგაცია

ეკონომიკური ციკლების მიმართ მგრძობელობის შესამცირებლად, ჯგუფი უზრუნველყოფს ციკლური ინდუსტრიების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სექტორული კონცენტრაციის ლიმიტებს დასაშვები რისკის დონის ფარგლებში. ჯგუფში შექმნილია მაკროეკონომიკური მონიტორინგის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოში და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე გულდასმით და მრავალჯერად დაკვირვებებს, რათა დროულად მოხდეს ეკონომიკური რისკების ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების იდენტიფიცირება. ეს სისტემა ჯგუფს საშუალებას აძლევს სწრაფად შეაფასოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გააანალიზოს მათი გავლენა ჯგუფის მუშაობის შედეგებზე. იდენტიფიცირებული რისკები შესაბამისად აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში. ეს გულისხმობს სესხის გაცემის სტანდარტების და დასაშვები რისკის დონის მაჩვენებლების ან შეზღუდვების გადახედვას, რაც ასევე მოიცავს ყველაზე მოწყვლად ინდუსტრიებში არსებულ შეზღუდვებს. ამასთან, დაკრედიტების განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესებში გამოყენებული სტრეს-ტესტები და სცენარული ანალიზი ჯგუფს საშუალებას აძლევს წინასწარ შეაფასოს მაკროეკონომიკური შოკების გავლენა მის ბიზნესზე. მდგრადობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების სტანდარტებში. ამგვარად მოსალოდნელია, რომ მსესხებლები გაუძლებენ გარკვეულ უარყოფით ეკონომიკურ გავლენას გონივრული ფინანსური მდგომარეობის, სესხის მომსახურების შესაძლებლობებისა და სათანადო უზრუნველყოფით.

რეგიონალური კრიზისის გათვალისწინებით, ჯგუფმა გადახედა მისი რისკის მართვის ჩარჩოს, უკვე არსებული სტრეს-ტესტების პრაქტიკის გამოყენებით. ეს მოიცავდა როგორც პორტფელის უფრო სრულ და ხშირ მონიტორინგს, ასევე სტრეს-ტესტებს, კაპიტალში ცვლილების, ლიკვიდობის და პორტფელის ხარისხის მკაცრ კონტროლს გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში.

დამატებითი ინფორმაცია 2022 წლის ეკონომიკის შესახებ, რომელშიც ჯგუფი ოპერირებს იხილეთ თავში ჩვენი საოპერაციო გარემოს შესახებ 16-19 გვერდებზე.

### 5. ბანკი დგას კაპიტალის რისკის წინაშე, რაც გულისხმობს საზედამხედველო მინიმალური მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილებას კაპიტალის მზარდი მოთხოვნების პირობებში, რამაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ზრდა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა. დამატებით, გაცვლით კურსის უარყოფითმა ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე.

#### რისკის აღწერა

სებ-მა განსაზღვრა საზედამხედველო კაპიტალის ჩარჩო, კაპიტალის მოთხოვნებთან, რომლებიც მოიცავს პილარ 1-ის მინიმალურ მოთხოვნას, კომბინირებულ ბუფერებს (სისტემური, კონტრციკლური და კონსერვაციის ბუფერები) და პილარ-2-ის ბუფერებს. ბუფერების დანერგვა ეტაპობრივად მოხდა, კონცენტრაციის რისკის და წმინდა „Grape“ ბუფერის 2023 წლის მარტისთვის სრულად დანერგვის მიზნით.

ბანკის კაპიტალიზაცია 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით იყო:

- 15.5% ძირითადი პირველადი კაპიტალისთვის ადეკვატური საზედამხედველო მინიმალური მოთხოვნით 11.6%;
- 18.0% პირველადი კაპიტალისთვის ადეკვატური საზედამხედველო მინიმალური მოთხოვნით 13.8%; და
- 21.0% მთლიანი კაპიტალისთვის განახლებული საზედამხედველო მინიმალური მოთხოვნით 17.3%.

ეს მაჩვენებლები შესაბამის საზედამხედველო მინიმუმებს აღემატებოდა.

2023 წლის იანვარში ფასს სტანდარტებზე გადასვლასთან ერთად, სებ-მა მიიღო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებული დადგენილებების ცვლილება (დამატებით განხილულია თავში „კაპიტალის რისკის მართვა“ 92-ე გვერდზე). ლარის ცვალებადობა რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკად, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე. 10% ლარის გაუფასურება განაპირობებს 0.8 პროცენტული პუნქტით, 0.7 პროცენტული პუნქტით და 0.6 პროცენტული პუნქტით კლებას ბანკის ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებში, შესაბამისად.

**რისკის მითიგაცია**

ბანკი ატარებს სტრეს-ტესტებს და მგრძობელობის ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ასეთი ანალიზი განსაზღვრავს, რომ ბანკს აქვს საკმარისი კაპიტალი მინიმალური საზედამხებდევლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს ანალიზი გამოიყენება მარეგულირებელ მოთხოვნებამდე შესაბამისი რისკის დასაშვები დონის ბუფერების ადგილობრივად განსაზღვრად. ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობის და რისკების კომიტეტის ჩართულობით აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება.

დამატებითი ინფორმაცია კაპიტალის რისკის და შესაბამისი მითიგაციის ღონისძიებების შესახებ იხილეთ თავში კაპიტალის რისკის მართვა 92-ე გვერდზე.

**6. ჯგუფს აქვს მარეგულირებელი და სააღსრულებო მოქმედების რისკი**

**რისკის აღწერა**

ჯგუფი ეწევა რეგულირებად საქმიანობას და, შესაბამისად, ექვემდებარება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს. საქართველოში, ეროვნულ ბანკს შეუძლია პრუდენციული მოთხოვნები გაუზარდოს როგორც მთელ სექტორს, ასევე კონკრეტულ ინსტიტუტებს ამ სექტორში. მინიმალური რეზერვების და ფინანსური კოეფიციენტების დაცვის მოთხოვნასთან ერთად, ბანკი ვალდებულია წარმოადგინოს პერიოდული ანგარიშები. ბანკი ასევე იმართება საგადასახადო კოდექსით და საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი კანონებით.

კომპანიის ლონდონის ბირჟის პრემიუმ ლისტიგში რეგისტრაციის შემდეგ, ჯგუფი დიდი ბრიტანეთის ფინანსური ქცევის უწყების მიერ მიღებულ რეგულაციებს დაექვემდებარა. მის საბანკო ოპერაციებთან ერთად, ჯგუფი ასევე ახდენს სხვა მარეგულირებელი ფინანსური მომსახურების პროდუქტების, მათ შორის სალიზინგო და საბროკერო მომსახურებების შეთავაზებას.

ჯგუფი ასევე ვალდებულია დააკმაყოფილოს ფინანსური კოეფიციენტები აღებული ვალდებულებების ხელშეკრულებების მიხედვით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჯგუფის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება.

**რისკის მითიგაცია**

საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ჯგუფს დანერგილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები და პროცესები, რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფის ოპერაციების ყველა დონეზე. ჯგუფის „სამ-დონიანი დაცვის“ მოდელი განსაზღვრავს რისკის მართვის ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილება პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკის მართვაზე და ანგარიშვალდებულია უშუალოდ შესაბამისი ბანკის აღმასრულებელ დირექტორთან. ჯგუფის აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. ჯგუფში არის პროცესები და ინსტრუმენტები რისკების გამოვლენის, შეფასების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და მართვისთვის რისკის დასაშვები დონის ლიმიტების დაცვის მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ რისკის მართვის თავის ქვეთავში შესაბამისობის უზრუნველყოფა 80-ე გვერდზე.

**7. ჯგუფს აქვს ფინანსური სანქციების რისკი.**

**რისკის აღწერა**

ისტორიულად საქართველოს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან და უკრაინასთან. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულმა აგრესიამ გამოიწვია მკაცრი საერთაშორისო რეაქცია, რაც მოიცავდა მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაკისრებას აშშ-ის, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს და სხვა ქვეყნების მხრიდან. შედეგად რუსული და ბელარუსის საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებების წევრები, ოლიგარქები, ბიზნესმენები, სახელმწიფო კომპანიები, ფინანსური დაწესებულებები და სხვა იურიდიული პირები პირდაპირ იყვნენ სანქცირებული. რამდენიმე ეკონომიკური შეზღუდვა და სავაჭრო აკრძალვა ამოქმედდა საქმიანობის სხვადასხვა სექტორში და საქონლისა და მომსახურებების კონკრეტულ კატეგორიებთან მიმართებით რუსეთში, ბელარუსში, ყირიმსა და სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამ კონფლიქტის შედეგად რუსეთის მრავალი მოქალაქე საქართველოში

გადმოვიდა საცხოვრებლად. ბანკის რუსეთთან და რუსეთის მოქალაქეებთან ურთიერთობის დონის, ასევე სანქციების, აკრძალვების და შეზღუდვების მასშტაბის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სანქციების გვერდის ავლის მცდელობებში ჩართვის რისკი.

რუსეთთან დაკავშირებული სანქციების რისკის და საერთაშორისო ტრანსპორტირების ტარიფების მნიშვნელოვანი ზრდის გამო, საქართველოში წარმოიქმნა აზიის ქვეყნებში იმპორტ-ექსპორტის საქმიანობისთვის ირანის გავლით ტრანსპორტირებით გამოწვეულ რისკი.

აშშ-ის, ევროკავშირის და გაერთიანებული სამეფოს სანქციების რეჟიმის დარღვევა ჯგუფზე ჯარიმების და მარეგულირებელი სანქციების დაკისრებას გამოიწვევს ადგილობრივი მარეგულირებლის, საქართველოს ეროვნული ბანკის და აშშ-ის, ევროკავშირის ან გაერთიანებული სამეფოს უწყებების და სამართალდამცავი სააგენტოების მხრიდან. მარეგულირებელი რისკის გარდა ჯგუფი რეპუტაციული რისკის წინაშეც დგება მეტწილად კორესპონდენტ ბანკებთან და სხვა ფინანსურ მესამე მხარეებთან მისი ურთიერთობებიდან გამომდინარე.

**რისკის მითიგაცია**

ჯგუფის რისკის აპეტიტთან და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ ინსტრუქციებთან ერთად, ჯგუფმა დანერგა ადგილობრივ, გაეროს, აშშ-ის, ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს დასანქცირების რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფი პროცესები და პროცედურები. ჯგუფი მონოდებულია არ შევიდეს ისეთ გარიგებაში ან ოპერაციაში პირდაპირ ან ირიბად სანქცირებულ მხარეებთან, ჯგუფებთან და მომსახურებებთან და არავითარ შემთხვევაში არ შეუწყოს ხელი გაეროს, აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის სანქციების პროგრამების გვერდის ავლას.

ამ მხრივ, შემდეგი ქმედებების დახმარებით, ჯგუფმა გააძლიერა სანქციების პროგრამა გარე კონსულტანტების დახმარებით: შეაფასა საწარმოს სანქციების რისკების შედეგები, გამოუშვა სანქციების ახალი პოლიტიკა და პროცედურები და ხელი შეუწყო კლიენტების მიღების პროცესს და ურთიერთობებს. ამასთან, ჯგუფი აგრძელებს გარიგებების მჭიდრო მონიტორინგის და სქრინინგ ინსტრუმენტების გადახედვითა და სანქციებთან დაკავშირებული ტრენინგებით საშუალებით ატარებს დამატებით ფინანსურ ანალიზს რუსეთთან დაკავშირებულ გარიგებებზე ან ირანის გავლით პოტენციური გადატვირთვის პროცესზე.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში ფინანსური სანქციების რისკის მართვა 98-ე გვერდზე.

**8. ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელია ლიკვიდობის რისკი**

**რისკის აღწერა**

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ფლობს საკმარის ფინანსურ რესურსებს მისი ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად, საბანკო ოპერაციებისთვის ლიკვიდობის რისკი დამახასიათებელია და მის გაზრდაზე შესაძლოა მრავალმა ფაქტორმა იმოქმედოს. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობას ან მის ხელმიუწვდომლობას, ასევე ცვლილებებს საკრედიტო რეიტინგებში ან ბაზარზე მომხდარ მოვლენას. განვითარებად ბაზრებზე კომპანიებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე, ამიტომ ფაქტორებს, რომლებიც მასზე ზემოქმედებენ (მაგ., საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ცენტრალური ბანკის ან სახელმწიფოს ჩარევები, ან ვალის რესტრუქტურისა შესაბამის დარგში), შეუძლიათ შეცვალონ აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაფინანსების ხარჯი ან ხელმისაწვდომობა. ბანკი შესაბამისობაშია სებ-ის მიერ დადგენილ მინიმალურ ლიკვიდობის მოთხოვნებთან, რომელიც მოიცავს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტს (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს (NSFR).

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, წმინდა სესხების ფარდობამ დეპოზიტებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების დაფინანსების ჯამთან შეადგინა 88.5%, ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტმა 146.6%, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტმა - 135.3%. ყველა მათგანი სებ-ის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს ან შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებს საკმაოდ აღემატება.

**რისკის მითიგაცია**

მოცემული რისკის შესუსტების მიზნით, ჯგუფს უჭირავს მყარი ლიკვიდობის პოზიცია და თანხის გატანის სცენარებს აანალიზებს, როგორც ჩვეულებრივი, ისე სტრესული გარემოებებისათვის იმაში დასარწმუნებლად, რომ მას აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები და ფულადი ნაკადების შემოდინება. ჯგუფი ინარჩუნებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკების სამართავად. ლიკვიდობა საკმარისია იმისათვის, რომ გაუძლოს მომხმარებლების მიერ დეპოზიტების გატანას, თუმცა დეპოზიტების არსებითი თანხების მოულოდნელმა და სწრაფად გატანამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და/ან პერსპექტივაზე.

## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები **გაგრძელება**

სტრეს-ტესტები ლიკვიდობის რისკის მართვის მთავარი ინსტრუმენტია. სტრეს-ტესტები ტარდება შიდა ლიკვიდობის ადეკვატურობის შესაბამისობის შეფასების პროცესის (ILAAP) და აღდგენის გეგმის განხორციელების ფარგლებში. პირველი აფასებს ლიკვიდობის პოზიციის და შესაბამისი ბუფერების ადეკვატურობას და იმას, შეუძლია თუ არა მათ სავარაუდო მძიმე დარტყმებისთვის გაძლება, ხოლო მეორე უზრუნველყოფს შესაძლო ქმედებების ნაკრებს, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს მარეგულირებელი მოთხოვნების დარღვევის ნაკლებად სავარაუდო შემთხვევებში ლიკვიდობის პოზიციაში სწრაფი აღდგენის მხარდასაჭერად. ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) ახორციელებს ლიკვიდობის რისკის პოზიციისა და შიდა ლიმიტებთან შესაბამისობის მჭიდრო მონიტორინგს.

დამატებითი ინფორმაცია ლიკვიდობის რისკის და შესაბამისი მიტიგაციის ღონისძიებების შესახებ იხილეთ თავში ლიკვიდობის რისკის მართვა 88-ე გვერდზე.

### **9. ჯგუფის წმინდა საპროცენტო შემოსავლის ან წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) ნებისმიერმა შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება და ორგანული კაპიტალის დაგროვება.**

#### **რისკის აღწერა**

წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს ჯგუფის საერთო შემოსავლების უმეტეს ნაწილს. შესაბამისად, წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) ნებისმიერი მერყეობა გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე. ახალმა რეგულაციებმა, ასევე კონკურენციის მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც რისკის ქვეშ აყენებს ჯგუფის მომგებიანობას. ამავდროულად, დაფინანსების დანახარჯებს ჯგუფი მეტწილად დამოუკიდებლად განსაზღვრავს და ემყარება ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრებს.

2022 წელს წმინდა საპროცენტო მარჟა წინა წელთან შედარებით 0.9 pp-ით გაიზარდა და 5.9% შეადგინა, რაზეც იმოქმედა სესხების ეფექტური განაკვეთის ზრდამ, უცხოურ ვალუტაში თანხების ხარჯის შემცირებამ და საბითუმო დაფინანსების ოპტიმიზაციამ, ასევე სესხის გაზრდილმა ლარიზაციამ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

5,190 მილიონი ლარის აქტივები (19%) და 3,380 მილიონი ლარის ვალდებულებები (14%) იყო ცვალებადი ლარში, ხოლო 4,867 მილიონი ლარის აქტივები<sup>1</sup> (18%) და 850 მილიონი ლარის ვალდებულებები (4%) იყო LIBOR/Euribor/FED/ECB განაკვეთებთან დაკავშირებული. ბანკი შესაბამისობაში იყო კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) მგრძობელობის ზღვართან, რომელიც სებ-მა პირველადი კაპიტალის 15%-ით განსაზღვრა, ხოლო კოეფიციენტი შეადგენდა 7.1%-ს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### **რისკის მიტიგაცია**

ბანკი განაგრძობს საკომისიო შემოსავლის ზრდაზე ორიენტირებას მომავალში დაკრედიტებაზე და სადეპოზიტო პროდუქტებზე მარჟის შესაძლო შემცირებისგან თავის დაცვის მიზნით. აქტივსა და ვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაკმაყოფილების და საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, ბანკი იყენებს მაღალი ხარისხის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, გრძელვადიან დაფინანსებას და წარმოებულ ხელშეკრულებებს. 2022 წელს ბანკმა ისარგებლა დაფინანსების სტრუქტურის გაუმჯობესების შესაძლებლობით და გამოისყიდა 54.68 მილიონი აშშ დოლარის 2024 წელს დასაფარი მაღალი მნიშვნელობის ობლიგაციები.

### **10. ჯგუფი კიბერ-შეტევების მზარდი და განვითარებადი საფრთხის წინაშე დგას**

#### **რისკის აღწერა**

ბოლო წლებში ბანკზე რაიმე არსებითი კიბერ-შეტევა არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ჯგუფის მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის მის მიმართ პოტენციური კიბერ-შეტევების რისკს. პოტენციური კიბერ-შეტევების მეტად დახვეწილი და მზარდი ხასიათიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მათ შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიონ. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებას და ინვესტიციას.

#### **რისკის მიტიგაცია**

კიბერ-შეტევებთან დაკავშირებული რისკების შემცირების და კლიენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჯგუფი მუდმივად აახლებს და აუმჯობესებს უსაფრთხოების მრავალშრიან სტრატეგიას. მისი მიზანია მიტიგაციის მექანიზმების შემუშავება, რაც მოიცავს სხვადასხვა პრევენციულ და დეტექციურ კონტროლის ზომებს, მონაცემებიდან და კომპიუტერული მოწყობილობიდან პერიმეტრის ფაიერვოლამდე.

შეიქმნა უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრი, რომელიც აკონტროლებს ყველა შესაძლო გადახრას, რომელიც

დაფიქსირდება ორგანიზაციის ქსელში პოტენციური ინციდენტების გამოვლენის და მათზე ეფექტური რეაგირების მიზნით.

მინიმუმ წელიწადში ერთხელ ტარდება სრული ინფორმაციული უსაფრთხოების და კიბერ-უსაფრთხოების საფრთხეების ანალიზი, შესაბამისი რეგიონული და სექტორული პერსპექტივების გათვალისწინებით. ამასთან, მინიმუმ წელიწადში ერთხელ სამეთვალყურეო საბჭოს ტექნოლოგიებისა და მონაცემთა კომიტეტს წარედგინება ინფორმაციული უსაფრთხოების დეტალური შემოწმების შედეგები. მინიმუმ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ამ ანალიზის ფარგლებში ფორმდება ხელშეკრულება დამოუკიდებელ კონსულტანტთან ჩვენი შესაძლებლობების ეფექტურობის შესაფასებლად საუკეთესო პრაქტიკების და რეალური მსოფლიო კიბერ-შეტევების სცენარების გათვალისწინებით. ეს ანალიზი ჯგუფს აძლევს ფართო და დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ეხმარება საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების სისტემების შემდგომ გაუმჯობესებაში. გარდა ამისა რეგულარულად ტარდება კიბერ-შეტევებისთვის მზადყოფნის სავარჯიშოები. ეს სავარჯიშოები აფასებენ ჯგუფის ფაქტობრივ მდგომარეობას მოცემულ სფეროში და წარმოადგენს ორიენტირებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შესადარებლად.

ჩვენი თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შედეგად ყველა თანამშრომლისთვის ტარდება რეგულარული სავალდებულო ტრენინგ-კურსები, რომლებიც მოიცავს დისტანციურ სასწავლო კურსებს უსაფრთხოების საკითხებზე, თაღლითობის და ფიშინგის სიმულაციებს, ასევე საინფორმაციო ელ-ფოსტებს, ჩვენი თანამშრომლების ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში ცოდნის გაღრმავების მიზნით. ადაპტაციის პროცესის ფარგლებში ტრენინგი ასევე ახალ თანამშრომლებსაც უტარდებათ. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს თანამშრომლების სრულ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობების შესახებ და მათ მომზადებას კიბერ-უსაფრთხოებაზე ეფექტურად გამკლავების კუთხით.

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კომიტეტი არეგულირებს საინფორმაციო და კიბერ-უსაფრთხოების პროცესს რისკების მისაღებ დონემდე დაყვანის და მართვის პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით. გარდა ამისა, საგანგებო გარემოებების დადგომის შემთხვევებში ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით შედგენილია აღდგენის გეგმები.

2022 წელს ჩატარდა 'Red Team' შემოწმება, რომელმაც ბანკის უსაფრთხოების მრავალდონიანი შესაძლებლობების მაღალი ეფექტურობა უჩვენა.

2021 წელს ბანკმა მიიღო ISO 27001 სერტიფიკატი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემისთვის. ეს იმის დემონსტრაციაა, რომ ბანკი ეფექტურად იცავს ინფორმაციის უსაფრთხოების პრაქტიკებს მისი ინფორმაციის და საინფორმაციო სისტემების სხვადასხვა ტიპის საფრთხისგან დასაცავად. 2022 წელს ჩატარდა ინსპექციური აუდიტი ISO 27001 სტანდარტის შესაბამისად და ბანკმა შეინარჩუნა სერტიფიკატი.

ამასთან 2022 წელს ჩატარდა ბანკის კიბერ-უსაფრთხოების მართვის სტრუქტურისა და SWIFT CSCF შეფასება. შედეგად, ამ აუდიტის პროცესში კრიტიკული დასკვნები და მნიშვნელოვანი შეუსაბამოები არ გამოვლენილა. კიბერ-უსაფრთხოების მართვის საფუძვლები საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა. ის ეფუძნება სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის (NIST) კიბერ-უსაფრთხოების მართვის საფუძვლებს.

გასული სამი წლის განმავლობაში ჯგუფში ადგილი არ ჰქონია ინფორმაციის უსაფრთხოების დარღვევის არსებით შემთხვევას. დამატებითი ინფორმაცია კიბერ უსაფრთხოების შესახებ იხილეთ რისკის მართვის თავის ქვეთავში ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ 89-ე გვერდზე.

### **11. თაღლითობის შიდა და გარე რისკები ჯგუფის საქმიანობის თანდაყოლილი საოპერაციო რისკის ნაწილია და ეფექტურად მართვის გარეშე, შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეთ ჯგუფის მომგებიანობასა და რეპუტაციაზე**

#### **რისკის აღწერა**

ოპერაციების მზარდი სირთულისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საბანკო სექტორის დიგიტალიზაციასთან ერთად იზრდება თაღლითობის რისკები. გარე თაღლითობა ჯგუფის საწინააღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებიდან. ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები დაკავშირებულია საბანკო ბარათებთან, სესხებთან და კლიენტის ფიშინგთან. შიდა თაღლითობის შემთხვევები მომდინარეობს ჯგუფის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებიდან და მსგავსი

<sup>1</sup> აშშ დოლარის სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, რომელზეც პროცენტი არ დარიცხულა 2022 წლის მაისის თვიდან სებ-ის რეგულაციის მიხედვით.



## როგორ ვქმნით ღირებულებას ჩვენი ინვესტორები **გაგრძელება**

შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფში დაფიქსირდა თაღლითობის რამდენიმე შემთხვევა, რომელთაგან არცერთს ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ციფრული დანაშაულის სწრაფი ზრდის საფრთხე გაძლიერდა, ხოლო თაღლითები იყენებენ ახალ ტექნიკებს და მიდგომებს, ფულის უკანონოდ მითვისებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობების მოსაძიებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ამ საკითხის სათანადოდ გაკონტროლება და მართვა, პოტენციურ გავლენას შესაძლოა არსებითი ხასიათი ჰქონდეს.

### რისკის მითიგაცია

ჯგუფი აქტიურად ახორციელებს თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების მონიტორინგს, დაფიქსირებას და აღმოფხვრას და მუდმივი მონიტორინგის პროცესებს საეჭვო ქმედებების დროულად აღმოსაჩენად. რისკისა და კონტროლის თვითშეფასების სავარჯიშოს მიზანია მნიშვნელოვან პროცესებში ნარჩენი რისკების გამოვლენა, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და მითიგაციაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევის გათვალისწინებით, შიდა პროცესების სირთულის მიუხედავად, ჯგუფი უზრუნველყოფს თაღლითური ქმედებების დროულად აღმოჩენას და კონტროლს. ბოლო დროს ბანკი მუშაობს სტრატეგიულ ინიციატივაზე გააძლიეროს თაღლითობის ფაქტების აღკვეთის სისტემები და გეგმები კლიენტის ქცევის ანალიზის გამოსაყენებლად გარე თაღლითობის საფრთხეების მინიმიზების მიზნით.

### 12. ბანკს აქვს რეპუტაციის რისკი

#### რისკის აღწერა

არსებობს რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკები, რომელთა წინაშეც დგას ჯგუფი. ამგვარი რისკებია უკრაინის ომთან დაკავშირებით რუსეთზე დაკისრებული საერთაშორისო სანქციები, ანტი-საბანკო მედია ნარატივების იზოლირებული შემთხვევები, ფიშინგის და სხვა კიბერ-დანაშაულების ზრდა, ასევე დიგიტალიზაციის პროცესთან დაკავშირებული რისკებს. თუმცა ზემოხსენებული ჩამონათვალიდან არც ერთი არ არის რისკი, რომელიც მხოლოდ ჯგუფზე ახდენას გავლენას.

### რისკის მითიგაცია

რეპუტაციის რისკების აღბათობის მითიგაციის მიზნით, ბანკი მუდმივად მუშაობს, რათა შექმნას და შეინარჩუნოს ძლიერი ბრენდის აღქმა დაინტერესებულ პირებს შორის. ჯგუფი იცავს ყველა შესაბამის გარე და შიდა პოლიტიკას და პროცედურას, რეპუტაციის პირდაპირი თუ ირიბი რისკების გავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ჯგუფი მუდმივად ახორციელებს ბრენდის ღირებულების მონიტორინგს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის/კვლევისა და დაინტერესებული პირებისაგან უკუკავშირის მიღების გზით. სპეციალური შიდა და გარე მარკეტინგის და კომუნიკაციების გუნდები ყოველდღიურად ახორციელებენ მედია გაშუქების მონიტორინგს. ეს გუნდები აკონტროლებენ რისკებს, შეიმუშავენ სცენარებს და ქმნიან შესაბამის სამოქმედო გეგმებს. ჯგუფი ცდილობს რეპუტაციის და ბრენდის პოტენციური დამაზიანებელი ნიშნების იდენტიფიცირებას მათი მითიგაციის და აღმოფხვრის მიზნით და მათ გართულებამდე ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის დონეზე შექმნილია სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული კომუნიკაციების, მარკეტინგის და იურიდიულ გუნდებს რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკების შემთხვევების სამართავად. კომუნიკაციისა და კიბერ-უსაფრთხოების გუნდები ატარებენ ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიან კამპანიებს კიბერ-უსაფრთხოების და ფინანსური განათლების შესახებ, რაც მოიცავს მედიას, საქართველოს ბანკების ასოციაციას და „Edufin“-ს („თიბისის“ ფინანსური განათლების შიდა პლატფორმას), რომლებიც კიბერ-უსაფრთხეების და ფიშინგის შემთხვევების მითიგაციისა და პრევენციისაკენ არის მიმართული.

### 13. ბანკი გასწავს რისკს, რომ სტრატეგიული ინიციატივები არ შექმნის გრძელვადიან ღირებულებას მისი დაინტერესებული მხარეებისთვის

#### რისკის აღწერა

ბანკს შესაძლოა ჰქონდეს ბიზნეს სტრატეგიის განვითარების რისკი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი ღირებულებების შექმნას ცვალებად სამომხმარებლო საჭიროებებისა და კონკურენტულ გარემოში, ასევე მარგულისობის შეზღუდვების პირობებში. ამასთან, გაზრდილმა გაურკვეველობამ კოვიდ-19-ით გამოწვეულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ შეფერხებებთან ერთად, შესაძლოა ხელი შეუშალოს ჯგუფის უნარს ეფექტურად შეიმუშაოს და დროულად განახორციელოს სტრატეგიული ინიციატივები, ასევე საფრთხის ქვეშ დააყენოს ბანკის გრძელვადიანი ღირებულების შექმნის უნარი. გთხოვთ, იხილოთ ჯგუფის ძირითადი სტრატეგიული უპირატესობები შემდეგ თავში: ჩვენი სტრატეგიული უპირატესობები და ჩვენი შესრულების ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, გვერდებზე 22-27.

### რისკის მითიგაცია

სტრატეგიული ინიციატივების პორტფელის ფორმირების ძირითადი დრაივერია ჯგუფის შემოსავლების და ღირებულების პაკეტების დივერსიფიცირება და საწარმოს ღირებულების ევოლუციის ოპტიმიზება სტრატეგიის დროითი ჰორიზონტის განმავლობაში. ზემოთ ხსენებულის მიუხედავად, ჯგუფი ატარებს სტრატეგიული მიმოხილვის ყოველწლიურ შეხვედრებს, რომელშიც მონაწილეობენ სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და შუა რგოლის ხელმძღვანელობა, სადაც აანალიზებენ ბაზრის ძირითად ტენდენციებს და სხვადასხვა პრაქტიკებს რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე, რათა დარწმუნდნენ რომ სწორი მიმართულებით მიდიან და შეაფასონ საქმიანობის ეფექტურობა სხვადასხვა პერსპექტივით. ასევე, ბანკი მუდმივად მუშაობს მსოფლიოს წამყვან კონსულტანტებთან მისი სტრატეგიის გასაუმჯობესებლად. დამატებით, ჯგუფი ატარებს კვარტალურ ანალიზს და აკონტროლებს სტრატეგიის განხორციელების შეფასებისთვის გამოყენებულ საზომებს. საზომებში მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევაში, ჯგუფი ზრუნავს გამოსწორებისა და მითიგაციის ზომების შემუშავებაზე.

### 14. ჯგუფს აქვს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მის უნართან მოიზიდოს და დაიქირაოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.

#### რისკის აღწერა

ჯგუფს აქვს კვალიფიციური პერსონალის დაკარგვის ან კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვის, განვითარების და შენარჩუნების რისკი, მის მიზნებზე დაყრდნობით. ციფრულ კომპანიად ტრანსფორმირება იწვევს IT პროფესიონალებზე მოთხოვნის ზრდას ჯგუფის შიგნით.

სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოსთან ადაპტირების მიზნით, ჯგუფმა უნდა განავითაროს ეჭაილ კულტურა და გაზარდოს მართვის უნარები, უზრუნველყოს ჩართულობის მაღალი დონე თანამშრომლებს შორის და თანამშრომლებს შესძინოს საჭირო უნარები.

### რისკის მითიგაცია

ჯგუფი აქტიურად აკონტროლებს შრომის ბაზარს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, პროაქტიურად ასაქმებს საუკეთესო კანდიდატებს და აფართოებს მნიშვნელოვანი პერსონალის ქსელებს. ჯგუფი ყველა დასაქმებულს თანაბრად და სამართლიანად ექცევა და ეხმარება და კურირებს მათ წარმატების მიღწევის საქმეში. თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას ადამიანური რესურსების მართვის ყველა სფეროში, მათ შორის შერჩევაში, დანინაურებაში, სწავლებაში და განვითარებაში, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს თანამშრომელთა ჩართულობის და დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სამუშაო ადგილზე. ჩვენ ასევე აქტიურად ვმუშაობთ საკადრო რეზერვის გეგმის სტრუქტურის შემუშავებაზე ხელმძღვანელი პოზიციებისთვის თანამშრომლების უხარვეზო ჩართულობის და მათთვის დანინაურების შესაძლებლობების შექმნის მიზნით.

ბანკმა დააფუძნა IT აკადემია, რომელიც მოიცავს front-end და back-end, Android და iOS მობილურ განვითარების კურსებს, ასევე მომხმარებელთა გამოცდილების კვლევას და სტრატეგიას, DevOps, Java, ტესტირების ავტომატიზაციას, OutSystems და მონაცემთა ინჟინერიას. პროგრამა უფასოა შერჩეული კანდიდატებისთვის და მას მართავენ გამოცდილი თანამშრომლები და შესაბამისი სფეროების წამყვანი სპეციალისტები.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა რეგულარულად ატარებს ონლაინ შეხვედრებს თანამშრომლებთან, მათთვის თანამშრომელთა მიმდინარე მიღწევებთან დაკავშირებით ჯგუფის სტრატეგიის და ინფორმაციის გაზიარების მიზნით. ბანკი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა საქართველოში რომელმაც ბექ-ოფისის ყველა თანამშრომელს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის შესაძლებლობა მისცა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ინიციატივამ არა მხოლოდ გააუმჯობესა თანამშრომელთა კმაყოფილების დონე, არამედ გაზარდა საქართველოს საზღვრებს გარედასწრებითი კადრების მოზიდვის შესაძლებლობა.

### მოსალოდნელი რისკები

მოსალოდნელია რისკები, რომლებიც შეიცავენ უცნობ კომპონენტებს და შესაძლოა გავლენა მოახდინონ ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნულ რისკებს მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი აქვთ და, როგორც ძირითადად რისკებმა შესაძლოა ისეთივე გავლენა მოახდინონ ჯგუფზე.

**1. ჯგუფის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რეგიონში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა, კერძოდ უკრაინის ომმა და გეოპოლიტიკური კრიზისის გავრცელებამ და/ან საქართველოდან მიგრანტების პოტენციურმა გაღივებამ**

**რისკის აღწერა**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკაში შემომავალი ფულადი ნაკადები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ქვეყანა კვლავ მოწყვლადია მის რეგიონში გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების განვითარებების მიმართ. კერძოდ, უკრაინაში რუსეთის შეჭრას და შედეგად რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს და შედეგად მომეტებულ განუსაზღვრელობებს უარყოფითი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე.

ამავდროულად, იმის გამო, რომ 2022 წლის ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მიგრაციულმა ეფექტმა იქონია, ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა გაღივებამ შეიძლება გამოიწვიოს ბიზნეს გარემოს გაუარესება. სავარაუდოდ საპირისპირო ვითარება იქნება კონფლიქტის სწრაფი მოგვარების ნებისმიერ სცენარში, რომელიც შექმნის ისეთ დადებით შედეგებს, როგორც არის რუსეთსა და უკრაინაში ზრდის სავარაუდო უფრო სწრაფი აღდგენა, რაც ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული.

**რისკის მითიგაცია**

ჯგუფი აქტიურად იყენებს სტრეს-ტესტირების და რისკის შეფასებისა და მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს ტრიგერების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და მათი კონკრეტულ სამოქმედო გეგმებად გარდაქმნა, ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე, ლიკვიდობასა და პორტფელის ხარისხზე ნეგატიური გავლენის მინიმუმებისთვის, განუსაზღვრელობის მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში.

**2. ჯგუფს აქვს კლიმატის ცვლილებით გამომწვეული რისკი**

**რისკის აღწერა**

კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები ხასიათდება როგორც ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც წარმოიშობა უფრო ხშირი და რთული მეტეოროლოგიური ცვლილებებით, ასევე გარდამავალი ზემოქმედებით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს პოლიტიკურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს საყოფაცხოვრებო და ბიზნეს-სექტორების გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. ჯგუფისთვის აღნიშნული რისკები შესაძლოა მატერიალიზდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და ჩვენი მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის მომგებიანობის შემცირება. ჯგუფს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს რეპუტაციის რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტების ან მათთან სხვადასხვა ბიზნეს ოპერაციების შედეგად, რომლებიც მიიჩნევიან კლიმატური ცვლილებების ხელშემწყობებად.

**რისკის მითიგაცია**

ჯგუფის მიზანია, იმოქმედოს პასუხისმგებლობით და მართოს მის ოპერაციებთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკები, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. ეს მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, შევამციროთ ჩვენი გარემოზე ზემოქმედება რესურსების ეფექტურად გამოყენებით და ეკოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო ღონისძიებების ხელშეწყობით კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით.

ჯგუფს აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს მის გარემოსდაცვითი მართვის სისტემას (EMS) და უზრუნველყოფს ჯგუფის ოპერაციების შესაბამისობას მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის დაცვის რეგულაციებთან და პრაქტიკებთან. ჩვენ ვიღებთ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა ასევე შეასრულონ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობები. ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვა გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების პროცესში EMS-ის გამოყენების გზით. ჯგუფმა შეიმუშავა რისკის მართვის პროცედურა ეკოლოგიური და სოციალური რისკების დადგენის, მართვის და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული პროცედურები სრულად ინტეგრირებულია ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს (პოლიტიკა სრულად ხელმისაწვდომია ბმულზე [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com)). დეტალური ინფორმაცია გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ, იხილეთ გვერდებზე 134-141.

გარემოზე ბანკის დადებითი გავლენის გაზრდის და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შემსუბუქების მიზნით, 2021 წლის ბოლოსთვის ბანკმა ჩაატარა მაღალი დონის სექტორული რისკის შეფასება, რადგან სხვადასხვა სექტორი შესაძლოა მოწყვლადი იყოს სხვადასხვა კლიმატის რისკების მიმართ სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში. რისკების შეფასება ორიენტირებულია ისეთ ეკონომიკურ დარგებზე, როგორც არის ენერჯეტიკა, ნავთობის და გაზის სექტორი, მეტალურგია და სამთო-მოპოვებითი სამუშაოები, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, კვების ინდუსტრია, ჯანდაცვა, მშენებლობა და უძრავი ქონების სექტორი. 2022 წელს ჩვენ დავხვეწეთ კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამიზნე ჯგუფის (TCFD) სტრუქტურა, განსაკუთრებით სტრატეგიული დაგეგმვის და რისკის მართვის მიმართულებით. ეს განვითარებები აღწერილია თავში კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამიზნე ჯგუფის შესახებ გვერდებზე 114-133.

ბანკი ორიენტირებულია კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცოდნის გაღრმავებაზე და მათ გრძელვადიან გავლენაზე მომდევნო წლებში, რაც მას მისცემს საშუალებას შეიმუშაოს მიტიგაციის მიდგომები. გარდა ამისა, ჯგუფის პორტფელის ყველა სექტორი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, სასესხო პორტფელის დაახლოებით 75% უზრუნველყოფილია ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით და ოქროთი. რადგან უზრუნველყოფის შეფასების პროცედურა მონიტორინგს მოიცავს, უზრუნველყოფის ღირებულების ცვლილების ნებისმიერი საჭიროება მომდინარეობს უზრუნველყოფის მონიტორინგის ჩვენი რეგულარული პროცესიდან.

2022 წლის ივნისში ჯგუფმა გამოსცა მდგრადი განვითარების სრულმასშტაბიანი ანგარიში 2020 წლის შესახებ, გლობალური ანგარიშების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად. გლობალური ანგარიშების ინიციატივა (GRI) კერძო სექტორს ეხმარება, წარმოაჩინოს და გაიაზროს მისი როლი და გავლენა მდგრად განვითარების ისეთი მიმართულებების ჭრილში, როგორც არის კლიმატური ცვლილებები, ადამიანის უფლებები და მმართველობა. ანგარიში განკუთვნილია ყველა დაინტერესებული მხარისა და ჯგუფისთვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ანგარიში ორიენტირებულია მათთვის ცალსახა, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გაზიარებაზე 2020 წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გავლენის შესახებ. ანგარიშის მიზანია, წარმოაჩინოს ჩვენი განზრახვა, შევქმნათ ღირებულება ჩვენი თანამშრომლებისთვის, მომხმარებლებისთვის, მომწოდებლებისთვის, პარტნიორებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მდგრადი განვითარების 2020 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com).

**3. ჯგუფის საქმიანობაზე შესაძლოა იმოქმედოს LIBOR-ის შეწყვეტის და გარდამავალმა პროცესმა რისკის აღწერა**

ბანკის აშშ დოლარში გამოხატული მცურავი პორტფელი უკავშირდება აშშ დოლარის 6-თვიან LIBOR-ს, ხოლო ევროს მცურავი პორტფელი - ევროს ბანკთაშორის შეთავაზებულ განაკვეთს (Euribor) უკავშირდება, რომლის შეწყვეტაც არ არის გამოცხადებული. LIBOR-ის შეწყვეტა და გარდამავალი პროცესი მიუთითებს ჯგუფის განხორციელების, წარმოების ფინანსურ და საოპერაციო რისკებს და შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლების არასტაბილურობა, მომხმარებლის პრეტენზიები და სამართლებრივი პროცესები, ან სხვა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე და ოპერაციებზე.

**რისკის მითიგაცია**

ჯგუფი აქტიურად აკონტროლებს გადასვლასთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ განვითარებებს, ჯგუფის გარდამავალი პროცესის ბაზრის პრაქტიკასთან მოსარგებად. 2021 წლის 29 ივლისს ალტერნატიული საცნობარო განაკვეთების კომიტეტმა (ARRC) გამოსცა რეკომენდაცია ორგანიზაციის „CME Group, Inc.“ მიერ გამოქვეყნებული „SOFR“ განაკვეთების გამოყენების შესახებ. ARRC-ის რეკომენდაცია სასესხო ხელშეკრულებებს „LIBOR“-ის ნაცვლად, მის ადგილზე (იქნება ეს სარეზერვო დებულების მოქმედების შესაბამისად, თუ სხვაგვარად) ან ახალ გარიგებებში ტერმინის „SOFR“ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

2021 წელს ჯგუფმა შექმნა ხელმძღვანელი კომიტეტი „LIBOR“-დან უხარვეზო გადასვლის უზრუნველსაყოფად, მათ შორის „SOFR“-ზე მიბმული პროგრესული განაკვეთების დასაწერად. ხელმძღვანელი კომიტეტი უზრუნველყოფს გარდამავალი პროცედურების შესახებ ცნობადობის ამაღლებას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ, რათა თანამშრომლებს ჰქონდეთ საჭირო ცოდნა და ინსტრუმენტები გარდამავალი პროცედურების გასამართლებლად და ამასთან ჯგუფის მომხმარებლებთან სამართლიანი ურთიერთობისთვის. 2022 წლის აპრილიდან ბანკმა „SOFR“ განაკვეთები გამოიყენა ახლად გაცემულ აშშ დოლარში გამოხატულ მცურავ განაკვეთთან სესხებზე. LIBOR-დან „SOFR“-ზე გადასვლის დასრულება იგეგმება 2023 წლის ივნისის ბოლოსთვის.



გასამუშავებლად რეკომენდებული ინფორმაცია	სტატუსი	მითითება	მოკლე შეჯამება	სად ვნახოთ
აღწერეთ ორგანიზაციის კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესები	გამუშავებული	3	– 2022 წელს თიბისი ბანკმა შეიმუშავა ESG პროფილის მეთოდოლოგია კორპორაციული მომხმარებლებისთვის. მეთოდოლოგიის მიზანია ESG პროფილის შეფასების ბარათის მოდელის ჩართვა რისკის მართვის საერთო პროცესში. ESG ფაქტორები, როგორცაა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, დაბალნახმირბადიან საქმიანობებზე გადასვლა, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა, მრავალფეროვნება და ჩართულობა, კარგი კორპორაციული მმართველობა – გათვალისწინებულია შეფასებისას და შესაბამისი ქულები მიენიჭება სპეციალისტების შეფასების საფუძველზე.	გვერდი 128
აღწერეთ როგორ არის კლიმატთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრის, შეფასებისა და მართვის პროცესები ინტეგრირებული ორგანიზაციის საერთო რისკების მართვაში	გამუშავებული	3	– 2022 წელს თიბისი ბანკმა გააგრძელა თავის საქმიანობაში კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ჩართვაზე მუშაობა. თიბისის ამაში მხარს უჭერდა „ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდი“ (EPTATF) თავისი „კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მხარდაჭერის ინსტრუმენტის“ (CASF) მეშვეობით, რომლის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებში კლიმატის ცვლილების სანინაღმდეგო ქმედებების წახალისება. EPTATF გულისხმობს ერთნაირ საკონსულტაციო მხარდაჭერას თიბისის კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებაში, რომელსაც უზრუნველყოფს ფრანკფურტის ფინანსების და მენეჯმენტის სკოლა.	გვერდი 128
წარმოადგინეთ მაჩვენებლები, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად თავისი სტრატეგიისა და რისკის მართვის პროცესის შესაბამისად	გამუშავებული	4	– Scope (მოცულობის არეალი) 1-ის, Scope 2-ის და Scope 3-ის (ფრენები) სათბური აირების ემისიები – მდგრადი სასესხო პორტფელის მოცულობა – პორტფელის ჩაშლა სექტორების მიხედვით.	გვერდი 132
წარმოადგინეთ Scope (მოცულობის არეალი) 1-ის, Scope 2-ისა და, თუ მიზანშეწონილია, Scope 3-ის სათბური აირების ემისიები და მათთან დაკავშირებული რისკები	გამუშავებული	4. EMS თავი გვერდი 134	– მოცემულია Scope 1-ის, Scope 2-ისა და Scope 3-ის (ფრენები) სათბური აირების ემისიების შეჯამება, 2022 წლის მიზნობრივი და რეალური მაჩვენებლების შედარება, ასევე 2023 წლის მიზნობრივი მაჩვენებლები.	გვერდი 132
აღწერეთ მიზნობრივი მაჩვენებლები, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად და ამ მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულების სტატუსი	გამუშავებული	4	– მთლიანი მდგრადი სასესხო პორტფელის მიღწეული მოცულობა – 782 მილიონი ლარი (მიზნობრივი მოცულობა იყო 750 მილიონი ლარი). – მთლიანი მდგრადი სასესხო პორტფელის მიზნობრივი მოცულობა 2023 წლისთვის 1 მილიარდი ლარია.	გვერდი 132

## 1. მმართველობა

### 1.1. სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზედამხედველობა

სამეთვალყურეო საბჭო (სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო) ამტკიცებს და ზედამხედველობას უწევს ჯგუფის ESG სტრატეგიას, რომელიც ეხება ჯგუფის კონკრეტულად კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებსა და ინიციატივებს, მის პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას გარემოზე და ბანკის მდგრად განვითარებას. ESG სტრატეგია ასევე მოიცავს საკითხებს მომხმარებლების, თანამშრომლების, მომწოდებლების, ფართო საზოგადოების, ფინანსური ჩართულობის, თანამშრომლებთან ურთიერთობის და ტალანტების მართვის, სამუშაო ადგილზე მრავალფეროვნების და ინკლუზიის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობაზე პირველად პასუხისმგებლობას, რაც ბანკის კლიმატთან დაკავშირებული საკითხების პირდაპირი ზედამხედველობის მის მიერ აღებული ვალდებულების ნაწილია.

2022 წლის იანვარში სამეთვალყურეო საბჭომ საბჭოს დონეზე დააფუძნა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი. ეს გამოხატავს მდგრადობის მნიშვნელობას თიბისის კორპორაციულ მართვაში. და საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ ESG საკითხებს.

კომიტეტის როლი მოიაზრებს სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას და მისთვის კონსულტაციების განწევას კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (i) სტრატეგიის, (ii) პოლიტიკისა და (iii) პროგრამების განხორციელების ზედამხედველობის საკითხებში და ESG სტრატეგიის განხორციელების უზრუნველყოფას ბანკის ყველა შესაბამის საქმიანობაში. გარდა ამისა, ESG და ეთიკის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება ღირებულებების, ქცევისა და კულტურის საერთო ხედვის დანერგვაში და აღმასრულებელი მენეჯმენტის (სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ აღმასრულებელი მენეჯმენტი) საქმიანობის ზედამხედველობაში ბანკში (i) ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურის, (ii) სათანადო ქცევის და (iii) თანამშრომელთა ეთიკური ჩართულობის წახალისებლად. კომიტეტი წარმართავს სტრატეგიული მართვის პროცესს კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე და ანგარიშვალდებულება სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც საერთო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია.

ESG და ეთიკის კომიტეტი 2022 წელს ოთხჯერ შეიკრიბა და იმსჯელა შემდეგ საკითხებზე: ა) ბანკის ESG სტრატეგიის, მათ შორის, კლიმატის სტრატეგიისა და განხორციელების გეგმების პერიოდული გადახედვა და მათი სტატუსის შესახებ ინფორმაციის განახლება; ბ) მათი შესრულების მონიტორინგი; გ) ESG საკითხებზე ბანკის მიერ წლიურ ანგარიშსა და სხვა ანგარიშებში გამუშავებული ინფორმაციის, მათ შორის, TCFD (კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამუშავების შესახებ სამუშაო ჯგუფის) რეკომენდაციების შესაბამისად ანგარიშების ზედამხედველობა და მათი დამტკიცების თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების მიცემა. 2022 წელს ESG და ეთიკის კომიტეტის მიერ განხილული მთავარი საკითხებია: კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ახლად შემუშავებული პოლიტიკის, ადამიანის უფლებების პოლიტიკის და მრავალფეროვნების, თანასწორობის და ინკლუზიის პოლიტიკის გადახედვა, 2021 წლის წლიურ ანგარიშში და 2021 წლის მდგრადობის ანგარიშში TCFD რეკომენდაციების შესაბამისად ანგარიშების გადახედვა, ESG და კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგების გეგმა თიბისის თანამშრომლებისთვის და 2023 წლის ESG სტრატეგია.

სამეთვალყურეო საბჭოს ამ საქმეში დახმარებას უწევს რისკის კომიტეტი. მაგალითად, ანგარიშების მაჩვენებლების შესრულების შესახებ (როგორცაა, მაგალითად, მდგრადი სასესხო პორტფელის მოცულობა) ეცნობება რისკის კომიტეტს, რომელიც ამასთანავე წლის განმავლობაში სამჯერ იღებს განახლებულ ინფორმაციას რისკების მართვის დირექტორის ანგარიშის მეშვეობით. 2022 წელს ჩვენ განვახილეთ ჩვენი ESG რისკის დასაშვები დონე (ESG Risk Appetite) და ვაპირებთ მის ინტეგრირებას რისკის დასაშვები დონის ჩარჩოში (RAF). გარდა ამისა, აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობები მოიცავს წლიური ანგარიშების გადახედვას, TCFD ანგარიშების ჩათვლით, ასევე სხვადასხვა სახის პოლიტიკასთან, პროცედურებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის გადამოწმებას.

სამეთვალყურეო საბჭოს შედგენილი აქვს ტრენინგების მრავალფეროვანი და ამომწურავი განრიგი, რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება. ბანკის კომპანიის სამდივნო გუნდი ყოველი წლის დასაწყისში ქმნის ზოგად სატრენინგო კატალოგს, რომელიც მოიცავს რისკის, აუდიტის, ანაზღაურებისა და მმართველობის ყველა შესაბამის სფეროს. კატალოგი შედგება საჯაროდ ხელმისაწვდომი და მონაწილეებზე მორგებული სემინარების და ანალიტიკური მასალების ეფექტური ნაკრებისგან და იძლევა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან დისკუსიების შესაძლებლობას. ტრენინგებს უძღვებიან დიდი ოთხეულის სააღრიცხვო ფირმების წარმომადგენლები, გარე იურისტ-კონსულტანტები, სერტიფიცირებული ინსტიტუტები (როგორცაა

ღირექტორთა ინსტიტუტი და მართვის ინსტიტუტი) და, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული სფეროს გამოცდილი ექსპერტები. ღირექტორები სატრენინგო კატალოგს იყენებენ თავიანთი ინდივიდუალური სატრენინგო კალენდრების შესადგენად და ცოდნის გასაზიარებლად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე ან სამეთვალყურეო საბჭოს სპეციალური პლატფორმის მეშვეობით. 2023 წლის თებერვალში, კლიმატთან დაკავშირებული ერთნაირი პროექტის ფარგლებში, კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი სპეციფიკური სატრენინგო სესიები ჩატარდა ფრანკფურტის ფინანსებისა და მართვის სკოლის მიერ, რაც მიზნად ისახავდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის, ასევე თიბისი ბანკის აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის საფუძვლიანი ცოდნის მიცემას კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამულავნების და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების, ასევე კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომი საოპერაციო მექანიზმების შესახებ.


**1.2. აღმასრულებელი მენეჯმენტის როლი**

აღმასრულებელ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებზე და შესაძლებლობებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ESG კომიტეტს, რომელიც აღმასრულებელმა მენეჯმენტმა 2021 წლის მარტში ჩამოაყალიბა და რომლის მოვალეობაა ESG სტრატეგიის განხორციელება და მთავარი პროექტებისთვის წლიური, ასევე ინდივიდუალური დეტალური სამოქმედო გეგმების დამტკიცება. სამოქმედო გეგმების შესრულების და განხორციელების სტატუსის მონიტორინგი ხდება ESG კომიტეტის შეხვედრებზე. 2022 წელს ESG კომიტეტი შეიკრიბა ოთხჯერ და იმსჯელა კლიმატთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე: კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამულავნების შესახებ სამუშაო ჯგუფისთვის ანგარიშგება, კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამულავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის განხორციელება, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა. ESG კომიტეტის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების მიმოხილვას და მონიტორინგს, ასევე შერბილებისა და კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნას კლიმატთან დაკავშირებით გამოვლენილი (არსებითი) რისკების სამართავად. ESG კომიტეტი ყოველ კვარტალში იკრიბება.

ESG სტრატეგიის განხორციელებას ხელს უწყობს ორგანიზაციის სხვადასხვა განყოფილება, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ESG საკითხებზე: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის გუნდი, ESG დეპარტამენტი და ESG კომპეტენციის ცენტრი – სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა TCFD ჩარჩოს უკეთ განხორციელების მხარდასაჭერად.

ასევე აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ და ზედამხედველობას უწევს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის განხორციელებას და ფუნქციონირებას, რაც მოიცავს რესურსების მოხმარებას თიბისი ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში და სხვა სახის ზემოქმედებას გარემოზე. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის გუნდი რეგულარულ ანგარიშებს წარუდგენს გარემოსდაცვით კომიტეტს გარემოსდაცვითი მართვის გეგმებისა და შედეგების შესახებ. გარემოსდაცვითი კომიტეტი უშუალოდ რისკების მართვის ღირექტორის წინაშე ანგარიშვალდებული.

**ESG გართვის სტრუქტურა<sup>1</sup>**



**2. სტრატეგია**

თიბისი ბანკის მიზანია იმოქმედოს პასუხისმგებლობით და მართოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები, რათა მინიმუმამდე შეამციროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ამის მისაღწევად, ბანკს დანერგილი აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პროცესები, რათა გამოავლინოს და შეაფასოს კლიმატთან დაკავშირებული რისკები ჩვენი ბიზნესისთვის. ეს მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს შეამციროს თავისი ეკოლოგიური ნაკვალევი რესურსების ეფექტიანად გამოყენებით და ეკო-მეგობრული ინიციატივების წახალისებით კლიმატის ცვლილების შესარბილებლად.

თიბისი ბანკმა გააანალიზა ყველა საოპერაციო საქმიანობა, შეძენილი ნივთები და ქვე-კონტრაქტორებისთვის მინდობილი მომსახურება, რომელთა კონტროლიც მას შეუძლია (არსებული და დაგეგმილი) და გამოავლინა ყველა არსებითი გარემოსდაცვითი ასპექტი, რომელიც რელევანტურია ჩვენი საქმიანობისთვის. ჩვენი ბიზნესსაქმიანობის პირდაპირი ზემოქმედება გარემოზე მომდინარეობს ელექტროენერჯის, წყლის, სანავის და სხვა რესურსების მოხმარებიდან, ნარჩენებისა და ემისიებისგან. ბანკმა შექმნა კომპლექსური შიდა გარემოსდაცვითი სისტემა, რათა მართოს თავისი სათბური აირების ემისია და აილო მათი შემცირების პასუხისმგებლობა რესურსების მოხმარების მკაცრად მონიტორინგის გზით. თითოეული კატეგორიის ზემოქმედების მნიშვნელობის შესაფასებლად ჩვენ შევიმუშავეთ კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგია და გავავრცელეთ მთელი ბანკის მასშტაბით. მოცემულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განისაზღვრა წლიური მიზნები და მათ მისაღწევად შემუშავდა კონკრეტული ინიციატივები და პროგრამები.

2020 წელს ბანკმა მიიღო ISO 14001:2015 სერტიფიკატი თავისი გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის; 2021 და 2022 წლებში ბანკმა წარმატებით გაიარა ხელახალი სერტიფიცირება. ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია მოცემულია 134-141 გვერდებზე, „გარემოსდაცვითი მართვის სისტემის“ თავში.

2021 წელს ბანკმა შეიმუშავა და დაამტკიცა ESG სტრატეგია. 2022 წელს ჩვენ განვახლებთ ESG სტრატეგია, რათა აგვესახა 2022 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესი და განგვახლებინა სამომავლო წლების მიზნობრივი მაჩვენებლები და ინიციატივები.

ცხრილში შეჯამებულია 2022 წლის განმავლობაში ESG სტრატეგიის განხორციელების პროგრესი:

<sup>1</sup> ტერმინები განმარტებულია ლექსიკონში 306-307 გვერდებზე.

მსსპ/ჯგერ სტრატეგია  
 რესპონსი  
 უწყვეტური  
 მონიტორინგის  
 სისტემა

2021 წლის ESG სტრატეგიის მიზნობრივი მაჩვენებელი/ინიციატივა	2022 წლის სტატუსი	2023 წლის მიზნობრივი მაჩვენებელი
ESG მართვის ჩარჩოს შექმნა 2021 წლის ბოლომდე	ESG მართვის ჩარჩო შეიქმნა, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე	ESG მართვის გაუმჯობესება და შესრულების უფრო მაღალი დონის მიღწევა
მდგრადობაზე გავლენის შეფასების სისტემის შემუშავება ბანკის, მომხმარებლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების მასშტაბით	ძირითადი პარამეტრების შესახებ რეგულარული ანგარიშგება ESG-სთან დაკავშირებული კომიტეტების წინაშე სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე	ანგარიშგების დეტალიზაციის უფრო მაღალი დონე და უფრო მეტად ავტომატიზება, რეგულარული ანგარიშგება კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე, სცენარული ანალიზი, სტრეს-ტესტები, ESG რისკის დასაშვები დონე
მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდა	750 მილიონი ლარი	1 მილიარდი ლარი
მომხმარებელთა ერთგულებისა და თანამშრომელთა მოტივირების ზრდა	ESG სატრენინგო კურსის შედგენა თიბისი ბანკის ყველა თანამშრომლისთვის	ESG-ის შესახებ თანამშრომელთა და მომხმარებელთა ინფორმირებულობის შეფასება
მწვანე სესხების სისტემის დანერგვა	მწვანე სესხის გაცემის პროცედურის დანერგვა	მწვანე სესხის გაცემის პროცედურის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს ეროვნული ბანკის მწვანე ტაქსონომიასთან
საქართველოს ეროვნული ბანკის მწვანე ტაქსონომია	საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო მწვანე ტაქსონომია, რომელიც შეიმუშავა საუკეთესო საერთაშორისო ტაქსონომიებზე დაყრდნობით. დანერგვის პროცესი დასრულდა	მწვანე ტაქსონომია ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან
ბანკის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა შემუშავებული და დამტკიცებულია <sup>1</sup>	სექტორისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება
ESG პროფილები კორპორაციული მომხმარებლებისთვის	შემუშავდა კორპორაციული მომხმარებლებისთვის ESG პროფილების სისტემა	დანერგვის პროცესის დაწყება არსებულ ტოპ 10 კორპორაციულ მომხმარებელთან
ESG საკითხების ჩართვა რისკის დასაშვებ დონეში	ESG რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა	რეგულარული მონიტორინგის და გადამოწმების პრაქტიკის დანერგვა
ESG სტრატეგიები არსებითი შვილობილი საწარმოებისთვის	ინდივიდუალური ESG სტრატეგიების შემუშავება	ESG სტრატეგიების დანერგვა

თიბისი ბანკის მიზანია, იყოს საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონში ESG პრინციპების მთავარი მხარდამჭერი. ჩვენ ვცდილობთ 2025 წლამდე გარემოზე პირდაპირი ზემოქმედება ნეტო-ნულოვან ნიშნულამდე დავიყვანოთ და ვაგრძელებთ მუშაობას გეგმაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს გარემოზე ჩვენი არაპირდაპირი გავლენაც ნეტო-ნულოვან მდგომარეობას გაუტოლდეს, როგორც კი ეს პრაქტიკულად შესაძლებელი გახდება.

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ვიღებთ სხვადასხვა ზომას, რომლებიც მოცემულია ESG სტრატეგიაში. ქვემოთ მოცემულია 2023 წლისა და 2024 წლის მთავარი ინიციატივები:

- დაფინანსებული ემისიების გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ბანკის სათბური აირების ემისიის შემცირების გაზომვა პარიზის შეთანხმების მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად;
- მაღალნახშირბადიანი საქმიანობების აკრძალვა/შეზღუდვა (ნახეთ ჩვენი აკრძალვების სია ვებგვერდზე [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com));
- ESG ცნობადობის და ცოდნის გაზრდა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ თანამშრომლებს და მომხმარებლებს შორის, და ფართო საზოგადოებაში;
- ESG აკადემია – მწვანე დაფინანსების სატრენინგო კურსები თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის;
- პროგნოზირების მეთოდოლოგია და ხერხები სათბური აირების ემისიის შემცირების საშუალო და გრძელვადიანი მიზნების მხარდასაჭერად;
- მეთოდოლოგიის შემუშავება მთლიანი სასესხო პორტფელის სათბური აირების ემისიების გამომანგარიშებისთვის და სამოქმედო გეგმის შედგენა მის დასაწერად.

## 2.1. კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები

### კლიმატთან დაკავშირებული რისკები

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია პოტენციური გარდამავლობის და ფიზიკური რისკების შეჯამება, რომლებიც ბანკმა გამოავლინა საქართველოს გარემოსთვის. შეფასებისთვის გათვალისწინებული დროის მონაკვეთები არის მოკლე – სამ წლამდე, საშუალო – რვა წლამდე და გრძელი – რვა წელზე მეტი, ხოლო შესაძლო გავლენის დონეები არის დაბალი, საშუალო ან მაღალი. სექტორზე კლიმატის ცვლილების რისკის გავლენის შეფასებისას, დაბალი, საშუალო ან მაღალი კატეგორიის მინიჭება მოხდა სხვა სექტორებთან და ასევე რისკის სხვა კატეგორიებთან შედარებით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ გარდამავლობის ან ფიზიკური რისკის ქვე-კატეგორიაში დაბალი, საშუალო ან მაღალი შეფასება მინიჭებულ იქნა კლიმატის რისკის ერთი და იგივე კატეგორიის სხვა ქვე-კატეგორიებთან შედარებით. ამრიგად, შეფასების შედეგები არ არის შედარებადი სხვა ქვეყნების ან რეგიონების ანალოგიური გავლენის კატეგორიებთან.

ქვემოთ მოცემულია გარდამავლობის და ფიზიკური რისკების საერთო შეფასება.

<sup>1</sup> პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com).

როგორ ვქმნით ღირებულებას  
ჩვენი ინვესტორები **გაგრძელებას**

რისკის წყაროები	გარდამავლობის რისკები				ფიზიკური რისკები	
	პოლიტიკა და სამართლებრივი გარემო	ტექნოლოგია	ბაზარი	რეპუტაცია	მწვავე	ქრონიკული
რისკების ტიპები	<ul style="list-style-type: none"> <li>გამკაცრებული მარეგულირებელი გარემო და სავალდებულო მოთხოვნები: შეიძლება გარემოსდაცვითი მიღწევების მინიმალური სტანდარტის ან მოლოდინების შემოღება პროდუქტის წარმოების და ბიზნესოპერაციების მიმართ; ემისიის შესახებ ანგარიშების ვალდებულების გამკაცრება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებული პროდუქტების და მომსახურების ჩანაცვლება დაბალი ემისიის მქონე ვარიანტებით, მათ შორის მოთხოვნები, წარმოების ტექნოლოგია შეიცვალოს ეკოლოგიურად უფრო სუფთა ალტერნატივებით ინვესტიცია ახალ ტექნოლოგიებში, რათა შემცირდეს ემისიის შესახებ ანგარიშების ვალდებულების გამკაცრება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მომხმარებლის ქცევის შეცვლა, დაბალნახშირ-ბადიანი ნაკვალევის მქონე პროდუქტებზე გააზრებულად გადასვლის ჩათვლით; ნედლეულის ფასის ზრდა, გაზრდილი მერყეობა და დანახარჯები, შეზღუდვები მაღალნახშირბადიანი ნედლეულის შესყიდვაზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მომხმარებლების მიერ მწვანე პროდუქტებისთვის უპირატესობის მინიჭება;</li> <li>სექტორის სტიგმატიზაცია, რის შედეგადაც შემცირდება შემოსავალი უარყოფითი გავლენებისგან საშუალო ძალის მართვასა და დაგეგმვაზე (მაგ. თანამშრომლების დაქირავება და შენარჩუნება</li> <li>დაინტერესებული პირების შემოთავაზება ან მათგან უარყოფითი უკუკავშირი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტიქიური უბედურებების (მაგ. წყალდიდობა) გახშირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ნალექების სიხშირის ცვლილება და ამინდის ცვალებადობა, რაც უარყოფითად აისახება საკვების წარმოებაზე და საცხოვრებელ პირობებზე;</li> <li>საშუალო ტემპურატურის ზრდა, რაც გავლენას მოახდენს საშუალო, საცხოვრებელ პირობებზე და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე;</li> <li>ზღვის დონის მატება, რაც გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკოსისტემებზე, გაზრდის გრუნტის ჩანოლის და წყალდიდობის რისკებს</li> </ul>
დროის მონაკვეთი	საშუალო	გრძელი	დაინტერესებული პირების შემოფოთება ან მათგან უარყოფითი უკუკავშირი	გრძელი	საშუალო	გრძელი
პოტენციური გავლენის დონე მომხმარებლებზე და თიბისიზე	დაბალი	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო

**გარდამავლობის პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების გავლენის საერთო შეფასება**

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასა<sup>1</sup> და სამოქმედო გეგმაში მოცემულია სხვადასხვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებზე დაყრდნობითაც თიბისი ბანკმა განსაზღვრა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციური გავლენა თიბისი ბანკის მიერ დაფინანსებულ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე. გარდამავლობის (მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის) რისკების და ფიზიკური (კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ფიზიკური გამოვლინებების) რისკების პოტენციური გავლენა რომ შევაჯამოთ, გარდამავლობის რისკები საქართველოში და თიბისი ბანკის საქმიანობისთვის დაბალია. შეფასება ითვალისწინებს, რომ საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი უკავია ვაჭრობას და მომსახურებას და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, საერთო ჯამში, მცირე გავლენას მოახდენს ეკონომიკის სექტორებზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია ითვალისწინებს, რომ საქართველო გარდამავალი და მზარდი ეკონომიკაა და ამიტომ სახელმწიფოს სტრატეგიაა არ დააბრკოლოს მშპ-ის ზრდა სხვადასხვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებებით და, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს უმტკივნეულო გადასვლას მწვანე ეკონომიკაზე. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებზეც ყველაზე მეტად მოქმედებს გარდამავლობის რისკები მთელ მსოფლიოში, როგორცაა ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის და ლითონის მადნების მოპოვება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების<sup>2</sup> წარმოება, მინიმალურად არის საქართველოში წარმოდგენილი, რის გამოც გარდამავალი ღონისძიებების საერთო გავლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკურ ზრდაზე დაბალია.

ტექნოლოგიური რისკი გარდამავლობის რისკის ქვე-კატეგორიაა. ტექნოლოგიური რისკი, რომელიც უკავშირდება კლიმატურ ცვლილებას, არასაჭირო ინვესტიციებს ტექნოლოგიურ განვითარებაში ან ინვესტიციის ნაკლებობას ტექნოლოგიურ გაუმჯობესებებში, საქართველოში დაბალია, რადგან ქართული კომპანიები თითქმის არ ახდენენ ინვესტირებას ახალი მწვანე ტექნოლოგიების განვითარებაში; ისინი სარგებლობენ სხვა (ტექნოლოგიურად უფრო მონინავე) ქვეყნებში შექმნილი ტექნოლოგიებით და ნერგავენ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც უკვე გამოცდილი და დამკვიდრებულია. შესაბამისად, ინვესტიციის განხორციელების ხელიდან გაშვების შემთხვევები ნაკლებად მოსალოდნელია.

საბაზრო რისკი დაბალია, რადგან საქართველოში მომხმარებელთა ქცევა გვიჩვენებს, რომ დაბალი ნახშირბადის ნაკვალევის მქონე პროდუქტების მოხმარებაზე გადასვლის ტენდენცია ძალიან დაბალია. რაც შეეხება რეპუტაციის რისკს, არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან თიბისი ბანკს შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის კანონმდებლობასთან და ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ 134-141 გვერდებზე, „გარემოსდაცვითი მართვის სისტემის“ თავში.

**ფიზიკური რისკების გავლენის საერთო შეფასება**

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები – პატარა ქვეყანა მთიანი ლანდშაფტით, შავი ზღვის სანაპირო ზოლით და ნახევარუდაბნოს ზონებით სამხრეთ-აღმოსავლეთში – ეს ყველაფერი იწვევს ქვეყნის მოწყვლადობას კლიმატის ცვლილებების ფიზიკური რისკების მიმართ. სექტორები, რომლებიც მიიჩნევა ყველაზე მოწყვლადად კლიმატის ცვლილების მიმართ, საქართველოში მოიცავს სოფლის მეურნეობას, სატყევე მეურნეობას, ტურიზმსა და ჯანდაცვას<sup>3</sup>.

ფიზიკური რისკის გავლენა ეკონომიკურ სექტორებზე, რომლებიც ფინანსდება თიბისი ბანკის მიერ, დროთა განმავლობაში შესაძლოა, არსებითი გახდეს. ბანკისთვის რისკები შესაძლოა, მატერიალიზდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და იმ მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში. გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორიები და ეკონომიკური სექტორები, როგორცაა ზამთრის კურორტები და სასოფლო-სამეურნეო მიწა, უკვე ნაწილობრივ დაზარალდა და შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს საშუალო-ვადიან პერსპექტივაში. საქართველოზე და თიბისი ბანკის საქმიანობაზე პოტენციური უარყოფითი გავლენის საერთო შეფასება საშუალოა გრძელვადიან პერსპექტივაში. როგორც ცნობილია, კლიმატური ცვლილების რისკები მეტწილად ასოცირდება გრძელვადიან ზემოქმედებასთან, თუმცა ეს გრძელვადიანი გავლენა გაურკვეველია, განსაკუთრებით, ბანკის სასესხო პორტფელის შედარებით მოკლევადიანი სტრუქტურის გათვალისწინებით.

კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები

ქვედა ცხრილში შეჯამებულია კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები.

1 საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია.  
 2 2021 წლის ორწლიანი კვლევითი სცენარის მთავარი ელემენტები: კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე ფინანსური რისკები I ინგლისის ბანკი.  
 3 გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციასთან საქართველოს მესამე ეროვნული ანგარიში.

**როგორ ვქმნით ღირებულებას**  
ჩვენი ინვესტიორები **გაგრძელებას**

სიაში მოცემულია პროდუქტები და სესხის მიზნობრიობები, რომლებიც რელევანტურია თიბისი ბანკში მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდისთვის.

შესაძლებლობა	აღწერა	მოსალოდნელი ფინანსური გავლენა
პროდუქტები და მომსახურება	ენერგოეფექტური სესხები	შემოსავლის ზრდა
პროდუქტები და მომსახურება	განახლებადი ენერჯის დაფინანსება	შემოსავლის ზრდა
პროდუქტები და მომსახურება	მწვანე დაფინანსების პროცედურა – სტანდარტიზებული მიდგომა მდგრადი დაფინანსებისადმი, მათ შორის, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯისა და რესურსეფექტური დაფინანსება	შემოსავლის ზრდა
მწვანე / კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსება	კლიმატის გლობალური ფონდის (GCF) აკრედიტაცია, რაც ბანკს საშუალებას მისცემს ჰქონდეს პირდაპირი წვდომა კლიმატის გლობალური ფონდის დაფინანსებაზე	შემოსავლის ზრდა / ხარჯების ოპტიმიზაცია
რესურსების ეფექტიანობა	თიბისის მდგრადობის სტრატეგია მიზნად ისახავს კომპანიის ზრდის გამიჯნვას გარემოზე მისი ზემოქმედებისგან და ამავდროულად მისი ოპერაციების ეფექტიანობისა და მედეგობის გაუმჯობესებას. კომპანიის საქმიანობისთვის განახლებადი ენერჯის მოხმარება, დაბალი ემისიების მიღწევა და ნარჩენების შემცირების ინოვაციური გზების მოძიება, სხვა ინიციატივებთან ერთად, ამცირებს თიბისის ზემოქმედებას გარემოზე	ხარჯების შემცირება ან ოპტიმიზაცია

სიაში მოცემულია პროდუქტები და სესხის მიზნობრიობები, რომლებიც რელევანტურია თიბისი ბანკში მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდისთვის.

თიბისი ახორციელებს რამდენიმე სხვადასხვა ინიციატივას, რომლებიც მხარს უჭერს კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვასა და შესაძლებლობების რეალიზებას:

- საკონსულტაციო მომსახურება და პროდუქტები მომხმარებლებისთვის;
- სექტორული მიდგომა კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მიმართ;
- კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგი თიბისის თანამშრომლებისთვის;
- ტრენინგი მწვანე ტექსტონომიაში და ამ საკითხში კომპეტენციის ამაღლება თიბისის თანამშრომლებს შორის;
- მწვანე ცნობიერების ჩამოყალიბების ტრენინგი მომხმარებლებისთვის.

**2.2. კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები ბიზნესისა და ფინანსური დაგეგმვისთვის**

2022 წელს ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობა იმაზე, რომ კლიმატის და უფრო ფართო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები გავეთვალისწინებინა ჩვენი ფინანსური დაგეგმვის პროცესში. გარკვეული ხარისხობრივი მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება კლიმატის და გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობის საკითხებს, ჩავრთეთ 2022 წლის ფინანსური დაგეგმვის ციკლში. 2022 წელს ჯგუფმა სასესხო პორტფელის ზრდის დაგეგმვა შეუსაბამა რისკებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა სექტორში. განსაზღვრა შესაბამისი პროდუქტები სექტორულ დონეზე, რომელთა მეშვეობითაც მხარი დაუჭირა მდგრადი პორტფელის ზრდას და უფრო დაბალი გამონაბოლქვის ეკონომიკაზე გადასვლას საქართველოში.

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია სექტორები, რომელთა კლიმატთან დაკავშირებული რისკი შეფასდა მინიმუმ სამი ქულით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად<sup>1</sup>. შეფასების სისტემა იყენებს 0-დან 10 ქულამდე დიაპაზონს. ვინაიდან სრულიად ურისკო არცერთი სექტორი არ არის, ასევე, ამჟამად არცერთ სექტორს არ აქვს აბსოლუტური რისკი. უკიდურესი მაჩვენებლები (ექსტრემალური მნიშვნელობები) შეგვიძლია უგულებელვყოთ, რადგან პრაქტიკაში შედეგი მერყეობს 2-დან 7 ქულამდე. სექტორისთვის რელევანტური პროდუქტების გამოსავლენად, შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა ბიზნეს მიმართულების წარმომადგენელთან და შეფასდა სექტორის გამწვანების პოტენციალი. 2022 წლის ბოლოსთვის თიბისი ბანკის მდგრადი სესხების პორტფელი (რომელიც შეადგენს 782 მილიონ ლარს), მოიცავს სხვადასხვა მიზნობრიობით გაცემულ სესხებს, როგორცაა: ენერგოეფექტური სესხები, სესხები ელექტრომობილებისთვის, განახლებადი ენერჯის დაფინანსება მზის პანელებისთვის და ჰიდროელექტროსადგურებისთვის. მდგრადი სასესხო პორტფელის საერთო ზრდის მოცულობა სექტორებზე განაწილდა არსებული პროდუქტების კატალოგისა და გამოვლენილი შესაძლებლობების მიხედვით. ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი პროდუქტი და მომსახურება შექმნის პროცესშია და ხელმისაწვდომი გახდება 2023 წლის განმავლობაში.

სექტორი	% ინდივიდუალური ბანკის სასესხო პორტფელში	კლიმატის რისკის რადარის ქულა	პროდუქტის კატალოგი
სოფლის მეურნეობა	4.6%	4	ენერგოეფექტური სესხები კლიმატური ცვლილების თვალსაზრისით ჭკვიანი ტექნოლოგიები ახალი საირიგაციო სისტემები
საავტომობილო	1.7%	4	ჰიბრიდული ავტომანქანები და ელექტრომობილები Euro 5, Euro 6 და Euro 7 ავტომობილები ენერგოეფექტური სესხები სამრეწველო მანქანები
მშენებლობა	6.0%	3	ენერგოეფექტური სესხები სამშენებლო პროექტებისთვის ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების წარმოება ენერგოეფექტური სესხები მანქანა-დანადგარებისთვის ელექტრომობილების დამტენი სადგურები
ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურება	5.3%	4	განახლებადი ენერჯის დაფინანსება ელექტრომობილების დამტენი სადგურები
კვების ინდუსტრია	5.9%	4	ენერგოეფექტური სესხები (სასაწყობო, შესანახი მეურნეობებისთვის, ტექნიკისთვის, ავტომანქანებისთვის)
ფიზიკური პირები	38.3%	3	ენერგოეფექტური იპოთეკა სესხები ჰიბრიდული ავტომანქანებისა და ელექტრომობილებისთვის
წარმოება	0.9%	3.5	ენერგოეფექტური სესხები (მანქანა-დანადგარებისთვის, ტექნიკისთვის, შენობებისთვის) ნახშირბადის გაფილტვრა
მეტალურგია და მოპოვება	1.0%	4	ენერგოეფექტური სესხები (მანქანა-დანადგარებისთვის, ტექნიკისთვის, შენობებისთვის)
ნავთობი და გაზი	1.1%	4	ენერგოეფექტური სესხები ელექტრომობილებისთვის დამტენი სადგურების ასაგებად
უძრავი ქონება	8.8%	3	ენერგოეფექტური სესხები განახლებადი ენერჯის დაფინანსება (მზის პანელები)
ტრანსპორტირება	1.3%	3.5	ჰიბრიდული ავტომანქანები და ელექტრომობილები Euro 5, Euro 6 და Euro 7 ავტომობილები, ავტობუსები, სატვირთო მანქანები

<sup>1</sup> ინფორმაცია კლიმატის რისკის რადარის შესახებ

თიბისი ბანკის წლიური ანგარიში 2022  
 მდგრადი განვითარების  
 სტრატეგია  
 2022-2025



### 2.3. კლიმატთან დაკავშირებული სცენარები

თიბისი ბანკი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სცენარული ანალიზის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა უკეთ გაერკვეს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სავარაუდო შედეგებში ჩვენი ბიზნესისა და მომხმარებლებისთვის და რეაგირება მოახდინოს მათზე. კლიმატთან დაკავშირებული სცენარული ანალიზის შემუშავება კომპლექსურია, ვინაიდან კლიმატის შესახებ მონაცემებისა და ქვე-სექტორების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ფინანსური რისკის ანალიზისთვის მართებულია, ასევე კლიმატთან დაკავშირებული რისკის მოდელირების შესაძლებლობა საქართველოში ძალიან შეზღუდულია და ჯერ კიდევ ვითარდება. ამ შეზღუდვების მიუხედავად, სცენარული ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მთელი რიგი შესაძლო სამომავლო კლიმატური ცვლილებები და ჩავწვდეთ იმ რისკების ხასიათსა და მასშტაბს, რომლებსაც ისინი გვიქმნიან. სცენარული ანალიზის მიზანი არის არა მომავლის პროგნოზირება, არამედ შესაძლო რისკებში გარკვევა და მათი მართვისთვის მომზადება. 2022 წელს ჩვენ გავაგრძელეთ გარე კონსულტანტთან თანამშრომლობა და შევიმუშავეთ სტრეს-ტესტის (სტრესული ტესტირების) მოდელი, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორს, რათა გამოგვევლინა სტრეს-ტესტის გავლენა თიბისი ბანკის მთლიან საკრედიტო პორტფელზე.

#### სცენარის შერჩევა

თიბისი ბანკმა რამდენიმე სცენარი გამოიყენა სხვადასხვა შესაძლო სცენარის და ოპტიმალური თანაფარდობის შესასწავლად და რისკების შესახებ უფრო ჰოლისტიკური მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად, ესენია: 2°C-ზე ნაკლები (B2C)<sup>1</sup>, ნეტო-ნულოვანი 2050 (NZ2050)<sup>2</sup>, დაგვიანებული გადასვლა (DT)<sup>3</sup>. შერჩეული სცენარები მოიცავს 2020 წლიდან 2050 წლამდე დროის პერიოდს. სცენარები ასახავს განსხვავებულ ვარაუდებს სახელმწიფო ღონისძიებების აღბათობისა და დროის, ტექნოლოგიური წინსვლისა და პროდუქტიულობის სხვა დაკავშირებული ეფექტების შესახებ. თითოეული სცენარი აერთიანებს დაშვებებს, რომლებიც ეხება: i) სახელმწიფო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას (უფრო მაღალი ნახშირბადის გადასახადის შემოღებას), ii) ტექნოლოგიური ინოვაციებიდან არასაკმარისი ვადის გასვლის შედეგად წარმოების რყევას (უფრო მაღალ ფასებს ენერგორესურსებზე) და ეფექტებს არაენერგეტიკულ სექტორებში ინვესტიციებზე. სცენარული ანალიზისთვის საჭირო ამოსავალი მონაცემები მიიღება გლობალური ცვლილების შეფასების მოდელისგან (GCAM), რომელიც გამოიყენება NGFS (ფინანსური სისტემის გამწვანების მიზნით დაარსებული ცენტრალური ბანკებისა და ზედამხედველთა ქსელი) სცენარებისთვის. მონაცემები მოპოვებულია NGFS-ის II ფაზის მონაცემთა ბაზიდან და GCAM5.3 (GCAM-USA) მოდელიდან – ინტეგრირებული შეფასების მოდელი ენერგეტიკული და სოციალ-ეკონომიკური სისტემების განვითარებისთვის.

გარდამავლობის რისკების მაკროეკონომიკურ გავლენებს წარმოქმნის ფუნდამენტური ძვრები ენერჯისა და მიწის გამოყენებაში და მოქმედებს ეკონომიკის ყველა სექტორზე. GCAM მოდელი აღწერს, როგორ იცვლება ენერჯის მიწოდება, მოთხოვნა და ფასები „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში. მოდელი ასევე წარმოგვიდგენს მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებას, ნახშირბადის ფასებს და სათბური აირების ემისიებს საქართველოში.

#### სცენარის განხორციელება

GCAM მოდელს შედეგების შევსების მიზნით, დაემატა „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის კიდევ სამი არხი: i) გაზრდილი კაპიტალური დანახარჯები – გადასვლა დეკარბონიზებულ ეკონომიკაზე მოითხოვს „ტრადიციული“ ანუ მაღალ-ნახშირბადიანი ტექნოლოგიების ჩანაცვლებას მდგრადი ტექნოლოგიით<sup>4</sup>. ეს ახალი ტექნოლოგიები უფრო ძვირია, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროებს უფრო მაღალ კაპიტალურ დანახარჯებს / ბერკეტებს / სესხის მომსახურების ტვირთს თიბისის მსესხებლებისთვის; ii) პირდაპირი ემისიები – ენერგორესურსების ფასი „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის მთავარი არხია ნახშირბადის გადასახადისთვის, მაგრამ პირდაპირი ემისიები (საკუთარი გათბობის სისტემა, საწვავის საკუთარი მიზნებისთვის მოხმარება, მეცხოველეობის ემისიები და სხვ. ) შესაძლოა დაიბეგროს. ამ ინფორმაციას არ ასახავს ენერჯიაზე კონცენტრირებული ინტეგრირებული შეფასების მოდელები (IAM); iii) „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის გამარჯვებულები – გარკვეული სექტორები მიიჩნევიან სექტორულ გამარჯვებულებად, რადგან ისინი სავარაუდოდ მეტ სარგებელს მიიღებენ უფრო მაღალი და დაჩქარებული ინვესტირების ციკლებიდან. მათ რიცხვში შედის: მშენებლობა, საავტომობილო ინდუსტრია, ვაჭრობა, წარმოება დაბალ-ნახშირბადიან საქმიანობაზე გადასვლის გამო.

რაც შეეხება ფიზიკურ რისკებს, უპირველეს ყოვლისა, შემოწმდა NGFS-ის მიერ ფიზიკური რისკებისთვის გათვალისწინებული მოდელები და სცენარები. უპირატესობა მიენიჭა მათ შესაბამისობაში მოყვანას გარდამავლობის რისკების სცენარებთან. ამ კონტექსტში, ხელმისაწვდომი მონაცემების წყაროები ფიზიკური რისკების ინდიკატორების გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა მხოლოდ REMIND-MAGPIE<sup>5</sup> მოდელისთვის

სამი სცენარის მიხედვით (ე.ი., არსებული პოლიტიკა, ნეტო-ნულოვანი 2050 და დაგვიანებული გადასვლა). შემდგომ, სხვადასხვა ინდიკატორს შორის შეირჩა ის ინდიკატორები, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს საქართველოზე და მის სექტორებზე. ფიზიკური რისკები, რომლებიც იყოფა მწვავედ და ქრონიკულად, ორი ინდიკატორით მოწმდება. საქართველოს სტიქიური უბედურებების ისტორიის გათვალისწინებით, გაირკვა, რომ ყველაზე საზიანო ფიზიკური მოვლენა, რომელიც მაღალ მწვავე რისკს ატარებდა, იყო წყალდიდობა და, აქედან გამომდინარე, მწვავე რისკის ინდიკატორად გამოიყენებოდა „წლიური მოსალოდნელი ზიანი მდინარეების ადიდების შედეგად“. ქრონიკული რისკის კონტექსტში კი, „ჰაერის საშუალო ტემპერატურა“ გამოიყენებოდა საბაზისო ინდიკატორად.

მოდელის შედეგი გვიჩვენებს შემოსავლის ცვლილებას „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის გამო და ფიზიკურ რისკს გრძელვადიან პერსპექტივაში – 2020 წლიდან 2050 წლამდე. თითოეულ სექტორზე შემოსავლის შოკები ინტეგრირებულია თიბისის საბაზისო სცენარულ პარამეტრებში და გამოიყენება სხვადასხვა პორტფელის სეგმენტისთვის: მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, კორპორაციული და საცალო.

#### დასკვნები

2°C-ზე ნაკლები და ნეტო-ნულოვანი ნიშნული 2050: სეგმენტების მიხედვით ჩაშლილი შედეგები გვიჩვენებს კლიმატური შოკების გავლენას მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორაციულ სეგმენტებზე, თუმცა ეს გავლენები უმნიშვნელოა.

დაგვიანებული გადასვლის სცენარის შემთხვევაში შედეგები ოდნავ განსხვავდება: კლიმატური შოკები უმნიშვნელო გავლენას ახდენს მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სეგმენტებში; რამდენიმე კორპორაციული კლიენტი აჩვენებს უარყოფით ტენდენციას (ვინაიდან თავდაპირველად საგნის უზრუნველყოფის ღირებულება არ იყო გათვალისწინებული), თუმცა, საგნის უზრუნველყოფის ღირებულების გათვალისწინების შემდეგ, შედეგები უმნიშვნელო ხდება. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატური სტრეს-ტესტები არ არის პროგნოზირების ინსტრუმენტები, ისინი გვიჩვენებს მედეგობის დონეს კლიმატური შოკების მიმართ, განსაკუთრებით მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში; ამასთან, კლიმატური სტრეს-ტესტები გვიჩვენებს, რომ ყველაზე მოწყვლადი სექტორები არის ენერგეტიკა (არაგანახლებადი) და კომუნალური მომსახურება, ასევე ნავთობი და გაზი, იმ შემთხვევაში, თუ გარდამავლობის რისკები განხორციელდება. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდამავლობის რისკი საკმაოდ დაბალია საქართველოში.

- 1 „2°C-ზე ნაკლები“ სცენარი თანდათანობით ამკაცრებს კლიმატურ პოლიტიკას და იძლევა გლობალური დათბობის 2°C-ზე ნაკლებ დონემდე შეზღუდვის 67%-იან შანსს. ეს სცენარი უშვებს, რომ კლიმატური პოლიტიკის მიღება მოხდება დაუყოვნებლივ და თანდათან გამკაცრდება, თუმცა ნეტო-ნულოვანი 2050-ის მაჩვენებელს ვერ მიაღწევს. CDR (ნახშირორჟანგის მოცილება) შედარებით დაბალია. ნეტო-ნულოვანი ნახშირორჟანგის ემისია მიიღწევა 2070 წლის მერე. როგორც ფიზიკური, ისე გარდამავლობის რისკები შედარებით დაბალია.
- 2 ნეტო-ნულოვანი 2050 არის ამბიციური სცენარი, რომელიც გლობალურ დათბობას ზღუდავს 1.5°C-მდე უმკაცრესი კლიმატური პოლიტიკითა და ინოვაციით და 2050 წლისთვის უნდა მიაღწიოს ნახშირორჟანგის ნეტო-ნულოვან ემისიას. ზოგიერთმა იურისდიქციამ, როგორცაა აშშ, ევროკავშირი და იაპონია, ნეტო-ნულოვან მაჩვენებელს უკვე მიაღწია ყველა სათბური აირისთვის. ეს სცენარი უშვებს, რომ ამბიციური კლიმატური პოლიტიკა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული. CDR გამოიყენება დეკარბონიზაციის დასაჩქარებლად, მაგრამ შესაძლებელია მინიმუმამდე დაყვანილი და მეტწილად შეესაბამება ბიო-ენერჯის წარმოების მდგრად დონებს. ნახშირორჟანგის წმინდა ემისიები 2050 წლისთვის აღწევს ნულს, რაც იძლევა მინიმუმ 50%-იან შანსს, რომ გლობალური დათბობა შენარჩუნდეს 1.5°C-ზე ქვემოთ საუკუნის ბოლოსთვის, ისე, რომ წინა წლებში გადაჭარბება მცირედით (<0.1°C) 1.5°C-დან, ან თითქმის არ მოხდეს. ფიზიკური რისკები შედარებით დაბალია, მაგრამ გარდამავლობის რისკები მაღალია.
- 3 დაგვიანებული გადასვლის სცენარის დაშვებით, გლობალური წლიური ემისიები არ მცირდება 2030 წლამდე. მკაცრი პოლიტიკა არის საჭირო გლობალური დათბობის 2 °C-ზე ნაკლებ დონეზე დასაყვანად. უარყოფითი ემისიები შეზღუდულია. ეს სცენარი უშვებს, რომ ახალი კლიმატური პოლიტიკების მიღება არ მოხდება 2030 წლამდე და ღონისძიებების დონე სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ როგორია იქ დღესდღეობით განხორციელებული პოლიტიკა. დაშვების მიხედვით, დაბალია CDR ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, რის გამოც, ნახშირბადის ფასები უფრო მაღალია, ვიდრე იქნებოდა „ნეტო-ნულოვანი 2050“ სცენარის შემთხვევაში. ამის შედეგად, ემისიები დროებით აღემატება ნახშირბადის ბიუჯეტს და უფრო სწრაფად იკლებს, ვიდრე „2 °C-ზე ნაკლები“ სცენარის შემთხვევაში 2030 წლის შემდეგ, რათა უზრუნველყოს 67 %-იანი შესაძლებლობა გლობალური დათბობის შემცირებისა 2 °C-ზე ნაკლებ ნიშნულამდე. ეს განაპირობებს უფრო მაღალ გარდამავლობისა და ფიზიკურ რისკებს, ვიდრე გვექნებოდა „ნეტო-ნულოვანი 2050“ და „2 °C-ზე ნაკლები“ სცენარების შემთხვევაში.
- 4 საქართველოსთვის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შესაბამისად.
- 5 REMIND-MAGPIE სისტემა აერთიანებს ენერგო-ეკონომიკის მოდელს – REMIND და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდელს – MAGPIE. ინტეგრირებული შეფასების მოდელი – REMIND (ინვესტიციისა და განვითარების რეგიონული მოდელი) წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკების სამომავლო ევოლუციას და ყურადღებას ამახვილებს ენერგოსექტორის განვითარებაზე და ჩვენი მსოფლიოს კლიმატზე მის შედეგებზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდელი და მისი ზემოქმედება გარემოზე (MAGPIE) არის გლობალური მიწის გამოყენების განაწილების მოდელი. იგი ითვალისწინებს რეგიონის ეკონომიკურ პირობებს, როგორცაა მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, ტექნოლოგიური განვითარება და საწარმოო ხარჯები, ასევე სივრცობრივ აშკარა მონაცემებს პოტენციურ მოსავალზე, მიწისა და წყლის შეზღუდულ რესურსებზე.

**3. რისკის მართვა**

კლიმატთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრისა და შეფასების პროცესები

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს აქვს ფიზიკური გავლენა, რომელსაც განაპირობებს ამინდის ხშირი და მკვეთრი ცვალებადობა და გარდამავალი გავლენა, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს ფართო პოლიტიკურ, სამართლებრივ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს მოსახლეობისა და ბიზნესის ეკოლოგიური კვალის შესამცირებლად. ბანკისთვის ეს ორივე რისკი შეიძლება განხორციელდეს აქტივების ღირებულების გაუფასურებით და მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ბანკის მომგებიანობის შემცირება. ბანკს ასევე შესაძლოა დაემუქროს რეპუტაციული რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტებით ან მათთან ბიზნეს ოპერაციების განხორციელებით, რომლებიც მიიჩნევა, რომ კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედებენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კლიმატის რისკი შეიძლება განხორციელდეს, უპირველეს ყოვლისა, აქტივების ღირებულების გაუფასურებით და მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის გაუარესებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ პირველ რიგში ინდივიდუალურად შევფასეთ, აქტივების მიხედვით, სს „თიბისის“ უმსხვილესი შვილობილი კომპანია, რომელზეც მოდის ჯგუფის აქტივების 98% – „თიბისი ბანკი“, საქართველოში უმსხვილესი ფინანსური დაწესებულება. სასესხო პორტფელის კლიმატთან დაკავშირებული რისკების უკეთ გასააზრებლად ბანკმა ჩაატარა მაღალი დონის სექტორული რისკის შეფასება, ვინაიდან სხვადასხვა სექტორი შეიძლება მონყველად იყოს კლიმატთან დაკავშირებული განსხვავებული რისკის მიმართ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. რისკის შეფასების პროცესი და შინაარსი ეფუძნება TCFD-ის რეკომენდაციებს, ინგლისის ბანკის მიერ გამოქვეყნებულ კლიმატთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, საქართველოს კლიმატის ცვლილების შეფასებას, რომელიც ტარდება კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) ანგარიშების ფარგლებში და 2030 წლის მიზნებსა და სტრატეგიას, რომელიც საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუციის მისაღწევად<sup>1</sup>. რისკის შეფასება ეხება ეკონომიკურ სექტორებს, როგორცაა ენერჯეტიკა, ნავთობი და გაზი, ლითონები და სამთო მრეწველობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, კვების ინდუსტრია, ჯანდაცვა, მშენებლობა და უძრავი ქონება. დონეების და გავლენების შეფასება შეიძლება მომავალში შეიცვალოს, მას შემდეგ, რაც გადაიხედება მეთოდოლოგია, მოხდება საფუძვლიანი ანალიზი და გაიზრდება ექსპერტული ცოდნა კლიმატის ცვლილების რისკების გავლენის შესახებ.

სექტორული შეფასება ჩატარდა ბიზნესის და საკრედიტო რისკის სპეციალისტების მონაწილეობით, რომლებიც პასუხს აგებენ ბანკში შესაბამის ეკონომიკურ სექტორებზე.

ქვემოთ, ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის განაწილება სექტორებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინდივიდუალური ბანკის მთლიანი სესხების განაწილება სექტორების მიხედვით	სესხების განაწილება (მლნ ლარი)	წილი პორტფელში
ფიზიკური პირები	6,839.5	38.3%
უძრავი ქონება	1,564.3	8.8%
მასპინძლობა და დასვენება	1,147.1	6.4%
მშენებლობა	1,073.8	6.0%
კვების ინდუსტრია	1,060.0	5.9%
ვაჭრობა	1,050.0	5.9%
ენერჯეტიკა და კომუნალური მომსახურება	947.4	5.3%
სოფლის მეურნეობა	822.8	4.6%
ჯანდაცვა	451.3	2.5%
მომსახურება	383.6	2.1%
საავტომობილო	297.6	1.7%
ტრანსპორტირება	240.5	1.3%
ლომბარდი	196.5	1.1%
ნავთობი და გაზი	191.9	1.1%
მეტალურგია და მოპოვება	179.4	1.0%
წარმოება	151.8	0.8%
ფინანსური სერვისები	150.8	0.8%
მედია და გამომცემლობა	84.6	0.5%
კომუნიკაციები	30.8	0.2%
არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სექტორი	1.1	0.0%
სახელმწიფო სექტორი	0.2	0.0%
სხვა	994.2	5.7%
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები (მთლიანი)</b>	<b>17,859.2</b>	<b>100.0%</b>

<sup>1</sup> ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუცია (NDC) არის ეროვნული გეგმა, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილების შემცირებას, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს სათბურის აირების ემისიის შემცირების შესახებ, პოლიტიკას და ზომებს, რომელთა დანერგვასაც მთავრობები ისახავენ მიზნად კლიმატის ცვლილების საპასუხოდ და პარიზის შეთანხმებაში მოცემული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

მსაჯავრ სტატუსის მქონე  
 რუსეთში  
 უსაფრთხო  
 სექტორები

**როგორ ვქმნით ღირებულებას**  
**ჩვენი ინვესტორები *გაგრძელება***

აქტივების ვადიანობა გადამწყვეტია ანალიზისთვის სხვადასხვა დროის მონაკვეთის განსაზღვრისას და სხვადასხვა სექტორისთვის კლიმატთან დაკავშირებული რისკის არსებითობის შეფასებისას. სასესხო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტივების უდიდესი ნაწილი განაწილებულია ბევრად უფრო მოკლე დროის მონაკვეთებზე, იმ დროის მონაკვეთთან შედარებით, როცა შესაძლოა წარმოიშვას კლიმატური ცვლილების გავლენები საქართველოში. ეს განსაკუთრებით ეხება ფიზიკურ რისკებს.

*კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესები*

2012 წლიდან თიბისი ბანკს დანერგილი აქვს პროცესი, რომლითაც მართავს გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ეს პროცესი შეიქმნა საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელოების მიხედვით, რომელთა მიზანი არის კლიმატის ცვლილების გავლენის შემცირება. თიბისი ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის კანონმდებლობასთან, ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შედეგების სტანდარტებს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შედეგების მოთხოვნებს და აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების მოთხოვნებს. ეს პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული საკრედიტო რისკის მართვის პროცესში და რეგულარულად გამოიყენება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორაციული კლიენტებისთვის. პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შეიმუშავდა მკაფიო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიზაციის მატრიცა. დასაფინანსებელი პროექტების კლასიფიკაცია ხდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიების (დაბალი, საშუალო, მაღალი და A კატეგორია) ანალიზზე დაყრდნობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება საფუძვლიანი ანალიზი და კომპლექსური შეფასება. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიის მიხედვით გარიგების კლასიფიკაციისას პრიორიტეტი ენიჭება უფრო მაღალ რისკს. გარდა ამისა, A კატეგორიის პროექტების, როგორცაა ჰიდროელექტროსადგურები, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დეტალურ შეფასებაში ჩართულნი არიან გარე სპეციალიზებული კომპანიები. გარემოსდაცვითი მართვის პოლიტიკა და პროცედურები თიბისი ბანკს მკაფიო სურათს აძლევს კლიენტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკების შეფასების თვალსაზრისით. ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ დანვრებილი ინფორმაცია მოცემულია 134-141 გვერდებზე, „გარემოსდაცვითი მართვის სისტემის“ თავში.

უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის რისკებთან დაკავშირებული პროცესები თანდათანობით შეიცვლება, რადგან თიბისი განაგრძობს თავისი მიდგომების კიდევ უფრო დახვეწას. გრძელდება ჩვენი საქმიანობის საერთო ჩარჩოში კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მეტად ინტეგრირება. თიბისის ამაში მხარს უჭერს „ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდი“ (EPTATF)<sup>1</sup> თავისი „კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მხარდაჭერის ინსტრუმენტის“ (CASF) მეშვეობით, რომლის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების შორის კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის წახალისება. EPTATF გულისხმობს ერთნაირ საკონსულტაციო მხარდაჭერას თიბისის კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებაში, რომელსაც უზრუნველყოფს ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლა. ეს მხარდაჭერა მოიცავს შემდეგს:

- კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგია, მონიტორინგი და ანგარიშგება;
- სტრეს-ტესტები და სენსიტიურობის ანალიზი; და
- კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგი.

ამ პროცესს ეხმარება კლიმატთან დაკავშირებული ექსპერტული ცოდნის გაუმჯობესება, რომელიც განამტკიცებს ბანკის უნარს, ცოდნას და შესაძლებლობებს, მართოს კლიმატთან დაკავშირებული რისკები მთელი საქმიანობის მასშტაბით. 2022 წლის განმავლობაში სხვადასხვა სატრენინგო სესია და სემინარი ჩატარდა, რომლებმაც მოიცვა ისეთი საკითხები, როგორცაა კლიმატთან დაკავშირებული რისკის მართვა, ფინანსური დაგეგმვა და კლიმატთან დაკავშირებული სტრეს-ტესტები.

*ESG პროფილები კორპორაციული მომხმარებლებისთვის*

2022 წელს ბანკმა შეიმუშავა ESG პროფილის მეთოდოლოგია კორპორაციული მომხმარებლებისთვის. მეთოდოლოგიის მიზანია ESG პროფილის შეფასების ბარათის მოდელის ჩართვა რისკის მართვის საერთო პროცესში. ESG ფაქტორები, როგორცაა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, დაბალ-ნახშირბადიან საქმიანობაზე გადასვლა, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა, მრავალფეროვნება და ჩართულობა, კარგი კორპორაციული მმართველობა, გათვალისწინებულია შეფასებისას და მათ შესაბამისი ქულები ენიჭება სპეციალისტების შეფასების საფუძველზე.

ESG პროფილი შედგება სამი მთავარი კომპონენტისგან:

1. გარემოსდაცვითი – მოიცავს ა) გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს და ბ) მოწყვლადობას გარდამავლობისა და ფიზიკური რისკების მიმართ;
2. სოციალური – მოიცავს მრავალფეროვნებას, დასაქმებულთა გასამრჯელოებს და შრომის თანაბარ/სამართლიან ანაზღაურებას;
3. მმართველობითი – მოიცავს ESG მართვას, კომპანიის მიერ გამულავნებულ ინფორმაციას, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე მრავალფეროვნებას.

პირველ ეტაპზე ბანკი გამოცდის ESG შეფასების ბარათების მიდგომას თავისი წამყვან კორპორაციულ კლიენტებზე. ამის შემდეგ განისაზღვრება ESG პროფილების ყველა კორპორაციული კლიენტისთვის დანერგვის ვადა და გრაფიკი. ESG პროფილის მეთოდოლოგია საწყის ეტაპზეა და მომავალში დაიხვეწება თიბისის ფარგლებში ცოდნისა და ექსპერტიზის ამაღლებისა და კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე ადგილობრივი მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების კვალდაკვალ.

*კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა*

2022 წელს ბანკმა შეადგინა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ. პოლიტიკა მეტწილად შიდა საორიენტაციო დოკუმენტია, რომელიც ემსახურება ბანკის ESG სტრატეგიის დანერგვას. პოლიტიკა ვრცელდება თიბისი ბანკის თანამშრომლებზე და შეიცავს ფართო, სტრატეგიულ მითითებებს ორგანიზაციულ კულტურაში კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დანერგვის, მათ შორის, ინსტიტუციონალიზაციის საკითხებისა და საქმიანობის ყველა სფეროში კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების წახალისების შესახებ. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებისთვის საჭიროა მისი პრინციპებისადმი ერთგულება, მაღალი დონის ლიდერობა და ორგანიზაციული კომპეტენციები, რასაც უნდა ამყარებდეს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებისთვის უკეთესი მომზადება, საკმარისი რესურსების გამოყოფა და მეტი ანგარიშვალდებულების მიღწევა.

*სხვა რისკის კატეგორიები*

კლიმატის რისკმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს საბანკო საქმიანობის სხვა, უფრო ტრადიციულ რისკის კატეგორიებზე, როგორცაა საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და რეპუტაციის რისკი. შეფასება შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. გარკვეული რისკის ფაქტორები, რომლებიც გამოვლინდა საოპერაციო და რეპუტაციის რისკებისთვის, უკვე ასახულია რისკის მართვის არსებულ სისტემაში.

<b>საბანკო საქმიანობის რისკების ტიპები</b>	<b>ფიზიკური რისკის გავლენა</b>	<b>გარდამავლობის რისკის გავლენა</b>
საბაზრო რისკი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი
ლიკვიდურობის რისკი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი
საოპერაციო რისკი	ექსტრემალური პირობები, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს ჯგუფის ობიექტები და ამით უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის უნარზე, მომსახურება გაუწიოს თავის კლიენტებს (მაგ. ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა, თანამშრომლების საშუალო ადგილიდან მუშაობის შეუძლებლობა)	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი
რეპუტაციის რისკი	არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი	მაღალი ემისიის მქონე მსესხებლების დაფინანსებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბრენდის იმიჯზე დაინტერესებული მხარეების თვალში

<sup>1</sup> მომსახურებები ფინანსდება EPTATF სატრასტო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მედიისთვის ან ნებისმიერი მხარისთვის გამულავნებული ინფორმაცია, ყველა მასთან დაკავშირებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალა, ოფიციალური შეტყობინებები, ანგარიშები და პუბლიკაციები, უნდა აცხადებდეს, რომ ყველა მომსახურება განუვლია „აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდის (EPTATF) დაფინანსებით“. ფონდი დაარსდა 2010 წელს და მისი დაფუძნების მიზანი იყო ბანკის აღმოსავლეთ პარტნიორობის ოპერაციების ხარისხისა და განვითარებაზე ზეგავლენის გაუმჯობესება წინა-საინვესტიციო და საინვესტიციო შეფასებების, ორგანიზაციული და იურიდიული შეფასებების, პოტენციური ინვესტიციებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებების, საინვესტიციო პროექტების განხორციელების განმავლობაში ბენეფიციარების პროექტების მართვის და კომპეტენციის ამაღლების მხრივ მხარდაჭერის, ასევე ნედლეულის მომწოდებლების კვლევებისა და პორიზონტალური საქმიანობების (საერთაშორისო საქმიანობები, რომლებიც სასიკეთო ცვლილებებს ემსახურება) დაფინანსებით. იგი კონცენტრირებულია ოთხ პრიორიტეტულ სექტორზე: ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და ეხება კლიმატური ცვლილებისა და ურბანული განვითარების საკითხებს ამ სექტორებთან მიმართებით.

4. მაჩვენებლები და მიზნები

მაჩვენებლები, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად თავისი სტრატეგიისა და რისკის მართვის პროცესის შესაბამისად

ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებული მაჩვენებლები მოცემულია 134-141 გვერდებზე, გარემოსდაცვითი მართვის სისტემის თავში. ქვემოთ იხილეთ Scope 1, Scope 2 და Scope 3-ის სათბური აირების ემისიები, 2022 წლის მიზნობრივი და რეალური მაჩვენებლების შედარება, ასევე 2023 წლის მიზნობრივი მაჩვენებლები.

სათბური აირების ჯამური ემისია (CO <sub>2</sub> ) (ტონა) და შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI)	რეალური 2020	რეალური 2021	რეალური 2022	2022 მიზნობრივი ზრდა	2023 მიზნობრივი ზრდა
<b>Scope 1*</b> საწვავის მოხმარება (გათბობა, ტრანსპორტი, გენერატორები)	2,970	3,102	<b>3,175</b>	4%-ზე ნაკლები	6%-ზე ნაკლები
<b>Scope 2</b> (ელექტროენერჯის მოხმარება)	1,524	1,499	<b>1,489</b>	2%-ზე ნაკლები	7%-ზე ნაკლები
<b>Scope 3</b> (საერთაშორისო ფრენები)	106	18	<b>506</b>	-	-
<b>ჯამური ემისია (tCO<sub>2</sub>)</b>	<b>4,600</b>	<b>4,619</b>	<b>5,170</b>	<b>3%-ზე ნაკლები</b>	<b>6%-ზე ნაკლები</b>
<b>ჯამური ემისია ერთ სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელზე (tCO<sub>2</sub>/pp)</b>	<b>0.65</b>	<b>0.60</b>	<b>0.62</b>	<b>3%-ზე ნაკლები</b>	<b>6%-ზე ნაკლები</b>
წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე (მ <sup>3</sup> /pp)	10.72	9.54	<b>8.90</b>	1.5%-ზე ნაკლები	2%-ზე ნაკლები
საბეჭდი ქაღალდი ერთ პირზე (დასტებად)	13.46	13.50	<b>12.67</b>	0.4%-ზე ნაკლები	4%-ზე ნაკლები

- \* **Scope 1:**
- a. 1,575 CO<sub>2</sub>e ემისიები ტონებში (საწვავის წვიდან (NG) თიბისი ბანკის უშუალო ოპერირებიდან და ობიექტებიდან) 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, როდესაც ემისიები შეადგენდა 1,505 CO<sub>2</sub>e-ს და 2020 წელთან შედარებით – 1,609 CO<sub>2</sub>e-ს.
  - b. 1,485 CO<sub>2</sub>e ემისიები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებიდან) 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, როდესაც ემისიები შეადგენდა 1,500 tCO<sub>2</sub>e-ს და 2020 წელს – 1,285 tCO<sub>2</sub>e-ს.
  - c. 115 CO<sub>2</sub>e ემისიები ტონებში (თიბისი ბანკის კუთვნილი გენერატორებიდან)

კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ინიციატივები საერთო ESG სტრატეგიის ნაწილია. მას ყოველწლიურად გადახედავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. ESG სტრატეგია ამბიციურ მიზნებს ისახავს, როგორცაა ნეტო-ნულოვანი სათბური აირების ემისიის<sup>1</sup> მიღწევა, რომელიც 2025 წლისთვის გარემოზე პირდაპირ გავლენას უკავშირდება, მდგრადი სასესხო პორტფელის ზრდა, რაც შედგება განახლებადი ენერჯის სესხებისგან, ენერგოეფექტური სესხებისგან, სოციალური კომპონენტების დაფინანსებისგან და ა.შ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მდგრადი პორტფელი<sup>2</sup> შეადგენდა 782 მილიონ ლარს, რაც 2022 წლის მიზნობრივ მოცულობას (750 მილიონი ლარი) 32 მილიონი ლარით აღემატება. მდგრადი პორტფელის შესახებ დანვრებილი ინფორმაცია წარმოდგენილია 140-ე გვერდზე. 2023 წლის მიზნობრივ მოცულობა 1 მილიარდი ლარია.

2022 წლიდან ESG-სთან დაკავშირებული KPI-ები აისახება აღმასრულებელი მენეჯმენტის ანაზღაურების გრძელვადიან წამახალისებელ გეგმებში. აღმასრულებელი მენეჯმენტის KPI-ები მიბმულია მდგრადი სასესხო პორტფელისა და სხვა მდგრადი აქტივების მიზნობრივ მოცულობებზე.

ბანკის ESG სტრატეგია მუდმივად იცვლება. ბანკი აგრძელებს დამატებითი მიზნობრივი მაჩვენებლების დასახვას და საზომების შემუშავებას, რათა შეაფასოს ყველა გამოვლენილი რისკი და შესაძლებლობა. 2023 წელს ყურადღება მიმართული იქნება მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის დაწყებისა და პირდაპირი ზემოქმედების შეფასებისკენ, პარიზის შეთანხმების მიზნების თანახმად.

1 Scope 1, Scope 2 და Scope 3-ის განმარტებები მოცემულია 136-ე გვერდზე.  
2 ჩვენი მდგრადი სასესხო პორტფელი მოიცავს ენერგოეფექტურობას, ახალგაზრდების მხარდაჭერასა და „ქალები ბიზნესში“ სესხებს, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან (IFI) მიღებული სპეციალური დანიშნულების თანხებით. ასევე განახლებადი ენერჯის დაფინანსებისთვის გამოყოფილი სესხებით, რაც მოიცავს ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა ჰიდროელექტროსადგურს.

# ჩვენი გარემოს- დაცვითი მართვის სისტემა (EMS)

როგორც ქვეყნის უმსხვილესი ფინანსური დაწესებულება, გვჭერა, რომ დადებით წვლილს შევიტანოთ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარების საქმეში.

„თიბისი ბანკს“ აქვს ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც იმართება გარემოსდაცვითი მართვის სისტემა ჯგუფის დონეზე. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენ:

- შესაბამისობაში ვიყოთ გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, ასევე შრომითი პირობების დაცვის რეგულაციებთან;
- გამოვიყენოთ გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, ასევე შრომითი პირობების დაცვის საუკეთესო პრაქტიკები;
- მივიღოთ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენი მომხმარებლებიც ისევე ასრულებდნენ გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობებს, როგორც ჩვენ.

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს (პოლიტიკა სრულად ხელმისაწვდომია ბმულზე [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com)).

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი შედგება სრულ განაკვეთზე მომუშავე სამი თანამშრომლისგან და კორპორატიული ბიზნესის საკრედიტო რისკის დეპარტამენტის ნაწილია, რომელიც თავის მხრივ რისკების მართვის დირექტორის წინაშე ანგარიშვალდებულია. ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის (ESRM) გუნდი პასუხისმგებელია ჯგუფის დონეზე გარემოსდაცვითი მართვის სისტემის (EMS) განხორციელებასა და ზედამხედველობაზე. ასევე, დახმარებას უწევს ჩვენს შვილობილ კომპანიებს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე და რეგულარულად ატარებს ტრენინგ-სესიებს. კვარტალურად, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი გარემოსდაცვით კომიტეტს წარუდგენს გარემოსდაცვით გეგმებსა და შედეგებს.

ჩვენი EMS ოთხ მიმართულებას ეფუძნება:

- შიდა გარემოსდაცვითი საქმიანობები;
- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვა დაკრედიტების დროს;
- მდგრადი ფინანსირება; და
- გარე კომუნიკაციები.

2020 წლიდან ბანკმა მიიღო ISO 14001:2015 სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ ჩვენი EMS სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ჩვენი გარემოსდაცვითი პერსონალის მუდმივ განვითარებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს გმს-ის სათანადოდ განხორციელებისთვის. ამასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდის წევრები წლის განმავლობაში რამდენიმე ტრენინგს დაესწრნენ, მათ შორის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ორგანიზებულ ონლაინ სასწავლო კურსს „გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა ფინანსური უზამავლებისთვის“, „Green for Growth Fund“-ის მწვანე ფინანსირების ექსპერტისონლაინ კურსს, ასევე ვებინარს „კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამუშაო ჯგუფი (TCFD) ფინანსური სექტორისთვის - ბანკები“, რომელიც გაეროს მდგრადი საფონდო ბირჟების ინიციატივით ჩატარდა.

## პილარ 1: შიდა გარემოსდაცვითი საქმიანობები

### სასათბურე აირის (GHG) ემისიის დათვლა

იქედან გამომდინარე, რომ საბანკო საქმე არ არის მაღალ დამაბინძურებელი საქმიანობა, მოსალოდნელი არ არის, რომ ჯგუფის მიერ რესურსების მოხმარების შემცირებისკენ მიმართულ შიდა გარემოსდაცვით ღონისძიებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება გარემოზე. თუმცა, „თიბისი ბანკმა“ გადახედა ყველა საოპერაციო საქმიანობას, შესყიდვებსა და დაკონტრაქტებულ გარე კომპანიების მომსახურებებს, რომელთა კონტროლიც შეუძლია (მიმდინარე და დაგეგმილი) და გამოავლინა მათ საქმიანობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტები. აღნიშნული იყოფა თიბისის არაპირდაპირ და პირდაპირ გარემოსდაცვით ასპექტებად, ხდება მათი სრულფასოვანი შეფასება და იმართება სტანდარტების შესაბამისად.

„თიბისი ბანკმა“ სასათბურე აირის (GHG) ემისიების მართვისა და ანგარიშგებისთვის დანერგა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემა, რომელიც მიმართულია ენერჯის, წყლის და ქაღალდის მოხმარების მონიტორინგით სასათბურე აირის (GHG) ემისიების შემცირებისკენ. შემუშავდა გარემოსდაცვითი მონაცემების დოკუმენტირების სახელმძღვანელო პრინციპები და შვილობილ კომპანიებში შეირჩნენ თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მოთხოვნილი მონაცემების შეგროვებასა და მონოდებაზე. „თიბისი ბანკმა“ ასევე დაიქირავა დამოუკიდებელი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი (HSE) საკონსულტაციო კომპანია შპს „G&L Management“.

GHG-ის ჯამური გაფრქვევა (CO <sub>2</sub> ) (ტონა) და KPI-ები	რეალური	რეალური	რეალური	2022	2023
	2020	2021	2022	სამიზნე ზრდა	სამიზნე ზრდა
<b>Scope 1* საწვავის მოხმარება (გათბობა, ტრანსპორტი, გენერატორები)</b>	2,970	3,102	<b>3,175</b>	4%-ზე ნაკლები	6%-ზე ნაკლები
<b>Scope 2 (ელექტროენერჯის მოხმარება)</b>	1,524	1,499	<b>1,489</b>	2%-ზე ნაკლები	7%-ზე ნაკლები
<b>Scope 3 (საერთაშორისო ფრენები)</b>	106	18	<b>506</b>	-	-
<b>ჯამური გაფრქვევა (tCO<sub>2</sub>)</b>	<b>4,600</b>	<b>4,619</b>	<b>5,170</b>	<b>3%-ზე ნაკლები</b>	<b>6%-ზე ნაკლები</b>
<b>ჯამური ეგაფრქვევა ერთი სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელზე (tCO<sub>2</sub>/pp)</b>	<b>0.65</b>	<b>0.60</b>	<b>0.62</b>	<b>3%-ზე ნაკლები</b>	<b>6%-ზე ნაკლები</b>
წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე (მ <sup>3</sup> /pp)	10.72	9.54	<b>8.90</b>	1.5%-ზე ნაკლები	2%-ზე ნაკლები
საბეჭდი ქაღალდი ერთ თანამშრომელზე (დასტებად)	13.46	13.50	<b>12.67</b>	0.4%-ზე ნაკლები	4%-ზე ნაკლები

#### \* Scope 1:

- 2022 წელს 1,575 CO<sub>2</sub>e ტონა გაფრქვევა (საწვავის წვიდან (NG) „თიბისი ბანკის“ უშუალო ოპერირებიდან და ობიექტებიდან), 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 1,505 tCO<sub>2</sub>e, ხოლო 2020 წელს - 1,609 tCO<sub>2</sub>e.
- 2022 წელს 1,485 CO<sub>2</sub>e ტონა გაფრქვევა („თიბისი ბანკის“ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებიდან), 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 1,500 tCO<sub>2</sub>e, ხოლო 2020 წელს 1,285 tCO<sub>2</sub>e.
- 2022 წელს 115 CO<sub>2</sub>e ტონა გაფრქვევა („თიბისი ბანკის“ კუთვნილი გენერატორებიდან), 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 97 tCO<sub>2</sub>e, ხოლო 2020 წელს - 76 tCO<sub>2</sub>e.

**Scope 1** - 2022 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2%-ით გაიზარდა 2021 წელთან შედარებით და შენარჩუნდა სამიზნე დონეზე. ზრდა მეტწილად უკავშირდება საწვავის უფრო მაღალ მოხმარებას „თიბისის“ საკუთრებაში არსებული ავტომობილების მიერ, რადგან ადგილზე მითანის სერვისის ფილიალებისთვის ადგილობრივად ხორციელდებოდა.

**Scope 2** – 2022 წელს ელექტროენერჯის მთლიანი მოხმარება ოდნავ შემცირდა 2021 წელთან შედარებით.

**Scope 3** – 2022 წელს სამივლინებო ფრენები ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდა, წინა წელს კოვიდ-19-ის პანდემიის გამო მნიშვნელოვნად შემცირების შემდგომ.

მთლიანობაში, გაფრქვევების ჯამური რაოდენობა 2022 წელს 12%-ით გაიზარდა, 2021 წლის დონესთან შედარებით, ხოლო სრულ განაკვეთზე მომუშავე ერთ თანამშრომელზე ჯამური გაფრქვევა იმავე პერიოდში 3%-ით გაიზარდა.

2022 წელს ერთ თანამშრომელზე წყლის მოხმარება 10%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა 6%-ით შემცირდა.

**გამოთვლის მეთოდოლოგია**

სასათბურე აირის ინვენტარიზაციისთვის გადავდგით შემდგომი ნაბიჯები: დავანესეთ ორგანიზაციის საზღვრები, განვსაზღვრეთ საოპერაციო მასშტაბი და, ჩამოვყალიბეთ მონაცემთა შეგროვების სტრუქტურული მიდგომა და ნახშირორჟანგის (CO<sub>2</sub>) ექვივალენტში გამოთვლა. ეს ანგარიში აღწერს გაფრქვევების ყველა წყაროს, რომელიც გათვალისწინებულია 2006 წლის „კომპანიების აქტით“ (მმართველობითი ანგარიში), 2013 წლის რეგულაციებით (Scope 1 და 2) და ასევე Scope 3-ის ფარგლებში არსებული გაფრქვევებით, რომელიც ვრცელდება ბიზნეს-საქმიანობაზე. გაფრქვევების მონაცემების მომზადებისას გამოყენებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „2017 წლის კომპანიის ანგარიშგებისთვის სასათბურე აირის კონვერსიის ფაქტორები“, ხოლო ელექტროენერჯის შემთხვევაში „ეროვნული IPCC“-ის ემისიის ფაქტორები ელექტროენერჯისთვის (tCO<sub>2</sub>\*/MWh). მოთხოვნილი მონაცემები მოგროვდა და ანგარიში დაგენერირდა „თიბისის ბანკის“ ძირითადი საქმიანობებისთვის, შემდეგი სახით:

**Scope 1** (საწვავის წვა და მოწყობილობების ოპერირება) მოიცავს თიბისის ბანკის საკუთრებაში, ან კონტროლირებად ადგილებზე არსებულ მოწყობილობა-დანადგარების მიერ ბუნებრივი აირის, დიზელის ან/და ბენზინის წვის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს. ასევე, სატრანსპორტო საშუალებების მიერ ბენზინის, დიზელის, ბუნებრივი აირის და ა.შ. წვის შედეგად გამოყოფილ აირებს.

**Scope 2** (ოპერირებისთვის შეძენილი ელექტროენერჯია (განათება, საოფისე ხელსაწყოები, გაგრილების სისტემა და ა.შ.) მოიცავს თიბისის ბანკის საკუთრებაში არსებულ ან კონტროლირებად ადგილებზე მოხმარებული ელექტროენერჯის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს.; გამოთვლისთვის გამოიყენება ეროვნული IPCC ემისიის მიხედვით ელექტროენერჯის გაფრქვევების ფაქტორი (tCO<sub>2</sub>\*/MWh);

**Scope 3** მოიცავს მივლინებების დროს საჭაერო ტრანსპორტით მგზავრობის შედეგად გამოყოფილ გაფრქვევებს (მოკლე მანძილებზე, საშუალო მანძილებზე, შორ მანძილებზე და საერთაშორისო ფრენებს); უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულ იქნა ინფორმაცია ფრენის კლასთან დაკავშირებით და ემისიების გამოსაანგარიშებლად შეირჩა „ეკონომ-კლასის“ კონვერსიის ფაქტორი შემდეგი ბმულიდან: [www.atmosfair.de](http://www.atmosfair.de).

**ინტენსიურობის კოეფიციენტი** - ჩვენ გავთვალეთ ინტენსიურობის კოეფიციენტი SECR გაიდლაინების მიხედვით, [www.secrhub.co.uk](http://www.secrhub.co.uk).

**მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგი**

როგორც ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველი, გვესმის როგორც ნასყიდობასთან დაკავშირებით მიღებული ჩვენი გადაწყვეტილებების და ოპერაციების სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა, ასევე მომწოდებლებზე ჩვენი მოთხოვნების გავლენა. 2019 წელს ჩვენი მომწოდებლების შემოწმების მიზნით შევიმუშავეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის კითხვარი. ასევე, რეგულარულად ვაფასებთ ჩვენი გრძელვადიანი კონტრაქტორი კომპანიების გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ჩვენს გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შეუსაბამობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი ამზადებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას (ESAP-ებს) თითოეული კომპანიისთვის და მონიტორინგს უწევს მათ განხორციელებას.

**გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლება ჩვენს თანამშრომლებში**

გვჯერა, რომ ჩვენს თანამშრომლებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გმს-ის ეფექტურად განხორციელებისთვის და ორგანიზაციის შიგნით ახალი ეკო-მეგობრული იდეებისა და ინიციატივების წახალისებისთვის.

ამ მიზნით, ჩვენ აქტიურად ვახორციელებთ სხვადასხვა გარემოსდაცვით და სოციალურ სასწავლო პროგრამებს, რაც მოიცავს:

- გარემოსდაცვითი და სოციალური ტრენინგები ახალი თანამშრომლებისთვის;
- მწვანე დაკრედიტების ტრენინგი საკრედიტო პერსონალისთვის;
- ყოველწლიური სავალდებულო ელ-სწავლების კურსი EMS-ის შესახებ ყველა თანამშრომლისთვის, რასაც მოჰყვება თვითშეფასების ტესტი.

2022 წელს ჩვენი თანამშრომლების 97%-მა, მათ შორის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებმა, წარმატებით გაიარეს „თიბისის“ EMS-ის შესახებ ონლაინ კურსი და თვითშეფასების ტესტი.


ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ვიდეო მასალები, რომლებიც მოკლედ აღწერს „თიბისის“ გარემოსდაცვითი მართვის სისტემას (EMS).

**პილარ 2: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა დაკრედიტების დროს**

ჩვენი მიზანია, უზრუნველყოთ, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა შეასრულონ თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, „თიბისის ბანკმა“ შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) პროცედურები, რომლებიც სრულად არის ინტეგრირებული „თიბისის ბანკის“ საკრედიტო რისკის მართვის პროცესში. აღნიშნული პროცედურები დაკრედიტების დროს უზრუნველყოფს ჩვენი ყველა სასესხო აქტივობის შესაბამის, რისკებზე დამყარებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებას სექტორების სპეციფიკების მიხედვით. ჩვენი პროცედურები მოიცავს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სამოქმედო სტანდარტებს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სამოქმედო მოთხოვნებს. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს ეფექტურად ვმართოთ საკრედიტო და რეპუტაციული რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ჩვენი მომხმარებლების გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შეუსაბამობით.

ჩვენ ყურადღებით ვამოწმებთ და ვაფასებთ ჩვენი ბიზნეს-პორტფელის გადანაწილებას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიების კუთხით და ვცდილობთ, შევამციროთ იმ ინდუსტრიების წილი, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ გარემოსა და საზოგადოებაზე. ზოგ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიები განსხვავდება. კომერციული ტრანზაქციის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიის დადგენისას, უპირატესობა უფრო მაღალი რისკის კატეგორიას ენიჭება.

**ბიზნეს სესხების კორტფელის გადანაწილება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიების მიხედვით (სესხის მოცულობის მიხედვით)**



დაბალი რისკი - ტრანზაქციები, რომლებსაც აქვთ მინიმალური ან საერთოდ არ აქვთ ნეგატიური გარემოსდაცვითი, ან სოციალური ზემოქმედება. ზოგადად, ასეთი შემთხვევების შემდგომი ანალიზი აღარ ხორციელდება (ილენტიფიცირების შემდეგ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი ითხოვს ინფორმაციას (თანხმობა/ცნობა/დასკვნა) გარემოს, ჯანმრთელობის და შრომის შესახებ ადგილობრივ და ეროვნულ კანონმდებლობასთან და ნორმატიულ აქტებთან მისი შესაბამისობის/შეუსაბამობის დადგენის მიზნით.

**საშუალო რისკი** – ოპერაციები სოციალურ, ან გარემოსდაცვით საკითხებზე საზიანო ეფექტის შეზღუდული პოტენციალით. ასეთი შემთხვევები მცირე რაოდენობისაა, განისაზღვრება ადგილმდებარეობის მიხედვით, შექცევადია, შესაძლებელია მისი გამოვლენა შეფასების ეტაპზე და თავისუფლად გვარდება რისკის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებების გატარებით. აღნიშნულ ოპერაციებს სჭირდებათ შეზღუდული, ან ფოკუსირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური შეფასება ან გარემოსდაცვითი ზომების, დაბინძურების ნორმების, საპროექტო კრიტერიუმების, ან სამშენებლო სტანდარტების პირდაპირი გამოყენება.

**მაღალი რისკი** – ოპერაციები, რომლებსაც ახასიათებთ პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანი, ნეგატიური და/ან გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ეფექტი, რომლის მასშტაბების განსაზღვრაც შეუძლებელია რთული იყოს სესხზე განაცხადის წარდგენის ეტაპზე. აღნიშნული საჭიროებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ეფექტების ანალიზს ბანკის კლიენტის ფუნქციონირების გავლენის მთლიანი არეალის კონტექსტში. რისკის შეფასების პროცესში კლიენტი გამოავლენს ცალკეულ პირებს და ჯგუფებს, რომლებზეც მისი წარმოება შეიძლება გავლენას ახდენდეს განსხვავებულად ან არაპროპორციულად.

**კატეგორია A** – ოპერაციები პოტენციურად მნიშვნელოვანი საზიანო სოციალური ან გარემოსდაცვითი ეფექტით, რომელიც შეიძლება იყოს მრავალმხრივი, შეუქცევადი ან უპრეცედენტო. ამგვარი ოპერაციების შეფასება ჩვეულებრივ, მოითხოვს დამოუკიდებელი გარე ექსპერტების ჩართვას და შესაძლოა საჭიროებდეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ჩართულობას სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების პროცესში.

ამასთან, ჩვენი მიზანია დადებითი წვლილი შევიტანოთ კერძო კომპანიების განვითარებაში და დავხმაროთ მათ სათანადოდ მართონ თავიანთ საქმიანობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები. ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და/ან „თიბისის“ სტანდარტებთან რაიმე სახის შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენი კლიენტებისთვის შევიმუშავებთ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებს (ESAP), რათა მათი გარემოსდაცვითი საქმიანობა გაუმჯობესდეს, და ამავედროულად გაკონტროლდეს გეგმების განხორციელების პროცესი.

**პილარ 3: მდგრადი ფინანსირება**

ჩვენ ვალიარებთ მდგრადი დაკრედიტების მნიშვნელობას და აქტიურად ვართ ჩართული მდგრადი დაფინანსების სტანდარტიზებული მიდგომის შემუშავებაში, მათ შორის ენერგოეფექტური, განახლებადი ენერჯისა და რესურს-ეფექტური დაფინანსების ჩათვლით ჩვენი საცალო და ბიზნეს-მომხმარებლებისთვის.

„თიბისი“ ადგილობრივი განახლებადი ენერჯის პროექტების წამყვანი პარტნიორია საქართველოში, მათ შორის ჰიდროელექტრო სადგურების დაფინანსების მიმართულებით.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო პარტნიორებთან მდგრადი დაკრედიტებისთვის ფინანსების მოსაზიდად:

- ბანკი ალიარებს გენერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების საკითხების მნიშვნელობას და დანერგილი აქვს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა მენარმეობას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მხარდაჭერით, არაფინანსური მომსახურებებით და ასევე ცოდნის გაზიარების შესაძლებლობებით. ამასთან, გამოყოფილია სახსრები ახალგაზრდა მსესხებლების და მენარმეების მხარდასაჭერად, საგანმანათლებლო სესხების, იპოთეკური სესხების, ასევე ბიზნესის დასაწყებად სესხების გასაცემად.

- „თიბისი ბანკი“ რამდენიმე საგარანტიო საშუალებას ფლობს აქცენტით სტარტაპებზე, ქალ და რეგიონალურ მენარმეებზე. რისკების გაზიარების ეს ინსტრუმენტები ნაწილობრივ ჩაანაცვლებს უზრუნველყოფის საგანს და ბანკს საშუალებას აძლევს გაზარდოს წვდომა დაფინანსებაზე არასაკმარისად მომსახურე სამიზნე ჯგუფებისთვის, მათთვის ზრდის და განვითარების უკეთესი შესაძლებლობების შეთავაზების გზით.
- გარდა ამისა, „თიბისი“ აქტიურად ახდენს მწვანე სახსრების მობილიზებას პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან, რათა ხელი შეუწყოს მდგრად ეკონომიურ ზრდას, მეტწილად ენერგოეფექტური, რესურს დამოკველი და განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერის გზით. ეს ინსტრუმენტები ადგილობრივ ბიზნესს და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს დაეხმარება გახდნენ კონკურენტუნარიანი მაღალეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტირების და ენერგოეფექტური პრაქტიკის დანერგვის გზით. ამასთან, დაფინანსებას თან ახლავს ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც ნოუ-ჰაუს და ტექნიკურ ექსპერტიზას სთავაზობს მსესხებლებს და უზრუნველყოფს იმას, რომ მათი მწვანე ინვესტიციები წარმატებით ინერგება. რამდენიმე მწვანე ინიციატივას ასევე თან ახლავს გრანტის შესაძლებლობებიც.

წლის განმავლობაში „თიბისიმ“ ამ მიზნების განსახორციელებლად მოიზიდა სხვადასხვა სახსრები მთლიანობაში 280 მილიონი ლარის ოდენობით ისეთი საერთაშორისო პარტნიორებისგან, როგორც არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოება (DEG), ჰოლანდიის სამენარმეო განვითარების ბანკი (FMO), აშშ-ის საინვესტიციო განვითარების ფინანსური კორპორაცია (DFC).

ამასთან, „მწვანე კლიმატის ფონდისგან“ (GCF) 2021 წელს აკრედიტაციის მიღების შემდეგ, 2022 წელს „თიბისიმ“ გააფორმა აკრედიტაციის გენერალური ხელშეკრულება (AMA), რომელიც ცენტრალური ინსტრუმენტია და განსაზღვრავს მწვანე კლიმატურ ფონდთან ერთად მუშაობის ძირითად პირობებს. ეს დოკუმენტი „თიბისი ბანკს“ ანიჭებს უფლებამოსილებას ჰქონდეს „მწვანე კლიმატური ფონდის“ ფინანსურ რესურსებზე წვდომა და განახორციელოს მათი მობილიზება და ასევე განსაზღვრავს „თიბისის“ ანგარიშვალდებულებას „GCF“-ის მიერ დამტკიცებული პროექტების სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად.


გარდა ამისა, ჩვენმა პარტნიორებმა - ჰოლანდიის სამენარმეო განვითარების ბანკმა (FMO), „Symbiotics“, გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებამ (DEG) და გლობალურმა კლიმატურმა საპარტნიორო ფონდმა (GCPF) ჩაატარეს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ანალიზი, რაც მოიცავს ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) მიდგომების და მწვანე დაფინანსების განვითარების პრაქტიკების და გეგმების მიმოხილვას. ამასთან, განხორციელდა ვიზიტები ჩვენს კორპორაციულ მომხმარებლებთან. ვიზიტისა და ანალიზის შედეგები დადებითი იყო.

კომპანიაში მწვანე დაკრედიტების პროცედურების დანერგვის მხარდაჭერისა და მწვანე დაკრედიტების მნიშვნელობის უკეთ გააზრების მიზნით, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდმა ჩაატარა „მწვანე დაკრედიტების ტრენინგის“ სესიები 91 თანამშრომლისთვის, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საკრედიტო ოფიცრებისთვის, საკრედიტო ანალიტიკოსებისთვის, საკრედიტო რისკის მენეჯერებისთვის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ბიზნეს-სესხებისა და გაყიდვების კოორდინატორებისთვის.

ჩვენი მწვანე ფონდის პროვაიდერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2022 წლის განმავლობაში ჩვენმა მდგრადმა პორტფელმა 8 874.4 tCO<sub>2</sub>/a-ს მიაღწია CO<sub>2</sub>-ის დაზოგვაში, იმავე პერიოდში ჩვენი განახლებადი ენერჯის პორტფელის გავლენამ (სასათბურე აირის ემისიების არიდება) 10 002 tCO<sub>2</sub>/a შეადგინა, გარე კონსულტანტის შეფასების თანახმად, „Green for Growth Fund“-ის (GGF) ტექნიკური მხარდაჭერის დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც წარმოადგენდა „Finance in Motion GmbH“ და დაფინანსებდა ევროკავშირი „EU4Energy“ ინიციატივის ფარგლებში.

საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერის მიზნით

**ჩვენი მდგრადი პორტფელის სტრუქტურა**



**შენიშვნა:** ჩვენი მდგრადი სასესხო პორტფელი მოიცავს ენერგოეფექტურობას, ახალგაზრდების მხარდაჭერას და „ქალები ბიზნესში“ სესხებს, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან (IFI) მიღებული სპეციალური დანიშნულების თანხებით, ასევე განახლებადი ენერჯიის დაფინანსებისთვის გამოყოფილი სესხებით, რაც მოიცავს ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა ჰიდროელექტრო სადგურს.

**პილარ 4: გარე კომუნიკაცია**

„თიბისი“ დიდ ყურადღებას აქცევს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გარე კომუნიკაციას როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ჩვენი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის მუდმივად გაუმჯობესების საშუალებას გვაძლევს.

ჩვენი საჩივრების მიღების მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგინონ საჩივრები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ჩვენი ვებგვერდის [www.tbcbank.com.ge](http://www.tbcbank.com.ge) საშუალებით. ყველა საჩივარი გულდასმით ფასდება და დროულად გადაეცემა შესაბამის პირებს.

„თიბისი ბანკმა“ წარმატებით ჩაატარა მესამე წლის შესაბამისობის შემოწმების (რესერტიფიცირების) აუდიტი გარემოსდაცვითი მართვის სისტემაზე, ISO 14001:2015. ეს იმას გულისხმობს, რომ „თიბისის“ გარემოსდაცვითი სისტემის მართვა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად.

„თიბისი ბანკი“ ყოველწლიურად წარუდგენს გარემოსდაცვით და სოციალური საქმიანობის წლიურ ანგარიშს მის ყველა პარტნიორ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტს. ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შესახებ დაკრედიტების სფეროში, ბანკის ბიზნეს-პორტფელის გადანაწილებას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების კატეგორიების მიხედვით, მისი მდგრადი პორტფელის სტრუქტურას, შესაბამისი პროცედურების პროგრესის შესახებ ინფორმაციას და სხვ.

2022 წელს „თიბისი ბანკმა“ გამოსცა მდგრადობისმესამე სრულმასშტაბიანი ანგარიში, რომელიც გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად მომზადდა. მდგრადობის ანგარიში ეხმარება კომპანიას გაიაზროს მისი როლი და გავლენა მდგრადი განვითარების ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის კლიმატის ცვლილება, ადამიანის უფლებები და სოციალური კეთილდღეობა. ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე [www.tbcbankgroup.com](http://www.tbcbankgroup.com).

# „აგრომაქსი“

„აგრომაქსი“ არის სწრაფად მზარდი ქართული აგროარული კომპანია, რომელიც 7 წელია „თიბისი ბანკის“ მომხმარებელია. კომპანია მრავალფეროვან საქმიანობას ეწევა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ამუშავებს რეგიონში არასაკმარისად წარმოდგენილ ფერმერულ კულტურებს, რითაც მაგალითს აძლევს ადგილობრივ ფერმერებს.

2017 წლიდან „აგრომაქსი“ აქტიურად ავითარებდა ენერგოეფექტურ და ეკო-მეგობრულ პრაქტიკებს თავის საქმიანობაში. წლების განმავლობაში „თიბისი“ მხარში ედგა მის ინიციატივებს მწვანე ფინანსირების კუთხით რამდენიმე საერთაშორისო ინსტიტუტის მხარდაჭერით. „GGF“-ის („Green for Growth Fund“) მწვანე საკონსულტაციო პროგრამის ფარგლებში, „აგრომაქსმა“ დაამონტაჟა მზის პანელები, რაც მის მდგრადობის დონეს ზრდის. გარდა ამისა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, მოსავლის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიამ დანერგა წვეთოვანი სარწყავი სისტემა. ეს არის ყველაზე ეფექტური სარწყავი სისტემაა გვალვის ზემოქმედებისგან მოსავლის დასაცავად.





მმართველობა —

# კორპორაციული მმართველობა

სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) ინგლისსა და უელსში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე განთავსებული კომპანიის - "თიბისი ბანკ გრუპ პი-ელ-სი-ის" მთავარი შვილობილი კომპანიაა. ბანკის კორპორაციული მართვა შესაბამისობაშია "კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის ბრძანების (შემდგომში - „კოდექსი“) მოთხოვნებთან. ამავდროულად ბანკი აკმაყოფილებს გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსით განსაზღვრულ კორპორაციული მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

ამასთან, ბანკს აქვს ეფექტური შიდა კონტროლების სისტემა ზუსტი და საიმედო ფინანსური ანგარიშგების უზრუნველსაყოფად. ბანკს აქვს ანგარიშვალდებულების და უფლებამოსილების დელეგირების კარგად განსაზღვრული სტრუქტურა, ასევე პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც მოიცავს ფინანსურ დაგეგმვას და ანგარიშგებას; ყოველთვიური მმართველობითი ანგარიშების მომზადებას; პროექტების მართვას; ინფორმაციულ უსაფრთხოებას; ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის შესაბამისი გამჟღავნების უზრუნველსაყოფად, წლიურ ანგარიშებში გამოქვეყნებული ინფორმაციის გადახედვას შესაბამისი ხელმძღვანელების მხრიდან, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს მართებული და სამართლიანი წარდგენის მოთხოვნები.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში „სამეთვალყურეო საბჭო“) უზრუნველყოფს, რომ ბანკის მართვის სტრუქტურა ადეკვატური ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების, ასევე მოვალეობების მკაფიოდ გამიჯვნის შესაძლებლობას იძლეოდეს. რისკების მართვის პროცესში ყველა მმართველი რგოლის ჩართულობა, უფლებამოსილების ნათლად გამიჯვნა და სხვადასხვა დანაყოფს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს სტრატეგიული და რისკის მიზნების სიცხადეს, შესაბამისობას დადგენილ რისკის აპეტიტთან და რისკის ბიუჯეტთან და რისკის მართვის ჯანსაღ სისტემას. ცენტრალიზებული ორგანიზაციული რისკების მართვის (ERM) სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურ განვითარებას, კომუნიკაციას და დანერგვას ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) მასშტაბით.

ბანკის მთავარი აქციონერია „თიბისი ბანკ გრუპ პი-ელ-სი“, რომელიც ბანკის სააქციო კაპიტალში 99.9%-ის მფლობელია. აქციონერების უფლებები რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „კომერციული ბანკების საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონითა და ბანკის წესდებით, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

„თიბისი ბანკ გრუპ პი-ელ-სი-ის“ დირექტორთა საბჭო (შემდგომში „PLC საბჭო“) ბანკის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა და პასუხს აგებს ჯგუფის მიზნის, კულტურის, ღირებულებების და წარმატების გრძელვადიანი სტრატეგიის განვითარების ხელშეწყობაზე, ასევე მისი დაინტერესებული პირებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე. „PLC საბჭო“ პასუხს აგებს ბანკის სტრატეგიული მიმართულების ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე.

ამასთან, ბანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო. ბანკში ასევე არის „PLC საბჭოს“ კომიტეტების შესაბამისი სამეთვალყურეო საბჭოს საკომიტეტო სტრუქტურა. შესაბამისად, რეალურად ჯგუფში ორი მსგავსი საზედამხედველო უწყება - „PLC საბჭო“ და სამეთვალყურეო საბჭო, რომლებიც განცალკევებული, მაგრამ ერთიერთდაკავშირებულია კომიტეტებით. „PLC საბჭოს“, სამეთვალყურეო საბჭოს და მათი შესაბამისი კომიტეტების ფუნქციები სათანადოდ არის დაბალანსებული და გამიჯნული იმის მიხედვით, შესაბამისი გადაწყვეტილება შეეხება თიბისი ბანკ გრუპ პი-ელ-სი-ის თუ მხოლოდ ბანკს. შედეგად, ჯგუფის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობასა და ანგარიშვალდებულებისა და მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. „PLC საბჭოს“ და სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის შესაბამისი კომიტეტების შემადგენლობა ერთნაირია ორივე დონეზე, არააღმასრულებელი წევრობის მხრივ.

წინამდებარე ანგარიშის გამოშვების თარიღში, კოდექსში განსაზღვრული „დამოუკიდებლობის“ კრიტერიუმების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო რვა დამოუკიდებელი, არააღმასრულებელი წევრებისგან შედგება. არნე ბერგრენი (თავმჯდომარე), ცირა კემულარია (უფროსი აღმასრულებელი წევრი), პერ ანდერს ფასთი, თიმოთს პ. კირიაკოპულოსი, ერან კლაინი, ნინო სუქნიძე, რაჯევ სონი და ჯანეტ ჰეკმანი .

სამეთვალყურეო საბჭომ ექვსი კომიტეტი შექმნა:

- რისკების კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობს ბანკის შესაძლო რისკებს და კაპიტალთან დაკავშირებულ საკითხებს.
- აუდიტის კომიტეტი, რომელიც გარე აუდიტორებთან, შიდა კონტროლებთან და ფინანსურ ანგარიშგებასთან ურთიერთობს, ასევე აქვს კომუნიკაცია ბაზართან და მარეგულირებლებთან.
- ანაზღაურების კომიტეტი ხელმძღვანელობს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც არის ანაზღაურების ისეთი დონის განსაზღვრა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მოზიდვას და შენარჩუნებას და ამის დაბალანსებას ჩვენი დაინტერესებული პირებისთვის მისაღები ანაზღაურების დონით.
- კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი პასუხს აგებს ნიჭიერი თანამშრომლების მართვაზე და ნომინირებაზე, ასევე საკადრო რეზერვის გეგმის განსაზღვრაზე სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი გუნდისთვის.
- ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტმა ფუნქციონირება 2022 წელს დაიწყო და ის სამეთვალყურეო საბჭოს სტრატეგიის მნიშვნელოვანი დრაივერების, მონაცემების დამუშავებასა და კიბერ-საკითხებთან და ბანკის IT რესურსებთან დაკავშირებული საკითხების გადახედვაში ეხმარება.
- გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტმა ფუნქციონირება 2022 წელს დაიწყო და უზრუნველყოფს ბანკის მუდმივ ორიენტირებას გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ყველა ჩვენი დაინტერესებული პირისთვის.

ბანკი აღიარებს მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და ჩვენი ბიზნესისთვის დიდ სარგებელს ხედავს ისეთი სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ გუნდში, რომელსაც მრავალფეროვანი გამოცდილება აქვს, ეს კი უზრუნველყოფს საჭირო კომპეტენციას, კულტურულ მრავალფეროვნებას და მრავალ განსხვავებულ თვალსაწიერს საბჭოს განხილვებისთვის და ეხმარება მას გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებაში.

წინამდებარე წლიური ანგარიშის გამოშვების თარიღის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს რვა წევრიდან სამი (33%) არის ქალი, რამდენიმე ნიჭიერი ქალი არის წამყვან პოზიციაზე, ვინც პირდაპირ არის ანგარიშვალდებულებული ბანკის გენერალური დირექტორის და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრების წინაშე.

აქციონერთა საერთო კრება („საერთო კრება“) ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანოა. ბანკის აქციონერებს, სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, შეუძლიათ დაესწრონ საერთო კრებებს და მიიღონ ხმის მიცემაში მონაწილეობა, მიიღონ დივიდენდი და მოითხოვოს ბანკის დირექტორთა საბჭოსგან<sup>2</sup> და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან განმარტებები კრების დღისწესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე. საერთო კრება წარმოდგენილი ხმების უბრალო უმრავლესობით გადაწყვეტილებას იღებს სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის (და არა მხოლოდ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების, ბანკის დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცების, წლიური ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების, დივიდენდის (მოგების) განაწილების, წესდების ცვლილებისა და ბანკის სააქციო კაპიტალის შემცირების შესახებ. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საერთო კრებამ წარმოდგენილ ხმათა 75% უმრავლესობით შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის, კრედიტორების სასარგებლოდ ქონების გადაცემის ან ნებაყოფლობით ლიკვიდაციის დაწყების შესახებ, გაკოტრების, გადახდისუნარიანობის ან სხვა მსგავსი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ბანკის შერწყმის (გარდა ისეთი შვილობილი კომპანიის ბანკთან შერწყმის თაობაზე, რომელშიც ბანკი ხმათა სულ მცირე 75%-ს ფლობს, რა შემთხვევაშიც გადაწყვეტილება მიიღება წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით), გაყოფის ან სხვა რეორგანიზაციის თაობაზე.

### პასუხისმგებლობა

მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონების და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენი ცოდნის ფარგლებში ვადასტურებთ, რომ:

- ჯგუფის და ბანკის ფას სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ბანკის და ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობის და მოგება-ზარალის მონაცემებს, მათ შორის კონსოლიდაციისას.
- მმართველობითი ანგარიში მოიცავს ბიზნესის, ბანკის და ჯგუფის პოზიციის განვითარების და შესრულების მაჩვენებლების სამართლიან მიმოხილვას, მათ წინაშე მდგარი ძირითადი რისკების და განუსაზღვრელობების აღწერასთან ერთად; და
- მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგებად შედგენილია და მასში წარმოდგენილია აქციონერებისთვის საჭირო ინფორმაცია ბანკის და ჯგუფის პოზიციის, შესრულების მაჩვენებლების, საქმიანობისა და სტრატეგიის შესაფასებლად. პასუხისმგებლობის შესახებ განაცხადი დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიერ:

**ვახტანგ ბუცხრიკიძე**  
გენერალური დირექტორი

**არნე ბერგრენი**  
თავჯდომარე

2023 წლის 24 აპრილი

1 ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრის დანიშვნა დაადასტურა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის 21 აპრილს.

2 ბანკის გენერალური დირექტორი და მისი მოადგილეები.

## სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები



<b>არნე ბარზანი</b>	<b>ტირა კავულაური</b>
<b>თანამდებობა</b>	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი
<b>კომიტეტი</b>	აუდიტის კომიტეტის, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის და ანაზღაურების კომიტეტის წევრი
<b>დანიშნვის თარიღი</b>	2018 წლის 10 სექტემბერი
<b>დაბადების წელი</b>	1977
<b>მოქალაქეობა</b>	ბრიტანელი

**არნე** ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში 30 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება აქვს. მას ეკავა რამდენიმე ხელმძღვანელობითი და საკონსულტაციო თანამდებობა ცნობილ ფინანსურ დაწესებულებებში, მათ შორის საერთაშორისო მონეტარულ ფონდში, მსოფლიო ბანკში, „Swedbank“-ში, „Carnegie Investment Bank AB“-ში და შვედეთის ფინანსთა სამინისტროსა და ბანკების მხარდაჭერის უწყებაში. არნემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შვედეთის 1991-93 წლების საბანკო კრიზისთან ბრძოლაში და ეხმარებოდა FRA-ს ტაილანდში, ხოლო FSC/KAMCO-ს სამხრეთ კორეაში, აზიის საბანკო კრიზისთან გამკლავებაში. არნე ასევე იყო დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი თურქეთის და სლოვენის აქტივების მართვის კომპანიებში, ხოლო ბოლო დრომდე ასევე საბერძნეთის „პირაუს ბანკში“.

თავის კარიერის მანძილზე, ცირა სხვადასხვა როლს ასრულებდა საბაზრო რისკების მართვისა და სასაქონლო ვაჭრობის მიმართულებით ისეთი კომპანიებში, როგორებიცაა „Dynergy Inc.“ აშშ-ში და გაერთიანებულ სამეფოში და „Shell International Trading & Shipping Ltd (STASCO)“ ლონდონში, რუსეთის, დსთ-ის და კარიბის ქვეყნების ოპერაციებში. 2005-2016 წლებში, ის სხვადასხვა მმართველობით ფუნქციას ასრულებდა გაერთიანებულ სამეფოში, მოსკოვსა და ბარბადოსში M&A და კომერციული ფინანსების სფეროებში, ასევე სახაზინო ვაჭრობისა და მიწოდების მიმართულებით. 2016-დან 2019 წლამდე ცირა ლონდონში Shell International Ltd-ს ჯგუფის საკენსიო სტრატეგიის და სტანდარტების ხელმძღვანელი იყო. 2019 წლიდან 2022 წლის შუა პერიოდამდე ცირას ეკავა შიდა აუდიტისა და გამოძიების განყოფილების ხელმძღვანელის პოზიცია „Shell“-ის ვაჭრობის და მიწოდების გლობალურ ორგანიზაციაში, რომელიც მსოფლიოს ვაჭრობის და მიწოდების უმსხვილესი ბიზნესია. 2022 წლის ივლისში ცირა დაინიშნა კორპორაციულ ვიცე-პრეზიდენტად და გაერთიანებული სამეფოს რეგიონალური ინსპექტორად, რომელიც პასუხს აგებდა „Shell“-ს ჯგუფის კორპორაციული სეგმენტის ფინანსურ მართვაზე, რაც მოიცავს ჯგუფის ჰოლდინგებს და სახაზინო, სადამბლეო და საკენსიო განყოფილებებს და ასევე პასუხისმგებელია „Shell“-ის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანიების მარეგულირებელ ანგარიშგებაზე და „Shell UK“-ის ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურაზე, ცირა „Shell UK“-ის დირექტორთა საბჭოს და „Shell UK“-ის რეგიონალური კოორდინირების გუნდის წევრი და Shell-ის გაერთიანებული სამეფოს კრიზისების მართვის შტაბის უფროსია.

**უწარები და გამოცდილება**

გამოცდილება საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებში და მთავრობებისთვის კონსულტაციის განევა; საბჭოს წევრობის და კომიტეტის თავმჯდომარის გამოცდილება გაერთიანებული სამეფოს ბირჟაზე რეგისტრირებულ სხვა ბანკებში; გამოცდილება საინვესტიციო საბანკო საქმიანობაში და ბანკის რესტრუქტურისთვის ხელმძღვანელობაში; სტრატეგიის დაგეგმვის და განხორციელების სიღრმისეული ცოდნა.

23-ზე მეტწლიანი სიღრმისეული გამოცდილება ენერჯეტიკის ინდუსტრიაში, მათ შორის რეგულირებადი საქონლით ვაჭრობისა და ფინანსური მომსახურების მიმართულებით; ლონდონის დირექტორების ინსტიტუტის სერტიფიცირებული დირექტორი და წევრი; ბრიტანულ-ქართული საზოგადოების ყოფილი წევრი და გაერთიანებულ სამეფოში ქართული საზოგადოების თავმჯდომარე; შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მართვაში.

**შენატანები კომპანიები**

საერთაშორისო საბანკო სექტორში 25-ზე მეტწლიანი გამოცდილებით არნე, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, ღირებულ პერსპექტივებს ქმნის საბჭოსთვის. არნე გადაამწყვეტ როლს ასრულებს კამპანიის მხარდაჭერაში მის მთავარ აქციონერთან ურთიერთობის მხრივ და მისი დიდი გამოცდილება ეკონომიკურ სირთულეებთან გამკლავებაში ფასდაუდებელია კომპანიის დამოუკიდებელი სექტორის წინაშე მდგარ გამოწვევებთან ბრძოლაში. როგორც კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე, არნემ გასულ წელს უზრუნველყო მაღალი კალიბრის დანიშნვები, რითაც უზრუნველყოფილ იქნა, რომ საბჭოს შემადგენლობა შეესაბამებოდეს კომპანიის კულტურის, სტრატეგიის და მართვის საჭიროებებს.

ცირას პროფესიონალური ცოდნა ფინანსური მომსახურების, რისკების მართვის და შიდა აუდიტის სფეროში მას საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს და კონსტრუქციული გამოწვევები შექმნას საბჭოს სხვადასხვა საკითხის განხილვისას. როგორც სერტიფიცირებული დირექტორი, ცირას მმართველობითი თვისებები საშუალებას აძლევს მას იყოს საინფო მრეწველი თავმჯდომარისთვის და წარმოადგინოს სხვა დირექტორთა ინტერესები. ცირა მარეგულირებელი, სტრატეგიული და საერთაშორისო ფინანსური სერვისებში დაკრძოვილ მნიშვნელოვან გამოცდილებას და ფინანსური ბაზრების ცოდნას უზიარებს საბჭოს.

**ბარა დასაყვება**

კვიპროსის ბანკის საბჭოს წევრი „Hoting Innovations AB“-ის თავმჯდომარე.

დახურული საკენსიო ფონდის – შპს „British Gas Trustee Solutions“ რწმუნებული დირექტორი (Shell-ის მიერ British Gas-ის შესყიდვის შემდეგ) რწმუნებული დირექტორი შპს „Shell Trustee Solution“.



<b>პირ ანდერს ფასტი</b>	<b>ჯანეტ კავიანი</b>
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი
აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე (დროებითი), რისკების კომიტეტის წევრი	რისკების კომიტეტის და ანაზღაურების კომიტეტის წევრი
2021 წლის 1 ივლისი	2023 წლის 23 თებერვალი, დანიშნა დაადასტურა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2023 წლის 21 აპრილს
1960	1954
შვედი	ამერიკელი

განვილილი 25 წლის განმავლობაში პერ ანდერსი „SBAB ბანკის“, „Hoist Finance“ და „European Resolution Capital“-ის გენერალური დირექტორი იყო, ასევე ეკავა ფინანსური დირექტორის და უმაღლესი რგოლის სხვა აღმასრულებელი პოზიციები ჩრდილოეთ ევროპის წამყვან ბანკში „SEB“. მას ასევე მიღებული აქვს სტრატეგიული კონსულტანტად მუშაობის დიდი გამოცდილება, კომპანიებში „McKinsey & Company“ და „QVARTZ“ (დღეს „Bain & Company“) 10-ზე მეტწლიანი მუშაობის საფუძველზე. პერ ანდერსი ევროპის 15-ზე მეტი ფინანსური ინსტიტუტის არააღმასრულებელი დირექტორი იყო. ამასთან, მას აქვს 20-ზე მეტ ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაში მუშაობის დიდი პროფესიული გამოცდილება, სადაც ის მსოფლიო ბანკის და ფინანსთა სამინისტროს კონსულტანტი იყო.

2017 წლის თებერვლიდან 2019 წლის დეკემბრამდე ჯანეტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა (SEMED) რეგიონის მმართველი დირექტორი იყო. კარიერაში დაფუძნებული, ის ასევე იყო ევროპის რეგიონალური ხელმძღვანელი. დღეს ის ასტანის საერთაშორისო ბირჟის და „ეარ ასტანას“ (ყაზახეთი) საბჭოს წევრია. „Citi“-ში ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, მას ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (EMEA) რეგიონების სხვადასხვა პოზიციები ეკავა და პასუხს აგებდა გლობალურ საბანკო ურთიერთობებზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის რეგიონებში (CEMEA). ჯანეტი ფლობს მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს საზღვარგარეთული მომსახურების მიმართულებით ჯორჯთაუნის უნივერსიტეტისგან, ვაშინგტონი და მიღებული აქვს ისტორიის ბაკალავრის ხარისხი კენიონის კოლეჯში, ოჰაიო. ის ასევე სწავლობდა ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში, ლიბანი.

**გენერალური დირექტორის და მაღალი რგოლის აღმასრულებლის დიდი გამოცდილება** (20 წელზე მეტი) წამყვან ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში; 30 წელზე მეტი დაგროვილი გამოცდილება დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორის როლში; ლისინგში მუშეული კომპანიების კორპორაციული მართვის, ხელმძღვანელობის და სტრატეგიული კონსულტაციის უნარები; ფინანსური ანგარიშების, ინვესტირებათა ურთიერთობისა და შიდა კონტროლების მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება; შესაბამისი გამოცდილება ფინანსური საინფორმაციო ტექნოლოგიების (fintech) და კრედიტის მართვის ინდუსტრიაში ევროპის მასშტაბით.

დიდი გამოცდილება კორპორაციულ და გლობალურ საბანკო ურთიერთობების მიმართულებით; 15-ზე მეტწლიანი გამოცდილება ოპერაციების მართვაში.

**პერ ანდერსი** ითვლება აუდიტის და რისკის კომიტეტების ფინანსურ ექსპერტად. მას მარეგულირებელ გარემოში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და მას დიდ პატივს ცემენ როგორც კორპორაციული, ისე – ფინანსურ სამყაროში. პერ ანდერსის გამოცდილება სახელაღმართო საქმიანობაში და ასევე აღმასრულებელ პოზიციებზე მუშაობის მისი გლობალური გამოცდილება, მრავალფეროვან პერსპექტივას ქმნის როგორც აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარისთვის, ასევე საბჭოს განხილვისასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ჯანეტი თავის საფუძვლიან ცოდნას ფინანსურ სერვისებსა და კორპორაციულ საბანკო საქმეში უზიარებს საბჭოს, რომელიც მან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონალური ოპერაციებისთვის სტრატეგიის ფორმულირებასა და მიწოდებაში ღრმა გამოცდილებით მიიღო.

**კომპანიის „Lyra Financial Wealth“ თავმჯდომარე;** კერძო საინვესტიციო მართვის კომპანია „Atle Investment Management/Services“-ის საბჭოს წევრი.

ასტანას საერთაშორისო ბირჟის საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე „ეარ ასტანას“ საბჭოს წევრი, ყაზახეთი; ამერიკის საჯარო პალატის ვიცე პრეზიდენტი ბულგარეთისა და ყაზახეთში და საბჭოს წევრი რუმინეთში; მოღვაწეობდა ფულბრაიტის ასოციაციაში უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში და იყო თავმჯდომარე ბულგარეთში ბირჟის ბონუს ასოციაციის საბჭოს წევრი ყაზახეთში, კენიონის კოლეჯის კურსდამთავრებული ასოციაციის წევრი.

პერსონალური საბანკო მომსახურების კლიენტების აქტივების მართვის მიმსახურების კომპანიის „Lyra Financial Wealth“ თავმჯდომარე კერძო საინვესტიციო მართვის კომპანია „Atle Investment Management/Services“-ის საბჭოს წევრი



	<b>ირან კვლიანი</b>	<b>თიმოთოს კ. კირიაკოპულუსი</b>
<b>თანამდებობა</b>	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი
<b>კომპეტითი</b>	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტის (ESGE) თავმჯდომარე, ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის და რისკების კომიტეტის წევრი	რისკების კომიტეტის თავმჯდომარე, აუდიტის კომიტეტის და ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის წევრი
<b>დაიბადნა</b>	2021 წლის 1 ივლისი	2021 წლის 1 ივლისი
<b>დაიბადნა</b>	1965	1975
<b>მოქალაქეობა</b>	ბრიტანელი	ბერძენი
<b>პარტია</b>	ერანი გამოცდილი საერთაშორისო ბანკირი და ადვოკატი. ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, მას ეკავა ხელმძღვანელი პოზიცია წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებში, როგორც არის „Commerzbank“, „Citibank“, „ING Financial Markets“ და „Deutsche Bank“. განვითარებულ და განვითარებად ბაზრებზე მუშაობით ერანმა ღირებული ცოდნა შეიძინა კაპიტალის ბაზრებში, მცირე და საშუალო სწარმოების დაფინანსების, საცალო დაკრედიტების, კორპორაციული მართვის, ლიკვიდრობისა და საბალანსო უწყისის მართვის მიმართულებით, ასევე რისკების მართვის, აუდიტისა და სტრატეგიის განხორციელებაში. ბოლო დრომდე ის არააღმასრულებელი დირექტორი და რისკის კომიტეტის თავმჯდომარე იყო „პრივატბანკში“, უკრაინის უმსხვილეს ბანკში.	თიმოთოს საბანკო მაღალჩინოსანია მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილებით. ის სპეციალიზირდება საოპერაციო ტრანსფორმაციის, ბალანსის ოპტიმიზაციისა და რისკების მართვის, ფინანსური ინჟინერინგის და საპორტფელი მენეჯმენტის მიმართულებით. ის საბერძნეთის სუვერენული ქონების მართვის ფონდის „Hellenic Corporation of Assets and Participations“ საბჭოს წევრი და ინვესტიციების და რისკების კომიტეტის თავმჯდომარეა. თიმოთოს აღმასრულებელი დირექტორი და რისკების დირექტორი იყო „Piraeus Bank S.A.“-ში, რომელიც ლისტინგში შესული წამყვანი ბერძნული ბანკია; იყო მმართველი დირექტორი „Goldman Sachs Inc.“-ის ძირითადი ფიქსირებული შემოსავლის ვალუტის და საქონლით ვაჭრობის განყოფილებაში და მუშაობდა საბჭოს და აღმასრულებელ თანამდებობებზე სადაზღვევო-ტექნიკური, ფინანსურ-ტექნიკური, ფინანსური მომსახურების და საკონსულტაციო სექტორებში.

<b>უნარიანი და გამოცდილება</b>	დიდი გამოცდილება საბანკო, საკრედიტო, კაპიტალის ბაზრებისა და იურიდიულ სფეროში; მნიშვნელოვანი გამოცდილება რისკების, კორპორაციული მართვის, სტრატეგიებისა და სტრუქტურების მიმართულებით; გამოცდილება ძლიერი განვითარებადი ბაზრების საბანკო და დაინტერესებული პირების მართვის მიმართულებით; შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მართვაში.	დიდი გამოცდილება გლობალურ კაპიტალის ბაზრებისა და რეგიონალურ საბანკო სექტორში, ასევე ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სუბიექტებში; რისკების მართვის ექსპერტი, ინვესტორი, საინვესტიციო ბანკირი და ბალანსის ოპტიმიზატორი; საოპერაციო ტრანსფორმაციის და კრიზისის მართვა სისტემური ბანკების და ფინანსურ-ტექნიკური მიმართულებით; მართვის გამოცდილება, რისკებისა და აქტივების მართვის მიმოხილვის ძლიერი უნარი როგორც ლისტინგში შემავალი, ასევე სამთავრობო ორგანიზაციებისთვის.
--------------------------------	--	---

<b>შენათანაბი კომპანიები</b>	ერანი საბჭოს უზიარებლად ფართო და მრავალფეროვან გამოცდილებას რისკების მართვის, მმართველობის და სტრატეგიის მიმართულებით, რომელიც მან მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებთან და საკონსულტაციო სფეროებში თანამშრომლობით მიიღო, როგორც განვითარებულ, ისე - განვითარებად ბაზრებზე, რაც მას იდეალურად შესაფერის კანდიდატად ხდის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარეობისთვის.	თიმოთოს აქვს სიღრმისეული გამოცდილება მმართველობის, ფინანსურ და საოპერაციო სფეროებში. მისი ღრმა ცოდნა მას საშუალებას აძლევს მხარი დაუჭიროს და წვლილი შეიტანოს კომპანიის სტრატეგიის წარმართვასა და მისი დანერგვის ხელმძღვანელობაში. წარსულში საერთაშორისო ლისტინგში შემავალი ბანკების საინვესტიციო და რისკების ფუნქციების ხელმძღვანელი, დღეს ეროვნული სიმდიდრის ფონდის რისკის კომიტეტის თავმჯდომარე, თიმოთოს გამოცდილება რისკების მართვაში მას საშუალებას აძლევს ინოვაციური და პოზიტიური შეხედულებები შემატოს მის ფუნქციას - რისკების კომიტეტის თავმჯდომარეობას.
------------------------------	--	--

<b>გარე დასაქმება</b>	არ უჭირავს მიმდინარე დამატებითი თანამდებობა საბჭოში.	„Growthfund“-ის, საბერძნეთის ნაციონალური ფონდის ინვესტიციებისა და რისკების კომიტეტების საბჭოს წევრი და თავმჯდომარე.
-----------------------	--	---



	<b>ირაკლი სონი</b>	<b>ირინა სამენია</b>
<b>თანამდებობა</b>	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი
<b>კომპეტითი</b>	ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის თავმჯდომარე, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის და კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის წევრი	აუდიტის კომიტეტის და კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის წევრი
<b>დაიბადნა</b>	2021 წლის 29 ნოემბერი	2021 წლის 29 ნოემბერი
<b>დაიბადნა</b>	1957	1979
<b>მოქალაქეობა</b>	ინდოელი	ქართველი
<b>პარტია</b>	რაჯეევს 40-წლიანი გამოცდილება აქვს. კორპორაციული ზრდის უზრუნველყოფის კუთხით. ის სპეციალიზირდება ციფრულ ტექნოლოგიებში და მოლვაწობდა ფინანსური მომსახურების და სხვა ინდუსტრიულ სექტორებში ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში. აშუამად რაჯეევს უკავია აღმასრულებელი თავმჯდომარის და არააღმასრულებელი დირექტორის პოზიციები ოქსფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო ტექნოლოგიური ინოვაციების კომპანიაში მპს „OXSIGHT“. ადრე იყო მპს „Zensar“-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალური სამსახურის გენერალური დირექტორის უფროსი კონსულტანტი გაერთიანებულ სამეფოში და საკონსულტაციო საბჭოს წევრი აშშ-ის სილიკონის ველის კიბერუსაფრთხოების კომპანიაში „Garble Cloud Inc.“. მანამდე რაჯეევს მიღებული ჰქონდა საოპერაციო გამოცდილება „HCL Technologies and Mphasis, a Hewlett Packard company“-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობით. რაჯეევი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტი იყო დაბალი ნახშირბადის ეკონომიკური კეთილდღეობის სამუშაო ჯგუფში და მონაწილეობდა კლიმატის ცვლილების შესახებ დისკუსიებში დავოსის ზაფხულის სამუშაო ეკონომიკურ ფორუმში.	წინო ბიზნეს-იურისტი საქართველოს ბაზარზე 20-ზე მეტწლიანი გამოცდილებით. მას აქვს ღრმა ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკის სხვადასხვა სფეროში. მათ შორის საბანკო, ფინანსურ, კორპორაციულ, მარგულირებულ, კონკურენციისა და კაპიტალის ბაზრებზე. დღეს წინო იურიდიული ფირმის - მპს „სუქნიძე და პარტნიორები“ მმართველი პარტნიორია. 2017-2020 წლებში ის სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური მრჩეველი იყო. თბს ბანკში მოსვლამდე ის სხვადასხვა თანამდებობაზე იყო საერთაშორისო იურიდიულ ფირმებში „Dentons“ და „DLA Piper“ 11 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

<b>უნარიანი და გამოცდილება</b>	გლობალური კორპორატიული მართვის ძლიერი 40-ზე მეტწლიანი გამოცდილება; მნიშვნელოვანი საკონსულტაციო და აღმასრულებელი გამოცდილება ტექნოლოგიურ და კიბერ-უსაფრთხოების კომპანიებში ფინანსური მომსახურებისა და სხვა ინდუსტრიულ სექტორებში; დიდი გამოცდილება ადამიანური რესურსების მართვაში; შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მართვაში.	ფინანსური სერვისების ძლიერი გამოცდილება; იურიდიულ მრჩეველად მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, წამყვან ფინანსური მომსახურების სექტორში გარიგებების და ლისტინგების მიმართულებით; მართვის, მარგულირებელი და რისკების მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება, მათ შორის ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიაში; გამოცდილება საკონსულტაციო კომპანიაში სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სატელეკომუნიკაციო, ფარმაცევტულ, ენერჯეტიკულ და კომერციულში.
--------------------------------	--	--

<b>შენათანაბი კომპანიები</b>	რაჯეევი საბჭოს უზიარებლად ხანგრძლივი საერთაშორისო გამოცდილებას ხელმძღვანელობისა და ზოგად მართვაში, რომელიც მან შეიძინა ტექნოლოგიურ და ფინანსურ-ტექნიკურ სექტორებში მუშაობით. მას ღირებული შეხედულებები შეეძქა კომპანიის მხარდ მნიშვნელობის ტექნოლოგიურ შეფასებაში. ამასთან, ის დაინიშნა ახლახან შექმნილი ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც ის მნიშვნელოვან მხარდაჭერას და ხელმძღვანელობას უწევს ამ სფეროებს.	წინო გამოცდილი ადგილობრივი და საერთაშორისო ადვოკატი კონკრეტული გამოცდილებით რეგულირებულ სექტორებში, სადაც ის კონსულტაციას უწევდა იურიდიული, მარგულირებელი და ბიზნეს საკითხების ფართო სპექტრის შესახებ. წინოს ღირებული გამოცდილება მნიშვნელოვან პერსპექტივებს სთავაზობს საბჭოს და ამდირებს განხილვების და სტრატეგიული აზროვნების პროცესს.
------------------------------	---	--

<b>გარე დასაქმება</b>	მპს „OXSIGHT“-ის აღმასრულებელი თავმჯდომარე და საბჭოს წევრი.	საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის ვიცე პრეზიდენტი „Care Caucasus“ - ქართული საქველმოქმედო ორგანიზაციის საბჭოს წევრი.  საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის ვიცე პრეზიდენტი „Care Caucasus“ - ქართული საქველმოქმედო ორგანიზაციის საბჭოს წევრი
-----------------------	---	---

<b>AC</b>	აუდიტის კომიტეტი
<b>RC</b>	რისკების კომიტეტი
<b>CGN</b>	კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი
<b>RemCo</b>	ანაზღაურების კომიტეტი
<b>TD</b>	ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტი
<b>ESGE</b>	გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი



**ფინანსური  
ანგარიშგებები**

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თიბისი ბანკის“ აქციონერებსა და ღირებულებების სააგენტოს

## ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში, ერთობლივად, „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფისა და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის N284/04 ბრძანების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

## ჩვენი აუდიტის საგანი

ჯგუფისა და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგს:

- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე დართული შენიშვნები, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებით ინფორმაციის ჩათვლით.

## მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## მიუკერძოებლობა

ჩვენ ჯგუფისგან და ბანკისგან დამოუკიდებელი ვართ ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შესრულებული გვაქვს ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს „პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო“, ს/კ 405220611  
 ბიზნესცენტრი მეფე დავითი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. #12, თბილისი 0160, საქართველო  
 ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

## აუდიტისადმი ჩვენი მიდგომა

### მიმოხილვა



- ჯგუფის საერთო არსებითობა: 63.0 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს ჯგუფის დასაბეგრი მოგების 5%-ს.
- ბანკის საერთო არსებითობა: 61.4 მილიონი ლარი, რაც წარმოადგენს ბანკის დასაბეგრი მოგების 5%-ს.
- ჩვენი მომსახურების საგანი განსაზღვრა იურიდიული პირის მონაწილეობამ დასაბეგრი მოგებაში და ფინანსური ანგარიშგების სხვა ძირითადმა მუხლებმა.
- აუდიტთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას, არის შემდეგი:
- მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

ჩვენი აუდიტის დაგეგმვისას განვსაზღვრეთ არსებითობა და შევაფასეთ არსებითი უზუსტობების რისკი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. კერძოდ, ჩვენ გავითვალისწინეთ, სად გამოიყენა ხელმძღვანელობამ სუბიექტური განსჯა, მაგალითად, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებთან მიმართებით, რაც გულისხმობდა დაშვებების გაკეთებას და თავისთავად განუსაზღვრელი სამომავლო მოვლენების განხილვას. ჩვენს ყველა აუდიტში ასევე გავითვალისწინეთ ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა კონტროლების უგულებელყოფის რისკი, მათ შორის, არსებობდა თუ არა მიკერძოების მტკიცებულება, რაც წარმოადგენდა თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკს.

### არსებითობა

ჩვენი აუდიტის საგანზე გავლენა მოახდინა ჩვენ მიერ არსებითობის პრინციპის გამოყენებამ. აუდიტის მიზანია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. ისინი არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს კონიკურული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ჩვენს პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრეთ არსებითობის გარკვეული რაოდენობრივი ზღვარი, მათ შორის ჯგუფის და ბანკის საერთო არსებითობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის მთლიანობაში, რაც ქვემოთ ცხრილშია მოცემული. ეს ყველაფერი, ხარისხობრივ ფაქტორებთან ერთად, დაგვეხმარა ჩვენი აუდიტის საგნის და ჩვენი აუდიტის პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მასშტაბის განსაზღვრაში, ასევე უზუსტობების გავლენის შეფასებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებულად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის მთლიანობაში.

<b>ჯგუფის და ბანკის საერთო არსებითობა</b>	ჯგუფი: 63.0 მილიონი ლარი (2021 წ.: 48.1 მილიონი ლარი) ბანკი: 61.4 მილიონი ლარი (2021 წ.: 48.7 მილიონი ლარი)
<b>როგორ განვსაზღვრეთ იგი</b>	დასაბეგრი მოგების 5%
<b>არსებითობის საორიენტაციო მაჩვენებლის გამოყენების დასაბუთება</b>	დასაბეგრი მოგება არის მთავარი საზომი, რომელსაც აქციონერი იყენებს ჯგუფის საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და არის საყოველთაოდ მიღებული საორიენტაციო მაჩვენებელი ჯგუფის აუდიტის არსებითობის დასადგენად. წლიური დასაბეგრი მოგება შესაფერის საორიენტაციო მაჩვენებლად ჩაითვალა.

**აუდიტის ძირითადი საკითხები**

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ.

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
<p><b>მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი</b></p> <p>ამ საკითხზე ყურადღება იმითომ გავამახვილეთ, რომ ხელმძღვანელობის შეფასებები მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის შექმნილ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებით კომპლექსურია, მათში მნიშვნელოვანი დოზით მონაწილეობს განსჯა და ისინი ექვემდებარება შეფასების მაღალი დონის განუსაზღვრელობას</p> <p>ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით, ხელმძღვანელობას მოეთხოვება საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა, რომლის დადგომა მოსალოდნელია 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ვადის მანძილზე, ცალკეული აქტივისთვის მინიჭებული სტადიიდან გამომდინარე. ესა თუ ის სტადია განისაზღვრება იმის შეფასებით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) ან აღმოჩნდა თუ არა მსესხებელი დეფოლტის სიტუაციაში სესხის გაცემის შემდეგ. ხელმძღვანელობის მიერ ასეთი შეფასებებისას გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი ძალზე სუბიექტური ხასიათისაა და მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას.</p> <p>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ასევე საჭიროა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გავლენის გათვალისწინება. ეკონომიკური პერსპექტივა სტაბილურია ინფლაციური ზეწოლების მიუხედავად.</p> <p>ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და განახორციელა რამდენიმე მოდელი, რათა მიაღწიოს ფასს 9-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამასთან, ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას მოდელთან მიმართებით ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც მიიჩნევა, რომ წარსული გამოცდილება არ ასახავს სამომავლო შედეგებს შეზღუდული ან არასრული მონაცემების გამო.</p> <p>ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოდელის მეთოდოლოგიები მართებულია და მოდელირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრისას გამოყენებული შემდეგი განსჯა მნიშვნელოვანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოყენებული, განსჯაზე დიდწილად დამოკიდებული კრიტერიუმები, რაც მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას (რელევანტურია კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პორტფელისთვის);</li> <li>- დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოყენებული კრიტიკული დაშვებები;</li> </ul>	<p>ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრის კონტროლის მთავარი მექანიზმები და შევამოწმეთ მათი საოპერაციო ეფექტურობა. კონტროლის ეს მექანიზმები, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მოდელის ეფექტურობის მონიტორინგის კონტროლი, პოლიტიკის და მოდელის პერიოდული გადახედვის ჩათვლით, მოდელის საპროგნოზო შეფასებების შედარება რეალურად დამდგარ (ფაქტობრივ) შედეგებთან და მოდელის მეთოდოლოგიაში ცვლილებების დამტკიცება;</li> <li>- ძირითადი განსჯის და დაშვებების გადახედვა და დამტკიცება, რომლებიც გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში ზარალის, დეფოლტის ალბათობის და საპროგნოზო ინფორმაციის განსაზღვრისთვის.</li> <li>- გამოთვლითი ინსტრუმენტების მეშვეობით ძირითადი პარამეტრების (როგორცაა დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) გაანგარიშების კონტროლი;</li> <li>- მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის კონტროლი;</li> <li>- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების და შედეგების ანალიზის კონტროლი; და</li> <li>- რისკის მართვის კომიტეტის მიერ მთავარი დაშვებების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირებული შედეგების შეფასების გადახედვა და დამტკიცება.</li> </ul> <p>ჩვენ არ აღმოგვიჩენია რამე გამონაკლისი ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების მონაცემების ან საოპერაციო ეფექტურობის მხრივ. გარდა ამისა, ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი ძირითადი პროცედურები.</p> <p>შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ ფასს 9-ის მიხედვით შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მეთოდოლოგიები რამდენად მართებული იყო, რაშიც ჩავრთეთ ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციალისტები და ჩვენი დარგის ცოდნა. ამასთანავე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული სუბიექტური კრიტერიუმები იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (ვრცელდება კორპორაციულ და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პორტფელზე) და კრიტიკული განსჯა და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დეფოლტის შემთხვევაში ზარალის, დეფოლტის ალბათობის და საპროგნოზო ინფორმაციის განსაზღვრისთვის. ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის განსჯა, რომლის საფუძველზეც ფასდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, დეფოლტის ალბათობა და საპროგნოზო ინფორმაცია, გონივრულია</p>

**აუდიტის ძირითადი საკითხები**

- მოდელის შეზღუდული ხასიათის შეფასება და მოდელირების შემდგომი კორექტირებების გამოყენება, თუ საჭიროა ასეთი რისკების შესაფასებლად; და
- საპროგნოზო ინფორმაციასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებების, მათ შორის სცენარებისთვის მინიჭებული წონების და მაკროეკონომიკური ცვლადების მართებულობის შეფასება.

**როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში**

ჩვენ დამოუკიდებლად შევამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და შევაფასეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა შესაბამისობაში იყო თუ არა დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიასთან.

ჩვენ კრიტიკულად შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ მოდელის ფუნქციონირების და სტაბილურობის შესაფასებლად ჩატარებული მოდელის მონიტორინგის და შემოწმების (პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის „რეტროსპექტიული ტესტირება“) ძირითადი ასპექტები. კრიტიკულად შევაფასეთ მონიტორინგის შედეგები და გადავამოწმეთ მოსალოდნელი მაჩვენებლებიდან გადახრების განმარტებები. სადაც საჭირო იყო, მოდელის მეთოდოლოგია განახლდა, რომ გაუმჯობესებულიყო რეტროსპექტიული ტესტირების შედეგები.

საფუძვლიანად შევამოწმეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მაკროეკონომიკური მოდელის მართებულობა და ასევე თითოეული მაკროეკონომიკური სცენარისთვის მინიჭებული წონა.

გამოვკითხეთ ხელმძღვანელობა მოდელირების შემდგომი კორექტირებების სისრულესთან დაკავშირებით. შევაფასეთ მოდელირების შემდგომი კორექტირებების სისრულე, ასევე მათთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული განსჯა და დაშვებები. ჩვენ გავითვალისწინეთ უკანასკნელი რეტროსპექტიული ტესტირების შედეგები და ეკონომიკური პერსპექტივა, რათა დავგვესკვნა, არსებობს თუ არა გარემოებები, რომლებიც მიანიშნებდა იმაზე, რომ არსებული მოდელირების ვერ ახერხებს ახალი რისკების მოცვას და რომ დამატებითი მოდელირების შემდგომი კორექტირებებია საჭირო, და შეგვეფასებინა, გონივრული იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული განსჯა.

**როგორ მოვიყვანეთ შესაბამისობაში ჩვენი ჯგუფის და ბანკის აუდიტის საგანი**

ჩვენი აუდიტის საგანი შესაბამისობაში მოვიყვანეთ იმგვარად, რომ ჩავგეტარებინა იმ მოცულობის სამუშაო, რაც საშუალებას მოგვცემდა, მოსაზრება გამოგვეთქვა მთლიან კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე და ამასთანავე გავვეთვალისწინებინა ჯგუფის და ბანკის სტრუქტურა, სააღრიცხვო პროცესები და კონტროლები, და დარგი, რომელშიც ჯგუფი და ბანკი საქმიანობენ.

ჯგუფის საბანკო საქმიანობა ძირითადად საქართველოში ხორციელდება, თუმცა მისი შვილობილი საწარმოები ორ სხვა ქვეყანაშიც არიან შედარებით მცირე მასშტაბით წარმოდგენილები. ჯგუფის ბიზნესსაქმიანობა მოიცავს ოთხ სეგმენტს, რომლებისთვისაც ის მართავს და აცხადებს თავის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობას. ეს სეგმენტებია: საცალო საბანკო მომსახურება, კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობა, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები და კორპორაციული ცენტრი.

ბანკი არის ჯგუფის უმსხვილესი კომპონენტი. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო და კომერციული საბანკო მომსახურება, რომლის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება. ბანკის სააღრიცხვო ფუნქციები და მართვა ძირითადად საქართველოში ხდება და წარმოადგენს ჯგუფის აქტივების 99%-ს და დასაბეგრი მოგების 97%-ს.

აუდიტისადმი ჩვენი მიდგომა და გუნდის შემადგენლობა მოვარგეთ ჯგუფის სტრუქტურას. ჩვენ არ გამოგვიყენებია კომპონენტის აუდიტორები იმ საკითხების აუდიტისთვის, რომლებიც შედიოდა აუდიტის საგანში. ჩვენ ჩავატარეთ ჯგუფის ერთადერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – ბანკის სრულმასშტაბიანი აუდიტი. ასევე ჩავატარეთ ჯგუფის ერთი უმნიშვნელო კომპონენტის ფინანსური ანგარიშგების არსებითი მუხლების აუდიტი. ანგარიშვალდებული ერთეულებისთვის ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ჩვენი აუდიტის საგანი/მოცვა შეადგენდა ჯგუფის შემოსავლის 99%-ს (რაც შედგებოდა საპროცენტო შემოსავლისგან და საბლაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან შემოსავლისგან) და მთლიანი აქტივების 99.5%-ს. ჩვენ ასევე

ჩავატარეთ აუდიტის სხვა პროცედურები, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ზოგადი კონტროლების და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი კონტროლების შემოწმება, რომ შეგვემცირებინა არსებითი უზუსტობის რისკი.

**სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, გავეცნოთ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებული არაფერი გვაქვს.

ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება, მოსაზრება გამოვთქვათ იმის თაობაზე, მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით სავალდებულო ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-7 პუნქტის (გ), (ზ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს;
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის (ა), (ბ), (დ)-(ვ) ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის N284/04 ბრძანებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს ჯგუფის და ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

**მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფისა და ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.**

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები

შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფისა და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფისა და ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი ან ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვანვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს| წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განცხადებრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის ლევან კანკავა.

**შპს „პრაისუოტერჰაუსკუპერსი საქართველო“** (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-775813)  
**ლევან კანკავა** (რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-592839)

24 აპრილი, 2023 წ.  
თბილისი, საქართველო





ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	3,786,098	1,595,460
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	6,298	42,237
**ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება.** სამართლიანი ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯების მიხედვით. საწყისი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. საწყისი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რაც ინვესტ მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს მიწოდებას რეგულაციით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვა „სტანდარტული პროცედურით“) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა დანარჩენი შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები.** ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგი შეფასების კატეგორიების მიხედვით: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი.** ბიზნესმოდელის მიხედვით ხდება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ბიზნესმოდელის შეფასებისას ხელმძღვანელობა განსჯას ეყრდნობა, რათა განსაზღვროს აგრეგირების დონე და ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელები. გაყიდვების ოპერაციების შეფასებისას ჯგუფი მხედველობაში იღებს მათ ისტორიულ სიხშირეს, დროს და ღირებულებას, გაყიდვის მიზეზებს და მოლოდინებს სამომავლო გაყიდვებთან დაკავშირებით. გაყიდვების ოპერაციები, რომელთა მიზანია კრედიტის ხარისხის გაუარესების გამო პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, მიიჩნევა „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის“ ბიზნესმოდელის შესაბამისად. სხვა ვადაზე გაყიდვები, რომლებიც არ უკავშირდება საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებს, ასევე შეესაბამება „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის“ ბიზნესმოდელს, იმ პირობით, რომ ისინი არ არის ხშირი ან უმნიშვნელო ღირებულების, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებულად. ჯგუფი გაყიდვების ოპერაციების მნიშვნელობას აფასებს გაყიდვების ღირებულების შედარებით პორტფელის ღირებულებასთან, რომელიც ექვემდებარება ბიზნესმოდელის შეფასებას პორტფელის საშუალო ვადაზე. გარდა ამისა, ფინანსური აქტივის გაყიდვა, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესული სცენარით, ან განცალკევებული შემთხვევის შედეგად, რომელიც ჯგუფის კონტროლის მიღმაა, არ არის განმეორებითი ხასიათის და ჯგუფი მის პროგნოზს ვერ მოახდენს, მიიჩნევა ბიზნესმოდელის მიზნის თანმდევად და არ ახდენს გავლენას შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

„ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობის“ ბიზნესმოდელი ნიშნავს იმას, რომ აქტივები ფლობილია ფულადი ნაკადების მისაღებად, მაგრამ გაყიდვაც განუყოფელი ნაწილია ბიზნესმოდელის მიზნის მისაღწევად, როგორცაა, მაგალითად, ლიკვიდურობის საჭიროების მართვა, გარკვეული შემოსავლიანობის მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ვალიანობის შესაბამისობაში მოყვანა იმ ვალდებულებების ვადებთან, რომლებითაც ფინანსდება ეს აქტივები.

ნარჩენი კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების იმ პორტფელებს, რომლებიც იმართება ფულადი ნაკადების რეალიზების მიზნით, ძირითადად, გაყიდვის გზით, მაგალითად, როდესაც ვაჭრობის სქემა არსებობს. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ხშირად ახასიათებს ამ ბიზნესმოდელს.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები.** როდესაც ბიზნესმოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (“SPPI”). ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების მქონე ფინანსური აქტივები მთლიანად განიხილება იმის განსაზღვრისას, შესაბამება თუ არა მათი ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების მახასიათებელს. შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების შესაბამისია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან შეუსაბამოა, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. ქვემოთ განხილულია ჯგუფის მიერ გამოყენებული განსჯა SPPI ტესტირების ჩატარებისას თავისი ფინანსური აქტივებისთვის:



**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება მოდიფიცირდეს, მაგალითად, თუ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად გადაიხედება, მაგრამ ამ გადახედვის სიხშირე არ ემთხვევა სავალო ინსტრუმენტის შესაბამისი საბაზისო საპროცენტო განაკვეთის ვადას, მაგალითად, სესხს ერიცხება სამთვიანი ბანკთაშორისი განაკვეთი, მაგრამ განაკვეთი ყოველთვიურად გადაიხედება. მოდიფიცირებული ფულის დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების შედარებით SPPI ფულადი ნაკადების მქონე საორიენტაციო სავალო ინსტრუმენტებთან თითოეულ პერიოდში და კუმულაციურად, ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ჯგუფმა შემოიღო 10%-იანი ზღვარი, რათა დაედგინა სხვაობები საორიენტაციო ინსტრუმენტებთან შედარებით მნიშვნელოვანი იყო თუ არა. ისეთი სცენარის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზღვრული მაჩვენებლისგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და ინსტრუმენტი შემდეგ აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფმა გამოავლინა და განიხილა ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დროს ან თანხას. SPPI კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, თუ სესხი ვადაზე ადრე დაფარვის საშუალებას იძლევა და წინსწრებით გადახდილი თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, რასაც ემატება გონივრული დამატებითი კომპენსაცია ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტის გამო. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიანი ღირებულება საწყისი აღიარებისას, რასაც აკლდება ძირითადი თანხის შემდგომი დაფარვები, ანუ შენატანები პროცენტის გარეშე, რომლებიც განისაზღვრება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ პრინციპიდან გამონაკლისის სახით, სტანდარტის მიხედვით, წინსწრებით დაფარვის კომპონენტის მქონე ინსტრუმენტები შეესაბამებოდეს SPPI-ს, თუ აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: (i) აქტივი წარმოიქმნება ნომინალურზე მეტი ან ნაკლები ღირებულებით (პრემიუმით ან დისკონტით), (ii) წინსწრების თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო თანხას და დარიცხულ პროცენტს, ასევე გონივრულ დამატებით კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, და (iii) წინსწრებით დაფარვის კომპონენტის სამართლიანი ღირებულება არ არის არსებითი საწყისი აღიარებისას.

**ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.** ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნესმოდელის შეცვლის შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. ჯგუფმა თავისი ბიზნესმოდელი 2020 წელს შეცვალა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, რაც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვრიდან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ამას ფასს 9 მოითხოვს.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.** ჯგუფი საპროგნოზო შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის განევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამი სტადიის მოდელს, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებებს:

- 1-ელი სტადია: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საწყისი აღიარებისას არ არის დეფოლტის სიტუაციაში, მიეკუთვნება 1-ელ სტადიას. 1-ელ სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების დაფარვის თარიღამდე (რომელიც უფრო ხანმოკლე ვადაა) შესაძლო დეფოლტის მოვლენა („12-თვიანი საკრედიტო ზარალი“);
- მე-2 სტადია: თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას საწყისი აღიარების შემდეგ, აქტივი გადავა მე-2 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა აღარ ფიქსირდება, ინსტრუმენტი კვლავ გადაინაცვლებს 1-ელ სტადიაზე. ფინანსური ინსტრუმენტები მე-2 სტადიიდან 1-ელ სტადიაზე გადადის 6-თვიანი გამოსასწორებელი ვადით, თუ სესხები მანამდე გადაუხდელო (დეფოლტის) კატეგორიაში იყო, ხოლო რესტრუქტურირებული სესხები რჩება მე-2 სტადიაზე, სანამ არ მოეხსნება რესტრუქტურირებული სტატუსი. რესტრუქტურირებულის სტატუსის მოსახსნელად მსესხებელმა მინიმუმ 12-თვიანი თანმიმდევრული

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

გადახდა უნდა განახორციელოს, თუ არ ტარდება ფინანსური მონიტორინგი. 35-ე შენიშვნაში აღწერილია, როგორ განსაზღვრავს ჯგუფი, საპროგნოზო შეფასებაზე დაყრდნობით, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა;

- მე-3 სტადია: დეფოლტის სიტუაციაში მყოფი აქტივები გადაინაცვლებს მე-3 სტადიაზე და აღიარდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. ჯგუფის მიერ დეფოლტის სიტუაციაში მყოფი აქტივების განმარტება და დეფოლტის (გადაუხდელობის) განმარტება ეყრდნობა ზარალის დადგომის მინიმუმ ერთ შემთხვევას, რაც უფრო დანვრილებით აღწერილია 35-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო შესაბამისი რეზერვი აისახება, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფინანსური გარანტიებისა და საკრედიტო ვალდებულებების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები აისახება, როგორც ვალდებულება ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხებში.

**მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამოწერები.** ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვის მიხედვით დაკორექტირებამდე. ჯგუფი პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როდესაც საწარმოს აღარ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ეს უკანასკნელი მოიცავს ადგილობრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ ჯარიმებს. სესხები ჩამოსაწერად ფასდება ან კოლექტიურად, ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე, ან ინდივიდუალურად, სესხის სემენტისა და პროდუქტის ტიპის მიხედვით.

**ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია.** ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე. ჯგუფი ზოგჯერ ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების რესტრუქტურირებას ან სხვაგვარ მოდიფიკაციას.

ჯგუფი აფასებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არის თუ არა არსებითი, რა დროსაც იგი ერთობლივად განიხილავს გარკვეულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ფაქტორებს. ქვემოთ წარმოდგენილი ჯგუფის შიგნით შექმნილი მეთოდოლოგიის მიხედვით, არსებობს გარკვეული ხარისხობრივი მიზნებები, რომლებიც იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას ისე, რომ შემდგომი რაოდენობრივი ტესტირება საჭირო აღარ არის. ეს ხარისხობრივი კრიტერიუმები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- სახელშეკრულებო ვალუტის ცვლილება;
- ორი ან მეტი სესხის გაერთიანება ერთ ახალ სესხად;
- კონტრაგენტის ცვლილება;
- წინასწარ განსაზღვრული დაფარვის გრაფიკის არმქონე სესხი იცვლება გრაფიკის მქონე სესხით, ან პირიქით;
- სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების შეცვლის გამო.

ჯგუფი აქტივის თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს აღარებს, რათა დაადგინოს, აქტივთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავებული არის თუ არა ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად. უნდა შეფასდეს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილება მნიშვნელოვანი (მნიშვნელოვნად მიიჩნევა 10%-იანი ცვლილება). თუ ტესტის შედეგია 10%-იან ზღვარზე მეტი, უნდა მოხდეს სესხის აღიარების შეწყვეტა, ხოლო თუ ტესტის შედეგი 10% ან ნაკლებია, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება (აღემატება 10%-ს) თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. ჯგუფი ხელახლა გამოითვლის საერთო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი განუვლი დანახარჯები ან გასამრჯელოები აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

**ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ეხება

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული საწყისი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

**ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია.** ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ჯგუფსა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებისგან. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, როგორცაა ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ინსტრუმენტი, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილებები, ინსტრუმენტის კონვერტაციის ახალი პირობები. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი განუვლი დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის მუხლები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობად და რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, გარდა სავალდებულო რეზერვებისა, და ყველა ბანკთაშორის განთავსებულ ბანკთაშორის მოთხოვნებს სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით. სამ თვეზე მეტი ხნით შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები არ შედის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ვინაიდან: (i) მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები, როგორცაა სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონი ზოგიერთ ქვეყანაში, არ მოქმედებს SPPI ტესტზე, თუ ისინი არ არის ასახული ხელშეკრულების პირობებში იმგვარად, რომ ეს მექანიზმები ძალაში დარჩეს მაშინაც, თუ კანონმდებლობა შემდგომში შეიცვლება.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი გადახდილი ან მიღებული თანხები წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გადატანებს, მათ შორის ჯგუფის კონტრაქტების ჯგუფის შიგნით განთავსებული მიმდინარე ანგარიშების დებეტში ან კრედიტში გატარებულ თანხებს, როგორცაა სესხზე საპროცენტო შემოსავალი ან ამოღებული ძირითადი თანხა მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშის დადებებებით, ან პროცენტის გადახდები ან სესხის გაცემები, რომლებიც კრედიტდება მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშზე, რაც წარმოადგენს ფულად სახსრებს ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების მომხმარებლის პოზიციიდან.

**სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში.** სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. აქედან გამომდინარე, ისინი არ მიიჩნევა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაწილად კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის.

**მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ.** მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როდესაც ჯგუფი ავანსად უხდის ფულს კონტრაქტ ბანკებს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, როდესაც: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ეს

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI), და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სხვა შემთხვევაში ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

**ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში.** ბიზნესმოდელსა და ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე დაყრდნობით, ჯგუფი სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებს შემდეგ კატეგორიებს მიაკუთვნებს: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავალო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, თუ მათი ფლობის მიზანი არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და თუ ისინი არ არის ნებაყოფლობით კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუღალტრული აცდენები.

სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ მათი ფლობის მიზანი არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და თუ ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამ აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით შეფასებული გაუფასურების რეზერვი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. ყველა სხვა ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აისახება სხვა სრულ შემოსავალში. როდესაც ხდება სავალო ფასიანი ქაღალდის აღიარების შეწყვეტა, მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი არ აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულის ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებულის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, კრიტერიუმებს. ჯგუფმა შეიძლება ასევე შეუქცევადად მოახდინოს სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, საწყისი აღიარებისას თუ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად ამცირებს ბუღალტრულ აცდენებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარდება ან ფასდება ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა საფუძველზე.

**ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში.** ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს საკუთარი კაპიტალის განმარტებას ემიტენტის პოზიციიდან, ანუ ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფულის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას და რომლებიც ადასტურებს ნარჩენ წილობრივ მონაწილეობას ემიტენტის წმინდა აქტივებში, ჯგუფის მიერ მიიჩნევა წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებად. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფი საწყისი აღიარებისას არჩევს შეუქცევადად აღიაროს კაპიტალის ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს კაპიტალის ინვესტიციების კლასიფიცირებას სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც ეს ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნით, და არა მხოლოდ ინვესტიციაზე უკუგების მისაღებად. თუ გადაწყდება სამართლიანი ღირებულებით შეფასება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სამართლიანი ღირებულების შემოსულობა და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, მათ შორის გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მისი გაუქმება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ფასდება სამართლიანი ღირებულების სხვა ცვლილებებისგან განცალკევებით. დივიდენდების აღიარება გრძელდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც დადგინდება ჯგუფის უფლება, მიიღოს გადახდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი წარმოადგენს ინვესტიციის ამოღებას და არა უკუგებას ამ ინვესტიციაზე.

**მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები.** მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როდესაც ჯგუფი ავანსად იხდის ფულს მომხმარებლისგან მისაღები სესხის შესყიდვის ან წარმოშობის მიზნით. ბიზნესმოდელისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების კლასიფიცირებას ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში ახდენს: (i) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული: სესხები, რომლებიც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად არის განკუთვნილი და ეს ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს წარმოადგენს, ასევე სესხები, რომლებსაც ნებაყოფლობით არ მიენიჭება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, კატეგორია; და (ii) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტის ან ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასების სხვა კრიტერიუმებს, შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელზე დაყრდნობით. 35-ე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდების თაობაზე, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის ახსნილია, როგორც იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში.

**დასაკუთრებული უზრუნველყოფა.** დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ჯგუფმა შეიძინა ვადაგადაცილებული სესხების თანხის დასაფარად. ამ აქტივების შექენისას ისინი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, საინვესტიციო ქონებაში ან დასაკუთრებულ უზრუნველყოფაში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ჯგუფის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

**სასესხო ვალდებულებები.** ჯგუფი იღებს სესხის ვაცემის ვალდებულებებს. ეს ვალდებულებები არის შეუქცევადი ან შექცევადი მხოლოდ არსებითი არახელსაყრელი ცვლილების შემთხვევაში. ეს ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ეს თანხა ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით ვალდებულების არსებობის განმავლობაში, იმ სესხების ვაცემის ვალდებულებების გარდა, თუ სავარაუდოა, რომ ჯგუფი კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას გააფორმებს და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას ვაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში; ასეთი სესხის საკომისიო თანხები გადავადებულია და შეტანილია სესხის საბალანსო ღირებულებაში სანყისი აღიარებისას. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ვალდებულებები ფასდება (i) თავდაპირველად აღიარებული თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაშთის ოდენობით, რასაც ემატება (ii) ზარალის რეზერვის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელზე დაყრდნობით, თუ ვალდებულება არ გულისხმობს სესხის ვაცემას საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით, რა შემთხვევაშიც შეფასება ხდება ამ ორი თანხიდან უმეტესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტია ჯგუფს ავალდებულებს გარკვეული შენატანების განხორციელებას, რომ აუნაზღაუროს გარანტიის მფლობელს ზარალი, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან შეცვლილი პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო.ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ამ თანხის ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით გარანტიის ვადაზე. გარანტიები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამ ორიდან უფრო მაღალი ღირებულებით: (i) მოსალოდნელი ზარალის მოდელის მიხედვით განსაზღვრული გარანტირების დავალიანების ზარალის რეზერვის ოდენობა და (ii) თანხის დარჩენილი არაამორტიზებული ნაშთი სანყისი აღიარებისას. გარდა ამისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება მისაღები საკომისიოსთვის, რომელიც აღიარებულია აქტივის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**ვალდებულების შესრულების გარანტია.** ვალდებულების შესრულების გარანტია არის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ასეთი ხელშეკრულებები, საკრედიტო რისკთან ერთად, არაფინანსურ, ვალდებულების შესრულების რისკსაც გადასცემს. ვალდებულების შესრულების გარანტიები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ამ თანხის ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით ხელშეკრულების ვადაზე. როდესაც ჯგუფს აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება, მიმართოს თავის მომხმარებელს ვალდებულების შესრულების გარანტიის ხელშეკრულებების დასაფარად გადახდილი თანხების ამოსაღებად, ეს თანხები აღიარდება აქტივად გარანტიით მოსარგებლისთვის ზარალის კომპენსაციის გადაცემისას. ამ საკომისიოების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში საკომისიო შემოსავლის მუხლში. ჯგუფი ფასს 9-ს იყენებს ვალდებულების შესრულების გარანტიის შესაფასებლად.

**გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებები.** გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებები („რეპო ხელშეკრულებები“), რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის უკუგების გადაცემას კონტრაქტისთვის, აღირიცხება, როგორც უზრუნველყოფილი საფინანსო ოპერაციები. კრედიტორი მსესხებელს გადასცემს ფულად სახსრებს და მიღებს ფასიან ქაღალდს, როგორც უზრუნველყოფის საგანს. ასეთი გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში გაყიდული ფასიანი ქაღალდების აღიარება არ წყდება. ფასიანი ქაღალდების რეკლასიფიკაცია არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ მიმღებ მხარეს ხელშეკრულებით არ აქვს ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ან ხელახლა დაგირავების

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

უფლება ან პრაქტიკა, რა შემთხვევაშიც მათი რეკლასიფიკაცია ხდება გამოსყიდვის მოთხოვნებად. შესაბამისი ვალდებულება აისახება საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებული ვალდებულებების ოდენობით. გამოსყიდვის ხელშეკრულებები მოკლევადიანი ხასიათისაა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ან ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ობლიგაციები, რომლებიც რეკლასიფიცირებულია გამოსყიდვის მოთხოვნებად, კვლავაც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, შესაბამისი თანმიმდევრობით, ამ კატეგორიის აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად.

გადაყიდვის ხელშეკრულებების („უკურეპო ხელშეკრულებები“) ფარგლებში შესყიდული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის უკუგების გადაცემას ჯგუფისთვის, აღირიცხება, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (თუ განთავსების ვადა 3 თვეზე ნაკლებია), როგორც მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ ან მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, რომელიც უფრო მიზანშეწონილია. სხვაობა გაყიდვისა და გამოსყიდვის ფასებს შორის აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი და დაერიცხება რეპო გარიგებების შეთანხმებების ვადას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კონტრაქტებისთვის ფიქსირებული საკომისიოთი გადაცემული ფასიანი ქაღალდები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რჩება მათ თავდაპირველ კატეგორიაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ კონტრაქტს არ აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება ან პრაქტიკა, გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რა შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირდება და ცალ-ცალკე აისახება. ფიქსირებული საკომისიოთი მიღებული ფასიანი ქაღალდები არ აღირიცხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ ისინი არ იყიდება შესამე მხარეებზე, რა შემთხვევაშიც ყიდვა და გაყიდვა წლის მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი. ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა ნასესხებ სახსრებში. გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში გაყიდული ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის მიხედვით, ჯგუფი გამოსყიდვის მოთხოვნებს მიაკუთვნებს შეფასების შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

**ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები.** თუ ჯგუფი არის მოიჯარე ისეთ იჯარაში, რომელიც არსებითად გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს მოიჯარეს, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება, როგორც ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და აღირიცხება სამომავლო საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სანყისი თარიღით (როდესაც იწყება იჯარის ვადა) იჯარის გაფორმების თარიღით (საიჯარო ხელშეკრულების ვადასა და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი) დადგენილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი მე-3 სტადიის დავალიანებებზე აისახება საბალანსო ღირებულებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოქვითვის შემდეგ. ნაზარდი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იჯარაზე მოლაპარაკებას და იჯარის გაფორმებას, აისახება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს საიჯარო ვადის განმავლობაში შემოსავლის ოდენობას. იჯარებიდან ფინანსური შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში საპროცენტო შემოსავლის მუხლში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხები და ავანსები და აღიარდება რეზერვის ანგარიშის შეშვობით, რათა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოინეროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ინვესტიციებში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. არსებობს „სამი სტადიის“ მეთოდი, რომელიც ეყრდნობა სანყისი აღიარების შემდეგ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას. მყისიერი ზარალი, რომელიც უდრის 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, აღირიცხება ფინანსური იჯარების სანყისი აღიარებისას, რომლებიც არ არის დეფოლტის სიტუაციაში. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარას დაქვემდებარებული აქტივების მიღებიდან და გაყიდვიდან.

ჯგუფი, როგორც წესი, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ მოიჯარე იხდის მინიმალურ ავანსს აღჭურვილობის შესყიდვის ფასის 20%-ის ოდენობით იჯარის ვადის დასაწყისში. ჯგუფი საკუთრების უფლებს ფლობს საიჯარო აქტივებზე იჯარის ვადის განმავლობაში. აქტივზე საკუთრების უფლება ფინანსური იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარეს გადაეცემა სახელშეკრულებო ვადის დასასრულს, საიჯარო

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

გადახდების სრულად დაფარვის ჩათვლით. იჯარის ვადა, ზოგადად, ხუთ წლამდეა.

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- საიჯარო აქტივები (მარაგები და აღჭურვილობა);
- წინასწარი შენატანი;
- უძრავი ქონება;
- მესამე მხარის გარანტიები.

უზრუნველყოფის საგნის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების ცალ-ცალკე წარმოდგენით (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგნის და საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებები უტოლდება ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას („ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებები ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე („არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები“).

ჯგუფი თავის პორტფელს ანაწილებს სამ სტადიაზე:

- 1-ელი სტადია – აქტივები, რომლებზეც არ დაფიქსირებულა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ;
- მე-2 სტადია – აქტივები, რომლებზეც დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ;
- მე-3 სტადია – დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტები.

1-ელი სტადიის დავალიანებისთვის ჯგუფი ქმნის 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ხოლო მე-2 და მე-3 სტადიებისთვის – არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

მე-2 სტადიაზე კლასიფიცირების მიზნით ჯგუფი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- 30-დღიანი ვადაგადაცილება;
- საწყისი აღიარების შემდეგ მსესხებლის რისკის კატეგორიის გაუარესება;

დეფოლტის განმარტება მოიცავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: (i) 90 ვადაგადაცილებული დღე, (ii) ფინანსური სირთულეების გამო რესტრუქტურირაცია და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ ნაკლებად სავარაუდოა მსესხებელმა ვალდებულება დაფაროს.

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ შეფასებებში. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის ჯგუფი განსაზღვრავს შემდეგ სამ სცენარს:

- საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო);
- ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი);
- პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი);

ჯგუფი ადგენს საბაზისო მაკრო სცენარს და მხედველობაში იღებს პროგნოზებს სხვადასხვა გარე წყაროდან (საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები), რათა უზრუნველყოფს შესაბამისობა შეთანხმებულ საბაზრო მოლოდინებთან. 35-ე შენიშვნაში აღწერილია, როგორ იყენებს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განისაზღვრება ბანკის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემით.

ჯგუფი მოსალოდნელ გაუფასურების ზარალს ანგარიშობს თითოეული სცენარისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საბოლოო სიდიდის მისაღებად ბანკი იყენებს ალბათობით შეწონილი საშუალოს მეთოდს, სადაც თითოეული სცენარის ალბათობა გამოყენებული წონის სახით.

**შეწყვეტილ იჯარებთან დაკავშირებული მოთხოვნები.** ჯგუფი შეწყვეტილ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს აღიარებს საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში. ამ მოთხოვნების აღიარებული თანხა მოიცავს სხვაობას დასაკუთრებული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუფარავ ნაშთს შორის. მოთხოვნები (მისაღები თანხები) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რასაც აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

**წინასწარგადახდა საიჯარო აქტივების შესყიდვისთვის.** საიჯარო აქტივების შესყიდვისთვის წინასწარგადახდა მოიცავს საავანსო გადახდებს აქტივების შესასყიდად, რომლებიც იჯარით უნდა გადაიყვანოს. ასეთი ავანსები

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

აღირიცხება, როგორც არაფინანსური აქტივები. იჯარის დაწყებისას საიჯარო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები გადაინაცვლებს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში.

**ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.** ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ აღირიცხება, როდესაც კონტრაქტული ბანკები ჯგუფს ავანსად გადასცემს ფულს ან სხვა აქტივებს. არანარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ დავალიანებას, იგი აღარ აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აისახება ვალის დაფარვის შედეგად მიღებულ შემოსულობაში ან ზარალში.

**მომხმარებელთა ანგარიშები.** მომხმარებელთა ანგარიშები არის არანარმოებული ვალდებულებები ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან იურიდიული პირების მიმართ და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

**სუბორდინირებული ვალი.** სუბორდინირებული ვალის გადახდა შეიძლება მხოლოდ ლიკვიდაციის შემთხვევაში უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ და აისახება ბანკის მეორად კაპიტალში. სუბორდინირებული ვალი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

**გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.** გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ მარტივ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებს და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათ ამოიღებენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აისახება ვალის დაფარვის შედეგად მიღებულ შემოსულობაში.

**წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.** წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო ხელშეკრულებები, საპროცენტო განაკვეთის ფიქსირსები, ფორვარდული განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის სვოპები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის ოფციონები აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი ასევე თავის კონტრაქტულ ბანკებთან მიმართებაში ახდენს ანაბრების გაქვითვას ვალუტის გადაცვლის მიზნით. ასეთი ანაბრები იურიდიულად განცალკევებულია, მაგრამ არის აგრეგირებული და აღირიცხება ერთიანი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაბრების განთავსება ხდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაქტული, (iii) აქვთ ერთი და იგივე რისკი, და (iv) არ არსებობს ოპერაციების განცალკევების მიზანი, რომლის მიღწევაც არ შეიძლება ერთიანი ოპერაციით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი ამ ინსტრუმენტებზე ჰეჯირების აღრიცხვას არ აწარმოებს. გარკვეული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლებიც ჩართულია სხვა ფინანსურ ვალდებულებებში, აღირიცხება, როგორც ცალკე მდგომი წარმოებული ინსტრუმენტები, როდესაც მათი რისკები და მახასიათებლები არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითადი ხელშეკრულების რისკებთან და მახასიათებლებთან.

როდესაც წარმოებული ინსტრუმენტები ფორმდება დაფინანსების ხარჯის შესამცირებლად, შესაბამისი საპროცენტო ეფექტი აისახება წმინდა საპროცენტო შემოსავალში, სრული შემოსავლის ანგარიშგების ცალკე მუხლის სახით.

**გუდვილი.** გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამონებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ჯგუფი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღემატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში ისეთი ოპერაციის შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს შეწყვეტილ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას. ეს, როგორც წესი, ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილის საფუძველზე.

**შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები.** შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა აღირიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, სადაც საჭიროა. შექმნილი შვილობილი საწარმოების შენობების და აღჭურვილობის თვითღირებულება არის შექმნილი მუხლისთვის შეფასებული სამართლიანი ღირებულება.

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი განვეისთანავე. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში). გაუფასურების შემთხვევაში, შენობა და აღჭურვილობა ჩამოფასდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდეს ღირებულებამდე. თანხა, რომლითაც საბალანსო ღირებულების მცირდება, აისახება მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

**ცვეთა.** მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ერთეულების და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

<b>აქტივი</b>	<b>სასარგებლო მომსახურების ვადა</b>
შენობა-ნაგებობები	30-110 წელი;
ავეჯი და მოწყობილობები	5-8 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	3-8 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	4-5 წელი;
სხვა აღჭურვილობა	2-10 წელი;
აქტივის გამოყენების უფლება	შესაბამისი იჯარის ვადა;
არამატერიალური აქტივები	1-20 წელი;

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია თუ ჯგუფი მოელის აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური მომსახურების ვადის ბოლომდე. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

**საინვესტიციო ქონება.** საინვესტიციო ქონება არის უძრავი ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის, ან ორივე მიზნით, და რომელსაც თვითონ არ იკავებს.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ანარცხების გამოკლებით, სადაც საჭიროა. მისი ამორტიზაცია ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების 30-50 წლიან ვადაზე. საინვესტიციო ქონების გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ჯგუფი ანაზღაურებად ღირებულებას აფასებს, როგორც გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესს. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების ჩამოფასება ხდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი შემობრუნდება, თუ მოხდა შემდგომი ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში.

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საინვესტიციო ქონება, გაუფასურებისა და დაგროვილი ცვეთის შემდეგ, შედგებოდა 1,350 ათასი ლარის მიწისგან და 19,942 ათასი ლარის შენობებისგან (2021 წ.: 4,631 ათასი ლარი და 17,391 ათასი ლარი).

მიწა, რომელიც საინვესტიციო ქონებას მიეკუთვნება, არ ცვდება. საინვესტიციო ქონების სხვა მუხლების ცვეთა იანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი თვითღირებულების განაწილება ნარჩენ ღირებულებებზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების 30-50-წლიანი ვადის განმავლობაში. საინვესტიციო ქონების ნარჩენი ღირებულებები შეფასებულია ნულით.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში საოპერაციო შემოსავლის ნაწილში.

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ ჯგუფი მოელის დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას და თუ შესაძლებელია თვითღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ტარდება ხარჯების ნაწილში მათი განვეისთანავე. თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მოხდება მისი რეკლასიფიკაცია შენობებად და აღჭურვილობად.

**არამატერიალური აქტივები.** ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადები აქვთ და მათში, ძირითადად შედის, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც განეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდში შემავალ თანამშრომლებზე განუულ დანახარჯებს და პირდაპირ ზედნადებ ხარჯს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი განვეის დროს. კაპიტალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება 1-დან 20 წლამდე სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდით.

**იჯარის აღრიცხვა ჯგუფის, როგორც მოიჯარის მიერ.** ჯგუფს იჯარით აქვს აღებული ოფისის, ფილიალების და სერვისცენტრების შენობები. იჯარა აღიარდება აქტივის გამოყენების უფლებით და როგორც შესატყვისი ვალდებულება იმ თარიღით, როდესაც იჯარით გადაცემული აქტივი ჯგუფის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია. ყოველი სალიზინგო გადახდა გადანაწილდება ვალდებულებას და საფინანსო ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით და ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები შედგება ქვემოთ მოყვანილი საიჯარო გადახდების წმინდა დისკონტირებული ღირებულებისგან:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე აღასრულებს ამ ოფციონს, და იჯარის ვადაზე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადაზე შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას.

საიჯარო გადახდების დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში ანალოგიური პირობებით.

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, გადახდილი იჯარის დანხების თარიღით ან მანამდე, შემცირებული მიღებული ნებისმიერი საიჯარო შეღავათით;
- ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- აღდგენის დანახარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამონაკლისის სახით, ჯგუფი მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებს აღრიცხავს საიჯარო გადახდების აღიარებით საოპერაციო ხარჯად დარიცხვის წრფივი მეთოდით.

იჯარის პირობის განსაზღვრისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომელიც განაპირობებს ვადის გაგრძელების ოფციონის აღსრულების და არა იჯარის შეწყვეტის ოფციონის აღსრულების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის გაგრძელების ოფციონი (ან იჯარის ვადაზე შეწყვეტის ოფციონის აღსრულების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16-ის შესწორება „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ შეიჯარების მხრიდან 2020 წელს და ამ შესწორების მოქმედების გახანგრძლივება 2021 წელს, შესაბამისად. ეს დათმობები აღირიცხა, როგორც საიჯარო ვალდებულების და ცვალებადი ქირის შემცირება იმ პერიოდში, როდესაც ისინი დაუშვეს. თანხა არ იყო არსებითი ფინანსური ანგარიშგებისთვის.

**საოპერაციო იჯარის აღრიცხვა ჯგუფის, როგორც შეიჯარის მიერ.** როდესაც აქტივები საოპერაციო იჯარით გაიყენა, მისაღები საიჯარო გადახდების აღიარება ხდება იჯარიდან შემოსავლად წრფივი მეთოდით იჯარის მთელ პერიოდზე.

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის შესაბამის ტერიტორიებზე, სადაც მოქმედებს ბანკი და მისი შვილობილი საწარმოები. მოგების გადასახადის ხარჯი/შეღავათი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში, რადგან იგი დაკავშირებულია ტრანსაქციებთან, რომლებიც აგრეთვე პირდაპირ აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდის სხვა სრულ შემოსავალში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომელიც საგადასახადო ორგანოებს უნდა გადაეხადოს ან მათგან დაბრუნებული იქნას დასაბეგრ მოგებასა, თუ ზარალთან მიმართებაში მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის. თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსების წინ, დასაბეგრი მოგება თუ ზარალი ემყარება მიახლოებულ შეფასებებს. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდებზე გადატანის შემთხვევაში და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ დროებით სხვაობებზე. საწყისი აღიარების გამონაკლის შემთხვევებში, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ისეთი აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას არსებული დროებითი სხვაობებისთვის, რომლებიც მონაწილეობს არა საწარმოთა გაერთიანების, არამედ სხვა ტიპის გარიგებაში, თუ ეს გარიგება საწყისი აღიარებისას არ ახდენს გავლენას არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ აღირიცხება დროებითი სხვაობებისთვის საწყისი აღიარებისას და შემდგომში გუდვილისთვის, რომელიც არ არის გამოქვეითადი საგადასახადო მიზნებისთვის. გადავადებული გადასახადის ნაშთი ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც ამოქმედებულია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის და რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს დროის იმ მონაკვეთში, როდესაც დროებითი სხვაობები შებრუნდება ან მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ ჯგუფის ცალკეულ კომპანიებში. დროებით გამოქვეითად სხვაობებზე გადავადებული საგადასახადო აქტივები და მომდევნო პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი აისახება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა სამომავლო დასაბეგრი მოგებისა, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვა.

გადავადებული მოგების გადასახადი ირიცხება შვილობილი საწარმოების შექმნის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს კომპანიის საღივიდენლო პოლიტიკას და

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში სხვაობა არ შე ბრუნდება ღივიდენდების მეშვეობით ან სხვაგვარად.

**განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი.** ჯგუფის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

**ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი.** ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებელია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. არსებითი ანარიცხები მოიცავს ანარიცხებს ვალდებულების შესრულების გარანტიებისთვის და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის.

**სააქციო კაპიტალი.** ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული ღივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული ზღვრული ხარჯები კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან, გადასახადის გათვალისწინებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო შემოსავალი საკუთარ კაპიტალში.

**ღივიდენდები.** ღივიდენდების აღიარება კაპიტალში კაპიტალში ხდება იმავე პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „შემდგომი მოვლენების“ თავში.

**შემოსავლის და ხარჯის აღიარება.** ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი თუ მიღებული ყველა საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს, გადავადდება საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის სახით. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავალი სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ საწარმოს მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანსაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. ჯგუფის მიერ მიღებული თანხები სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთში გასაცემად, არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გააფორმებს კონკრეტულ სასესხო ხელშეკრულებას და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას გაცემის თარიღიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი არ აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებს, როგორც ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის საერთო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც არის დეფოლტის სიტუაციაში (მე-3 სტადია), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით დანორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც დეფოლტის სიტუაციაში შექმნილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზებულ ღირებულებაზე.

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

ყველა დანარჩენი საკომისიო და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი ჩვეულებრივ აღირიცხება მიღებისთანავე კონკრეტული ტრანსაქციის დასრულების მითითებით, რომელიც ფასდება რეალურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, გასაწევი მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

სავალუტო სვოპების პროცენტის კომპონენტის გამოსათვლელად, პირობითი თანხა მრავლდება შესაბამისი პერიოდისთვის შეთანხმებულ საპროცენტო განაკვეთზე. სავალუტო სვოპების ოპერაციებიდან საპროცენტო შემოსავლის/(ხარჯის) განაწილებისას, განლიურებული სპრედიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი) გამოითვლება და ნაწილდება წრფივად ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

**საკომისიო შემოსავალი.** საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება დროთა განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდით, მომსახურების განწევასთან ერთად, როდესაც მომხმარებელი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიწოდებულ სარგებელს. ასეთი შემოსავალი მოიცავს ანგარიშების მხარდაჭერის რეგულარულ საკომისიოს, ანგარიშის მომსახურების საკომისიოს, ანგარიშის გამოწერის საკომისიოს, პლასტიკური ბარათების წლიურ საკომისიოს და სხვა. ცვლადი საკომისიოს აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ მაღალი ალბათობით მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი გაუქმება.

სხვა საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, როგორც წესი, შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელებისთანავე. მიღებული ან მისაღები საკომისიოს თანხა წარმოადგენს გარიგების ფასს იმ მომსახურებისთვის, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც ცალკე შესასრულებელი ვალდებულება. ასეთ შემოსავალი მოიცავს მომხმარებლის სახელით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის საკომისიოს, გადახდის ოპერაციების დამუშავების საკომისიოს, პლასტიკური ბარათებით ოპერაციებს, მოვაჭრე სუბიექტის საკომისიოს, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების, ფულადი სახსრების მიღების ან გაცემის საკომისიოს და სხვა.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია.** ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის და ბანკის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით იმ ტერიტორიებზე, სადაც ბანკი და მისი შვილობილი საწარმოები ფუნქციონირებენ. საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგებაში ან ზარალში. კონვერტაცია წლის ბოლოსთვის არსებული განაკვეთებით არ ეხება არაფულად ერთეულებს, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციებს. სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი წილობრივი ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

ჯგუფის თითოეული სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის შედეგები (რომელთაგან არცერთის სამუშაო ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციის მქონე ეკონომიკის ვალუტა) შემდეგნაირად კონვერტირდება წარსადგენი ვალუტაში:

- (i) წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგების შემთხვევაში, აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დასკვნითი კურსით;
- (ii) მოგება და ხარჯები კონვერტირდება სამუშაო სავალუტო კურსებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სამუშაო კურსი არ წარმოადგენს გარიგების თარიღისთვის მოქმედი განაკვეთების კუმულაციურ ეფექტთან გონივრულ მიახლოებას, რა დროსაც შემოსავალი და ხარჯები კონვერტირდება გარიგების თარიღებით);
- (iii) კაპიტალის კომპონენტების კონვერტაცია ხდება ისტორიული განაკვეთით; და
- (iv) ყველა შედეგად მიღებული საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

უცხოური ქვედანაყოფზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ, საკურსო სხვაობები, რომლებიც მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდება წლის მოგებაში ან ზარალში, როგორც გასხვისებიდან (გასვლიდან) მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი. შვილობილი საწარმოს ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში, კონტროლის დაკარგვის გარეშე, დაგროვილი საკურსო სხვაობების შესაბამისი ნაწილი რეკლასიფიცირდება საკუთარ კაპიტალში არამაკონტროლებელი წილის სახით.

უცხოური საწარმოს შექნიდან წარმომდგარი გუდვილი და სამართლიანი ღირებულების კორექტირებები აღირიცხება ამ უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და მათი კონვერტაცია ხდება დასკვნითი

**2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება**

(საბოლოო) კურსით. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საბალანსო უწყისის თარიღის საბოლოო გაცვლითი კურსი იყო: 1 გირვანქა სტერლინგი = 3.2581 ლარი (2021 წ.: 1 გირვანქა სტერლინგი = 4.1737 ლარი); 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი (2021 წ.: 1 აშშ დოლარი 3.0976 ლარი); 1 ევრო = 2.8844 ლარი (2021 წ.: 1 ევრო = 3.5040 ლარი), 1 აზერბაიჯანული მანათი = 1.5924 ლარი (2021 წ.: 1 აზერბაიჯანული მანათი = 1.8222 ლარი).

**ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

**თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები და შესაბამისი შენატანები.** ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებული ნაწილი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაინა ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

**ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით.** საოპერაციო სეგმენტების ანგარიშგება ხდება იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს ჯგუფის მთავარი საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისთვის მომზადებულ შიდა ანგარიშგებასთან. სეგმენტები, რომელთა ამონაგები, შედეგი ან აქტივები ყველა სეგმენტის ათი პროცენტი ან მეტია, ცალკე გაცხადდება.

**აქციებზე დაფუძნებული გადახდები.** აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება არის შეთანხმება საწარმოსა და სხვა მხარეს (დასაქმებული პირის ჩათვლით) შორის, რომელიც სხვა მხარეს უფლებას აძლევს, მიიღოს საწარმოს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები ისეთი ოდენობით, რომელიც ეფუძნება საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის აქციების) ფასს (ან ღირებულებას); ან საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციონები), იმ პირობით, რომ კონკრეტული უფლების გადაცემის პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაკმაყოფილებულია. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის გეგმის მიხედვით, ჯგუფი ხელმძღვანელობისგან იღებს მომსახურებას, როგორც საზღაურს ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტებისთვის. წილობრივი ინსტრუმენტის გაცემის სანაცვლოდ თანამშრომლისგან მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია ხარჯის სახით. ხარჯად გასათარებელი მთლიანი თანხა განისაზღვრება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რაშიც არ შედის არასაბაზრო მომსახურების და უფლების გადაცემის პირობების გავლენა. არასაბაზრო უფლების გადაცემის პირობები გათვალისწინებულია დამკვეთებში წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა. ხარჯად გათარებელი მთლიანი თანხის აღიარება ხდება უფლების გადაცემის პერიოდზე, რაც არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ყველა კონკრეტული უფლების გადაცემის პირობები უნდა დაკმაყოფილდეს. საბალანსო ანგარიშის შედგენის თითოეული თარიღისთვის ჯგუფი გადახედავს თავის შეფასებებს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზეც უფლების გადაცემა მოსალოდნელია, უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობების საფუძველზე. იგი აღიარებს თავდაპირველი შეფასებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადასინჯვის გავლენას მოგებაზე ან ზარალზე, შესაბამისი კორექტირებით საკუთარ კაპიტალში. საკუთარი კაპიტალის ზრდა, რომელიც დარიცხულია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების სქემის შედეგად, აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი. ბანკი გადანაწილების თანხას უხდის საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფს“ და აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი შესაბამისად დებეტდება, როდესაც გამოსყიდულ აქციებს ყიდულობს თანამშრომელთა სარგებლის სატრასტო ფონდი. როდესაც ერთი გადაცემის ნაწილებზე უფლებები გადაიცემა ორი ან მეტი თარიღით, საწარმო მიმართავს უფლების ეტაპობრივ გადაცემას, რათა ბუღალტრულად აღირიცხოს აქციებზე დაფუძნებული გადახდების სქემა. გადაცემის თითოეულ ტრანშზე უფლების გადაცემის პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც თანამშრომელი ფლობს აქციებს მომსახურების შემდგომი შეზღუდვების გარეშე. უფლების ეტაპობრივი გადაცემის სქემის მიხედვით, წინა წლების ხარჯი უფრო მაღალია, ვიდრე მომდევნო წლებისა. თითოეული ტრანში გათარდება ხარჯებში თავისი მომსახურების ვადის განმავლობაში, ხოლო საკუთარი კაპიტალი კრედიტდება.

**3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას**

**კრიტიკული განსჯა და შეფასებები**

ბანკი აკეთებს შეფასებებს და განსჯას, რაც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირება შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია განსჯა და შეფასებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული განსჯა და შეფასებები.** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რაც მოიცავს მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მოდულების შემუშავებას და ამოსავალი მონაცემების მომზადებას. ხელმძღვანელობის კომპეტენტური განსჯაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები, რომლებსაც ეყრდნობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას, ასეთია:

**დეფოლტის განმარტებაში გამოყენებული კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა.** ბანკის დეფოლტს განმარტავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.

მსესხებელი კლასიფიცირდება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად, თუ:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე გადახდა 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ან
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი.

გარდა ამისა, დეფოლტიდან გასვლის კრიტერიუმები განისაზღვრება განსჯის საფუძველზე, ასევე იმის დასადგენად, დეფოლტი მსესხებელზე უნდა გამოიყენებოდეს, თუ რისკის (კრედიტის ოდენობის) დონეზე დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია 35-ე შენიშვნაში.

**შეფასების კრიტერიუმების დასადგენად გამოყენებული განსჯა, თუ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განისაზღვრება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.**

ხარისხობრივი ფაქტორები, ჩვეულებრივ, მოიცავს განსჯას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების პერიოდის თაობაზე; კრედიტის მოცულობა რესტრუქტურირებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში, მსესხებელი მიეკუთვნება „საყურადღებო“ კატეგორიას.

რაოდენობრივ საფუძველზე ჯგუფი აფასებს სანციის აღიარების შემდეგ თითოეული კონკრეტული კრედიტის მოცულობის დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას და მას ადარებს წინასწარ დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს. როდესაც აბსოლუტური ცვლილება დეფოლტის ალბათობაში აღემატება მოქმედ ზღვარს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრედიტის მოცულობა გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებელი ვრცელდება საცალო და მიკრო სეგმენტებზე, სადაც ბანკს აქვს საკმარისი რაოდენობის ემპირიული მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია (i) საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრული მაჩვენებლების 20%-იანი შემცირების (რაოდენობრივი კრიტერიუმები უხება შემოაღნიშნულ საცალო და მიკრო კრედიტებს), (ii) მე-2 სტადიის მსესხებლების მთლიანი რაოდენობის 10%-იანი ზრდის მგრძობელობის ანალიზი.

<b>ათას ლარში</b>	<b>31 დეკემბერი, 2022 წ.</b>	<b>31 დეკემბერი, 2021 წ.</b>
საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრული მაჩვენებლების 20%-იანი შემცირება	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 2,106 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 1 საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 2,470 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.
მე-2 სტადიის ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდა 10%-ით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 1,639 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 1 საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 2,511 ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 2 საბაზისო პუნქტით.

**3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება**

**საკრედიტო რისკის პარამეტრების გასაანგარიშებლად გამოყენებული განსჯა.** კერძოდ, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება, დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში. განსჯაში, სხვებთან ერთად, შედის შემდეგი:

- (i) სეგმენტაციის განმარტება რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის,
- (ii) გადაწყვეტილება იმის შესახებ, უფრო გამარტივებული თუ უფრო რთული მოდულები უნდა იქნეს გამოყენებული,
- (iii) დრო დეფოლტის თარიღის შემდეგ, რომლის შემდეგაც არსებითი თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის,
- (iv) უზრუნველყოფის საგნის დისკონტი საბაზრო ღირებულებიდან, ასევე უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა უზრუნველყოფის საგნის დისკონტირებისთვის.

ცხრილში წარმოდგენილია მგრძობელობა დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასებების 10%-იანი ზრდისადმი:

<b>ათას ლარში</b>	<b>31 დეკემბერი, 2022 წ.</b>	<b>31 დეკემბერი, 2021 წ.</b>
დეფოლტის ალბათობის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 19,891 (18,843) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 12 (11) საბაზისო პუნქტით	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 25,043 (18,905) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 16 (12) საბაზისო პუნქტით.
დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 31,635 (31,770) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 19 (19) საბაზისო პუნქტით.	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 39,900 (35,129) ლარით. ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის ცვლილება 26 (22) საბაზისო პუნქტით.

**საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარებისთვის გამოყენებული შეფასებები და მათი ალბათობის შენონისთვის გამოყენებული განსჯა.**

საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის, ბანკი სამ მაკრო სცენარს განსაზღვრავს. სცენარები განისაზღვრება, როგორც საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო), ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი) და პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი) სცენარები.

ამ სამი სცენარის ერთმანეთისგან გასამიჯნად გამოყენებული შეფასებები შეეხო შემდეგ: მშპ, აშშ/ლარის კურსი, უძრავი ქონების ფასი, უმუშევრობის დონეები და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და სხვა მაკრო ცვლადები. ჩვეულებრივ პირობებში საბაზისო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს, შესაბამისად ენიჭება 50%-იანი, 25%-25%-იანი წონები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წონები იგივე დარჩა, როგორც იყო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 50% და 25%-25% საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებისთვის, შესაბამისად. ბანკი მაკროგარემოში ცვლილებების მიხედვით ცვლის წონებს ექსპერტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ცხრილში წარმოდგენილია არაშენიშნული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

<b>ათას ლარში</b>	<b>საბაზო</b>	<b>ოპტიმისტური</b>	<b>პესიმისტური</b>	<b>შენიშნული</b>
კორპორაციული	45,775	45,456	48,827	46,458
MSME	95,991	94,270	98,169	96,112
სამომხმარებლო	183,342	182,366	184,396	183,352
იპოთეკური	33,856	33,519	34,421	33,912
<b>სულ</b>	<b>358,964</b>	<b>355,611</b>	<b>365,813</b>	<b>359,834</b>



**3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება**

ცხრილში წარმოდგენილია არაშეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	საბაზო	ოპტიმისტური	პესიმისტური	შეწონილი
კორპორაციული	48,220	46,752	59,640	50,731
MSME	112,592	104,856	122,768	113,101
სამომხმარებლო	180,003	176,638	183,600	180,050
იპოთეკური	63,080	59,464	68,491	63,486
<b>სულ</b>	<b>403,895</b>	<b>387,710</b>	<b>434,499</b>	<b>407,368</b>

ცხრილში მოცემულია მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადები თითოეული სცენარის მიხედვით მომავალი 3-წლიანი პერიოდისთვის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

წლიური ზრდის ტემპები, %	საბაზო			ოპტიმისტური			პესიმისტური		
	2023	2024	2025	2023	2024	2025	2023	2024	2025
მშპ	3.5%	5.4%	5.2%	5.2%	7.9%	8.4%	1.7%	2.7%	1.9%
აშშ დოლარი/ლარი განაკვეთი (პერიოდის ბოლოს)	2.80	2.65	2.60	2.47	2.31	2.24	3.06	2.92	2.90
უძრავი ქონების ფასი (აშშ დოლარში)	19.8%	-2.0%	-1.3%	24.2%	4.1%	4.8%	11.6%	-13.1%	-12.5%
დასაქმება (პერიოდის ბოლოს)	1.9%	-0.8%	-0.2%	2.5%	-0.1%	0.6%	1.5%	-1.3%	-0.9%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (პერიოდის ბოლოს, დონე)	9.0%	7.8%	7.8%	8.4%	7.0%	6.8%	10.1%	9.3%	9.6%

ცხრილში მოცემულია მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადები თითოეული სცენარის მიხედვით მომავალი 3-წლიანი პერიოდისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

წლიური ზრდის ტემპები, %	საბაზო			ოპტიმისტური			პესიმისტური		
	2022	2023	2024	2022	2023	2024	2022	2023	2024
მშპ	6.0%	5.5%	5.0%	7.8%	8.2%	8.3%	4.1%	2.8%	1.7%
აშშ დოლარი/ლარი განაკვეთი (პერიოდის ბოლოს)	3.30	3.25	3.20	2.95	2.87	2.80	3.55	3.55	3.52
უძრავი ქონების ფასი (აშშ დოლარში)	1.6%	2.1%	2.6%	4.6%	6.3%	7.7%	-1.6%	-2.5%	-3.5%
დასაქმება (პერიოდის ბოლოს)	1.0%	1.0%	0.5%	1.5%	1.7%	1.3%	0.6%	0.4%	-0.2%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (პერიოდის ბოლოს, დონე)	8.5%	7.5%	7.0%	8.0%	6.8%	6.1%	9.4%	8.7%	8.4%

ბანკმა შეაფასა მშპ-ის ზრდის ცვლილების, უმუშევრობის დონის და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლადების გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებული ყველაზე კრიტიკული შეფასებები.

ცალკე თითოეული ცვლადისთვის ჩატარდა მგრძობელობის ანალიზი, რათა ცხადი გამხდარიყო მათი მნიშვნელობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, მაგრამ ცვლილებები ამ

**3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება**

ცვლადებში შეიძლება არ მოხდეს იზოლირებულად, ვინაიდან ეკონომიკური ფაქტორები, როგორც წესი, ურთიერთდამოკიდებულია სხვადასხვა სცენარში. ცვლადები დაკორექტირდა სამივე მაკროეკონომიკური სცენარისთვის და სტადიებად დაყოფა უცვლელი დარჩა. საპროგნოზო სცენარების შეფასებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობისთვის მისაღებია, რომ სცენარები ასახავს არანაყოფიერ ზარალს.

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშპ-ის ზრდის, უმუშევრობის და მონეტარული პოლიტიკის ცვლადების +/-20%-იანი ცვლილების გავლენა ბანკის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ყველა სცენარის მიხედვით:

ათას ლარში	მშპ-ის ზრდის ცვლილება		უმუშევრობის დონის ცვლილება		მონეტარული პოლიტიკის ცვლილება	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება
გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(987)	1,038	1,341	(1,231)	710	(616)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშპ-ის ზრდის და უმუშევრობის ცვლადების +/-20%-იანი ცვლილების გავლენა ბანკის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ყველა სცენარის მიხედვით:

ათას ლარში	მშპ-ის ზრდის ცვლილება		უმუშევრობის დონის ცვლილება		მონეტარული პოლიტიკის ცვლილება	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება	20%-იანი ზრდა	20%-იანი შემცირება
გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(9,036)	10,359	4,805	(4,541)	4,045	(3,493)

**ინდივიდუალური შეფასება:** ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება მე-2 და მე-3 სტადიების ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტების შესარჩევად ხელმძღვანელობა იყენებს შემდეგ ზღვრულ ნორმას, რომელთა ზემოთ კრედიტები შეირჩევა ინდივიდუალური გადამონშებისთვის: მე-2 სტადიისთვის – 10 მილიონი ლარი და მე-3 სტადიისთვის – 4 მილიონი ლარი. გარდა ამისა, ბანკმა შეიძლება თვითნებურად აირჩიოს გარკვეული კრედიტის მოცულობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შეფასებისთვის, ბანკის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის დეპარტამენტების გადანაწილებებზე დაყრდნობით. ინდივიდუალური შეფასება ითვალისწინებს უახლეს ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რათა განსაზღვროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით.<sup>1</sup>

**მოდელის შემდგომი კორექტირებები**

მოდელირების შემდგომ კორექტირებებს არის ხელმძღვანელობის კონკრეტული კორექტირებები მოდელის ცნობილი შეზღუდვების აღმოფხვრის მიზნით, ან მოდელის მეთოდოლოგიაში, ან მოდელის ამოსავალ მონაცემებში. მოდელირების შემდგომი კორექტირებები ხდება მოდელის ამოსავალი მონაცემების და პარამეტრების ანალიზის საფუძველზე, რათა განისაზღვროს საჭირო მოდიფიკაცია, რითაც გაუმჯობესდება მოდელის სიზუსტე.

**მოდელირებული შედეგის ზრდა**

მოდელირებული შედეგის ზრდა ასახავს ხელმძღვანელობის განსჯას, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ექსპერტის მოსაზრებას და გამოიყენება პირდაპირ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე აგრეგირებულ დონეზე.

დანერგვის შემდეგ მოდელირებული შედეგის ზრდა და კორექტირებები ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თავიდან შეფასდება, რათა განისაზღვროს კორექტირებების სისწორე. მოდელირების შემდგომი კორექტირებებისა და მოდელირებული შედეგის ზრდის მართებულობა ექვემდებარება საფუძვლიან გადახედვას და ანალიზს. მოდელირებული შედეგის ზრდისა და კორექტირებების გადახედვისა და დამტკიცების პროცესი იმავე ფაზებს გადის, რომლებსაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცესის მართვა.

<sup>1</sup> ბანკის რისკის სრული მოცულობა მსესხებლისგან ან ურთიერთდაკავშირებული მსესხებლებისგან

**3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გაგრძელება**

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ბანკმა ექსპერტის მოსაზრებას მიმართა მოდელის ფარგლებში მოდელირების შემდგომი კორექტირებების სახით. ყველა კორექტირება წარმოადგენს მოდელის კორექტირებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კორექტირებები შევიტანეთ ან მოდელის ამოსავალ მონაცემებში, ან მის პარამეტრებში და მოდელი ავამოქმედეთ განახლებული კორექტირებების საფუძველზე. მოდელირებული შედეგების ზრდა არ დამუშავებულა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა შემოიღო მოდელირების შემდგომი კორექტირებები კლიენტებისთვის, რომლებზეც უარყოფითად იმოქმედა უკრაინაში რუსეთის შეჭრამ. კერძოდ, დეფოლტის განმარტება მოდიფიცირდა რესტრუქტურირებული, ომით დაზარალებული დავალიანებისთვის 8,174 ათასი ლარის ოდენობით. რესტრუქტურირებული დავალიანება გადავიდა მე-2 სტადიაში, მე-3 სტადიის ნაცვლად, თუმცა ამ კონკრეტული დავალიანებისთვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გამოიყენება დეფოლტის აღიარებისთვის: კერძოდ, სტანდარტული 90 ვადაგადაცილებული დღის ნაცვლად, დეფოლტის აღიარება მოხდება 30 დღით ვადაგადაცილების ან საშუალო პერიოდის დასრულების შემდეგ, რომელიც უფრო ადრე დადგება. მოდელირების შემდგომი ამ კორექტირებების ეფექტი აქციების სტადიებად განაწილებაზე შეადგენს 0.05 პროცენტულ პუნქტის, ხოლო ეფექტი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე შეადგენდა 2,340 ათას ლარს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუ ეს დავალიანება მე-3 სტადიას მიეკუთვნებოდა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოვიდ-19-თან დაკავშირებული მოდელირების შემდგომი კორექტირებები აღარ არის ძალაში. მოდელირების შემდგომი კორექტირებების ეფექტი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეჭამებულია ქვემოთ:

- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში – დავალიანების ამოღების მაჩვენებელი:** როგორც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის გაცხადდა, ბანკს გამოყენებული ჰქონდა დაღმავალი კორექტირება მე-3 სტადიის დავალიანების ამოღების მაჩვენებლებზე, რათა აესახა კოვიდ-19-ის პანდემიის მოსალოდნელი გავლენა. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ეფექტი, რომელიც უკავშირდება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მოდელირების შემდგომ კორექტირებებს, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 12,835 ათას ლარს შეადგენდა;
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში – უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა:** როგორც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცხადდა, ბანკმა გააგრძელა უზრუნველყოფის მართვის საშუალო ვადა 1 წლიდან 2 წლამდე მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და უმნიშვნელო კორპორაციული პორტფელისთვის, რათა აესახა დავალიანების დაგვიანებული ამოღება, რაც გამოწვეული იყო კოვიდ-19-ის პანდემიით. კორექტირება შეეხო ყველა სტადიას. მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ამ მოდელირების შემდგომ კორექტირებების ეფექტი, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 2,754 ათას ლარს შეადგენდა.
- სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი:** როგორც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცხადდა, ბანკმა მიმართა სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტის დაღმავალ კორექტირებას, რომელიც გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების მოდელირებისთვის. კორექტირება დაეყრდნო მოლოდინს, რომ სრულად წინსწრებით დაფარვის მაჩვენებელი უფრო დაბალი იქნება პანდემიამდელ დონეებთან შედარებით. მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ამ მოდელირების შემდგომ კორექტირებების ეფექტი, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 0.512 ათას ლარს შეადგენდა.

**4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება**

**ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის (IBOR) რეფორმის ფინანსური ეფექტი.** სხვადასხვა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის რეფორმა და ჩანაცვლება პრიორიტეტად იქცა მარეგულირებელი ორგანოებისთვის. ბევრი ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი აღარ გამოქვეყნდა 2021 წლის 31 დეკემბრიდან, ხოლო გარკვეული ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსები (LIBOR-ის ინდექსები) აშშ დოლარში აღარ გამოქვეყნდება 2023 წლის 30 ივნისიდან.

ჯგუფმა გამოიყენა გამარტივებული მიდგომა საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმისთვის – მე-2 ფაზის შესწორებები ფასს 9-ში, რათა აესახა ცვლილებები სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირებით იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც დაექვემდებარა ინდექსის ცვლილებას. ჯგუფი იყენებს უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთს (SOFR, ვადიანი SOFR), რომელიც აირჩა, როგორც აშშ დოლარში LIBOR-ის ალტერნატიული განაკვეთი. ახლად ხელმოწერილი ხელშეკრულებები უმეტეს შემთხვევაში უკვე SOFR განაკვეთით ან ვადიანი SOFR განაკვეთით არის გაფორმებული, რათა ასახოს მოსალოდნელი ცვლილება, და ამიტომ არ ექვემდებარება გადასვლის პროცესს. რამდენიმე ხელშეკრულება უკვე შეიცვალა LIBOR-დან ეკონომიკური თვალსაზრისით ეკვივალენტურ SOFR-ით (რაც არის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის შესწორების რეფორმის პირდაპირი შედეგი), შესაბამისად, ცვლილების ეფექტმა არ გამოიწვია არსებითი გავლენა ჯგუფზე.

**4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია არანარმოებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და წარმოებული ხელშეკრულებების თანხები 2022 წლის 31 დეკემბერს, რომლებიც 2023 წელს უნდა გადავიდეს ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე:

ათას ლარში	არანარმოებული ფინანსური აქტივები	არანარმოებული ვალდებულებები	პირობითი ვალდებულებები	წარმოებული ინსტრუმენტები				
ინდექსი	ვალუტა	შენწყვეტის თარიღი	მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულების მიმართ	აუთვი სებელი საკრედიტო ხაზები	წარმოებული ვალდებულებები		
3-თვიანი LIBOR	აშშ დოლარი	30-ივნ-23	-	-	1,671	-	22,978	
6-თვიანი LIBOR	აშშ დოლარი	30-ივნ-23	3,719,416	248,069	268,754	1,593	256,892	-
<b>სულ</b>			<b>3,719,416</b>	<b>248,069</b>	<b>270,425</b>	<b>1,593</b>	<b>256,892</b>	<b>22,978</b>

ქვემოთ ცხრილში მოცემულია არანარმოებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და წარმოებული ხელშეკრულებების თანხები 2021 წლის 31 დეკემბერს, რომლებიც 2022 წელს უნდა გადავიდეს ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე:

ათას ლარში	არანარმოებული ფინანსური აქტივები	არანარმოებული ვალდებულებები	პირობითი ვალდებულებები	წარმოებული ინსტრუმენტები				
ინდექსი	ვალუტა	შენწყვეტის თარიღი	მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულების მიმართ	აუთვი სებელი საკრედიტო ხაზები	წარმოებული აქტივები		
6-თვიანი LIBOR (ევრო)	ევრო	31-დეკ-21	-	-	88,761	-	-	
1-თვიანი LIBOR	აშშ დოლარი	ჯერ არ დადგენილა*	24,831	-	-	-	1,032	-
3-თვიანი LIBOR	აშშ დოლარი	30-ივნ-23	26,139	-	2,858	-	11	3,613
6-თვიანი LIBOR	აშშ დოლარი	30-ივნ-23	5,432,142	281,604	361,360	4,771	909,315	-
12-თვიანი LIBOR	აშშ დოლარი	30-ივნ-23	1,460	-	30,992	-	-	-
<b>სულ</b>			<b>5,484,572</b>	<b>281,604</b>	<b>483,971</b>	<b>4,771</b>	<b>910,358</b>	<b>3,613</b>

**4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება**

ჯგუფს აქვს რისკი იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობა დაიწყებს შემცირებას, როდესაც იკლებს ტრადიციული ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების მქონე ინსტრუმენტებით ოპერაციების მოცულობა. ჯგუფს ასევე შეიძლება შეექმნას რისკი იმისა, რომ საორიენტაციო განაკვეთების სტრუქტურა მოზიდული სახსრებისა და გაცემული სესხებისთვის შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს სხვადასხვა საორიენტაციო განაკვეთზე გადასვლის შედეგად, აქედან გამომდინარე ცვლილების ეფექტს არ გამოუწვევია არსებითი ფინანსური გავლენა ჯგუფზე.

ჯგუფი თავის მომხმარებლებთან და სხვა კონტრაქტებთან, მაგალითად, საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან, მუშაობს იმაზე, რომ განახორციელოს ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების გადაყვანა ალტერნატიულ საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთებზე და შექმნას ახალი ფინანსური პროდუქტები თავისი მომხმარებლებისთვის. ჯგუფი ასევე აძლიერებს თავის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებს და შიდა პროცესებს, რომ უზრუნველყოს წარმატებული გადასვლა ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსიდან ალტერნატიულ საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთებზე.

LIBOR-დან უწყვეტი, გეგმაზომიერი გადასვლა ჯგუფის მთავარი ამოცანა იქნება 2023 წლის განმავლობაში და დაყოფილია ორ სამუშაო ნაკადად:

- 1. ალტერნატიული განაკვეთის და ურისკო განაკვეთის მქონე პროდუქტის შესაძლებლობების განსაზღვრა.
- 2. არსებული LIBOR-ის მქონე ხელშეკრულებების გადაყვანა სხვა განაკვეთებზე.

ჯგუფის ინიციატივები LIBOR-იდან გადასვლასთან დაკავშირებით, ასე გამოიყურება:

- (ა) საჭიროების შემთხვევაში, განაკვეთის სარეზერვო პირობების შემუშავება;
- (ბ) ჯგუფი აგრძელებს ბაზრის მონაწილეებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობას, რათა გადაჭრას აშშ დოლარში LIBOR-იდან გადასვლასთან დაკავშირებული გამოწვევები, მათ შორის ძალისხმევას არ იშურებს, რომ შემოიღოს საპროგნოზო ვადის განაკვეთები, რომლებიც მიბმულია უზრუნველყოფილ ერთდღიან დაფინანსების განაკვეთთან.
- (გ) კლიენტების განათლება და ინფორმირება LIBOR-იდან გადასვლისა და LIBOR-ის უწყვეტისთვის მომზადების აუცილებლობის შესახებ;

**2022 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა, მაგრამ ჯგუფზე რამე არსებითი გავლენა არ მოუხდენია:**

**შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე, წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები, კონცეპტუალური საფუძვლების მითითება - დამაზუსტებელი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2018-2020 წ.წ. - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამომშვებული 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

- ბასს 16-ში შესული ცვლილება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ობიექტის თვითღირებულებიდან გამოქვითოს ამ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის მომზადების პროცესში წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი. ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, ახლა უკვე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმომ ამ ერთეულების თვითღირებულების შესაფასებლად ბასს 2-ით უნდა იხელმძღვანელოს. თვითღირებულებაში არ შედის იმ აქტივის ცვეთა, რომელიც იტესტება, რადგან ჯერ არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ბასს 16-ში შესული ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ საწარმო „ამონებს, აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას. აქტივის ფინანსური შედეგიანობა ამ შეფასებისთვის აქტუალური არ არის. ამიტომ აქტივი შეიძლება ასრულებდეს ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ ფუნქციას და ექვემდებარებოდეს ცვეთას, სანამ მიაღწევს ექსპლუატაციის იმ დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მისგან მოელოს.
- ცვლილება ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების“ მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს, და სხვა განაწილებულ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სანამ განისაზღვრება წაგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხები, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყენებული აქტივების, და არა ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივების გაუფასურებით გამოწვეულ ყოველგვარ ზარალს.
- ფასს 3-ში შევიდა ცვლილება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ, რათა განისაზღვროს რა წარმოადგენს აქტივის ან ვალდებულებას საწარმოთა გაერთიანებისას.

**4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება**

ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებს. გარდა ამისა, ფასს 3-ს დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისით ზუსტდება, რომ ზოგიერთი ტიპის ვალდებულებისა და პირობითი ვალდებულებების შემთხვევაში, საწარმომ, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, უნდა მიმართოს ბასს 37-ს ან ფასს 21-ს, და არა 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო საწარმოთა გაერთიანებაში აღიარებდა ზოგიერთ ისეთ ვალდებულებას, რომლებსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის მიხედვით. ამიტომ საწარმოს შესყიდვისთანავე მოუხდებოდა ასეთი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე დაზუსტდა, რომ მყიდველმა საწარმომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, ბასს 27-ის განმარტების შესაბამისად, შექმნის თარიღით.

- ცვლილება ფასს 9-ში ეხება იმას, თუ რომელი საკომისიო გადასახდელები უნდა აისახოს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. მესამე მხარეებს ან კრედიტორს შეიძლება აუნაზღაურდეს დანახარჯები ან გადაეხადოს საკომისიოები. ამ ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი დანახარჯები თუ საკომისიოები არ აისახება 10%-იან ტესტში.
- ფასს 16-ზე დართული საილუსტრაციო მაგალითი #13 შეიცვალა, კერძოდ ამოღებულია მეიჯარისთვის საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გადახდების ილუსტრაცია. ამ ცვლილების მიზანი არის საიჯარო შეღავათების ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის თავიდან არიდება.
- ფასს 1 უშვებს გამონაკლისს, თუ შვილობილი საწარმო გამოიყენებს ფასს-ს თავის მშობელ საწარმოზე უფრო გვიანი თარიღით. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება საბალანსო ღირებულებებით, რომლებიც შევიდოდა მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ზე მშობელი საწარმოს გადასვლის თარიღისთვის, თუკი არ ასახულა კორექტირებები კონსოლიდირების პროცედურებისა და საწარმოთა გაერთიანების გამო, რომლის დროსაც მშობელმა საწარმომ შეისყიდა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში შევიდა ცვლილება, რომლითაც საწარმოებს, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან გამონაკლისი, ასევე უფლება მიეცათ, კუმულაციური საკურსო სხვაობა მშობელი საწარმოს მიერ გაცხადებული თანხებით შეაფასონ ფასს-ზე მშობელი საწარმოს გადასვლის თარიღის მიხედვით. ფასს 1-ში შესული ცვლილების მიხედვით, ზემოაღნიშნული გამონაკლისი კუმულაციურ საკურსო სხვაობასაც ეხება იმ საწარმოებისთვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს, ხარჯების შემცირების მიზნით. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ფასს 1-დან იგივე გამონაკლისი.
- ამოღებულია მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ბასს 41-ის შესაბამისად სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, საწარმოებს არ უნდა გაეთვალისწინებინათ ფულადი ნაკადები გადასახდით დაბეგვრის მიზნებისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომლის მიხედვითაც უკვე დაბეგრილი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია არცერთი ცვლილება, რომელიც ძალაში შედის 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და იგი მოელის, რომ მათ დანერგვისას, ან გავლენის მასშტაბის შეფასებისას, უმნიშვნელო გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და ბანკის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

**ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოშვებული 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს, რომელმაც კომპანიები გაათავისუფლა სადაზღვევო ხელშეკრულებების არსებული პრაქტიკის მიხედვით აღრიცხვის გაგრძელების ვალდებულებისგან. ამის შედეგად ინვესტორებს გაუჭირდათ სხვა მხრივ მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარება და შეპირისპირება. ფასს 17 ეყრდნობა ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ერთიანი აღრიცხვის პრინციპს. სტანდარტით სავალდებულოა სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და შეფასება: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით კორექტირებული დღევანდელი ღირებულებით (ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები), რომელიც სრულად შეიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ისე, რომ შესაბამისობაში იყოს საბაზრო ინფორმაციასთან; არის დადებითი (თუ მიღებული რიცხვი ვალდებულებას წარმოადგენს) ან უარყოფითი (თუ მიღებული რიცხვი აქტივია) მაჩვენებელი; (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებების ჯგუფზე მიუღებელ მოგებას (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). დამზღვევები სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას აღიარებენ იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მათ გასწიეს სადაზღვევო მომსახურება და როდესაც ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი არის ან ხდება ზარალიანი, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს.

**ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილებები ფასს 4-ში (გამოშვებული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ცვლილებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს, რომელთა მიზანია ფასს 17-ის უფრო იოლად დანერგვა, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნისა და სტანდარტზე გადასვლის გამარტივება. ცვლილება შეეხება ფასს 17-ში ასახულ რვა საკითხს და მათი მიზანი არ არის სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლა. ფასს 17-ში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) ორი წლით გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის; ხოლო ფასს 9-ისა და ფასს 4-ის გამოყენებიდან დროებითი გამონაკლისების ვადის ამოწურვის ფიქსირებულ თარიღი ასევე გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.
საქველმოქმედო საქმიანობა	854	417
სხვა	15,641	8,095
<b>სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>167,348</b>	<b>128,624</b>

\* მოიცავს მოკლევადიან იჯარებს, დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს, რომლებიც არ არის აღიარებული ფასს 16-ის თანახმად.



**32. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაგრძელება**

ბანკის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ასე გამოიყურება:

<b>ათას ლარში</b>	<b>2022</b>	<b>2021</b>
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	29,591	16,621
პროფესიული მომსახურება	21,888	19,547
არამატერიალური აქტივების ტექნიკური მომსახურება	17,632	16,500
კომუნალური მომსახურება	8,303	7,852
შენობების და აღჭურვილობის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	7,740	6,200
შენობის დატვირთვა და იჯარა*	6,810	9,634
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	6,201	5,584
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,910	515
საკანცელარიო ნივთები და სხვა საოფისე ხარჯები	5,167	4,108
კომუნიკაცია და მიწოდება	4,919	4,553
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	4,017	2,389
დაზღვევა	2,583	2,214
სამივლინებო ხარჯი	1,515	297
დაცვის მომსახურება	1,406	1,619
ზარალი უზრუნველყოფაში ჩადებული დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან	1,297	583
ზარალი შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების გასხვისებიდან	983	1,117
ტრანსპორტირება და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება	905	634
საქველმოქმედო საქმიანობა	749	417
სხვა	11,527	3,284
<b>სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>139,143</b>	<b>103,668</b>

\* მოიცავს მოკლევადიან იჯარებს, დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს, რომლებიც არ არის აღიარებული ფასს 16-ის თანახმად.

**32. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაგრძელება**

აუდიტორების გასამრჯელო შესულია პროფესიული მომსახურების ხარჯებში ზემოთ და მოიცავს შემდეგს:

<b>ათას ლარში</b>	<b>აუდიტი</b>	<b>აუდიტთან დაკავშირებული</b>	<b>სხვა მომსახურება</b>	<b>სულ</b>
<b>2022</b>				
თიბისი ბანკი ჯგუფის და შვილობილი საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	1,894	-	-	1,894
თიბისი ბანკი ჯგუფის და შვილობილი საწარმოების შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა	-	201	-	201
სხვა მარწმუნებელი მომსახურება	-	-	984	984
<b>სულ აუდიტორების გასამრჯელო</b>	<b>1,894</b>	<b>201</b>	<b>984</b>	<b>3,079</b>
<b>2021</b>				
თიბისი ბანკი ჯგუფის და შვილობილი საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	1,623	-	-	1,623
თიბისი ბანკი ჯგუფის და შვილობილი საწარმოების შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა	-	480	-	480
სხვა მარწმუნებელი მომსახურება	-	-	932	932
<b>სულ აუდიტორების გასამრჯელო</b>	<b>1,623</b>	<b>480</b>	<b>932</b>	<b>3,035</b>

ზედა ცხრილში საკომისიოები გადასახადების გამოკლებით არის წარმოდგენილი. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 910 ათასი ლარი (ასახულია ცხრილში სხვა მომსახურებაში) მიკუთვნება 2021 წლის ოქტომბერში AT1 თამასუქების გამოშვებასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის. აღნიშნული თანხა არ არის ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი, ვინაიდან იგი ოპერაციის განუყოფელი ნაწილია და შესულია ინსტრუმენტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში.

**33. მოგების გადასახადი**

მოგებიდან გადასახადის სარგებელი/(ხარჯი) მოიცავს შემდეგს:

<b>ათას ლარში</b>	<b>2022</b>	<b>2021</b>
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	144,919	121,305
საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი	112,877	-
გადავადებული საგადასახადო შეღავათი	(10,971)	(2,027)
<b>წლის მოგების გადასახადის ხარჯი, სულ</b>	<b>246,825</b>	<b>119,278</b>

2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებულ მოდელში, რაც ფინანსური დაწესებულებებისთვის ძალაში შევიდა 2023 წლიდან.

გამოცხადებული ცვლილებების მიხედვით, ფინანსური სექტორი აღარ გადავა ესტონურ საგადასახადო მოდელზე, რომლის მიხედვითაც ბანკებისთვის გამოწვეული დაიშვებოდა გაუნაწილებელი მოგებიდან მოგების გადასახადის გადახდიდან და მხოლოდ მოეთხოვებოდათ 15%-იანი მოგების გადასახადის გადახდა განაწილებული მოგებიდან.

ცვლილებას მოგების გადასახადით დაბეგვრის მოდელში მყისიერი გავლენა აქვს გადავადებული გადასახადის

**33. მოგების გადასახადი გაგრძელება**

ნაშთებზე და შესაბამის მოგების გადასახადის ხარჯზე, რომელიც მიკუთვნებოდა ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვის ნაშთებს შორის წინა პერიოდებში წარმოშობილი დროებითი სხვაობებისთვის. ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, საგადასახადო ორგანოები ბანკებისგან მოითხოვენ საგადასახადო და ფასს-ის საფუძველზე წინა რეზერვების გამოთვლებს შორის სხვაობების მეშვეობით მიღებული საგადასახადო შეღავათების ანაზღაურებას. მეორე მხრივ, საგადასახადო და ფასს-ის საფუძველზე საპროცენტო შემოსავლის და საგადასახადო მუხლების გათანაბრების საკითხს ჯერ კიდევ განიხილავენ საგადასახადო ორგანოები.

ამ ცვლილებების შედეგად, ჯგუფმა აღიარა წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და შესაბამისი გადავადებული საგადასახადო ხარჯი 112,877 ათასი ლარის ოდენობით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გარდა ამისა, 2023 წლის ეფექტით, ბანკებისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-დან 20%-მდე გაიზარდა, ხოლო დივიდენდები აღარ დაიბეგრება 5%-იანი გადასახადით დივიდენდებიდან.

მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები მარეგულირებელი ორგანოების მიმართ, როგორც წესი, კვარტალურად გადაიხდება. თანხა გამოითვლება წინა წლის მიმდინარე მოგების გადასახადის თანხის გაყოფით 4 თანაბარ ნაწილად.

მოგების გადასახადის საშუალო შენონილი განაკვეთი 2022 წელს არის: 15% (2021 წ.: 15%), როდესაც საგადასახადო განაკვეთი, რომლითაც იბეგრება შვილობილი საწარმოების შემოსავლის უდიდესი ნაწილი, 15%-დან 20%-მდე მერყეობდა (2021 წ.: 15%-20%).

ქვემოთ მოცემულია მოსალოდნელი და ფაქტობრივი საგადასახადო (სარგებლის)/ხარჯის შეჯერება:

<b>ათას ლარში</b>	<b>2022</b>	<b>2021</b>
<b>კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი</b>	<b>15% – 20%</b>	<b>15% – 20%</b>
<b>დასაბეგრი მოგება</b>	<b>1,269,900</b>	<b>962,223</b>
თეორიული გადასახადის დანარიცხი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით (15%-20%)	190,594	144,310
<b>იმ მუხლების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვას ან დაკავებას არ ექვემდებარება:</b>		
- გადასახადისგან გათავისუფლებული შემოსავალი	(38,636)	(25,447)
- გამოუქვითავი ხარჯები	187	158
- საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების მოსალოდნელი ეფექტი	94,716*	343
- სხვა სხვაობები	(36)	(86)
<b>სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>246,825</b>	<b>119,278</b>

\*თანხა წარმოადგენს 2022 წლის საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების შედეგს, შემცირებულს გადავადებული შემოსავლის გადასახადით, რომელიც დაირიცხებოდა 2022 წელს, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება რომ არ მომხდარიყო.

სხვაობები ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოსა და საქართველოსა და აზერბაიჯანში საგადასახადო რეგულირებას შორის წარმოშობს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. ამ დროებითი სხვაობების მოძრაობის საგადასახადო ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ და აღირიცხება 15%-ით (2021 წ.: 15%) საქართველოსთვის და 20%-ით აზერბაიჯანისთვის (2021 წ.: 20%).

შემოსავალი, რომელიც არ იბეგრება გადასახადით, მოიცავს საპროცენტო შემოსავალს სებ-ში განთავსებებიდან, საქართველოს მთავრობის სახაზინო თამასუქებს და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების ფასიან ქაღალდებს. არაგამოქვითავი ხარჯები მოიცავს გადახდილ ჯარიმებს და საქველმოქმედო ხარჯებს ბენეფიციარისთვის, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციებად.

**33. მოგების გადასახადი გაგრძელება**

გადავადებული საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

<b>ათას ლარში</b>	<b>1 იანვარი, 2022 წ.</b>	<b>მოგების ან ზარალის კრედიტში/ (დებეტი) გატარებული</b>	<b>საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი</b>	<b>ვალუტის კონვერტაციის ეფექტი</b>	<b>31 დეკემბერი, 2022 წ.</b>
<b>(დაბეგვრადი)/გამოქვითავი დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდზე გადატანის საგადასახადო ეფექტი</b>					
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	(1,162)	1,157	(50,882)	-	(50,887)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	(13,399)	15,230	-	16	1,847
სხვა ფინანსური აქტივები	4,110	(4,092)	4,736	-	4,754
სხვა აქტივები	-	265	64	-	329
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(368)	368	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	123	(128)	(719)	-	(724)
სხვა ვალდებულებები	(922)	866	(867)	-	(923)
აქციებზე დაფუძნებული გადახდა გუდვილი	2,695	(2,695)	4,302	-	4,302
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	(4,987)	-	(4,987)
ერთჯერადი ანაზღაურება საგადასახადო და ფასს-ის სხვადასხვა საფუძვლის გამო	-	-	(423)	-	(423)
ერთჯერადი ანაზღაურება საგადასახადო და ფასს-ის სხვადასხვა საფუძვლის გამო	-	-	(64,101)	-	(64,101)
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი</b>	<b>(8,923)</b>	<b>10,971</b>	<b>(112,877)</b>	<b>16</b>	<b>(110,813)</b>
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,056	(8)	-	16	2,064
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(10,979)	10,979	(112,877)	-	(112,877)
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი</b>	<b>(8,923)</b>	<b>10,971</b>	<b>(112,877)</b>	<b>16</b>	<b>(110,813)</b>

**33. მოგების გადასახადი გაგრძელება**

<i>ათას ლარში</i>	<b>1 იანვარი, 2021 წ.</b>	<b>მოგების ან ზარალის კრედიტში/(დებეტი) გატარებული</b>	<b>31 დეკემბერი, 2021 წ.</b>
<b>(დაბეგრადი)/გამოქვითვადი დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდზე გადატანის საგადასახადო ეფექტი</b>			
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	(3,781)	2,619	(1,162)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	(18,617)	5,218	(13,399)
სხვა ფინანსური აქტივები	2,608	1,502	4,110
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(1,684)	1,316	(368)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(461)	584	123
სხვა ვალდებულებები	(2,333)	1,411	(922)
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	1,368	1,327	2,695
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	11,950	(11,950)	-
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>(10,950)</b>	<b>2,027</b>	<b>(8,923)</b>
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,134	(78)	2,056
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(13,084)	2,105	(10,979)
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>(10,950)</b>	<b>2,027</b>	<b>(8,923)</b>

ჯგუფის არსებული სტრუქტურისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის კონტექსტში, ჯგუფის სხვადასხვა კომპანიის საგადასახადო ზარალი და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ გაიქვითოს ჯგუფის სხვა კომპანიების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან და დასაბეგრ მოგებასთან. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი უკავშირდება ერთსა და იმავე დასაბეგრ სამეურნეო სუბიექტს და ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოს.

**34. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯამება**

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების მოძრაობა თითოეულ წარმოდგენილ პერიოდში. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ფინანსური საქმიანობა.

<i>ათას ლარში</i>	<b>სხვა ნასესხები სახსრები</b>	<b>გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები</b>	<b>სუბორდინირებული ვალი</b>	<b>საიჯარო ვალდებულებები</b>	<b>სულ</b>
<b>ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>					
შემოსულობა ძირითადი თანხის მოძრაობიდან	1,750,443	242,287	-	-	<b>1,992,730</b>
ძირითადი თანხის გამოსყიდვა	(3,337,495)	-	(12,562)	(12,825)	<b>(3,362,882)</b>
წმინდა პროცენტის მოძრაობა**	(30,002)	2,710	(191)	63	<b>(27,420)</b>
სხვა არაფულადი მუხლების მოძრაობა*	-	-	-	18,462	<b>18,462</b>
სავალუტო კურსის კორექტირებები	(68,607)	(80,811)	(36,340)	(3,766)	<b>(189,524)</b>
<b>ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>2,659,418</b>	<b>1,583,699</b>	<b>623,647</b>	<b>56,522</b>	<b>4,923,286</b>
შემოსულობა ძირითადი თანხის მოძრაობიდან	2,501,875	3,504	62,578	-	<b>2,567,957</b>
ძირითადი თანხის გამოსყიდვა	(1,731,699)	(205,898)	(13,710)	(13,099)	<b>(1,964,406)</b>
წმინდა პროცენტის მოძრაობა**	5,318	13,765	2,921	284	<b>22,288</b>
სხვა არაფულადი მუხლების მოძრაობა*	-	(6,951)	-	36,553	<b>29,602</b>
სავალუტო კურსის კორექტირებები	(184,517)	(178,306)	(85,288)	(8,020)	<b>(456,131)</b>
<b>ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,250,395</b>	<b>1,209,813</b>	<b>590,148</b>	<b>72,240</b>	<b>5,122,596</b>

\* სხვა არაფულადი მოძრაობა წარმოადგენს ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებით გაფორმებულ იჯარებს გამოკლებული შეწყვეტილი იჯარები და შემოსულობას გამოწვეული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვიდან.  
 \*\*წმინდა პროცენტის მოძრაობა მოიცავს დარიცხულ პროცენტს და გადახდილ პროცენტს. პროცენტი გადახდილი სხვა ნასესხებ სახსრებზე, გამოწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები, სუბორდინირებული ვალი და საიჯარო ვალდებულებები ასახულია საოპერაციო ფულადი ნაკადების გადახდილი პროცენტის მუხლში.

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა**

**საკრედიტო ხარისხი**

ფინანსური აქტივის ტიპიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეიძლება გამოიყენოს აქტივის საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო, მათ შორის სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's, Fitch) მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგები, საკრედიტო ბიუროს მიერ მინიჭებული საკრედიტო ქულები და ჯგუფის შიგნით შემუშავებული საკრედიტო რეიტინგები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ჯგუფის შიგნით შექმნილი საკრედიტო ხარისხის კატეგორიებად, ერთდროულად შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის ინფორმაციისა და კონკრეტული კრედიტისთვის სპეციფიკური სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით (მაგ. ვადაგადაცილება). ჯგუფი განსაზღვრავს საკრედიტო ხარისხის შემდეგ კატეგორიებს:

- ძალიან დაბალი რისკი – კრედიტები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების ძლიერ უნარს;
- დაბალი რისკი – კრედიტები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების საკმარის უნარს;
- საშუალო რისკი – კრედიტები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების დამაკმაყოფილებელ უნარს;
- მაღალი რისკი – კრედიტები საჭიროებს თვალყურის მკაცრად დევნებას, და
- დეფოლტი – კრედიტები დეფოლტის სიტუაციაში, საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას ჯგუფი უყრდნობა იყენებს ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (“EAD”), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ პერსპექტიულ ინფორმაციას, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ჯგუფი მიმართავს სამი სტადიის მოდელს და თავის მსესხებლებს მიაკუთვნებს სამ სტადიას: ჯგუფი თავის კრედიტის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყოს საკრედიტო დეფოლტის სიტუაციაში საწყისი აღიარებისას. კრედიტის ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა დეფოლტის სიტუაციაში მყოფად. კრედიტის ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია დეფოლტის ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება კრედიტის ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით. პირველი სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიენეროს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში პოტენციურად დამდგარ დეფოლტის მოვლენებს.

მეორე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიენეროს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. ისეთი ფაქტორები, როგორცაა ხელშეკრულების მიხედვით დაფარვის გრაფიკის არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების უფლებები და მონიტორინგის პროცესები ჯგუფის მხრიდან მოქმედებს ვადის განსაზღვრაზე. მესამე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

**დეფოლტის განმარტება**

ფინანსური აქტივები, რომლებისთვისაც ჯგუფმა გამოავლინა მინიმუმ ერთი ზარალის დადგომის შემთხვევა, მიეკუთვნება მე-3 სტადიას.

ჯგუფი დეფოლტის განმარტებისთვის იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას. მსესხებელი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, თუ შემდეგი პირობებიდან ერთი მაინც დადგება:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე გადახდა 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული;
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლების შემთხვევაში, ჯგუფი დამატებით იყენებს კრიტერიუმებს, რაც შეუზღუდავად მოიცავს შემდეგს: გაკოტრების პროცედურა, მნიშვნელოვანი თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში, რამაც სერიოზულად იმოქმედა მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ხელშეკრულების პირობების დარღვევა და სხვა. მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორაციული მსესხებლების შემთხვევაში, დეფოლტის გამოვლენა ხდება კონტრაჰენტის დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ აღირიცხება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი. რაც შეეხება საცალო და მიკრო კრედიტებს, გამოიყენება დეფოლტის განმარტება საკრედიტო ინსტრუმენტის დონეზე, „პულინგ ეფექტის“ (ზღვარი, რომლის ზემოთაც მთლიანი დავალიანება ჩაითვლება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად) დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით. თუ დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტის ოდენობა აღემატება წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს, ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, იგი ამ კატეგორიაში რჩება იმ დრომდე, ვიდრე ველარ დააკმაყოფილებს დეფოლტის კრიტერიუმებს ექვსი თანმიმდევრული თვის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კრედიტი აღარ არის დეფოლტის სიტუაციაში (ანუ დეფოლტი გამოსწორდა). იმის გასაანალიზებლად,

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

თუ რამდენად მოსალოდნელია, რომ დეფოლტის აღმოფხვრის შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტი დაუბრუნდეს დეფოლტის სიტუაციაში მყოფის სტატუსს, ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადა განისაზღვრა. კრედიტები, რომლებიც გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე დეფოლტის მდგომარეობიდან, იქ წარჩუნდება გარკვეული ვადით, სანამ გადავა 1-ელ სტადიაზე და კვლავ კლასიფიცირდება, როგორც სრულად მოქმედი ინსტრუმენტები.

**საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა**

ფინანსური აქტივები, რომლებზეც ჯგუფი აღმოაჩენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას მათი შექმნის თარიღის შემდეგ, მიეკუთვნება მე-2 სტადიას. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლების აღიარება ხდება ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი ეხება მსესხებლის მახასიათებლებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს იყენებს.

*რაოდენობრივი კრიტერიუმები*

რაოდენობრივ საფუძველზე ჯგუფი აფასებს საწყისი აღიარების შემდეგ თითოეული კონკრეტული კრედიტის მოცულობის დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას და მას აღარებს წინასწარ დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს. როდესაც აბსოლუტური ცვლილება დეფოლტის ალბათობაში აღემატება მოქმედ ზღვარს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრედიტის მოცულობა გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებელი ვრცელდება საცალო და მიკრო სეგმენტებზე, სადაც ჯგუფს აქვს საკმარისი რაოდენობის ემპირიული მონაცემები.

*ხარისხობრივი კრიტერიუმები*

ფინანსური აქტივი გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგი ხარისხობრივი კრიტერიუმებიდან ერთი მაინც დაფიქსირდება:

- სახელშეკრულებო დაფარვის ვადაგადაცილების 30-დღიანზე მეტი პერიოდი;
- კრედიტი რესტრუქტურისებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში;
- მსესხებელი მიეკუთვნება „საყურადღებოს“ კატეგორიას.

ჯგუფს არ უარუყვია ვარაუდი, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოშობის შემდეგ, როდესაც ფინანსური აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ეს ხარისხობრივი მაჩვენებელი, სესხის რესტრუქტურისაციასთან ერთად, გამოიყენება ყველა სეგმენტზე. განსაკუთრებით კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტისთვის, ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობის შემდეგ რისკის კატეგორიის გაუარესებას იყენებს, როგორც საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელს. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, მსესხებლები ნაწილდებიან რისკის სხვადასხვა კატეგორიაში. თუ არსებობს გარკვეული სისუსტეები, რომლებმაც, მატერიალიზების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს სესხის დაფარვასთან დაკავშირებით პრობლემები, მსესხებლები მიეკუთვნებიან „საყურადღებოს“ კატეგორიას. მიუხედავად იმისა, რომ საყურადღებო მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა საკმარისია ვალდებულებების დასაფარად, ამ მსესხებლების მკაცრი მონიტორინგი ხდება და გარკვეული ზომები მიიღება პოტენციური სისუსტეების შესამცირებლად. როდესაც ხდება მსესხებლის კლასიფიცირება „საყურადღებოს“ კატეგორიაში, იგი გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე. თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის რომელიმე ზემოთ აღწერილი მაჩვენებელი გამოვლინდება, ფინანსური ინსტრუმენტი გადავა მე-2 სტადიაზე. ფინანსური აქტივი შეიძლება დაუბრუნდეს 1-ელ სტადიას, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლები აღარ ფიქსირდება.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება**

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ორ მიდგომას მიმართავს - ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიურ შეფასებას. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება მე-2 და მე-3 სტადიების ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის. გარდა ამისა, ჯგუფმა შეიძლება თვითნებურად აირჩიოს გარკვეული კრედიტის მოცულობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შეფასებისთვის, ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის დეპარტამენტების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

ჯგუფი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდს იყენებს ინდივიდუალური შეფასებით ამოსაღები თანხის დასადგენად. ანაზღაურებადი ღირებულების ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად ჯგუფი მიმართავს სცენარული ანალიზის მიდგომას. სცენარები შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკური ინფორმაციისა და სამომავლო პროგნოზის, მსესხებლის საქმიანობის სფეროს ან უზრუნველყოფის საგნის ღირებულების ცვლილების მიხედვით. სცენარული ანალიზის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს თითოეული სცენარისთვის ანაზღაურებადი ღირებულების პროგნოზირებას და აფასებს შესაბამის ზარალებს. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალების საშუალო შენონილი, რომელიც შეიწონება სცენარის დადგომის ალბათობით.

არამნიშვნელოვანი და არაგაუფასურებული მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის ჯგუფი კოლექტიურად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კოლექტიური შეფასებისა და რისკის პარამეტრების განსაზღვრის მიზნებისთვის, კრედიტი იყოფა რისკის ერთგვაროვან ჯგუფებად, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლებში, სხვებთან ერთად, შედის: სტადია (1-ელი, მე-2 ან მე-3 სტადია), კონტრაჰენტის ტიპი (ფიზიკური თუ იურიდიული პირი), პროდუქტის ტიპი, რეიტინგი (გარე ან შიდა), ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურისაციის სტატუსი, დეფოლტის კატეგორიაში ყოფნის თვეების რაოდენობა ან სხვა მახასიათებლები, რომლებმაც შეიძლება განასხვავონ გარკვეული ქვესეგმენტები რისკის პარამეტრის შეფასების მიზნებისთვის. ჯგუფების რაოდენობა განსხვავდება სხვადასხვა პროდუქტის/სეგმენტის მიხედვით, პორტფელის სპეციფიკიდან და თითოეულ ჯგუფში მონაცემების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. კოლექტიური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების სიმრავლის ჯამი: დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება. დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, რომლებიც განისაზღვრება ქვემოთ მოცემული განმარტების მიხედვით და დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გამოთვლის მთავარი პრინციპებია:

**დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება**

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოცულობას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დადგომის მომენტისთვის. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პარამეტრი, რომელიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნით, დროზე დამოკიდებული, ანუ ჯგუფი უშვებს პარამეტრის სხვადასხვა სიდიდის გამოყენებას მომდევნო დროით პერიოდებზე კრედიტის ოდენობის არსებობის მანძილზე. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ასეთი სტრუქტურა გამოიყენება ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც მიეკუთვნება პირველ და მეორე სტადიებს. მესამე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტების და დეფოლტის სიტუაციაში მყოფი შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ვექტორი შედგება ერთი ელემენტისგან, სადაც მიმდინარე დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ერთადერთი სიდიდეა. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება სხვადასხვანაირად განისაზღვრება სახელშეკრულებო დაფარვის გრაფიკის მქონე ამორტიზებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის და განახლებადი ინსტრუმენტებისთვის. ამორტიზებადი პროდუქტების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება გამოითვლება ძირითადი თანხის და პროცენტის სახელშეკრულებო დაფარვების გათვალისწინებით 12-თვიანი ვადის განმავლობაში 1-ელ სტადიაში განაწილებული ინსტრუმენტებისთვის და მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში დანარჩენი ინსტრუმენტებისთვის. იგი დამატებით კორექტირდება, რათა ასახოს წინასწარ გადახდების გამო კრედიტის ოდენობის შემცირების ეფექტი – კერძოდ, სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტი. სრულად წინსწრებით დაფარვის განაკვეთის პარამეტრი წარმოადგენს იმის ალბათობას, რომ ფინანსური ინსტრუმენტი სრულად დაიფარება წინასწარ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე. სრულად წინსწრებით დაფარვის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის, ჯგუფი ითვალისწინებს დაფარვის ვადამდე სრულად გადახდილი ხელშეკრულებების ისტორიულ მონაცემებს. განახლებადი საკრედიტო ხაზების შემთხვევაში, ბანკი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას გამოითვლის მოსალოდნელი ლიმიტის ათვისების პროცენტულობის საფუძველზე, დეფოლტის მოვლენის დადგომის შემთხვევაში.

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

**დეფოლტის ალბათობა**

დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აღწერს ინსტრუმენტის დეფოლტის დადგომის ალბათობას გარკვეული დროის პერიოდში. იგი აფასებს იმის ალბათობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაფარვას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დროზე დამოკიდებულია (ანუ აქვს კონკრეტული ვადიანობის სტრუქტურა) და ვრცელდება ყველა მოქმედ (არადეფოლტირებულ) ხელშეკრულებაზე. მხედველობაში მიიღება კლიენტების სხვადასხვა სეგმენტის სპეციფიკური ხასიათი, რომლებისთვისაც დეფოლტის ალბათობა განისაზღვრება, ასევე უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ მათ მიდრეკილებას დეფოლტისკენ და დეფოლტის ალბათობა მოდელირდება სხვადასხვაგვარად საცალო და მიკრო სეგმენტებისა და კორპორაციული და მცირე და საშუალო სანარმოების სეგმენტებისთვის. დეფოლტის ალბათობის შეფასების მიდგომა ასევე დიფერენცირებულია სხვადასხვა დროის მონაკვეთისთვის და დამატებით კორექტირდება ამ პერიოდისთვის პროგნოზირებული მაკროეკონომიკური ცვლილების მოსალოდნელი გავლენის მიხედვით (იხილეთ „საპროგნოზო ინფორმაციის“ თავი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში მაკროეკონომიკური მოლოდინების ჩართვის შესახებ დანვრისებრი ინფორმაციისთვის). საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირება დეფოლტის ალბათობაზე გამოიყენება სამწლიანი პერიოდისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკურ პროგნოზებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა შეიძლება უფრო გრძელ ვადას მოიცავდეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა გამოიყენება: 12-თვიანი და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა. არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის ალბათობის შეფასებას და იგი წარმოადგენს 12-თვიანი ზღვრული დეფოლტის ალბათობების ჯამს ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში. ჯგუფი დეფოლტის ალბათობის მოდელისთვის, როგორც წესი, მიმართავს რაოდენობაზე დაყრდნობილ მიდგომას, თუმცა არაერთგვაროვანი პორტფელების შემთხვევაში გამოიყენება რისკით შენონილი მიდგომა. ჯგუფი იყენებს სხვადასხვა სტატისტიკურ მეთოდს, როგორცაა 12-თვიანი დეფოლტის ალბათობების ექსტრაპოლაცია მიგრაციის მატრიცების საფუძველზე, არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის მრუდის შედგენა დეფოლტის ისტორიული მონაცემების საფუძველზე და გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის თანდათანობითი თანხვედრა დეფოლტის გრძელვადიან მაჩვენებელთან.

**ზარალი დეფოლტის შემთხვევაში**

დეფოლტის შემთხვევაში ზარალის პარამეტრი წარმოადგენს კრედიტის მოცულობის წილს, რომელიც სამუდამოდ (ანუ ანაზღაურებლად) დაიკარგება, თუ მსესხებელი აღმოჩნდება დეფოლტის სიტუაციაში. რაც შეეხება პირველი სტადიისა და მეორე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ფასდება თითოეული პერიოდისთვის ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე და ასახავს მოსალოდნელი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს ამ პერიოდისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის თარიღის შემდეგ. რაც შეეხება მესამე სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს საანგარიშგებო თარიღისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ამ ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასება განსხვავდება კონტრაჰენტის ტიპის, სეგმენტის, პროდუქტის ტიპის, სეკურიტიზაციის დონის და ისტორიული ემპირიული მონაცემების არსებობის მიხედვით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ზოგადი შეფასების პროცესი, რომელსაც ჯგუფი იყენებს, ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ კრედიტის დეფოლტის შემდეგ ორი ურთიერთგამომრიცხავი სცენარი შესაძლებელია. კრედიტი ან ტოვებს დეფოლტის მდგომარეობას (დეფოლტის გამოსწორების სცენარი) ან არ ტოვებს დეფოლტის მდგომარეობას და დაექვემდებარება ამოღების პროცესს (არაგამოსწორების სცენარი). შეფასების პროცესში გათვალისწინებულია იმის ალბათობა, რომ კრედიტი კვლავ განიცდის დეფოლტს გამოსწორების სცენარში. რისკის პარამეტრები, რომლებიც ორივე სცენარს ეხება, ანუ გამოსწორების და ამოღების მაჩვენებლები, ფასდება მიგრაციის მატრიცების მიდგომით, სადაც რისკის ჯგუფები განისაზღვრება დეფოლტის სიტუაციაში ყოფნის თანმიმდევრული თვეების მიხედვით.

ჯგუფი დეფოლტის შემთხვევაში ზარალის თითოეული პორტფელისთვის განსაზღვრავს ამოღების დროის მონაკვეთს, დეფოლტის თარიღიდან, რომლის შემდეგაც არსებითი ამოღებები ნავარაუდევია არ არის. თანხების ამოღების ვადა განისაზღვრება მონაცემების ანალიზით და ექსპერტის განსჯით. გარკვეული პორტფელებისთვის, ზოგადი მიდგომის ალტერნატიული ვერსიები შეიძლება იქნეს გამოყენებული ემპირიული მონაცემების შეზღუდულობის გამო. მნიშვნელოვანი კორპორაციული კრედიტების შემთხვევაში, ჯგუფი მიმართავს დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელირების მეთოდს,

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

რომელიც ეყრდნობა ისტორიული დეფოლტებიდან რეალიზებულ ამოღებებს, დაკორექტირებულს ინდივიდუალურად შეფასებული, დეფოლტის სიტუაციაში მყოფი კრედიტების სამომავლო ამოღებების აპროქსიმაციით. მცირე და საშუალო საწარმოებისა და არამნიშვნელოვანი კორპორაციული მსესხებლების დეფოლტის შემთხვევაში ზარალის მოდელირების მიზნით, ჯგუფი აფასებს უზრუნველყოფის საგნის ანაზღაურებად ღირებულებას და უშვებს, რომ ფულადი სახსრების ამოღება არ არის მოსალოდნელი. უზრუნველყოფის საგნიდან ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად ჯგუფი იყენებს შესაბამის შემცირებას, რომელიც განისაზღვრება უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპისთვის და ახდენს მათ დისკონტირებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთით რეალიზაციის პერიოდზე. გარდა ამისა, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ისტორიული მონაცემების მონაკვეთი უნდა გამოიყენოს ამოღებების მოდელირებისთვის.

**საპროგნოზო ინფორმაცია**

მიუკერძოებელი, ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოითხოვს მასში გონივრული დანახარჯით ან ძალისხმევით მოპოვებული საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვას. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის, ჯგუფი სამ მაკრო სცენარს განსაზღვრავს. სცენარები განისაზღვრება, როგორც საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო), ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი) და პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი) სცენარები. საბაზისო მაკროეკონომიკური სცენარის მისაღებად, ჯგუფი ითვალისწინებს პროგნოზებს სხვადასხვა გარე წყაროდან – საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები – რათა უზრუნველყოს საბაზრო მოლოდინების კონსენსუსი. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განისაზღვრება ჯგუფის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემით.

ჯგუფი იყენებს სტატისტიკურ მოდელებს და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის ისტორიულ ურთიერთქმედებას და დეფოლტზე დაკვირვებებს, რათა გააკეთოს საპროგნოზო კორექტირებები. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოდელები არ იძლევა გონივრულ შედეგებს სტატისტიკური ან ბიზნესის თვალსაზრისით, ჯგუფმა შეიძლება გამოიყენოს ექსპერტის განსჯა ან მიმართოს ალტერნატიულ მეთოდს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი სტატისტიკურ მოდელებზე დაყრდნობით აკეთებს საპროგნოზო კორექტირებებს ყველა სეგმენტში, კორპორაციული გარდა. კორპორაციულ სეგმენტში, იმის გამო, რომ სტატისტიკური მოდელები უმნიშვნელოა, ჯგუფი არ მიმართავს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებას. საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს მიენიჭა 50%, 25% და 25% ალბათობა, შესაბამისად.

საპროგნოზო ინფორმაცია ჩართულია საცალო და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პორტფელების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ შეფასებაში და ინდივიდუალურად შეფასებულ დავალიანებებში.

**მოდელის მართვა და გადამოწმება**

ჯგუფი რეგულარულად გადაამოწმებს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს, რომ შეამციროს ყოველგვარი სხვაობა წინასწარ შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის. ასეთი უკუტესტირება ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. უკუტესტირების პროცესის ფარგლებში ჯგუფი აფასებს რისკის პარამეტრების ფაქტობრივ რეალიზაციას და მათ შესაბამისობას მოდელის წინასწარ შეფასებებთან. გარდა ამისა, უკუტესტირების პროცესში ასევე ხდება სტადიებად დაყოფის კრიტერიუმების გაანალიზება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები ეცნობება ჯგუფის ხელმძღვანელობას და, უფლებამოსილ პირებს შორის შემდგარი განხილვების შედეგად, მოდელის და დაშვებების დასახვეწი შემდგომი ნაბიჯები განისაზღვრება.

**რისკის მართვა**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუფასურების მოდელები შემუშავდა შიდა საკრედიტო რისკის მართვის განყოფილების მიერ გარე კონსულტანტების მონაწილეობით. განყოფილება მოდელების მეშვეობით ყოველთვის უზრუნველყოფს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ისინი ასევე პასუხისმგებლები არიან მოდელის უკუტესტირებაზე, ანალიზსა და მართვაზე.

ეკონომიკურ სცენარებს და ალბათობის წონებს ამზადებს მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებული ყველა დაშვება, მოდელირების შემდგომი კორექტირებებისა და მოდელირებული შედეგის ზრდის ჩათვლით, გადის შემოწმებისა და დამტკიცების პროცესს:

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

- მთავარი ეკონომისტი გადაამოწმებს და ამტკიცებს საპროგნოზო სცენარებს და შესაბამის წონებს;
- შიდა რეზერვების კომიტეტი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოყენებული ვარაუდებისა და განსჯის მართებულობას, ასევე მოდელირების შემდგომ კორექტირებებს და მოდელირებული შედეგის ზრდას; შიდა კომიტეტში შედიან საწარმოს რისკის მართვის, პორტფელის საკრედიტო რისკის მართვის განყოფილებების უფროსები და რისკების დირექტორი, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შედეგებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

**კლიმატის რისკი.** ჯგუფის ყველაზე მსხვილი ოპერაციები თავს იყრის საქართველოში, შესაბამისად, ხელმძღვანელობა კლიმატის რისკის მიმოიხილვას ახდენს საქართველოს პოზიციიდან. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში მოცემულია სხვადასხვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებსაც თიბისი ბანკმა დააყრდნო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციური გავლენის განსაზღვრა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე. გარდამავლობის (მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის) რისკების და ფიზიკური (კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ფიზიკური გამოვლინებების) რისკების პოტენციური გავლენა რომ შევაჯამოთ, გარდამავლობის რისკები საქართველოში დაბალია, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი უკავია ვაჭრობას და მომსახურებას და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, საერთო ჯამში მცირე გავლენას მოახდენს ეკონომიკის სექტორებზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია ითვალისწინებს, რომ საქართველო გარდამავალი და მზარდი ეკონომიკა და ამიტომ სახელმწიფოს სტრატეგია არ დააბრკოლოს მშპ-ის ზრდა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებებით, არამედ, პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაუჭიროს უმტკივნეულო გადასვლას მწვანე ეკონომიკაზე. აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებზეც ყველაზე მეტად მოქმედებს გარდამავლობის რისკები მთელ მსოფლიოში, როგორცაა ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის და ლითონის მადნების მოპოვება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების წარმოება მინიმალურად არის საქართველოში წარმოდგენილი, რის გამოც გარდამავალი ღონისძიებების საერთო გავლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკურ ზრდაზე დაბალია. სასესხო პორტფელის კლიმატთან დაკავშირებული რისკების უკეთ გასააზრებლად ბანკმა ჩაატარა მალალი დონის სექტორული რისკის შეფასება, ვინაიდან სხვადასხვა სექტორი შეიძლება მოწყვლადი იყოს კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის მიმართ დროის სხვადასხვა მონაკვეთში; ამასთან ბანკმა ჩაატარა საკრედიტო პორტფელის სტრეს-ტესტი კლიმატთან მიმართებით.. სასესხო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტივების უდიდესი ნაწილი განაწილებულია დროის მონაკვეთებზე, რომლებიც ბევრად უფრო ხანმოკლეა, ვიდრე დრო, რომლის განმავლობაშიც მატერიალიზდება კლიმატური ცვლილების გავლენები საქართველოში. ეს განსაკუთრებით ეხება ფიზიკურ რისკებს. აქედან გამომდინარე, ბანკს არ მოუხდენია უშუალოდ კლიმატის რისკთან დაკავშირებული რეზერვების დონის რამენაირი კორექტირება. მეორე მხრივ, კლიმატთან დაკავშირებული იმ რისკების გააზრება, რომლებსაც უფრო გრძელვადიანი შედეგი აქვს, უნდა გაუმჯობესდეს მომდევნო წლებში, ამიტომ როდესაც ბანკს ექნება უფრო დამატებითი ანალიზი, იგი კიდევ უფრო დახვეწავს მიდგომას კლიმატის რისკისთვის დარეზერვებისადმი. ამასთან დაკავშირებით, მოდელირების შემდგომი კორექტირებები ან მოდელირებული შედეგის ზრდა ბულალტრულად არ გატარებულა 2022 წელს.

**რისკის გეოგრაფიული კონცენტრაცია**

აქტივები, ვალდებულებები, საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები ზოგადად გეოგრაფიულ რეგიონებზე ნაწილდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში მდებარეობდა კონტრაჰენტი. ოფშორული კომპანიებისთვის გადასახდელი ან მათგან მისაღები მიმდინარე ნაშთები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ კონტრაჰენტებს, გაერთიანებულია სათაურ „საქართველოს“ ქვეშ. ნაღდი ფული და შენობები და აღჭურვილობა განაწილებულია იმ ქვეყნის მიხედვით, რომლებშიც ისინი ფიზიკურად მდებარეობას.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია გეოგრაფიული კონცენტრაცია დაფუძნების ქვეყნის მიხედვით. ეთგოს და არა-ეთგოს რეზიდენტი მომხმარებლებისთვის, ასევე ქართველი მომხმარებლებისთვის, გადასახდელი სესხები და ავანსები გამოშვებულია იმ საწარმოებისთვის, რომელთა უმრავლესობაც მდებარეობს და საქმიანობს საქართველოში.

მსაჯურად სიმართლად ცნობადი  
რესპონსიბილურობა  
საინფორმაციო ტრანსპარენტობა  
საინფორმაციო ტრანსპარენტობა

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ დაფუძნების ქვეყნების მიხედვით:

ათას ლარში	საქართველო	ეგოთ	არა-ეგოთ	სულ
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,074,615	1,683,849	27,634	3,786,098
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	5,001	1,297	-	6,298
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	2,047,564	-	-	2,047,564
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	17,094,888	151,750	250,804	17,497,442
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,712,616	596,009	576,103	2,884,728
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	267,495	-	267,495
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	282,300	-	6,586	288,886
სხვა ფინანსური აქტივები	246,866	-	132	246,998
<b>ფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>23,463,850</b>	<b>2,700,400</b>	<b>861,259</b>	<b>27,025,509</b>
არაფინანსური აქტივები	1,299,611	257	3,633	1,303,501
<b>სულ აქტივები</b>	<b>24,763,461</b>	<b>2,700,657</b>	<b>864,892</b>	<b>28,329,010</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,363,669	1,930,394	591,297	3,885,360
მომხმარებელთა ანგარიშები	15,090,636	1,034,409	1,716,312	17,841,357
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,201,666	-	8,147	1,209,813
სხვა ფინანსური ვალდებულებები	250,085	433	-	250,518
საიჯარო ვალდებულებები	72,219	-	21	72,240
სუბორდინირებული ვალი	98,008	354,336	137,804	590,148
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>18,076,283</b>	<b>3,319,572</b>	<b>2,453,581</b>	<b>23,849,436</b>
არაფინანსური ვალდებულებები	208,519	1,168	4,085	213,772
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>18,284,802</b>	<b>3,320,740</b>	<b>2,457,666</b>	<b>24,063,208</b>
<b>წმინდა საბალანსო პოზიცია</b>	<b>6,478,659</b>	<b>(620,083)</b>	<b>(1,592,774)</b>	<b>4,265,802</b>
ვალდებულების შესრულების გარანტია	901,320	565,669	56,881	1,523,870
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	1,670,769	2,898	10,538	1,684,205

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ დაფუძნების ქვეყნების მიხედვით:

ათას ლარში	საქართველო	ეგოთ	არა-ეგოთ	სულ
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	987,932	593,004	14,524	1,595,460
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	26,174	16,033	30	42,237
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	2,086,113	-	-	2,086,113
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	16,104,160	126,415	316,610	16,547,185
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,440,168	496,377	1,651	1,938,196
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	246,328	-	6,012	252,340
სხვა ფინანსური აქტივები	439,224	2,749	234	442,207
<b>ფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>21,330,099</b>	<b>1,234,578</b>	<b>339,061</b>	<b>22,903,738</b>
არაფინანსური აქტივები	1,131,337	-	4,437	1,135,774
<b>სულ აქტივები</b>	<b>22,461,436</b>	<b>1,234,578</b>	<b>343,498</b>	<b>24,039,512</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,325,363	1,612,336	46,376	2,984,075
მომხმარებელთა ანგარიშები	12,805,769	1,029,719	1,048,657	14,884,145
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,578,050	-	5,649	1,583,699
სხვა ფინანსური ვალდებულებები	120,343	270	7	120,620
საიჯარო ვალდებულებები	56,253	-	269	56,522
სუბორდინირებული ვალი	109,427	357,834	156,386	623,647
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>15,995,205</b>	<b>3,000,159</b>	<b>1,257,344</b>	<b>20,252,708</b>
არაფინანსური ვალდებულებები	194,364	-	2,385	196,749
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>16,189,569</b>	<b>3,000,159</b>	<b>1,259,729</b>	<b>20,449,457</b>
<b>წმინდა საბალანსო პოზიცია</b>	<b>6,271,867</b>	<b>(1,765,581)</b>	<b>(916,231)</b>	<b>3,590,055</b>
ვალდებულების შესრულების გარანტია	724,710	675,323	165,661	1,565,694
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	2,178,835	4,197	12,317	2,195,349

**საბაზრო რისკი.** ჯგუფი ეთანხმება ბაზელის კომიტეტს, რომელიც საბაზრო რისკს განმარტავს, როგორც ბალანსურ და გარეგანსურ პოზიციებზე ზარალის რისკს, რომელსაც განაპირობებს საბაზრო ფასების მერყეობა. რისკი ძირითადად შედგება (ა) სავაჭრო პორტფელში საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებისა და აქციებისთვის დამახასიათებელი რისკებისგან და (ბ) სავალუტო რისკისგან და სასაქონლო რისკისგან მთელი ბანკის მასშტაბით. ბანკის სტრატეგია გულისხმობს სავაჭრო პორტფელის საქმიანობაში ან სასაქონლო ინვესტიციებში მონაწილეობის მიღებას. შესაბამისად, ბანკის საბაზრო

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

რისკის ზემოქმედება შემოსაზღვრულია სავალუტო რისკით რომელიც წარმოიქმნება სტრუქტურული, არა-სავაჭრო (არასპეკულაციური) მიზნით წარმოებული ოპერაციებით.

**სავალუტო რისკი.** სავალუტო რისკს იწვევს პოტენციური ცვლილება უცხოური ვალუტების გაცვლით კურსებში, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. რისკის მიზეზია ღია სავალუტო პოზიციები, რომლებიც წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობების გამო. სებ-ის მოთხოვნით, ბანკს ევალება ბალანსური და მთლიანი აგრეგირებული (გარებალანსურის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი და ამ უკანასკნელის შენარჩუნება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის ოდენობით. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს დაწესებული აქვს რისკის დონის ლიმიტები ვალუტების მიხედვით და ასევე აგრეგირებული რისკის პოზიციების ლიმიტები, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მიერ დაწესებული ლიმიტები. ბანკის მხრიდან ამ ლიმიტების დაცვა ყოველდღე კონტროლდება ხაზინისა და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტების უფროსების მიერ.

2018 წლის 13 აგვისტოს სებ-მა შემოიღო ახალი რეგულაცია ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშების წესში შესული ცვლილებების თაობაზე. ამ რეგულაციის მიხედვით, 2019 წლის მარტიდან უცხოური ვალუტის საბალანსო აქტივებისთვის განკუთვნილი რეზერვები ეტაპობრივად გამოიქვითა ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშების მიზნებისთვის.

რეგულაციის სრული გამოყენება დასრულდა 2022 წლის მე-4 კვარტალში, მანამდე კოვიდ-19-ის პანდემიის გამო დროებითი შეჩერების შემდეგ.

სავალუტო რისკის მართვა ხდება საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის სავალუტო კურსის რისკის მოცულობა საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის. ღია სავალუტო პოზიციის მართვისას ჯგუფი მხედველობაში იღებს ანარიცხების იმ ნაწილს, რომლებიც გამოხატულია აშშ დოლარში, ევროში და სხვა ვალუტებში. სავალუტო სვოპის დეპოზიტების საერთო თანხა შესულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოყვანილი მთლიანი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ამოცნობა საბალანსო უწყისზე ან ლიკვიდურობის რისკის მართვის ცხრილებში შეუძლებელია, რადგან იქ წარმოდგენილია საერთო სავალუტო სვოპების წმინდა ოდენობა.

<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>				
<i>ათას ლარში</i>	<b>ფულადი ფინანსური აქტივები</b>	<b>ფულადი ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>წარმოებული ინსტრუმენტები*</b>	<b>ნეტო პოზიცია</b>
ქართული ლარი	13,454,240	10,906,671	672,019	3,219,588
აშშ დოლარი	9,116,276	10,829,585	1,696,253	(17,056)
ევრო	4,210,065	1,934,556	(2,322,418)	(46,909)
სხვა	244,928	198,532	(31,929)	14,467
<b>სულ</b>	<b>27,025,509</b>	<b>23,869,344</b>	<b>13,925</b>	<b>3,170,090</b>

\*2022 წლიდან ხელმძღვანელობა სავალუტო წარმოებული ინსტრუმენტების არადისკონტირებულ მთლიან თანხას წარმოადგენს სავალუტო რისკის მართვის ცხრილში ზემოთ, ვინაიდან იგი ასახავს ბანკის ფაქტობრივი რისკის მართვის პრინციპებს. შესაძარისი რისკები არ გადაანგარიშებულია მათი არაარსებობის გამო. წარმოებული თანხები ზემოთ ცხრილში არ ემთხვევა 39-ე შენიშვნას, ვინაიდან ის მოიცავს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს.

<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>				
<i>ათას ლარში</i>	<b>ფულადი ფინანსური აქტივები</b>	<b>ფულადი ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>წარმოებული ინსტრუმენტები</b>	<b>ნეტო პოზიცია</b>
ქართული ლარი	10,245,525	7,430,412	(339)	2,814,774
აშშ დოლარი	8,088,897	10,991,513	2,914,442	11,826
ევრო	4,420,441	1,686,875	(2,725,047)	8,519
სხვა	148,875	143,908	(39)	4,928
<b>სულ</b>	<b>22,903,738</b>	<b>20,252,708</b>	<b>189,017</b>	<b>2,840,047</b>

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს შეამცირებდა 2022 წელს 3,411 ათასი ლარით (გაზრდიდა 3,411 ათასი ლარით). ევროს 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს შეამცირებდა 2022 წელს 9,382 ათასი ლარით (გაზრდიდა 9,382 ათასი ლარით).

აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2021 წელს 2,365 ათასი ლარით (შეამცირებდა 2,365 ათასი ლარით). ევროს 20%-ით გამყარება (20%-ით გაუფასურება) ჯგუფის მოგებას ან ზარალს და საკუთარ კაპიტალს გაზრდიდა 2021 წელს 1,704 ათასი ლარით (შეამცირებდა 1,704 ათასი ლარით).

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** საპროცენტო განაკვეთის რისკს წარმოქმნის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებაზე ან სამომავლო ფულად ნაკადებზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნოს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობების, ასევე ამ აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების მახასიათებლების გამო.

ბანკის ანაბრების უმეტესობა და სესხების ნაწილი ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთშია, ხოლო ბანკის ნასესხები სახსრების ნაწილს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს. საჭიროების შემთხვევაში ბანკი ასევე იყენებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის შესამცირებლად. გარდა ამისა, ბანკის მსესხებლებზე გაცემული სესხები შეიცავს პირობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დააკორექტიროს სესხის საპროცენტო განაკვეთი საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო მერყეობის შემთხვევაში, რითაც მცირდება საპროცენტო განაკვეთის რისკი. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარუები გონივრულ ბუფერს ქმნის საპროცენტო განაკვეთის არასახარბიელო შესაძლო მერყეობის ეფექტის შესასუსტებლად.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად მიმართავს დახვეწილ სისტემას, რისთვისაც განსაზღვრავს რისკის სათანადო დასაშვებ დონეებს, ახდენს მათთან შესაბამისობის მონიტორინგს და ამზადებს პროგნოზებს. 2020 წლის სექტემბრიდან სებ-მა დაწესდა რეგულაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ და დააწესა კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძობელობის ზღვარი სებ-ის პირველადი კაპიტალის 15%-ის ოდენობით. სებ-ის საპროცენტო განაკვეთის რისკის მეთოდოლოგიის მთავარი პრინციპები და დაშვებები შეესაბამება ბაზელის სტანდარტებს და ევროპის საბანკო უწყების სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც შემუშავდა საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით.

სებ-ის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა საპროცენტო განაკვეთის პარალელური ცვლილების სცენარების მიხედვით ნარჩუნდება მონიტორინგის მიზნით, ხოლო კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძობელობა გამოითვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების 6 წინასწარ განსაზღვრული სტრესული სცენარის მიხედვით და ყველაზე უარესი სცენარის შედეგებისთვის გამოიყენება ლიმიტი.

საპროცენტო განაკვეთის რისკს მართავს ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი და მონიტორინგს ახდენს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, რომელიც განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტურად მართვისთვის საჭირო ნაბიჯებს და აკონტროლებს მათ განხორციელებას. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის და შესაბამისი ანგარიშგების მთავარი ასპექტები პერიოდულად წარედგინება ღირებულორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და რისკის კომიტეტს.

სებ-ის საპროცენტო განაკვეთის რისკის რეგულაციის და ევროპის საბანკო უწყების 2018 წლის სახელმძღვანელო მითითებების მთავარი დაშვებების თანახმად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, მოგება იქნებოდა 84 მილიონი ლარით მეტი, ძირითადად, ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივებზე უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავლის შედეგად (2021 წ.: 129 მილიონი ლარი). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, წლის მოგება 78 მილიონი ლარით ნაკლები იქნებოდა, ძირითადად ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივებზე უფრო დაბალი საპროცენტო შემოსავლის შედეგად (2021 წ.: 40 მილიონი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, სხვა სრული შემოსავალი იქნებოდა 35.6 მილიონი ლარით მეტი (2021 წ.: 57 მილიონი ლარი), რისი მიზეზიც იქნებოდა ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ



**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

შემოსავალში ასახვით, და გამოსყიდული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულების ზრდა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო, ყველა დანარჩენი ცვლადის მუდმივობის პირობით, სხვა სრული შემოსავალი იქნებოდა 35.6 მილიონი ლარით ნაკლები (2021 წ.: 60.8 მილიონი ლარი), რისი მიზეზიც იქნებოდა ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სამართლიანი ღირებულების შემცირება.

დაღმავალი ცვლილების ეფექტის ზრდა განპირობებულია მარეგულირებელი ორგანოს მიერ საპროცენტო განაკვეთის სარგებლის განახლებით, რამაც განაპირობა უცხოური ვალუტის უფრო მაღალი დაღმავალი ცვლილება. ხოლო აღმავალი ცვლილების შემცირება განპირობებულია სებ-ის ახალი რეგულაციით, რომლის მიხედვითაც დადებითი საპროცენტო განაკვეთი არ დაირიცხება უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვებზე.

ბანკი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების გავლენას ანგარიშობს როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლის, ისე ეკონომიკური ღირებულების მგრძობელობის გამოყენებით. წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა აფასებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენას, შემოსავლიანობის მრუდის სხვადასხვა ვარიანტთან ერთად, უახლოესი წლის წმინდა საპროცენტო ამონაგებზე. ეკონომიკური ღირებულება აფასებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენას, შემოსავლიანობის მრუდის სხვადასხვა ვარიანტთან ერთად, ჯგუფის აქტივების, ვალდებულებების და გარებალანსური ინსტრუმენტების დღევანდელ ღირებულებაზე. წმინდა საპროცენტო შემოსავლის და ეკონომიკური ღირებულების მგრძობელობის ანალიზის ჩატარებისას ბანკი იყენებს საპროცენტო განაკვეთების პარალელურ ცვლილებას, ასევე მთელ რიგ სხვადასხვა სცენარს. თიბისი ბანკი ყურადღებით აკონტროლებს შემოსავლიანობის მრუდის შესაძლო პარალელური ცვლილების სცენარების უარყოფით ეფექტს წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთნაირი პერიოდის განმავლობაში, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ რისკის დასაშვებ დონესთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად ბანკი აწესებს სათანადო ლიმიტებს. ბანკი აკონტროლებს ამ ლიმიტებთან შესაბამისობას და ამზადებს პროგნოზებს. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი განსაზღვრავს საჭირო ნაბიჯებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტური მართვისთვის და აკონტროლებს მის განხორციელებას. პერიოდული ანგარიშგება ხდება დირექტორთა საბჭოს და რისკის კომიტეტის საბჭოს წინაშე.

**ლიკვიდურობის რისკი.** ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ თიბისი ბანკს ან არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი, რომ დაფაროს ყველა თავისი ვალდებულება ვადის დადგომისას, ან შეუძლია ამ რესურსებზე წვდომა მხოლოდ მაღალი ხარჯით. რისკს მართავენ ფინანსური რისკის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები და მონიტორინგს უწევს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი.

თიბისი ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მთავარი ამოცანებია: (i) უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა, რათა დააკმაყოფილოს მთლიანი ვალდებულებების ან გარებალანსური ვალდებულებებისგან წარმომდგარი მოთხოვნები, როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითი, ეკონომიკურ ფასად; (ii) აღიაროს ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობა, რომელიც არსებობს თიბისი ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და დააწესოს მონიტორინგის კოეფიციენტები, რათა მართოს დაფინანსება კარგად დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და (iii) მოახდინოს ლიკვიდურობის და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნესის დამტკიცებული მიზნები სრულდება ბანკის რისკის პროფილისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკი იყოფა რისკის ორ ტიპად: დაფინანსების ლიკვიდურობის რისკი და საბაზრო ლიკვიდურობის რისკი.

**დაფინანსების ლიკვიდურობის რისკი** არის რისკი იმისა, რომ თიბისი ვერ შეძლებს ეფექტურად დააკმაყოფილოს როგორც მოსალოდნელი, ისე მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის საჭიროება ისე, რომ ამაღ უარყოფითად არ იმოქმედოს მის ყოველდღიურ ოპერაციებზე ან მის ფინანსურ მდგომარეობაზე. დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის სამართავად ბანკი იყენებს ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტს და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს, რომლებიც განისაზღვრება ბაზელ III-ის შესაბამისად და ზუსტდება სებ-ის მიერ. გარდა ამისა, ბანკი ატარებს სტრუქტურულ-ტესტებს და „რა მოხდება, თუ“ სცენარულ ანალიზს. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტით („სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი“), ბაზელ III-ის სახელმძღვანელო მითითებებთან ერთად, კონსერვატიული მიდგომებიც გამოიყენება დეპოზიტების გამოტანის განაკვეთებთან მიმართებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორია კლიენტების ჯგუფის

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

კონცენტრაცია. სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტები წესდება ვალუტების მიხედვით (ლარი, უცხოური ვალუტა, სულ). თიბისი სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტების შესაბამისობის მონიტორინგს ყოველდღიურად ახდენს. ბანკიც ყოველთვიურად ამოწმებს შესაბამისობას სებ-ის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის დაწესებულ ლიმიტთან.

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის დახმარებით ხდება მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკების მართვა. ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა მოწყობილია ისე, რომ საფუძვლიანად მოახდინოს აქტივებიდან, ვალდებულებებიდან და გარესაბალანსო მუხლებიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების საფუძვლიანი პროგნოზირებისთვის დროის გარკვეული მონაკვეთისთვის და უზრუნველყოს, რომ სებ-ის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ლიმიტები ყოველდღიურად კმაყოფილდებოდეს.

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის სამართავად, რათა ხელი შეუწყოს მდგრადობას დროის უფრო ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში, რისთვისაც თიბისი ბანკისთვის ქმნის დამატებით სტიმულებს, რომ ეს უკანასკნელი უწყვეტად დაეყრდნოს დაფინანსების უფრო სტაბილურ წყაროებს. ბანკი ასევე ახდენს დეპოზიტების კონცენტრაციის მონიტორინგს მსხვილი დეპოზიტებისთვის და აწესებს ლიმიტებს არაქართველი რეზიდენტების დეპოზიტების წილისთვის დეპოზიტების მთლიან პორტფელში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მძლავრი და დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურა არის ერთ-ერთი ფაქტორი, რაც განასხვავებს თიბისი ბანკს. ბანკი ეყრდნობა შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების მთავარ წყაროს. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გაამყაროს ვალდებულებების სტრუქტურა, თიბისი ბანკი აწესებს მიზნობრივ მაჩვენებლებს დეპოზიტებისთვის და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების დაფინანსებისთვის ბანკის რისკის დასაშვები დონის ფარგლებში.

ბანკის ლიკვიდურობის პოზიცია 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მძლავრი იყო, როგორც ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი, ისე წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, საკმაოდ აღემატებოდა სებ-ის მინიმალურ 100%-იან მოთხოვნებს.

**ვადიანობის ანალიზი.** ქვემოთ, ცხრილში, შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადახდები შეტყობინებისთანავე აღირიცხება ისე, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. თუმცა ჯგუფი მოელის, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ჯგუფს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც განერილია ჯგუფის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,814,831	548,857	1,983,019	183,256	4,529,963
მომხმარებელთა ანგარიშები – ფიზიკური პირები	6,156,427	2,025,734	1,015,495	67,368	9,265,024
მომხმარებელთა ანგარიშები – სხვა	6,861,142	683,448	1,008,931	446,341	8,999,862
სხვა ფინანსური ვალდებულებები	188,538	51,176	10,804	-	250,518
საიჯარო ვალდებულებები	6,297	17,219	63,265	18,526	105,307
სუბორდინირებული ვალი	18,824	111,605	421,704	286,247	838,380
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	49,511	86,259	1,280,365	-	1,416,135
მთლიანი დაფარული სვოპები და ფორვარდები:					
- შემოდინება	(2,599,378)	(279,912)	(58,148)	-	(2,937,438)
- გადინება	2,615,037	328,255	67,248	-	3,010,540
ვალდებულების შესრულების გარანტია	1,552,134	-	-	-	1,552,134
ფინანსური გარანტიები	406,456	-	-	-	406,456
აკრედიტივები	53,556	112,016	90,158	-	255,730
სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	1,051,216	-	-	-	1,051,216
<b>სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის</b>	<b>18,174,591</b>	<b>3,684,657</b>	<b>5,882,841</b>	<b>1,001,738</b>	<b>28,743,827</b>

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,439,008	569,512	1,162,095	7,407	3,178,022
მომხმარებელთა ანგარიშები – ფიზიკური პირები	5,307,483	1,714,014	1,184,616	85,094	8,291,207
მომხმარებელთა ანგარიშები – სხვა	5,467,638	330,231	850,626	439,336	7,087,831
სხვა ფინანსური ვალდებულებები	118,915	1,658	47	-	120,620
საიჯარო ვალდებულებები	3,445	10,329	42,201	5,705	61,680
სუბორდინირებული ვალი	5,331	60,491	338,052	478,851	882,725
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	6,736	109,343	1,608,370	242,651	1,967,100
მთლიანი დაფარული სვოპები და ფორვარდები:					
- შემოდინება	(603,531)	(27,350)	(402,077)	-	(1,032,958)
- გადინება	606,431	28,069	408,674	-	1,043,174
ვალდებულების შესრულების გარანტია	1,596,458	-	-	-	1,596,458
ფინანსური გარანტიები	357,896	-	-	-	357,896
აკრედიტივები	20,619	96,112	64,687	-	181,418
სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	1,672,865	-	-	-	1,672,865
<b>სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის</b>	<b>15,999,294</b>	<b>2,892,409</b>	<b>5,257,291</b>	<b>1,259,044</b>	<b>25,408,038</b>

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულების ანალიზის გეპი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

მომხმარებელთა ანგარიშებში შესული ვადიანი ანაბრები კლასიფიცირებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ ანაბრები გაიტანონ ვადაზე ადრე, თუ ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად დათმობენ თავიანთ უფლებას დარიცხულ პროცენტზე, ხოლო ჯგუფი ვალდებულია გადაიხადოს ასეთი ანაბრები მენაბრის მოთხოვნისთანავე. ბანკის ანაბრების შენარჩუნების ისტორიიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა არ მოელოდა, რომ ბევრი მომხმარებელი მოითხოვს ანაბრის გადახდას უადრესი თარიღით. შესაბამისად, ცხრილში არ არის ასახული ხელმძღვანელობის მოლოდინები ფულის ფაქტობრივ გადინებებთან დაკავშირებით.

ჯგუფი არ იყენებს ზემოაღნიშნულ არადისკონტირებულ ვადიანობის ანალიზს, რომ მართოს ლიკვიდურობა, ვინაიდან იგი ასახავს მხოლოდ სახელშეკრულებო ვადებს და უგულებელყოფს ინსტრუმენტების მოსალოდნელ ფაქტობრივ ქცევას. ამის ნაცვლად ჯგუფი ახდენს ლიკვიდურობის გეპის ანალიზის მონიტორინგს მოსალოდნელი ვადების მიხედვით. კერძოდ, მოსალოდნელი ვადების შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია მოიცავს მომხმარებელთა ანაბრებს და პირობით ვალდებულებებს მათი ქცევის ანალიზის მიხედვით, ხოლო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გაცხადების მიზნით, მოთხოვნამდე ანაბრები და გაცემული გარანტიები მიკუთვნებულია „მოთხოვნამდე“ დროის მონაკვეთისთვის.

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი ვადების მიხედვით ანალიზი ასე გამოიყურება:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,786,098	-	-	-	3,786,098
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	-	4,326	1,327	645	6,298
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	2,047,564	-	-	-	2,047,564
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,637,240	3,108,636	7,189,586	5,561,980	17,497,442
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	2,884,728	-	-	-	2,884,728
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	267,495	-	-	-	267,495
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	32,027	75,455	152,937	28,467	288,886
სხვა ფინანსური აქტივები	186,864	58,326	1,808	-	246,998
<b>ფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>10,842,016</b>	<b>3,246,743</b>	<b>7,345,658</b>	<b>5,591,092</b>	<b>27,025,509</b>
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,787,320	392,818	1,545,929	159,293	3,885,360
მომხმარებელთა ანგარიშები	1,405,899	176,629	-	16,258,829	17,841,357
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	47,661	81,779	1,080,373	-	1,209,813
სხვა ფინანსური ვალდებულებები	188,538	51,176	10,804	-	250,518
საიჯარო ვალდებულებები	4,531	11,862	43,259	12,588	72,240
სუბორდინირებული ვალი	16,171	70,244	254,624	249,109	590,148
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>3,450,120</b>	<b>784,508</b>	<b>2,934,989</b>	<b>16,679,819</b>	<b>23,849,436</b>
ვალდებულების შესრულების გარანტია	7,206	-	-	-	7,206
ფინანსური გარანტიები	3,177	-	-	-	3,177
სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები*	93,839	-	-	-	93,839
<b>საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტია</b>	<b>104,222</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>104,222</b>
<b>წმინდა ლიკვიდურობის გეპი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>7,287,674</b>	<b>2,462,235</b>	<b>4,410,669</b>	<b>(11,088,727)</b>	<b>3,071,851</b>
<b>კუმულაციური გეპი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>7,287,674</b>	<b>9,749,909</b>	<b>14,160,578</b>	<b>3,071,851</b>	<b>-</b>

\*სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები წარმოადგენს საკრედიტო ხაზის თანხებს, რომელთა გარდაქმნა მოსალოდნელია საბალანსო ვალდებულებებზე ისტორიული მოლოდინების მიხედვით.

**35. ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი ვადების მიხედვით ანალიზი ასე გამოიყურება:

ათას ლარში	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,595,460	-	-	-	1,595,460
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	24,791	723	2,943	13,780	42,237
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	2,086,113	-	-	-	2,086,113
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	1,400,962	3,317,830	6,660,667	5,167,726	16,547,185
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	1,938,196	-	-	-	1,938,196
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	28,961	62,684	155,074	5,621	252,340
სხვა ფინანსური აქტივები	435,807	3,021	3,379	-	442,207
<b>ფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>7,510,290</b>	<b>3,384,258</b>	<b>6,822,063</b>	<b>5,187,127</b>	<b>22,903,738</b>
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,419,171	500,592	1,057,079	7,233	2,984,075
მომხმარებელთა ანგარიშები	1,166,917	104,189	-	13,613,039	14,884,145
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	5,261	100,349	1,328,307	149,782	1,583,699
სხვა ფინანსური ვალდებულებები	118,915	1,658	47	-	120,620
საიჯარო ვალდებულებები	3,611	9,637	38,130	5,144	56,522
სუბორდინირებული ვალი	2,337	19,042	179,963	422,305	623,647
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,716,212</b>	<b>735,467</b>	<b>2,603,526</b>	<b>14,197,503</b>	<b>20,252,708</b>
ვალდებულების შესრულების გარანტია	4,620	-	-	-	4,620
ფინანსური გარანტიები	3,624	-	-	-	3,624
სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები*	64,196	-	-	-	64,196
<b>საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტია</b>	<b>72,440</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>72,440</b>
<b>წმინდა ლიკვიდურობის გეპი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>4,721,638</b>	<b>2,648,791</b>	<b>4,218,537</b>	<b>(9,010,376)</b>	<b>2,578,590</b>
<b>კუმულაციური გეპი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>4,721,638</b>	<b>7,370,429</b>	<b>11,588,966</b>	<b>2,578,590</b>	<b>-</b>

\*სხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები წარმოადგენს საკრედიტო ხაზის თანხებს, რომელთა გარდაქმნა მოსალოდნელია საბალანსო ვალდებულებებზე ისტორიული მოლოდინების მიხედვით.

ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფს საკმარისი ლიკვიდურობა აქვს, რომ დააკმაყოფილოს თავისი მიმდინარე და ბალანსური და გარე ბალანსური ვალდებულებები.

**36. პირობითი ვალდებულებები**

**იურიდიული და მარეგულირებელი გარემოებები.** ასეთ გარემოებებთან დაკავშირებით რეზერვის დონის ან ფინანსურ ანგარიშგებაში გასაცხადებელი თანხის (რომელიც დარეზერვებას არ ექვემდებარება) განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, როგორც შიდა, ისე გარე პროფესიონალების აზრს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული რეზერვი საკმარისია და თანხის (რომელიც არ ექვემდებარება დარეზერვებას) განცხადება საჭირო არ არის, ვინაიდან მას არ ექნება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომავალი ოპერაციების შედეგებზე არსებითი უარყოფითი გავლენა.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს და აზერბაიჯანის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვემდებარებოდნენ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. აზერბაიჯანში საგადასახადო მიმობილვის ხუთი წინა კალენდარული წლის პერიოდები შესამოწმებლად ღია რჩება საგადასახადო ორგანოებისთვის. საქართველოში საგადასახადო შემოსემების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია. ამ რისკების სამართავად ჯგუფმა დაიქირავა გარე საგადასახადო სპეციალისტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის პერიოდულ შემოწმებას. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო სტატუსი არსებითად უცვლელი დარჩება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიური საგადასახადო აუდიტის შედეგად დაირიცხა სულ 11.6 მილიონი ლარის საგადასახადო ვალდებულება. მიუხედავად სადავო საგადასახადო საკითხების წინასწარი ცოდნისა და შესაბამისი რეზერვების შექმნისა წინა ფინანსურ საანგარიშგებო პერიოდებში, დამატებით 2 მილიონი ლარის საგადასახადო რეზერვის ხარჯები აღირიცხა 2022 ფისკალური წლის განმავლობაში.

**შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან.** ჯგუფს ევალება გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირითადად მის ვალს უკავშირდება. ამ ვალდებულებების შესრულებლობამ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს ჯგუფისთვის, სავალდებულო წინასწარგადახდის და დეფოლტის გამოცხადების ჩათვლით. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ასრულებდა ყველა ვალდებულებას.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები ძირითადად სამ მთავარ ქვეკატეგორიად იყოფა: ქვემოთ მოყვანილია თითოეული კატეგორიის მთავარი პირობები და მათი შესრულების სტატუსი:

<b>პირობის აღწერა</b>	<b>სტატუსი</b>
<b>ლიკვიდურობა</b>	
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)	შესრულებული
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR)	შესრულებული
წმინდა სესხის დეპოზიტთან თანაფარდობის და დაფინანსების კოეფიციენტი	შესრულებული
<b>კაპიტალის ადეკვატურობა</b>	
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	შესრულებული
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	შესრულებული
<b>აქტივის ხარისხი</b>	
წმინდა პრობლემური სესხების მთლიან კაპიტალთან თანაფარდობა	შესრულებული

ჯგუფს საკმარისი რეზერვი აქვს ყველა ფინანსური ვალდებულების შესასრულებლად იმ შემთხვევისთვის, თუ ამ ვალდებულებების პოტენციური დარღვევის რისკები დადგება.

**კაპიტალის მართვა.** ბანკი კაპიტალის მოთხოვნებს მართას მარეგულირებლის წესების შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ბანკმა ყველა სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

**36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება**

**საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები.** ამ ინსტრუმენტების მთავარი მიზანი არის იმის უზრუნველყოფა, რომ ფულადი სახსრები მოთხოვნისთანავე ხელმისაწვდომი იყოს მომხმარებლისთვის. ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები წარმოადგენს ჯგუფის მიერ გადახდების განხორციელების შეუქცევად რწმუნებას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულების შესრულებას მესამე პირებისადმი. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორც ისიც - სესხები. დოკუმენტირებული და კომერციული აკრედიტივები, რომლებზეც გარანტიას ჯგუფი გასცემს მომხმარებლის სახელით, რაც მესამე მხარეს უფლებას აძლევს, მოთხოვნები წაუყენოს ჯგუფს გარკვეულ თანხამდე გარკვეული პირობებით, უზრუნველყოფილია შესაბამისი საქონლის მიწოდებით, რომლებსაც ისინი უკავშირდება, ან ფულადი დეპოზიტებით და ამიტომ ახასიათებთ უფრო დაბალი რისკი, ვიდრე პირდაპირ ნასესხებ სახსრებს.

კრედიტის გაგრძელების ვალდებულება წარმოადგენს კრედიტის ვადის გაგრძელების ნებართვების აუთვისებელ ნაწილს სესხების, გარანტიებისა თუ აკრედიტივების სახით. კრედიტის გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკების დროს ჯგუფს აქვს პოტენციური დანაკარგები მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობით. თუმცა, დანაკარგების სავარაუდო ოდენობა ნაკლებია გამოუყენებელი ვალდებულებების მთლიან ოდენობაზე, რადგან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კლიენტები კონკრეტულ საკრედიტო სტანდარტებს. ჯგუფი ახდენს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების ვადების მონიტორინგს, რადგან უფრო ხანგრძლივი ვადის მქონე ვალდებულებებს, როგორც წესი, უფრო მაღალი საკრედიტო რისკი აქვთ, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ასე გამოიყურება:

<b>ათას ლარში</b>	<b>1-ელი სტადია</b>	<b>მე-2 სტადია</b>	<b>მე-3 სტადია</b>
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	1,008,262	40,296	2,667
გაცემული აკრედიტივები	232,066	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	399,820	1,044	50
<b>სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები (დარეზერვებამდე)</b>	<b>1,640,148</b>	<b>41,340</b>	<b>2,717</b>

<b>საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის</b>			
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	(1,531)	(364)	(47)
გაცემული აკრედიტივები	(436)	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	(799)	-	-
<b>საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის</b>	<b>(2,766)</b>	<b>(364)</b>	<b>(47)</b>
<b>სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები</b>	<b>1,637,382</b>	<b>40,976</b>	<b>2,670</b>

**36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ასე გამოიყურება:

<i>ათას ლარში</i>	<b>1-ელი სტადია</b>	<b>მე-2 სტადია</b>	<b>მე-3 სტადია</b>
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	1,628,437	40,572	3,856
გაცემული აკრედიტივები	170,174	208	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	343,536	8,510	56
<b>სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები (დარეზერვებამდე)</b>	<b>2,142,147</b>	<b>49,290</b>	<b>3,912</b>
<b>საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის</b>			
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	(1,961)	(578)	(22)
გაცემული აკრედიტივები	(320)	-	-
გამოშვებული ფინანსური გარანტიები	(734)	(9)	-
<b>საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებისთვის</b>	<b>(3,015)</b>	<b>(587)</b>	<b>(22)</b>
<b>სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები</b>	<b>2,139,132</b>	<b>48,703</b>	<b>3,890</b>

**36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება**

პირობითი ვალდებულებების საკრედიტო ხარისხი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

<i>ათას ლარში</i>	<b>31 დეკემბერი, 2022 წ.</b>			
	<b>1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი)</b>	<b>მე-2 სტადია (არსებობის მანილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)</b>	<b>მე-3 სტადია (არსებობის მანილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)</b>	<b>სულ</b>
<b>აუთვისებელი საკრედიტო ხაზების რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	935,349	870	-	936,219
- დაბალი	68,729	32,329	-	101,058
- საშუალო	4,181	6,104	-	10,285
- მაღალი	3	993	-	996
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	2,667	2,667
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,008,262</b>	<b>40,296</b>	<b>2,667</b>	<b>1,051,225</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,531)	(364)	(47)	(1,942)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,006,731</b>	<b>39,932</b>	<b>2,620</b>	<b>1,049,283</b>
<b>გაცემული აკრედიტივების რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	232,066	-	-	232,066
- დაბალი	-	-	-	-
- საშუალო	-	-	-	-
- მაღალი	-	-	-	-
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	-	-
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>232,066</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>232,066</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(436)	-	-	(436)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>231,630</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>231,630</b>
<b>გაცემული ფინანსური გარანტიების რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	397,358	-	-	397,358
- დაბალი	2,462	1,044	-	3,506
- საშუალო	-	-	-	-
- მაღალი	-	-	-	-
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	50	50
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>399,820</b>	<b>1,044</b>	<b>50</b>	<b>400,914</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(799)	-	-	(799)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>399,021</b>	<b>1,044</b>	<b>50</b>	<b>400,115</b>

**36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება**

პირობითი ვალდებულებების საკრედიტო ხარისხი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2021 წ.			სულ
	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	
<b>ათას ლარში</b>				
<b>აუთვისებული საკრედიტო ხაზების რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	1,537,915	1,794	-	1,539,709
- დაბალი	86,611	30,143	-	116,754
- საშუალო	3,911	7,764	-	11,675
- მაღალი	-	871	-	871
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	3,856	3,856
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,628,437</b>	<b>40,572</b>	<b>3,856</b>	<b>1,672,865</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,961)	(578)	(22)	(2,561)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,626,476</b>	<b>39,994</b>	<b>3,834</b>	<b>1,670,304</b>
<b>გაცემული აკრედიტივების რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	167,570	-	-	167,570
- დაბალი	2,604	-	-	2,604
- საშუალო	-	208	-	208
- მაღალი	-	-	-	-
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	-	-
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>170,174</b>	<b>208</b>	<b>-</b>	<b>170,382</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(320)	-	-	(320)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>169,854</b>	<b>208</b>	<b>-</b>	<b>170,062</b>
<b>გაცემული ფინანსური გარანტიების რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	331,437	1,733	-	333,170
- დაბალი	12,099	1,367	-	13,466
- საშუალო	-	5,108	-	5,108
- მაღალი	-	302	-	302
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	56	56
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>343,536</b>	<b>8,510</b>	<b>56</b>	<b>352,102</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(734)	(9)	-	(743)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>342,802</b>	<b>8,501</b>	<b>56</b>	<b>351,359</b>

**36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება**

აუთვისებული საკრედიტო ხაზების, აკრედიტივების და გარანტიების მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა ყოველთვის არ წარმოადგენს სამომავლო ფულადი ნაკადების მოთხოვნებს, ვინაიდან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებს შეიძლება ვადა ამოეწუროს ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე. არაგაუქმებადი ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 313,199 ათას ლარს (2021 წ.: 251,903 ათასი ლარი).

**ვალდებულების შესრულების გარანტია.** ვალდებულების შესრულების გარანტია არის კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ასეთი ხელშეკრულებები არ გადასცემს საკრედიტო რისკს. ვალდებულების შესრულების გარანტიის ხელშეკრულებების მიხედვით, რისკი არის იმის ალბათობა, რომ სადაზღვევო შემთხვევა მოხდება (ანუ მეორე მხარე ვერ შესრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას). მთავარი რისკები, რომლებიც ჯგუფს აქვს, არის გადახდების სიხშირის მნიშვნელოვანი მერყეობა და კრიტიკულობა ასეთ ხელშეკრულებებზე, მოლოდინებთან შედარებით.

ვალდებულების შესრულების გარანტიების დაუფარავი თანხა და შესაბამისი რეზერვი სტადიების მიხედვით: 1-ელი სტადია – 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არის 1,495,335 ათასი ლარი და 2,997 ათასი ლარი (2021 წ.: 1,529,851 ათასი ლარი და 3,239 ათასი ლარი), მე-2 სტადია – 12,704 ათასი ლარი და 4 ათასი ლარი (2021 წ.: 30,267 ათასი ლარი და 3 ათასი ლარი), მე-3 სტადია – 15,831 ათასი ლარი და 4,204 ათასი ლარი (2021 წ.: 5,576 ათასი ლარი და 1,378 ათასი ლარი).

ფინანსური გარანტიების საკრედიტო ხარისხი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2022 წ.			სულ
	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდ-ნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დეფოლტის სიტუაციაში)	
<b>ათას ლარში</b>				
<b>ვალდებულების შესრულების გარანტიის რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	1,466,676	-	-	1,466,676
- დაბალი	21,143	2,749	-	23,892
- საშუალო	7,495	9,955	-	17,450
- მაღალი	21	-	-	21
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	15,831	15,831
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,495,335</b>	<b>12,704</b>	<b>15,831</b>	<b>1,523,870</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,997)	(4)	(4,204)	(7,205)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,492,338</b>	<b>12,700</b>	<b>11,627</b>	<b>1,516,665</b>

**36. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება**

ფინანსური გარანტიების საკრედიტო ხარისხი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2021 წ.			სულ
	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სიტუაციაში)	
<b>ათას ლარში</b>				
<b>ვალდებულების შესრულების გარანტიის რისკის კატეგორია</b>				
- ძალიან დაბალი	1,519,935	-	-	1,519,935
- დაბალი	8,733	29,660	-	38,393
- საშუალო	1,183	-	-	1,183
- მაღალი	-	607	-	607
- ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	5,576	5,576
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,529,851</b>	<b>30,267</b>	<b>5,576</b>	<b>1,565,694</b>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(3,239)	(3)	(1,378)	(4,620)
<b>საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,526,612</b>	<b>30,264</b>	<b>4,198</b>	<b>1,561,074</b>

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება იყო 3,177 ათასი ლარი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წ.: 3,624 ათასი ლარი). მთლიანი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები და ვალდებულების შესრულების გარანტიები შემდეგნაირად არის გამოხატული ვალუტებში:

ათას ლარში	2022	2021
ქართული ლარი	1,457,633	898,178
აშშ დოლარი	1,195,206	901,092
ევრო	484,040	220,068
სხვა	71,196	68,840
<b>სულ</b>	<b>3,208,075</b>	<b>2,088,178</b>

**კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებები.** 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულება 131,983 ათასი ლარის ოდენობით (2021 წ.: 104,162 ათასი ლარი). მთლიანი თანხიდან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის სათავო ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები შეადგენდა 105,623 ათას ლარს (2021 წ.: 79,004 ათასი ლარი).

**37. არამაკონტროლებელი წილი**

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია ინფორმაცია არამაკონტროლებელი წილის მქონე თითოეულ შვილობილ საწარმოზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	არამაკონტროლებელი პაკეტის ხმის უფლების მქონე აქციების წილი	არამაკონტროლებელი წილისთვის მიკუთვნებადი მოგება	დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი შვილობილ საწარმოში
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	0.47%	25	164

ამ შვილობილი საწარმოების შეჭამებული ფინანსური ინფორმაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ასეთია:

ათას ლარში	მოკლევადიანი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	ამონაგები მოგება	მთლიანი სრული შემოსავალი	წმინდა ფულადი ნაკადები
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	2,284	22,314	3,429	1,178	14,886	3,400	3,400 (457)

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია ინფორმაცია არამაკონტროლებელი წილის მქონე თითოეულ შვილობილ საწარმოზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	არამაკონტროლებელი პაკეტის ხმის უფლების მქონე აქციების წილი	არამაკონტროლებელი წილისთვის მიკუთვნებადი მოგება	დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი შვილობილ საწარმოში
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	0.47%	16	93

ამ შვილობილი საწარმოების შეჭამებული ფინანსური ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ასეთია:

ათას ლარში	მოკლევადიანი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	ამონაგები მოგება	მთლიანი სრული შემოსავალი	წმინდა ფულადი ნაკადები
სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“	4,173	16,352	1,838	3,593	16,691	3,113	3,113 (626)

**38. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა**

2022 წლის მდგომარეობით, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს, ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	მთლიანი	მთლიანი	მთლიანი	თანხები, რომლებიც		კრედიტის
	თანხები	თანხები	თანხები	ექვემდებარება	ურთიერთჩათვლას და	
	ურთიერთგადაფარვამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვა არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვა არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	წმინდა თანხა
	(ა)	(ბ)	(გ) = (ა) - (ბ)	(დ)	(ე)	(გ)-(დ)-(ე)
<b>აქტივები</b>						
გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე გაყიდული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	267,495	-	267,495	262,415	-	5,080
სხვა ბანკებთან გაფორმებული უკუგაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია	370,022	-	370,022	370,022	-	-
<b>სხვა ფინანსური აქტივები:</b>						
- საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მოთხოვნები	46,724	-	46,724	-	-	46,724
<b>ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და სხვა შეთანხმებებს დაქვემდებარებული მთლიანი აქტივები</b>	<b>684,241</b>	<b>-</b>	<b>684,241</b>	<b>632,437</b>	<b>-</b>	<b>51,804</b>
<b>ვალდებულებები</b>						
გაყიდვის და გამოსყიდვის ხელშეკრულებები	262,415	-	262,415	262,415	-	-
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები:</b>						
- საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული დავალიანება	22,785	-	22,785	-	-	22,785
<b>ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და სხვა შეთანხმებებს დაქვემდებარებული მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>285,200</b>	<b>-</b>	<b>285,200</b>	<b>262,415</b>	<b>-</b>	<b>22,785</b>

**38. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა გაგრძელება**

2021 წლის მდგომარეობით, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ექვემდებარებოდა ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და მსგავს შეთანხმებებს, ასე გამოიყურებოდა:

ათას ლარში	მთლიანი	მთლიანი	მთლიანი	თანხები, რომლებიც		კრედიტის
	თანხები	თანხები	თანხები	ექვემდებარება	ურთიერთჩათვლას და	
	ურთიერთგადაფარვამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვის შემდეგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვა არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	ურთიერთგადაფარვა არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში	წმინდა თანხა
	(ა)	(ბ)	(გ) = (ა) - (ბ)	(დ)	(ე)	(გ)-(დ)-(ე)
<b>აქტივები</b>						
<b>სხვა ფინანსური აქტივები:</b>						
- საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მოთხოვნები	70,501	7,620	62,881	-	-	62,881
<b>ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და სხვა შეთანხმებებს დაქვემდებარებული მთლიანი აქტივები</b>	<b>70,501</b>	<b>7,620</b>	<b>62,881</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>62,881</b>
<b>ვალდებულებები</b>						
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები:</b>						
- საკრედიტო ბარათის მომსახურებასთან და ფულად გზავნილებთან დაკავშირებული დავალიანება	36,583	7,620	28,963	-	-	28,963
<b>ურთიერთგადაფარვის, ურთიერთჩათვლის და სხვა შეთანხმებებს დაქვემდებარებული მთლიანი ვალდებულებები</b>	<b>36,583</b>	<b>7,620</b>	<b>28,963</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>28,963</b>

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ურთიერთგადაფარული თანხა (ბ) სვეტში არის შემდეგ ორ თანხას შორის უმცირესი: (i) მთლიანი თანხა (ა) სვეტში წარმოდგენილ ურთიერთგადაფარვამდე და (ii) მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტის თანხა, რომელიც ექვემდებარება ურთიერთგადაფარვას. ანალოგიურად, (დ) და (ე) სვეტებში წარმოდგენილი თანხები შეზღუდულია (გ) სვეტში წარმოდგენილი კრედიტის ოდენობით თითოეული ინდივიდუალური ინსტრუმენტისთვის, რათა არ მოხდეს საბოლოო წმინდა კრედიტის ოდენობის რეალურზე ნაკლებით გაცხადება.

სხვა ბანკებში განთავსებული ანაბრები და სხვა ბანკებისგან მიღებული ანაბრები მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპის შეთანხმებების ფარგლებში ერთმანეთთან გაიქვითა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში და ინსტრუმენტები აისახა, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი ან ვალდებულება.

ინფორმაციის გაცხადება არ ეხება მომხმარებლებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებს და დაკავშირებულ მომხმარებელთა ანაბრებს, თუ ისინი არ არის ერთმანეთთან გაქვითული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.



**39. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი აფორმებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისა და სავაჭრო მიზნით.

ათას ლარში	2022	2021
სავალუტო ფორვარდების და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ აქტივებში ან ბანკების მიმართ მოთხოვნებში	69,921	199,233
სავალუტო ფორვარდების და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპების სამართლიანი ღირებულება, ასახული სხვა ფინანსურ ვალდებულებებში	(73,102)	(10,216)
<b>სულ</b>	<b>(3,181)</b>	<b>189,017</b>

**სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები.** როგორც წესი, ჯგუფი წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტებით ვაჭრობს ბირჟის გარე ბაზარზე პროფესიონალ კონტრაქტებთან სტანდარტიზებული სახელშეკრულებო პირობებით. წარმოებულ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების ან სხვა ცვლადი მაჩვენებლების მერყეობის გამო, მათი ვადების გათვალისწინებით. წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული სამართლიანი ღირებულება დროდადრო შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

ცხრილში წარმოდგენილია საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის მისაღები ან გადასახდელი ვალუტების სამართლიანი ღირებულებები ჯგუფის მიერ გაფორმებული სავალუტო ფორვარდული კონტრაქტების და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპების თანახმად. ცხრილში მოცემულია მთლიანი პოზიციები კონტრაქტის პოზიციების (და გადახდების) გაქვითვამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს შესაბამისი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღის შემდგომი ანგარიშსწორების თარიღებით.

ათას ლარში	2022		2021	
	ხელშეკრუ- ლებები დად- ბითი სამარ- თლიანი ღირებუ- ლებით	ხელშეკრუ- ლებები უარყო- ფითი სამარ- თლიანი ღირებუ- ლებით	ხელშეკრუ- ლებები დადებითი სამარ- თლიანი ღირებუ- ლებით	ხელშეკრუ- ლებები უარყო- ფითი სამარ- თლიანი ღირებუ- ლებით
<b>სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები: სამართლიანი ღირებულებები საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის</b>				
- ანგარიშსწორებისას გადასახდელი აშშ დოლარი (-)	(1,043,758)	(103,669)	(412,621)	(528,905)
- აშშ დოლარი ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	69,042	2,758,993	3,355,801	500,167
- ლარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	(53,019)	(408,702)	(115,337)	(485,231)
- ლარი ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	1,002,936	130,514	394,562	205,667
- ევრო ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	(16,534)	(2,489,689)	(3,096,222)	(9,883)
- ევრო ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	142,774	39,931	54,955	326,103
- ანგარიშსწორებისას სხვა გადასახდელი თანხები (-)	(35,729)	(913)	(1,031)	(19,165)
- ანგარიშსწორებისას სხვა მისაღები თანხები (+)	4,209	433	19,126	1,031
<b>სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპების სამართლიანი ღირებულება</b>	<b>69,921</b>	<b>(73,102)</b>	<b>199,233</b>	<b>(10,216)</b>
<b>სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპების წმინდა სამართლიანი ღირებულება</b>		<b>(3,181)</b>	<b>189,017</b>	

**40. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები**

**(ა) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება**

სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ისეთი შეფასებაა, რომელსაც მოითხოვს ან უშვებს სააღრიცხვო სტანდარტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება, ასეთია:

ათას ლარში	31-დეკ-22			სულ სამარ- თლიანი ღირებუ- ლება	საბა- ლანსო ღირებუ- ლება	31-დეკ-21			სულ სამარ- თლიანი ღირებუ- ლება	საბა- ლანსო ღირებუ- ლება
	დონე 1	დონე 2	დონე 3			დონე 1	დონე 2	დონე 3		
<b>სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები</b>										
<b>ფინანსური აქტივები</b>										
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით</b>										
- კორპორაციული ობლიგაციები	36,630	1,254,754	-	<b>1,291,384</b>	<b>1,291,384</b>	-	704,435	-	<b>704,435</b>	<b>704,435</b>
- უცხო ქვეყნის მთავრობის სახაზინო თამასუქები	35,583	-	-	<b>35,583</b>	<b>35,583</b>	-	1,683	-	<b>1,683</b>	<b>1,683</b>
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები	4,421	1,552,675	-	<b>1,557,096</b>	<b>1,557,096</b>	-	1,231,024	-	<b>1,231,024</b>	<b>1,231,024</b>
- გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	267,495	-	-	<b>267,495</b>	<b>267,495</b>	-	-	-	-	-
- კორპორაციული აქციები	-	-	665	<b>665</b>	<b>665</b>	-	-	1,054	<b>1,054</b>	<b>1,054</b>
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით</b>										
- სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები, ასახული სხვა ფინანსურ აქტივებში ან ბანკების მიმართ მოთხოვნებში	-	69,921	-	<b>69,921</b>	<b>69,921</b>	-	199,233	-	<b>199,233</b>	<b>199,233</b>
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ინვესტიცია, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	-	9,704	<b>9,704</b>	<b>9,704</b>	-	-	11,125	<b>11,125</b>	<b>11,125</b>
<b>სულ აქტივების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება</b>	<b>344,129</b>	<b>2,877,350</b>	<b>10,369</b>	<b>3,231,848</b>	<b>3,231,848</b>	-	<b>2,136,375</b>	<b>12,179</b>	<b>2,148,554</b>	<b>2,148,554</b>
<b>სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები</b>										
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>										
სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები, ასახული სხვა ფინანსურ ვალდებულებებში	-	73,102	-	<b>73,102</b>	<b>73,102</b>	-	10,216	-	<b>10,216</b>	<b>10,216</b>
<b>სულ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება</b>	-	<b>73,102</b>	-	<b>73,102</b>	<b>73,102</b>	-	<b>10,216</b>	-	<b>10,216</b>	<b>10,216</b>

**40. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები გაგრძელება**

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში 1-ელ და მე-2 დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა (2021 წ.: არა).

შეფასების მეთოდის აღწერა და მეორე დონის შეფასებისთვის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების აღწერა:

ათას ლარში	სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		შეფასების მეთოდი	გამოყენებული ამოსავალი მონაცემები
	2022	2021		
<b>სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები</b>				
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები, უცხოური ქვეყნის მთავრობის სახაზინო თამასუქები, კორპორაციული ობლიგაციები	2,807,429	1,937,142	დისკონტირებული ფულადი ნაკადები	სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი
- სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები, ასახული ბანკების მიმართ მოთხოვნებში	69,921	199,233	ფორვარდული ფასწარმოქმნა დღევანდელი ღირებულების გაანგარიშების გამოყენებით	ოფიციალური სავალუტო კურსი, ურისკო განაკვეთი
<b>სულ აქტივების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება მე-2 დონეზე</b>	<b>2,877,350</b>	<b>2,136,375</b>		
<b>სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები</b>				
- სავალუტო ფორვარდები, ასახული სხვა ფინანსურ ვალდებულებებში	73,102	10,216	ფორვარდული ფასწარმოქმნა დღევანდელი ღირებულების გაანგარიშების გამოყენებით	ოფიციალური სავალუტო კურსი, ურისკო განაკვეთი
<b>სულ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება მე-2 დონეზე</b>	<b>73,102</b>	<b>10,216</b>		

**40. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები გაგრძელება**

შეფასების მეთოდის აღწერა და მე-3 დონის შეფასებისთვის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების აღწერა:

ათას ლარში	სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		შეფასების მეთოდი	გამოყენებული ამოსავალი მონაცემები
	2022	2021		
<b>სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები</b>				
